

# მნათობი



114  
1935/2

## 1

### ზინაარსი

მ. მ. კუიბიშვილის ხსოვნას  
კომპოლუციური სივხიჯლისათვის

ლექსები

სიმონ ჩიქოვანი

მ. კახანიძე

იონა ვაკელი

ოზარ ხაიბ

პროზა

კ. გამსახურდია

ს. კლდიაშვილი

ბ. ჩხიძე

მ. მვასალია

ა. გაქუნც

სალიტერატურო არქივი

ი. მკიფაშვილი

აქაქი

წარსულიდან

დ. მისხი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ა. შვიშვილი

ი. მებრეღიძე

05  
მ-73

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის ყოველთვიური  
სალიბრატურო, სახელოვნო და საზო.  
ბედობრივ-საკოლიტიკო შუკნალი

57987

1654

1



წელიწადი მეთორმეტე



სახელგამი

1935

საქართველოს  
კავშირების  
ყოველთვიური  
სალიბრატურო  
სახელოვნო და  
საზო. ბედობრივ-  
საკოლიტიკო შუკნალი

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე  
ნოე ჯომლეთელი  
ნიკო ლორთქიფანიძე  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
გ. მუშიშვილი  
ზალმა რადიანი  
გალაქტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლევო კიაჩელი  
პანტელეიმონ ჩხიკვაძე  
დემნა შენგელაია



რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მთაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.  
ფან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი:

ტფილისი, კოროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლენარის პროსპექტი № 91.

შთავლ. რწმუნ. № 2024. შტავ. №, 62. ტირაჟი 6000



საქართველოს  
ქრონიკა-1918



მ. მ. კუთხიშვილი



ქართული  
კომუნისტური

## ვ. ვ. კუიბიშვილის ხსოვნა

ჩვენმა პარტიამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1935 წლის 25 იანვარს გულის სკლეროზისაგან უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი ვალერიან ვლადიმერის ძე კუიბიშვილი.

სიკვდილმა პარტიის შტაბს ხელიდან გამოგლიჯა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ხელმძღვანელი, საუცხოვრო ამხანაგი, ჩვენი მახლობელი მეგობარი.

**ვალერიან ვლადიმერის ძე კუიბიშვილი** ვაბუკობიდანვე იბრძოდა ლენინის დიადი დროშის ქვეშ.

იგი შეუპოვრად, შეუსვენებლად მუშაობდა ბოლშევიკურ ნატაქვეშეთშიც, სამოქალაქო ომის ფრონტზეც, სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზეც.

უკვე 1905 წელს ამხანაგი **კუიბიშვილი** კაბარბუჩუკში აქტიურად მონაწილეობს რევოლუციაში, როგორც ბოლშევიკი. იგი შექდებ მუშაობს ციხეხრის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, როგორც პარტიული-პროფესიონალი. მრავალჯერ გადასახლებასა და პატიმრობას უშა იგი ეწევა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას პიტერის ბოლშევიკურ ორგანიზაციაშიც.

თებერვლის რევოლუცია ამხანაგ **კუიბიშვილს** უსწრებს გზაში, როცა იგი, ერთხელ კიდევ გადასახლებული, ტურუხანის მხარეში მიყავთ.

ამხანაგი **კუიბიშვილი** სამარის ბოლშევიკების ორგანიზატორია და მათი ხელმძღვანელია ოპტომბრის გადატრიალების დროს.

ამხანაგი **კუიბიშვილი** იყო წითელი არმიის ერთერთი უაღრესად გამოჩენილი ხელმძღვანელი ჩეხოსლავაკების და კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლებში, ხოლო შემდეგ თურქეთის წინააღმდეგ.

მუშაობაში დაუღალავი და ზუსტი, პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული — იგი წარმოადგენდა გამოჩენილი ბოლშევიკური სახელმწიფო მოღვაწის ნიშნებს.

ამხანაგი **კუიბიშვილი** იყო ლენინის მითითებით რეორგანიზებული ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშაობა-

ხინის თავმჯდომარე და აწარმოებდა თანმიმდევრულ შე-  
ურიგებელ ბრძოლას ყოველგვარ გადახრასთან გარბინის გე-  
ნერალურ ხაზიდან.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობის უდიდესი ორგანიზატორი და  
მცოდნე — ამხ. კუიბიშვილი თავის დროზე მეთაურობდა სა-  
ხალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხელმძღვანელობდა  
სოციალისტურ ინდუსტრიას. ამხ. კუიბიშვილი შემდეგ მეთა-  
ურობდა სახელმწიფო საბაზრო კომისიას და ხელმძღვანე-  
ლობას უწევდა ჰირველი და მეორე ხუთწლედის სახალხო-  
სამეურნეო გეგმების შედგენას.

ამხ. კუიბიშვილის ორგანიზატორული და სამეურნეო მუშა-  
ობის უმდიდრესმა ბამოცდილებამ, მისმა ფართო სახელმწი-  
ფო თვალთახედვამ განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი  
ს. ს. რ. კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მო-  
ადგილის პოსტზე.

ამხანაგი კუიბიშვილი მოკვდა საბრძოლო პოსტზე. იგი თა-  
ვისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად, მთე-  
ლი ძალღონით მუშაობდა.

ვან მთელი თავისი ცხოვრება, მთელი თავი შესწირა მუ-  
შათა კლასის საქმეს, ჩვენი გმირი ხალხის საქმეს.

მშვიდობით, ჩვენო მშობლიურს და მახლობელს —  
ვალერიანს.

ი. სტალინი  
ვ. მოლოტოვი  
ვ. ვოროსილოვი  
ლ. კაგანოვიჩი  
მ. კალინინი  
გ. ორჯონიკიძე  
ა. ანდრეევი

ს. კოსიგორი  
ა. მიჟოინი  
ვ. ჩუბარი  
გ. კებროვსკი  
კ. პოსტიშევი  
ი. რუჟუბაჟი  
ა. ჟდანოვი





ქართველი  
წიგლიერეთა

# საბჭოთა კავშირის მუშებსა და კომუნისტურ სოციალისტურ მშენებლობა უბნებათ კაპიტალისტურ გარემოცვაში.

ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასობრივი მტრები, მართალია, დამარცხებული არიან, მაგრამ საბოლოოდ არ არიან მოსპობილი. მათი ნარჩენები ჯერ კიდევ განაგრძობენ წინააღმდეგობას. ბურჟუაზიულ-კულაკური კონტრ-რევოლუცია იბრძვის, რათა ძირი გამოეთხაროს სოციალიზმის შენების საქმეს ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო ბელადის ამხ. ს. კიროვის მუხანათური მკვლელობა, რამაც შეაძრწუნა მშრომელი მასები, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დამარცხებულ და განწირულ კლასობრივ მტრებს ჯერ კიდევ შესწევთ შხამის გადმონთხევის უნარი. ეს აღმაშფოთებელი მკვლელობა ნათელყოფს, რომ სანამ საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, სანამ არსებობს მსოფლიო ბურჟუაზია და მისი ფაშისტური აგენტურა, სოციალიზმის შენების საქმე ჩვენს ქვეყანაში არ არის დაზღვეული კონტრ-რევოლუციური შემოტევისაგან; ეს აგენტები ზოგჯერ თვალთმაქცურად პარტიის რიგებშიაც კი არიან შემოპარული. მოლაღატე — გამცემელ ზინოვიევი-კამენევისა და მათი ფაშისტური ნაშეიერების საზიზლარი მოქმედება მიგვითითებს იმაზე, რომ კლასობრივი მტრები თავდასხმებისა და მკვლელობების, მავნებლობისა და პროვოკაციების საშუალებით ცდილობენ ხელი შეუშალონ მუშათა კლასის დიად საქმეს.

ასეთ პირობებში უაღრესად უნდა გავამახვილოთ რევოლუციური კლასობრივი სიფხიზლე. კარგად უნდა გვახსოვდეს ამხ. სტალინის გაფრთხილება:

„მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლევა მოსილი წინსვლა გამოიწვევს მომავლადი კლასების უკანასკნელი ნარჩენების წინააღმდეგობის ზრდას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და თავიანთი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიან, ისინი თავდასხმების ერთი ფორმიდან გადავლენ მეორეზე, უფრო უკიდურესზე, შეეცდებიან ნიადაგის პოვნას მცხოვრებთა ჩამორჩენილ ფენებ-

ში, რათა დარაზმონ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არ არსებობს ისეთი სისაძაგლე და სიცრუე, რომელიც ამ ყოფილში ადამიანებმა არ შეთხზან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომელიც გარშემოც არ შეეცადონ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზება. ამ წინადაგზე შესაძლებელია გამოცოცხლდნ და ამოძრავდნ განადგურებული ჯგუფები ძველი კონტრ-რევოლუციონური პარტიების — ესერების, მენშევიკების, ცენტრის და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტები; შესაძლებელია გამოცოცხლდნ და ამოძრავდნ კონტრ-რევოლუციონერი ოპოზიციონური ელემენტები ტროცკისტებიდან და მემარჯვენე უკლონისტებიდან, თუმცა, ცხადია, ეს არ არის საშიში. მაგრამ ყოველივე ეს მაინც უნდა გვეკონდეს მხედველობაში, თუ ჩვენ გვსურს ეს ელემენტები მოვსპოთ სწრაფად და დიდი მსხვერპლის გაუღებლად. აი რატომ წარმოადგენს რევოლუციონური სიფხიზლე იმ თვისებას, რომელიც განსაკუთრებით ესაჭიროება ახლა ბოლშევიკს“ (იხ. „ლენინიზმის საკითხები“).

ბელადის ეს მითითება უნდა წარმოადგენდეს ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედს. რევოლუციურ-კლასობრივი სიფხიზლით უნდა ვიყვეთ შეიარაღებული მთელს ჩვენს საქმიანობაში. ეს მით უფრო ითქმის შხატერული ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტის შესახებ. განადგურებული ბურჟუაზიული და კულაკური კონტრ-რევოლუციის აგენტურა აქაც ნაკლები ენერგიით არ მოქმედებს, ვიდრე სხვა რომელიმე სფეროში. ამ გარემოებაზე მიუთითებს უკანასკნელი დროის ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი ფაქტი. კლასობრივი მტრის გავლენის დაუფარავი გამოხატულება მოცემული გვაქვს ახალგაზრდა პოეტის გ. შატბერაშვილის უკანასკნელი დროის ლექსებში „წერილი ახალგაზრდებს“ (იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1934 წ. № 14) და „დასაწყისი განთიადისა“, „მოგონებები კახეთში ხეტიალიდან“ (იხ. „მნათობი“, 1934 წ. № 9). აღნიშნულ ლექსებში შატბერაშვილი საკმაო გარკვეულობით გამოხატავს ანტი საბჭოთა მისწრაფებებს.

განწყობილებები, რომლებიც გამომჯაღენებელია შატბერაშვილის ლექსებში, სათავეებს არსებითად ბურჟუაზიულ-კულაკურ იდეოლოგიაში ღებულობს. „წერილი ახალგაზრდებს“-ში იგი არ მალავს თავის უარყოფით, გულგატეხილ დამოკიდებულებას აწმყოსადმი, რევოლუციურ დღეინდლობისადმი. შატბერაშვილს არ მოსწონს თანამედროვე საბჭოთა ყოფა, იგი მას მიაჩნია თავისი ახალგაზრდური (წაიკითხეთ ბურჟუაზიულ-კულაკური) იმედების გაცრუებად. როგორც „ზედმეტი ადამიანი“ ისე გრძნობს თავის თავს ეს ახალგაზრდა პოეტი საბჭოთა წყობილებაში. დადის „ქვეყნად“, შესცქერის „ზეცას“ და გაიძახის: „გზა გაშლილია არა ვარდების, არა დაფნებით, როგორც ოდესღაც ხატავდა სიყრმის შარავანდედი“. ასეთი სტრიქონები ლექსში შემთხვევითი არ არის. იგი ორგანიულად არის შეხამებული ნაწარმოების მთლიან იდეასთან. იქაც კი, სადაც შატბერაშვილი ლაპარაკობს მომავალზე, იგი მოხერხებუ-



ლად მიმართავს კონტრასტების მეთოდს, რათა რევოლუციური/დღე-ინდღობა წარმოგვიდგინოს უარყოფითი სახით. ის მომავალი, რომელზედაც ლაპარაკობს თავის ლექსში შატბერაშვილი, არ არის ჩვენი სტრუქტურის.

იმდენად შორს მიდის შატბერაშვილის რეაქციური აზრები „წერილი ახალგაზრდობას“-ში, რომ იგი არ ერიდება ერთგვარი პარალელიც მონახოს თავის შეხედულებებს იმ რევოლუციონერთა მაგალითით, რომელნიც მიდიოდნენ ციმბირში და სახრჩობელაზე თვითმპყრობელობის, მემამულე-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გულისათვის. შატბერაშვილი ამბობს, რომ „ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს, ვინც მიგვიძლოდნენ გზებზე ხველებით... ვინც სახრჩობელას არ დაერიდა და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს“, „ვინც გადალახა ბნელი კატორღა და გაიტანა ხალხში ნაჯახი“. შატბერაშვილი ფიქრობს, რომ „ციმბირის გზებში, კატორღის გზებზე, შემხმარი სისხლი მდუმარე ლოდზე... ყოველი წვეთი ჩვენ ძარღვს დაეძებს, გადმოდის ჩვენში და მოგვიწოდებს: ახ, შეგობრებო, ცხელ უდაბნოში დამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა, მოგვაგონებდეს სულს შეშფოთებულს, სულს ამბოხებულს და მიუსაფარს“. შატბერაშვილს სჯერა, რომ სადღაც ციმბირის გზებზე ნაპოვნი თავის ქალა შესცქერის მას, „მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან“, რადგან მას ახარებს იმედის შუქი, „რომ არა ერთი მგზავრი ჭაბუკი მისი თვალებით დაიწყებს ცქერას“.

ნათელია ასეთი პარალელის აზრი და შინაარსი. აქ დაუფარავ ანტისაბჭოთა განწყობილებებთან გვაქვს საქმე. ეს „ადრე დაბადებული“, „მოსული“ (როგორც თვითონ ამბობს ლექსში) ახალგაზრდა პოეტი ძალზე რეაქციონურ-კულაკური შეხედულებებით არის გამსჭვალული.

თავისი ანტისაბჭოთა განწყობილებები შატბერაშვილმა კიდევ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში „დასაწყისი ვანთიადისა“. ეს ნაწარმოები დაწყებული სათაურით და ინიციალებიანი მიძღვნით და გათავებულნი უკანასკნელი სტრიქონებით განსაზღვრულ იდეურ საფუძველს ეყრდნობა. იდეოლოგიურად აქ ვაგრძელებული და გაღრმავებულია „წერილი ახალგაზრდობას“ ხაზი. პროლეტარიატისათვის უცხო ხმა ამ ლექსში კიდევ უფრო ძლიერად მოისმის.

თავის მტრულ შეხედულებებს შატბერაშვილი ამ ლექსში მოხერხებულად აქსოვს: კახეთში ხეტიალის დროს თითქოს იგი შეხვდა ვიღაც „თ...ჩ...ლს“, რომლის დაშორებამაც მასში აღძრა შიშიმე გრძნობები და განცდები. მაგრამ ნამდვილად საქმე იმაში არ არის, რომ შატბერაშვილი ვიღაც ქალის ნახვამ „რომანტიულ-სასიყვარულო“ გუნებაზე დააყენა. ეს არ არის არსებითი ამ ლექსში. სწორედ ამის შემდეგ იწყებს იგი თავის „საპროგრამო“ სიტყვებს საერთოდ რევოლუციური თანამედროვეობის შესახებ. შატბერაშვილს ჩენი ცხოვრება ძალზე შავ ფერებში ეხატება.

მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება. რევოლუციური თანამედროვეობის უარყოფიდან იგი გადადის მომავალში, იქ ელის იგი „დასაწყისის განთიადისა“ მის მსგავს ახალგაზრდებისათვის. და სწორედ აქ, იქვე ვეღარ მაღავეს თავის ანტისაბჭოთა ზრახვებს შატბერაშვილი. ასეა ჩრამი წინააღმდეგობა ამ ლექსის მიზანდასახულობაც.

„მნათობი“-ს რედაქციამ, რასაკვირველია, შეცდომა დაუშვა „დასაწყისი განთიადისა“-ს დაბეჭდვით.

შატბერაშვილის ზემოაღნიშნული ლექსები აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია ლიტერატურის ფრონტზედაც მეთი რევოლუციურ-კლასობრივი სიფხიზლე, ბოლშევიკური სიმტკიცე და შეურიგებლობა. ჩვენი ვალია შეუბრალებლად ვამხილოთ კლასობრივი მტრების და მათი აგენტების გამოსვლები მხატვრულ ლიტერატურაშიაც.



სიმონ ჩიქოვანი

## უმეოღბოგის დილა კახეთში

რიჭრაყის ქარი ღრუბლების ტყვეებს,  
გადმორეკავს და დაადგენს მთაზე.  
წითელ ალმასის შტოება ტყვეებს  
მარადიულად სწევას სილამაზე.  
დაგდებულია ალაზნის ველი,  
და მღვრიე მთებში ძერწავენ ნახშირს.  
ნაშთებშიც შედის დრო დღევანდელი  
შეძლებულივით ჯდება ვენახში.  
და ჭორსაც უნდა მიდამოს ენდოს  
სივრცეზე ფანტავს ფრთასა და ფიქრებს,  
მზე დაეცემა დალესტნის ფერდობს  
და ნაპრალებში ჩაამსხვრევს პიქებს.  
მზეც გულ დამწვარო ალბათ მშეგობრობ,  
რომ გამიკურნე მთა ნამიანი,  
და მადღეგრძელეს ყურძნიან ვობით,  
გაშუქებული ადამიანი.  
მსკოვანი ქორიცი ცის მონაწილე  
დაიქანცა და გამოსავათდა  
მონადირენიც გვანან წიწილებს  
მიწურულები ცის დასავალთან.  
მეჯოგეები ადრე აყრილან  
და ნაგაზები მიდიან ზანტად  
ირემი რბენით მთაში დაღლილა  
და სიკბატუკეს მინდორზე ჰფანტავს.  
კაკეასიონის მოყინულ ცერზე  
აიწევს მზე და დაგვისობს ხელებს.  
ლექსო შენც აღსდექ, ცხოვრება ძერწე  
და გადაჰკივლე გაჭიმულ ველებს.

ველო გაშლილო შაირებს გიძღვნი,  
 და თუთუნით გავეღენთავ მხარეს,  
 ჩემი ვალობაც ბუნებას იცვლის ერკუნული  
 როგორც კალაპოტს იცვლის მდინარეს ლიქუთი  
 და პა, კახეთო ვარ მადლიერი  
 რომ ამამღერე შეახნის შგოსანი  
 შენ შთამაგონე ჯერ ფლანდრიელნი  
 შემდეგ სეზანი და ფიროსმანი.



# მთავარს მოხატვა ნომერი

კონსტანტინე გამსახურდია  
საქართველოს  
განმანათლებლო

## XXVII. მანქანისი \*)

აგვისტოს 14-ს მთელი დამე არ ეძინა არზაყანს.

ძროხა ზმუოდა ფარეხში. აივანზე მწოლარე ყურს უგდებდა ბუნების უმცირესს ჩქამს. ქარი აშრიალეზდა სიმიდის გამხმარ კლერტოებს. ხანდახან ისეთი გრძნობაც ებადებოდა არზაყანს, თითქოს ვილაც დევკაცი შოაპობდა სიმიდების ზღვას. მისწყდებოდა სიმიდების შრიალი, ახლა ვერხეს შეუჩნდებოდა ქარი.

ეამგამოშვებით ისეთი ძლიერი ფარფაში ისმოდა, თითქოს ხომალდები ატლაშუნებნო აფრებს. ისევ ზმუოდა ფარეხში ძროხა და ეს ხმა საშინელ ძრწოლას ჰგვრიდა არზაყანს. მოდგებოდა ისევ დუმილი გარშემო, ისევ დაიზმუვლებდა ძროხა, ისევ აფარფაშდებოდა ვერხვი და გარეული ბატების ფრთების ბარტყუნი აგონდებოდა არზაყანს.

უგუნებობა თან დაჰყვა დილა ადრიან წამომდგარს. ახალახი წამოიხსა, ქართულ ქალამნებში ფეხი გაჰყო. ეზო გადაიარა, თხილნარში წამოგდა მდინარის პირად.

მთლად დაშრეტილიყო წყალი, რადგან დიდი გვალვები დაატყდა ოქემს იმ ზაფხულში თავზე.

უსასველო ხეატმა დახეთქა მიწა, სიმიდები გადარუჯა, ჭალებში წიქვილები დაამუნჯა.

მოხუცები თავისებურად განმარტავდნენ ამ უბედურებას: აბა რა ეგონათო ბოლშევიკებს, ეკლესიები დაკეტესო, გრდემლის ქურუმნი გარეკესო, ღურიშპის მუხა დაგვიწვესო, ეკლესიებიდან ზარები ჩამოაყარესო, ღმერთი გაარისხესო და მოწეულიაო კაცსა ზედა რისხვა უფლისა. ასე ამბობდნენ მოხუცები და ბობოლა გლეხებიც კვერს უკრავდნენ მოშაინურად.

თავი წამოჰყვეს ისევ ნახუცარებმა, ნადიაკვნარებმა, მონასტრებიდან გამორეკილმა ბერებმა, ისევ აზიშვიმდნენ მარჩიელები, შემლოცველები და გამომლოცველები.

სოფელი შიშის აგონიამ შეიპყრო. ცრუმორწმუნე გლეხობა გაინაბა, დაშინებული ყურს მიუგდებდა მეორეთ მოსვლის ამბებს.

\*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ 1934 წ. № 11 — 12.

მთვარიანი ღამეები მოჰყვა ვაჭიანურებულ ტაროსს. მთელი სოფლები აიყრებოდნენ, ასწლოვან მუხებს მიაშურებდნენ, ხანაც ილორში მიდიოდნენ, ზვარაკს უკლავდნენ ათასობით ილორის წმინდა გიორგის.

130 წლის მოხუცი კაკაჩია კიუტი ასე ამბობდა: ვენაცვალე ილორის წმინდა გიორგის, ამდენი ცხვარი და ციკანი აროდეს შეუწირავთ ჯერ. გაუგონარი ლეგენდები დათარეშობდნენ ხალხში.

ცეცხლში ნავთს ასხამდნენ ბობოლა გლეხები, ხელზე იხვევდნენ მარჩიელების, ნახუცარების, ნადიაკენარების ჩურჩულს და მთელი სოფელი ამრეზილი შესცქეროდა ამის გამო არზაყან ზვამბაიას.

თავათაც გრძნობდა არზაყან, თუ როგორის სიძულვილით შეჰყურებდნენ მას წისქვილის კარზე და თემსაბჭოში მოგროვილი გლეხები. მის დანახვაზე ჩურჩულს ასტეხდნენ, მოხუცები სახეს ჯღანავდნენ, განზე აწიტებდნენ და მზერას არიდებდნენ.

სიყრმის მეგობრებიც კი დაემდურნენ არზაყანს, კაც ზვამბაიას ნათლულები, მოყვრები და ძმადშეფიცულნიც პირმოქმული ხედებოდნენ გზებზე. და ისეთი მხეცური სიძულვილით შეიძულა არზაყან სოფელმა თითქოს გვალვაც არზაყანს გამოეთხოვა ციდან და კოლექტივიზაციაც მის მიერ ყოფილიყო შემოღებული.

აღტყინდა, აზვავდა სოფელი.

ღამლამობით უზობლებს, დეკეულებს, მარჩენალ ძროხებს და მუშა ხარებს ჰკლავდნენ ბობოლები და გლეხური გაუმადლობით შეექცეოდნენ. უზომოდ ლოთობდნენ და ღრეობდნენ, თითქოს მართლაც ანტეჰრისტეს მოსვლის ეამი მოწეულაო. დღისით ჭორაობდნენ, ჩურჩულებდნენ, ილანძღებოდნენ, კამჩებებს, მოზერებს და საუღლე ხარებს ეთხოვებოდნენ, თვალებს უკოცნიდნენ და ღამლამობით განუკითხავად ხოცავდნენ პირუტყვს. წაეკიდნენ ბობოლები ღარიბ გლეხაკებს და ბობოლებმა ზავი შეჰკრეს ურთიერთშორის.

კიუტებს ალანიების სისხლი ემართათ, ალანიებმა კიუტები დაჰპატივეს, სამი საუღლე ხარი დაუკლეს და იმ ღამეს კიუტების ქალებმა ალანიების ვაყები იშვილეს, ძუძუებზე კბილი დაადგმევინეს. ბოლოს კიუტები და ალანიები ძმად გაეფიცნენ ურთიერთს.

გვიჩიები და ხეჩიები ათი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს ყანების მიჯნების გამო და რა გაიგეს, მალე ყანებსაც წაგვართმევენ და მიჯნებსაცო, ხეჩიები და გვიჩიებიც შერიგდნენ და ცამეტი ხარი დაჰკლეს სამოცდაცამეტი მოსისხარის შერიგებისას.

შვიდი ძმა ტარბა მეთაურობდა ოქუმელ ბობოლებს. გვანჯ აფაჭიძე იშვიათად ჩამოდიოდა ოქუმში, ამიტომაც ზუგდიდიდან იძლეოდა დარიგებებს. ის ატყობინებდა მათ გაზეთის ამბებს და ჭორებს.

უფროსს, ლომკაცია ტარბას დაუქადნია ოქუმში: არზაყან ზვამბაიას მოვკლავ და კოლექტივი აგვცდებიაო. დოღში აჯობა არზაყანმა ტარბებს, ესეც ზედ დაერთო სიძულვილს. რამოდენიმე ღარიბი გლეხი მიიშრო

არზაყანმა, ათიოდე კომკავშირელიც. მათთან ერთად აპირებდა პარველი კოლექტივის დაარსებას. მალე დააფრთხეს ლარობი გლეხები.

„კოთხო ფქვილსაც არ გვასესხებენ კულაკები და კოლექტივის მოსავლამდის შიმშილისგან სული ამოგვძვრებაო“. ასე იმპროვიზეს თავი ცაგებმა.

ილორის წმინდა გიორგის აღიდებდნენ ბობოლეები, ბატონყმობის მობრუნებას ნატრობდნენ, აფაქიძეების, დადიანების, ემხვარების ქვრივებს უკოთხავად უზიდავდნენ სარჩოს. ნიკოლოზ მეორის დავსილ მზეს ფიცლობდნენ და ის დრო ენატრებოდათ, როცა რომანოვების ჩაფარი მათრახით უმასპინძლდებოდა ხვიჩიებსა და გვიჩიებს, ალანიებსა და მალანიებს, ზვამბაიებსა და ტარბასს.

გასულ შაბათს ჩალმაზი ეწვია არზაყანს.

კაც ზვამბაია ამრეზილი შეეგება ჩალმაზს. სტუმარი, მაინც სტუმარია და ნაძალადევი თავაზიანობა მაინც არ დაჰკლებია სუფრას. მოხუცების თანდასწრებით პოლიტიკის გამო არაფერი დასცდენიათ პირიდან არზაყანს და ჩალმაზს.

ნასადილევს არზაყანმა არაბია შეკაზმა და ვალისკენ გააცილა შეგობარი. ეს უნდოდა არზაყანს: გზადაგზა მაინც ელაპარაკნათ მიმდინარე პოლიტიკისთვის.

თავათ ჩალმაზიც გუნებაზე ვერ იდგა. ჩალმაზ არ იზიარებდა მთლიანი კოლექტივიზაციის ძალით შემოღებას, მაგრამ სდუმდა. არენბა არლანს უკვე გაეტარებინა თავის რაიონში იგი და ტფილისიდანაც ასეთი დირექტივები მოსდიოდა ჩალმაზს.

არენბა არლან გაუგონარ ინტრიგებს ეწეოდა მის წინააღმდეგ. ჩალმაზ მამაცი ვაჟი იყო, პანიკა აღვილად არ შეიპყრობდა მას, მაგრამ არზაყანმა მაინც შეატყო; ჩალმაზს უთუოდ მოხსნიდნენ მალე. არენბა არლანს უპირებენო ჩალმაზის მაგივრად დანიშნვას. ცხადია, ამის შემდეგ არზაყანს უფრო იოლად გაუსწორდებოდა არენბა არლანს.

„აბა რასა ჰგავს ეს ამბავი, სჩივოდა ჩალმაზ, ქათმებიც კი შეაყვანიან არლანმა კოლექტივში ხალხს. მე არ მგონია ეს იყოს პარტიის პოლიტიკა. ზარები არ დასტოვეს მთელს აფხაზეთში. და ეს საქმე ჰგონია არლანს. საერთოდ დროა მარტო ძველი დამსახურებით ყოყონობას ბოლო მოეღოს. წარსულში ღვაწლი მიგიძღვის? დიდი მადლობა მოგვიხსენებია ამისათვის, მაგრამ შენ ეს მითხარი დღეს რასა ჰქმნი? ამ პარაზიტებმა წაიღეს გული. აფაქიძის ქალი აკეთებსო პოლიტიკას, გვანჯ აფაქიძე და მისი ქალი. მთელი რაიონი აღშფოთებულია ამ ამბების გამო. გვანჯ აკეთებს საქმეს, გვანჯს ეთათბირება არლანს. სამარცხვინო არაა ჩვენს დროში ნათავადარები რომ ურევდნენ თავის ბინძურ ხელს გამარჯვებული რევოლუციის საქმეში?“

— „ნუ თუ ასე ძნელია ამ კაცის დაძვრა?“

ეკოთხება არზაყანს.

— „მე ვერიდები ჯერჯერობით აქტიურად შებმას, ერთი სთნჯოს და მომხსნას, ტფილისში ჩავალ და მაშინ მიყუროს, მაშინ უთუოდ გავხსნი მის ბნელ საქმეებს.“

„ასე ამბობენ ცენტრში უკერენო მხარს არენბერგს და მენიშნა არზაყანმა და არაბიას გაუჯაერდა, რადგან არაბიამ თემშარაზე გზის სატკეპნი მანქანა შენიშნა და ყურები დასცქვიტა, განზე გაიწია.“

— „ვინაც უნდა მან დაუჭიროს მხარი, მის ბნელ ამბებს მაინც გამოვიტან სააშკაროზედ“.

მტკიცედ წარმოსთქვა ჩალმაზმა, მათრახი უჭირა თავის ცხენს, რადგან უკვე მზე შემდგარიყო მახლობელ თხემზე.

აქ დაემშვიდობენ მეგობრები ურთიერთს.

— „თუ მომხსნეს ტფილისში შევხვდებით“.

ასე უთხრა ჩალმაზმა და ხელი მაგრად მოუჭირა არზაყანს ხელზე.

ლამდებოდა. ზედ შარაზე მოსული მთის ქიმი შემუჭდა და ნისლები დაბანაკდნენ შორეულ ველეებზე.

არზაყან ფიჭვებში გართული იჯდა მაღალ ტახტიან ოდიშურ უნაგირზე. არაბია ფრუტუნით მისდევდა შარას. გზისპირად დახერგილ ღორლის ყორეებს აკვირდებოდა და ცქმუტავდა ეამგამოშვებით.

კობორას ტყეს გაუსწორდა არზაყან და აქ საეცებით მოულოდნელად ვაეარდა თოფი. მხარმარჯვნივ მდებარე ტყიდან შემოესმა არზაყანს სროლა. არაბია დაფრთხა, თავკისერი წაართვა მხედარს და მთელის ძალღონით მოუსვა თემშარაზე.

ერთი,

ორი,

სამი,

კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ მოესმა არზაყანს ბერდანის ხმა. ცხენს ვერ დაუჭირა თავკისერი, მაგრამ მაინც მაუზერზე გაისვა ხელი და მოეშადა. მაუზერის ამოდება ძლივს მოასწრო და ახლა მხარმარცხნიდან ესროლა ვილაცამ რუსული ვინტოვკა ცხენოსანს. უსაზმოდ გაისროლა მიმჭროლავემა მხედარმა მაუზერი და მიუშვა არაბია მთელის სისწრაფით. თქარათქორზე მიხვდა არზაყან: მდევრები დაუქედავ ცხენებზე ისხდნენ.

შემდგარიყო? მოშიშვლებულ შარაზე უაზროდ ეჩვენა თოფებიანებთან შებმა. ქუსლი ჰკრა მაშინ არაბიას. ფრთა შეისხაო თითქოს, ისე გაფრინდა ცხენი. რიალებდნენ მის თვალში ტელეგრაფის სვეტები, მიმჭროდა არაბია კუბრისფერ ღამეში.

ისევ შემოესმა ვინტოვკის სროლა, კიდევ მხარმარცხნიდან მოდიოდა ტყვია და ერთბაშად შეიქმნა ზედიზედ ბერდანის გრიალი, შედრკა არაბია და აისვეტა უკანა ფეხებზე. მოუდრიკა კისერი არზაყანმა ცხენს და გზის სატკეპნი მანქანა შეიცრა ბნელში. დაქვეითდა სწრაფად, მხარმარცხნიდან არაბია ამოიყენა, მხარმარჯვნიდან მანქანა მოისაფრა. ერთხელ





კიდევ გაისროლა მაუზერი. ახლა იმათ მოვზშირეს, ვინც ბერდანებს  
ესროდნენ არზაყანს.

ერეკინული

იღმა თუჯის ბეგემოტი შეაგულ თემშარაზე. ზრიატუნდა, ქაქაქაქაქაქა-  
და მანქანა. ტყვია წივოდა, ზუზუნებდა ირგვლივ. უფრო და უფრო ხელ-  
დებოდა არაბია. არზაყანს ცალი ხელით არაბია ეჭირა, ცალითაც ეამგა-  
მოშვებით მაუზერს ისროდა. უფრო და უფრო გაძლიერდა სროლა. ორი-  
ვე მხრიდან უშენდნენ არზაყანს. ბარე ცხრა ტყვია გაუშვა არზაყანმა.  
შვიდიოდე ვაზნა შერჩენოდა კიდევ. მოკლედ მიაბა მანქანის სახელურზე  
არაბია და თავათ უზარმაზარ ბორბლებს შორის შეძვრა.

მიწაზე განრობილი იწვა არზაყან: ახლა ერთად ერთი საზრუნავი ეს  
იყო: არაბიას არ მოხვედროდა ტყვია. მხარმარცხნიდან მსროლელი და-  
დუმდა, სჩანდა ვაზნები შემოღებოდა.

მხარმარჯვნიდან შემტევენი უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ სა-  
ფარს. მერესხავით მოდიოდა ბერდანის ტყვია. სდუმდა არზაყანის შემარ-  
თული მაუზერი.

„აბა აქ მოდით თქვე ლაჩრებო, გული თუ გერჩით“, ფიქრობდა არ-  
ზაყან. გადაწყვეტილი ჰქონდა: ეტყვი მათთვის მიეხალა პირში, ხოლო ის  
ერთი თავისთვის შემოენახა.

ერთბაშად ხედავს არზაყან: სამი ლანდი დაქვეითდა თოფის სასროლ-  
ზე. ცხენები ჯაგნარში გადაიყვანეს თემშარის მხარმარცხნით.

„ცხენს არ ესროლო ბიჭო“. დასცდა რომელიღაც მათგანს. ცხენს არ  
ესროლოვო? გაიფიქრა არზაყანმა ხმამაღალი ფიქრით. ჯერ ეგონა: სმენა  
ატყუებდა, მაგრამ არა, გარკვეულად გაიგონა ეს. ეს და ახარებდა არ-  
ზაყანს.


უცებ სამნივე გაწვიან თემშარაზე. გაწვიან და დაიწყეს სროლა. არ-  
ზაყანი სდუმდა თავის საფარში. ისევ წამოდგნენ, წელში მოკაკეულნი  
გამორბოდნენ, ისევ წვებოდნენ გზაზე და ისევ ისროდნენ გაცხარებულნი.  
მანქანამ თითქოს ენა აიღგაო, ელრიალებდა, ღრიალებდა თუჯის ბეგე-  
მოტი.

ფრთხებოდა არაბია და ყალბზე დგებოდა, ისევ სდუმდა არზაყანი,  
შემართული მაუზერი ეჭირა ხელში.

ერთბაშად სროლა შესწყვიტეს სამივემ, თვალისა და დაეკარგა თავის  
მსხმელნი არზაყანს. უცებ გაიხედა: სამი ლანდი მიემართებოდა  
რად მანქანისკენ.

„ჩამაღდა როგორც სჩანს“, ამბობდა შუაში მომგვარებულს ახმა  
ზაზურად.

„ეგების ტყვია გამოელია და მიტოვდა დადუმდა“  
მიუგო მეორემ და სწორედ ამ წუთში შუათანს ესროლა  
სწორედ იმას, ვინც ამბობდა „ჩამაღდა“.



მუცელზე იტაცა ახმახმა ხელი და შუაგულ შარავზე წამოიხრქა, მაგრამ ვიდრე არზაყანი მანქანიდან გამოსვლას მოასწრებდა, ამხანაგებმა გაიტაცეს იგი ჯაგნარში.

ე რ ე ნ ე უ ლ ი

არზაყან საფარიდან გამოვიდა, კიდევ ერთხელს ~~განსწავლა~~ აკბგნარისკენ, მაგრამ სრული დუმილი შეიქნო ირგვლივ, შემოტრიალდა და არაზიას მოახტა მყისვე.



ეს მოხდა გასულ შაბათს. არზაყანს შინაც არა გაუმხელია რა. მეორე დღეს მაინც მთელმა ოქუშმა გაიგო ეს ამბავი.

კაც ზემამბიას მოეწონა იდუმალ, რომ მისმა ვაჟმა ასეთი უბადლო გმირობა გამოიჩინა, მაინც ამრეზილი იყო შვილზე. ამრეზილი იყო, რადგან იცოდა: არზაყანი პირველი შევიდოდა კოლექტივში.

და მერმე? მერმე სახლკარის და მამულის გაყოფის საკითხიც წამოჰყოფდა თავს. და მერმე „ზღვასავით ოჯახი“ დაენგრეოდა კაც ზემამბიას.

არზაყან დიდხანს ამზადებდა ნიადაგს. ურჩევდა მამას: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.

თავდასხმის მეორე დღეს სადილობისას შელაპარაკდნენ მამაშვილი. თავის სიცოცხლეში ეს პირველად სიტყვა შეუბრუნა არზაყანმა მამას. სიტყვა შემობრუნაო? აზვავდა მამა, მთელი ჭურჭელი გადმოყარა სუფრიდან. მერმე ფეხი ჰკრა ტაბაკს და წააქცია. ტაბაკის კიდე არზაყანს დაეცა ფეხზე, მაგრამ „აუც“ არ დაუძახნია, ისე მოიკვნიტა ტუჩი, ადგა და გარედ გავიდა გაბრაზებული. ამ დუმილმა უარესად გააცოფა კაც-უსაგნო ბრაზი ცოლს გადაანთხია. ხათუნას აროდეს შეუბრუნებია თავის ქმრისთვის სიტყვა. სახელის მისის ხსენებასაც ვერა ბედავდა.

„დაშვიდდი ბატონო“, ამბობდა ცრემლმორეული ხათუნა, ტაბაკიდან გადმოყრილ ჯამებს ალაგებდა ისევ ტაბაკზე.

„ორივენი გადით ჩემი სახლიდან, წადით კოლექტივის ძროხები მწყემსეთ, იცოდეთ ნემსსაც არ გაგატანთ“. ყვიროდა კაც ზემამბია და მუშტით აზანზარებდა ტაბაკს.

მერმე ის იყო მეორე დღეს დედას გაანდო არზაყანმა: ტფილისს მივდივარო სასწავლელად.

არც დედას მოსწონდა კოლექტივში შესვლა, მაგრამ მაინც არზაყანის მხარეზე იყო დედა.

შენ გადაურჩი სოფელს და ყველაფერი მეწყერს წაუღიაო, სახლიცა და კარიც, მიწაცა და მამულიც. ოღონდ შენი თავი შემარჩინოსო ილორის წმ. გიორგიმ, კამეჩები, ძროხები და ხარები თუნდაც მამალ მგელს შეუქამიაო.

და იმ ღამეს არზაყან ხედავდა: ფეხაკრფით ადგა ლოგინიდან დედა, ხატის წინ დაჩოქილი სტიროდა.

„ყოვლად შემძლეო წმინდაო გიორგი, შენ დაიფარე ჩემი არზაყან ტყვიისაგან, ავი ენისაგან, ბოროტი თვალისა და ბოროტი თქმისაგან. შეიღი შეილი წამართო სიკვდილმა წმინდაო გიორგი, ნუ წმინდანსავე: ჭფროს ვაჟს შენი სახელის და მადლის ქირიმე“.

მერმე დიდხანს ლიტანიობდა დედა, დგებოდა, პირჯვარს იწერდა, მიწამდის მიჰქონდა შუბლი და ისევ ვევედრებოდა მღელარე ცრემლებით ღვთაებას.

„ყოვლად წმინდაო დედაო, ღვთის მშობელო მარიამ, შენ თვითონ დედა ხარ და იცი, თუ რა მწარეა შეილის დაკარგვა ღვთისმშობელო მარიამ, ჩემი არზაყან ჯერ ბავშვია, მიუტევე თუ რამე გაწყენიოს, ყოველივე შეუნდე ჩემს არზაყანს ღვთისმშობელო მარიამ“.



კაც ზვამბაიას ერთი მხრით გაეხარდა კიდევაც როცა გაიგო არზაყან ტფილისს აპირებსო წასვლას. გულის სიღრმეში წყენა რიალებდა: ალბად დაშინდა ვაეკაცო და იმითომ გადასწყვიტაო ტფილისს წასვლა.

არზაყანს ასე უნდაო, ეუბნება ხათუნა ქმარს, ეშბას ცხენი ინათხოვროსო და მარჭაფად წაიყვანოსო ზუგდიდს. ამხანაგი ვინმე უტდისო და იქიდან ერთად წაველენო ცხენით სენაკამდის.

მაჩაგვა ეშბა ცხენს როგორ დამიკაეებს, მაგრამ მარჭაფად რად მიყავს, ქელეში წაიყვანოსო ღრინაედა მოხუცი.

არზაყან რატომღაც გაჯიქდა. ქელეშის წაყვანა არ ინდომა. კაც ზვამბაია ნებას დაჰყვა.

ოღონდ ამ კოლექტივის დროს წაშავდესო აქედან და ეშბას ცხენი ზურგზე შეისევასო თუნდაც. ფიჭრობდა თავის გულში კაც.

დედას საწინააღმდეგო რა ექნებოდა მარჭაფად წაყვანა ეშბას ცხენი არზაყანს. ხათუნას არ მოსწონდა მხოლოდ: ორშაბათ დღეს რომ მიდიოდა არზაყან სამგზავროდ.

წინა დღით არზაყანზე ადრე წამომდგარიყო დედა. შუაღამით იჯდა, აკვაკვარს უცხოობდა არზაყანს საგზლად.

„შენ შემოგველოს ჩემი სიცოცხლე ნან, ცუდი სიზმრები მქონდა წუხელ, გუშინდამ და გუშინდამის წინა დამესაც, ნან, ორშაბათ დღეს ნუ წახვალ ზუგდიდში ნან, ქვეყანა არეულია და მთელი სოფელი მტრად მოგეკიდა ნან, შენ შემოგველოს შენი ხათუნა ნან, ცუდი სიზმრები მქონდა წუხელ, გუშინდამ და გუშინდამის წინაღამეს ნან“.

კენესოდა დედა და მასრებსავით წერილი მკლავებით ზელაედა აკვაკვარის ცოშს.

არზაყანს გული უკედებოდა ასეთ მცირე სურვილსაც რომ ვერ უსრულებდა დედას, რაკი თამარისთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული 15 აგვისტოს მოვიყვანო ცხენს. თავათაც კერის პირად იჯდა, მათრახის ენას აკე-

რებდა სადგისით. უცნაურად ღმეჭვავდა სახეს სადგისის გაყრისას, გატრუნული ყურს უგდებდა დედის ჩივილს.

„რა უშავს რომ ხვალ ორშაბათია ნან, სადღაა ახლა ორშაბათი, ჩვენ ბოლშევიკებმა ორშაბათიც მოვსპეთ, შაბათიცა და კვირაც. ჩვენ ყოველი დღე და ყოველი კაცი გავეთანასწორეთ ნან“.

„თქვენ ორშაბათიც მოსპეთ ნან, შაბათიცა და კვირაც, მაგრამ ჩვენ ცუდად მინიშნებული გვაქვს ორშაბათი ნან, დარჩი ზეგამდის შენ შემოგველოს შენი ხათუნა ნან“.

ემუღარებოდა დედა, ნაოკები საოცრად ეკეცებოდა სახეზე. ორიოდ მოღუული კბილი შერჩენოდა ზემო ყბაზე ხათუნას, არზაყან გულარეული შესცქეროდა დედას, ასე ეგონა შემომტირისო თავით სიბერე. ამის შემდეგ ერიდებოდა დედასთან განმარტობას.

ორშაბათიც გათენდა, 14 აგვისტო.

იჯდა მდინარის პირად და შესცქეროდა მოლიკლიკე წყალს. თვალი უშტერდებოდა ფიჭვებში წასულს. უამრავი ლიფსიტები დარიალობდნენ მის წინაშე მორევში, წყლის ზედაპირზე მოციგლიგე მუმლს ეთამაშებოდნენ. ესმოდა არზაყანს უმცირესი ტლაშუნიც ზედაპირზე ამომხტარ თევზისაგან და შემდეგ თვალს ადევნებდა არზაყან თუ როგორ გარბოდნენ ნაპირისაკენ პაწია რგოლები რიალით. მზე უკვე ამოსულიყო, მაგრამ იფნების ხშირი ფურცლობის წყალობით ძლივს და აღწევდა მდინარემდის სხივი. აქა იქ ეტყობოდა ტბორეს სხივების ხასხასა ტალები და სწორედ ამ ტალებს ქვეშ თავს იყრიდნენ წერილობანი თევზები. უჩინარ სიხარულს ჰგვრიდა არზაყანს თუ როგორის უხმო ზეიმით ეგებებოდნენ მზეს, წყლის ქვეშ ბინადარი მილლიონები.

ჯამიდან ჯამზე ამ ლიფსიტების ლეგიონებს, რომელიმე მოზრდილი წვერა გამოუვლიდა. ქედმაღლურად და სერიოზულად დასცურავდნენ ისინი ლიფსიტებს შორის და ცახცახებდნენ მათ წინაშე ლიფსიტები... და ბუნებაში განცხადებულმა ამბავმა დააფიქრა არზაყან ისევ.

ახლა კიბოების დარანებისკენ ისედება არზაყან და თავისი ბავშვობა აგონდება და ასე ჰგონია ეს გუშინ თევზაობდა არზაყან ზეამბაია ამ ნაპირებთან, ხელს უყოფდა კიბოების მრუმე დარანებს.

იმავე წუთში ფეხშიშველა ძაბული დაუდგა თვალწინ. ე, მანდ რიყზე ფერად კენჭებს ეძებდნენ არზაყან და ძაბული და ბეჩოებში ხელს უყოფდნენ, კუნჭულა ბადით თევზაობდნენ. ე, იმ რიყესთან, იმ ძოხუც იფნის ქვეშ იმალებოდნენ შუადღეს, „ცოლქმრობიას“ თამაშობდნენ არზაყან და ძაბული. ძაბულიმ თამარი მოაგონა და ფეხზე წამოდგა მყისვე.

მზე თავზე წამოსდგომოდა გადაღმელ ალკებს. რიყზე გარეულმა ისევბმა გადაიქროლეს. მახლობელ კაობებიდან თეთრი ყანჩა წამოდგა და ნაწისქვილარისაკენ გაეშურა ყიავყიავით.

მესკია ჩიტები მოუსვენრად როკავდნენ რიყზე და ბელურები იფნარში ფუსფუსობდნენ სწორედ მის თავზე. ერთბაშად გულის წამლები წრი-

პინი მოისმა, იფნის კენწეროდან ქშულით დაეშვა ორი ბელურა რიყზე. ჯერ იყო და ერთად მოფრინავდნენ ჰაერში, ისე მჭიდროდ ეკვროდნენ ერთერთს, თითქოს ვილაკას გადაუბამსო ძაფით; როცა ქუჩა დასრულდა, ახლოვდნენ, დედალი ხელიდან გაუსხლტა მამალს, ზედმეტად დაასკდა თეთრ ქვეს. მამალმა უცნაური მალაყა გააკეთა ჰაერში და ელვის უსწრაფესად ზედ დააცხრა, დაპკორტნა თეთრ ქვეზე დამჯდარი დედალი. ისევე მოისმა წრიპინი, გამარჯვებული მამალი მოეშვა დაქოჩრილ დედალს.

ახლა სულ ახლოს ხედავდა არზაყან თუ როგორ ჩამოვიდა დედალი თეთრ ქვიდან, გაისწორა გაბურძგვნილი ფრთები, დარეტიანებული მივიდა წყალთან და მოსეა. ბურტყელი გაუცვივდა მხრიდან და ისიც დაინახა არზაყანმა, თუ როგორ წაიღო ბედურის ბურტყელი იმ წუთშივე წყალმა.

ლიმი მოაგვარა ამ ამბავმა არზაყანს. ბუნებას საქციელი დაუწუნა თავის გუნებაში. რად გააჩინაო დედალი ასე უმწეო ბუნებამ? რად წაართვაო მას ძალა მამლის ჭირვეულობის მოსაგერიებელი?

„რა უყოთ რომ ბუნების წესია, ჩვენი ვალია გააუსწოროთ ბუნებას“. ეს გაიფიქრა არზაყანმა და ვილაკამ ხელი შემოაქლო კისერზე. გაიხედა: დედა მოსდგომოდა გვერდს.

საუზმე მზად არისო ნან.

დედა ემუდარებოდა უკანასკნელ დღეს მამასთან ესაუზმნა არზაყანს. გეკოდებოდესო მოხუცი მამაც. იმ თავდასხმის შემდეგ თავის ტარზე ველარ არისო მამა, ღამე ძილი აღარა აქესო ბრაზისაგან. გემდურის, მაგრამ მაინც შენსკენ უჭირავსო თვალი. ჩემს ბიჭს ბეწვი რომ გავარდესო, ზვიჩიებს და გვიჩიებს, მალაზნაიებს და ტარბებს სულ ერთ დღეში გადაწვევო.

კაც ზვამბაია ველარ მალაედა სიხარულს.

ტფილისი საერთოდ ძლიერ სძაგდა კაცს.

გაზეთები და წიგნები იქიდან მოდისო, სოციალისტები, აჯანყება და ტიფი იქ იწყებო — პირველად.

ტფილისში არიანო უღმერთოები და „ნაკატორღალი ხალხი“, სოციალისტები და „ქვეყნის დამჭკველები“. ყველა, „ვინც ძველი დროის მუდროება დაარღვია, ვინც ქალს სადავე დაუგრძელა და ვინაც ოჯახის ფუძე შეარყია სამუდამამოდ“.

ასე სძაგდა ტფილისი კაც ზვამბაიას, მაგრამ ახლა უხაროდა ტფილისს რომ მიდიოდა არზაყან.

საუზმეზე ორიოდე ჭიქა არაყი ძალით დაალევიანა კაც ზვამბაიამ არზაყანს. არზაყან ჩუმად სჰამდა აკვაკვარს, დედას შესცქეროდა თვალებში. ხანაც პატარეებს აკვაკვარს მიაწვდიდა, ხანაც ალურსიან სიტყვას.

ნასაუზმევეს ადგა უხმოდ გავიდა ეზოში. დარეტიანებულსავით დადიოდა არზაყან. ვერ გაეგო: არყისაგან, თუ მწუხარებისაგან? ისეთი

გრძნობა ჰქონდა, თითქოს შორი, ძლიერ შორი ვზა დებოდა წინ თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა ამ მშვენიერ მავნოლიის ხეს, ხახლის წინ მდგარს, ამ ფარფაშა ვერხეს, ამ მუხებს, ამ ქადრებს, ამ ცაცხეებს, ამ კაკაოს, ალუჩას, და ვაშლის ხეს, იმ ქოჩორ გაბურღილ ლეღვისა ხეებს, თავის ბავშვობის პირუთენელ მოწმებს.

თარაშ ემზეარ გაახსენდა ამ ლეღვის ხეების შეხედვისას. ისევ თამარი დაუდგა თვალწინ და გონების თვალი ძაბულის მისწვდა. თამარი ტფლისში წამოვიდოდა მასთან, ტფლისში ყოველივე გადასწყდებოდა მისი ფიქრით და შემდეგ ამისა, ისევ შეეგუებოდა მისი გული თარაშ ემზეარს. ან რა ბრალი აქვს კაცმა რომ სთქვას თარაშ ემზეარს? მას არასოდეს ცუდო სიტყვა არ უკადრებია არზაყანისათვის, მუდამ ფაქიზად ექცეოდა თავის გამზრდელის შვილს.

ახლა სათიბეზე მოფენილი ხარკამეჩი მოვარდა არზაყანის თვალში. ვინ იცის ეგებ მამაც ისე გადაიროოს, სხვა ბობოლღებსავეთ ყელი გამოსჭრას ამ მშვენიერ გამზრდელ ცხოველებს? არზაყანის ხელში გამოვლილი აქვთ მოზერობა, წაბლას, ლომას, და ლეინიეს. და ის შავდრუნჩიანი მოზვერი ქვიშორა, მთლად არზაყანის ხელითაა გაზრდილი. და სადღაც გულის უადრესს კუნჭულში მან შეამჩნია მესაკუთრის სიყვარული საჭინელისადმი.

არა, ინუგეშებს არზაყან თავს, ეს მესაკუთრის სიყვარული როდია, ეს ცხოველისადმი სიყვარულია და არზაყანს მუდამ უყვარდა ცხოველები. დღეს ოქტმიდან მიდის არზაყან და ჯვარი სწერია ამ ხარკამეჩს, იმ ცაცხეებს, იმ კაკლებს, იმ ლეღვებს ამ ეზოს და არაბია? არაბია უკვე სვეტის კაჩხაზე მიუბამს მამას და სამურველით სწმენდს კიდევაც.

ეს კი არასდროს უნახავს არზაყანს მამა რომ უკაშმავდეს თავის ვაჟს ცხენს.

ყოველივე ესმოდა არზაყანს, მაგრამ ის ვერ წარმოედგინა, თუ როგორ გაეყრებოდა იგი თავის არაბიას. და ეს ფიქრი პირდაპირ ფიზიკურ ტკივილს ჰგვრიდა მას. ეს არ იყო ცარიელი წარმოდგენა, არამედ რაღაც საოცარი და ხელშესახები ფიზიკური ტკივილი.

წამსვე ინუგეშა თავი. ხომ შესაძლო იყო ინსტიტუტში ვერ მოწყობილიყო არზაყან, მაშინ უცილოდ დასჭირდებოდა მას ცხენი.

არაფინ და არაფერი ისე არ ტყენდა მას გულს, როგორც დედისა და არაბიას დატოვება ტირანი მამის ხელში.



ეზოდან შუკაში გასულს ეს აეკვიატა არზაყანს: თავს იკავებდა დედა, მაგრამ ნიკაპთან ესკენებოდა კრემლები და ისევ წარმოუდგა არზაყანს ორი მოლეული კბილი და ასე ეგონა თვით სიბერე შემომტირისო.



არაბია გზადაგზა ოჩნობდა. იგი მეფური ბუნების ცხენი ჩვეუ-  
ლი არ იყო სხვა ცხენთან ჯუფთად სიარულს. წესი ჰქონდა არაბის ასე-  
თი: ყოველი ცხენისთვის შორს უნდა გაესწრო უთუოდ. ეშბას ცხენიც  
გაჭირვებულდა. წარამარა საკბენად მიიწვედა არაბიასაკენ. არზაყან გაა-  
გულისეს ცხენებმა, სასტიკად დატუქსა არაბია და ეშბას ცხენსაც უჭირა  
მათრახი.

ახედა ცას. მზის სასწორი დასავლეთისაკენ გადახრილიყო. აუჩქარა  
ცხენებს ნაბიჯიდან მგლურზე გადაიყვანა.

ფიქრს მიეცა ისევ არაზაყან. ხვალ დილით თამარს უნდა შეხედეს იგი.  
ეს უნდა ჯერ წარმოიდგინოს როგორ შემოგვებება თამარი. და ეს ისეთ  
დიდ ბედნიერებად მიაჩნია, არც კი სჯერა, რომ ეს შესაძლებელია. სულ  
მკრთალად, მკრთალად წარმოუდგა თვალწინ თამარი. აღნაგობა, მიხერა  
მოსვრა და საქციელი. მაგრამ სახის გამომეტყველება ვერ აღადგინა.

მერმე იმასაც ხედავს თუ როგორ წავლიან ისინი ზუგდიდიდან ცხე-  
ნით. ილორში მგზავრობა მოაგონდა, არლანის ქორწილი. ამ ამბებმა ის  
მომენტი გაახსენა, როცა ილორის ჯვარმოხსნილ გუმბათს შეხედა თამარ-  
მა და თავისივე ჯვარის დაკარგვა შეიცნო. თავათაც მოაგონდა არზაყანს  
თამარის ჯვარი და ფრენის ჯიბეზე გაივლო ხელი. ჯვარი არ დავი-  
წყებია არზაყანს. უეჭველია, ტფილისში ჩასვლის უმაღლე დაუბრუნებს  
იგი თამარს თავის ჯვარს. ტფილისში სულ სხვა სიო ჰქრის, თამარი იქ  
თმასაც შეიკრეპს და ამ ჯვარს მუხელმს მიჰყიდის ან აჩუქებს.

ისევ გაჭირვებულდა ეშბას ცხენი, არაბიამ განზე გაიწია და ლამის  
არ იყო თან გადაიყოლა მხედარი. ისევ დატუქსა არზაყანმა ცხენები და  
შეწყვეტილ ფიქრს გადაანასკვა სხვა ფიქრი.

...და ტფილისი წარმოდგენილი აქვს არზაყანს როგორც განათლებისა  
და რევოლუციის ვეება კოცონი. ხვალის ზეგ ტფილისში იქნებიან თამა-  
რი და არზაყან და უკვე მოესმის მის წარმოდგენას ტფილისის ქარხნების  
ზუილი, აეტოების ზუზუნი, ბღავილი და ტრამვაების ნერვიული რეკვა...

ლამე წამოეწია მგზავრს. გაშავდნენ მთების მწვერვალები. ნისლებმა  
შებურვეს სათანჯოს ციხე, ბინდი დაეშვა ენგურის ქალებზე და დაბნელ-  
დნენ გარშემო გზები.

ხდუმდნენ გზის პირა ტყეები, მხოლოდ შორეული ურმების კრიალი.  
ისმოდა. მაგრად ეჭირა არზაყანს სადავეები და მწყობრად მიჰყავდა ორი-  
ვე ცხენი. ორიოდვე კილომეტრი აკლდა ენგურამდის არზაყანს...

...და სწორედ ამ წუთში ორი ლანდი იჯდა ენგურის განაშტოებეს  
ზოგირის ყურეში. ტანმორჩილი ლანდი უჭედო იყო, ხოლო მეორეს ზორ-  
ბას, თეთრი ჩაბალახი გადაევლო მხრებზე. ჩაბალახიანი მოუსვენრად

წრიალებდა... დგებოდა, ჯდებოდა და ისევ დგებოდა... ხელს არდილა-  
და დასაველეთისაკენ გასცქეროდა გზას

„ჯოტო ბიჭო, ნამდვილად იცი, რომ დღეს გამოვედრე არზაყან ოქუ-  
მიდან?“

„ნამდვილად დედის სულს გეფიცები ძია გვანჯ, ჩემი და მივეგზავნე  
დღეს ნასადილევს, ცხენს უწმენდავდა კაც ზვამბაია სამურველით“.

„ჩვენ სულ დაგვაფიწყდა ბიძი, დღეს რომ ორშაბათი დღეა, რა შე-  
ლია ის სულკატიანი კაც, ორშაბათს სამგზავროდ გაუშვებდა არზაყანს?“

ორივენი სდუმდნენ მცირე ხანს. ჯოტომ ანკესის ტარი გამართა და  
ორივეს ესმოდა თუ როგორ ჩადიოდა წურწურით ძირს ანკესიდან გადმო-  
ეონილი წყალი. შორიდან მოჰქონდა ქარს შემოლამებულ ურმების  
ჭრიალი.

„ჯოტო ბიჭო, რა ღმერთი გაუწყრა იმ ცვედან ლომკაცია ტარბას?  
შვიდმა ძმამ რომ ვერ ჩააძაღლეს ი გველის წიწილი?“

„ლომკაცია მუცელშიაო დაჭრილი, ჩემი და მიაშობდა ამ დილით“

„ჯოტო ბიჭო, ტყვიები ხომ არ შემოელიათ მაგ კვდარძაღლებს?“

„ტყვიები თავსაყრელი ჰქონდაო. ოცდახუთი მე მივეცი წინა დღეს-  
მაგრამ ის გველის წიწილი მანქანაში შემძვრალა ძია გვანჯ“.

„მანქანა სად იყო იმ სატიალოში?“

„ოქუმის გზატკეცილს ტკეპნიან აკი“.

„აი გაუწყრა ილორის მადლი, — ი წყეულები მუდამ ტკეპნიან რა-  
ლაცას“ — ოხრავდა გვანჯ აფაქიძე, დასაველეთისაკენ გასცქეროდა გზას და  
მარჯვენა ხელს მარცხენაზე უქერდა და სახსრებს ატკაცუნებდა მოუთ-  
მენლად.

გვანჯ აფაქიძე დაცუქდა. მუხლის თავებზე იდაყვები დააყრდნო,  
თავზე მოიჭირა ორივე ხელი.

„დაგვათრო იმ ოჯახქორმა ლადარიამ“...

და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა: „დღეს თუ გაგვეტვა ი ღრანკ-  
მოქცეულის შვილი, მერმე მშვიდობით... არაბიაც მას შერჩება და შერვა-  
შიძის ქალიც. ასე ამზობენ ბიჭო ჯოტო, ტფილისში გაუწვევიაო ცეკას.  
ჩვენი რაიონის მდივანად ნიშნავენო. თუ ეს მოხდა, მე და შენ უნდა გა-  
მოვეთხოვოთ ოქუმს. ჩემი ნათლულიც წაჰყვება უთუოდ.“

„მერმე რას ვაპირებთ, ძია გვანჯ, რევოლვერითა და სატევრებით  
რას გავხდებით? ქარივით ცხენზე ზის ის წყეული, თოფები გვეშოვნა,  
სჯობდა“.

„თოფები რათ გვინდოდა ბიჭო, მილეთის ხალხი, ურემი და ავტომო-  
ბილი დადის ამ გზაზე. მე არც რევოლვერი მაქვს ბიძი. ჩვენ მშვიდო-  
ბიანი მეთევზეები ვართ, ვზივართ ზიდის ყურში და ვანკესობთ. საქმე  
იარაღში არაა, სატევარი ხელთ არ გვქონდა არლანის ქორწილში, მერმე  
რა გამოვიდა ბიძი?“

ზეწამოიჭრა ჯოტო გვისალიას ბიჭი.



„მაგ ღორჯოების საჭერად ხომ არ წამომიყვანე ძია გვანჯ? მანქანის ჩემ დღეში არ მჭერია ხელში“.

„ღორჯოს ნუ ეხუმრები ბიძი, ღორჯო ღორჯოა და გვანჯა გვანჯაა. ვიცი ვახდება და შეგქამს. ღმერთმა ჭნას და აქ გამოიაროს. ღმერთმა მინდა მაგ გველის წიწილთან. შე ტარბა ხომ არ გვინივარ? მაგისთანა ზღმურტლიანები ცერის ფრჩხილით მომიგულდავს ლაფაროში. შენ მანდ აჯექი და მაგ ანკესს უყურე, ბიძი“.

ესა სოქვა გვანჯ აფაქიძემ თავისი თეთრი ჩაბალახი თავზე გადაიკო და გვესალის ბიჭს მიუჯდა. და მცირე ხნის შემდეგ ეუბნება:

„შენ თვალი უკეთ გიჭრის, ერთი გახედე შენ გაზრდას“.

ჯოტო წამოდგა და ისევ დაემხო მიწაზე და ანკესის ტარს წაავლო ხელი.

„სუუ...“ ეს წარმოსთქვა მხოლოდ.

„ერთი მარტაფა ცხენია და მეორეზე თავათ ზის არა?“

„ერთი მარტაფა ცხენია და მეორეზე თავათ ზის“. გაიმეორა ჯოტომ. სატევიარზე გაივლო ხელი და თანაც ცნობისმოყვარეობა ახრჩობს თუ რას მოამოქმედებს ეხლა გვანჯ აფაქიძე? მას ბევრი რამ ჰქონდა განაგონი აფაქიძის აბრაგობისა და ავკაცობის გამო, მაგრამ ეს ველარ გაეგო: რით უპირებდა გამკლავებას უიარალო ბერიკაცი რაშივით ცხენზე მჯდარ მუწერიან არზაყანს? ბოლოს არც არზაყანს იცნობდნენ ოქუმის მხარეში როგორც ლაჩარს.

ამისობაში გაისმა ცხენების ფლოქვეების რახრაბი ბოგირზე. და როცა არზაყან შეანკესეებს გაუსწორდა, გვანჯ აფაქიძე წამოიჭრა, უეცრად და ხიდის სვეტს აფარებულმა თეთრი ჩაბალახი მოიხსნა კისრიდან, საშინელის სისწრაფით დაატრიალა გარშემო. ჯერ იყო და არზაყანს რომელიღაც თეთრი ფრინველი ეგონა ხიდის ყურში წამოვარდნილი, ისე საოცრად რიალებდა თეთრი ჩაბალახი. მაგრამ ამ ამბისთვის თავის ვართმევა ვერ მოასწრო, საშინელის სისწრაფით მოსწყდა არაბია ბოგირს, ეშმას ცხენი განზე გავარდა და არზაყან თან გადაჰყვა მარტაფას აღვირს.

კოტა ხანს ათრია უზანგზე ცალი ფეხით დაკიდული მხედარი არაბიამ და მერმე მიწაზე დაანარცხა არზაყან.

უეცარმა ყვირილმა შეაკრთო მდუმარე ღამე და მერმე ისევ სიჩუმე გაიშლათა თემშარაზე. ლანდები ძირს ჩაჰყენენ ფლატეს, ჩირგვნარებში გაშინარდნენ და პირდაპირ შევიდნენ ტყეში.

მებორნეს უნახავს იმ ღამეს ვიღაც თეთრ ჩაბალახიანი მალალი კაცი და ერთი ტანმორჩილი, მთელი ღამე დასდევდა ორ უნაგირიან ცხენს.

უთენია არაბია და ეშმას ცხენი ოქუმში მივარდნენ და მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ამ ამბავმა.

ხოლო აგვისტოს 16-ს, ნაშუაღამევს არზაყან ზეამზაია ნაბადში გახვეული შინ მიიყვანეს მეურმეებმა.

ერკონულნი  
გინგლირთხა

ხელისუფლება ჩაერია საქმეში, რამოდენიმე ტარბა შეიპყრეს ეჭვით. ვვალეების რკალი მოთაედა და რამოდენიმე დღეს დაუცხრომლად სწვიმდა ოქტომში.

## XXVII. ვახაკას თვალეზი

„ზენარო, ზაფხულის დღეები აღკვეცამ, დააღნე ჩრდილები მზის საათებზე, მინდვრების ფერადი ხალიჩა აკეცე გაფანტე გოგები ზურმუხტის მთებზე, „დამწიფდი“ უბრძანე თათლუხის თაეელებს, გრიგალმა ფოთლები ზეეებში დაზენოს, მოხზადე სმარადი ღრუბლების კრეეელებს, შედედღეს მტეენებში მზიანი ღვინოც“.

აგვისტოს 17-ს თარაშ ემზეარ ტფილისს აპირებდა წასვლას. წინადლით დიღადანვე გუნება გაუფუტდა; დედის წერილი ჩამოუტანა ვილაც აფხაზმა.

ღული ს. ზმრები მაქვსო, იწერებოდა დედა, ცირუნია აეადა მყავსო, არზაყან ცხენიდან ჩამოვარდაო და ფეხი დაიშავაო არზაყანმა. პაპისეული დიდი ცაცხვი მომიქრესო. სახლი გადაუხურაეი დარჩაო, სოფელში პატირაეებლადაც ვერ იშოვნო კაცს, ახალგაზრდობა გზის საშენებლად გაიყვანესო, მოხუცები აღრენილნი არიანო და საკუთარ სახლებსაც არ უპირებენო გადახურვას, მალე წვიმები მოვაო. მე და ცირუნიაო ორიოდ ქეეეა მიწა მოვაცოდვილეთო, სიმიდი სატეხი არისო, მალე წვიმები მოვაო, მე ქარები გამიჩნდაო, ცირუნიას წელკავი შეეყარაო, სიმიდის ტეხეა დაიწყო, მალე წვიმები მოვაო...

მერმე ისევე სიზმრების ამბავს სწერდა დედა, ათას მოკითხვას მეზობლისაგან დანაბარებს, ისევე მომავალი წვიმების და ისევე მეზობლებისაგან შემოთელილ პირთაკოცნის ამბავს და ისევე მოკითხვას.

ხელზე შეატყო თარაშმა: ნერეები აშლოდა მოხუცს, ისიც ვერ მოეწონა: აზრხ ვერ ალაგებდა რიგზე, მრავალგზის იმეორებდა მკრთხელ შემოთელილს.

აღლეეებულმა ხელმეორედ გადაიკითხა წერილი. დაკეცა, ჯიბეში ჩაიდვა, ისევე ამოიღო, ისევე გადაეელო თვალი.

ჯერ იყო და დაუყოვნებლივ ოქტომს წასვლა განიზრახა, მაგრამ შრომა „კოლხეთის ფეტიშიზმისათვის“ უნივერსიტეტში ჰქონდა წარდგენილი. თვის დამლევეს პასუხი უნდა მიეღო. თუ „პო“ იქნებოდა, მაშინ დედაც უნდა გადაეყვანა ტფილისს.

სალამოს უამს ღია ფანჯარასთან იდგა.

კოშკის ქონგურებს მოთალხო ბინდი ეფინებოდა. მსუბუქ ზურტსში სთელემდა ხილნარი, ორიოდე ჭრიქინა ხმიანობდა ნიგეზნის ნიგეზში. კანტი კუნტად ისმოდა თუ როგორ ეცემოდა ვაშლი, ხანაცაწუნგის შექმნა-ლი კაკალი.

კიანთებდა წითელი იავუნდების დარად ყურძენი, ხურმის ხეებზე მი-შვებულ ვენახის ლერწებზე.

„მიცვალეულთა მზე“ ნელნელა იხევედა სათანჯოს ციხისკენ. ელამუ-ნებოდა აკაციების წვეროკნებს ჩალისფერი, გვიანი სხივი. ადრე დაეწყოთ აკაციებს საშემოდგომო რეკვიემ და სცივიოდა ქოჩორწვევრცხილ სი-შიდებზე შოოჭროვილი ფოთლები. ბელურები დათარეშობდენ აკაციებში ოჭროს ფლურებს იბერტყავდენენ ფრთებიდან.

ყვავის ბუდესავით მოსჩანდა ბებრეკ მსხლის ხეზე კვრინხივით მო-სხმული ფითრი, ხოლო სულ მალა მის წვეროკინაზე კიდევ ცეკვავდენენ კოლოები სალამოს ხორუმს.

შემოდგომის სიმშვილდე ეფინებოდა ხილნარს, აკაციებს და სიმიდის ყანას, უსაზღვრო სასოება უფსკერო ლაყვარდის შემყურე მყარს, მხო-ლოდ მოუსვენარი კოლოები, ექსტაზში შესულნი როკვით ეგებებოდნენ ღამეს.

არსაიდან ისმოდა ჩქამი და ეს დიდი მყუდროება სიმშვიდით ავსებდა ჭერტით გართულ თარაშ ემზვარს.

კაკუნმა შეაკრო.

„Entrez!“

წამოცდა თარაშას.

კართან მოვიდა. შალიანი ქალი იდგა. დაშა შეიცნო.

უკონვერტო ბარათი...

თამარი და კაროლინა ფელამუშზე ეპატიეებოდნენ. ბარათის მინა-წერში უსიამო ამბავს ამცნობდნენ. გუშინ ლუკაია ხეზე აფგზავნეთო ყურძნის მოსაკრეფად. აგმა ზნემ მოუარაო და ჩამოვარდაო.

ნეკნი დამსხვრევია ლუკაიას.

უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ თარაშს გადაწყვეტილი ჰქონდა ნა-ხუტარისას აღარ წასულიყო. მით უმეტეს, შარდინ აღშიბაიამ ენა მოუ-ტანა: მღვდელი ამრეზილიაო შენზე. ერთი კვირის წინად კაროლინას შე-ეხება დაბაში. ჭიშკრამდის მიაცილა. კაროლინას თხოვნას ყური არ ათხოვა, შინ არ შეჰყოლია.

სხვაგან წასასვლელი ვარო, თუ ადრე განვთავისუფლდი, გამოვივლიო ეს დაბარა დაშას.

ქუდი და ჯოხი აიღო, კიბემდის მივიდა, ისევ გამობრუნდა.

ქუდი მოიხადა, შავ მაგიდაზე დასდო.

თავათ საეარძელში ჩაჯდა.

ზის და შეყურებს თავის შავსა და ნესვისებრ ქუდს ხატევარზე მდებარეს.

ქართული სატევარი და ფრანგული მელონი! <sup>ერკონული</sup> <sup>გინგლიქუსი</sup>  
ორი შეურიგებელი ცივილიზაციის პროდუქტია უთუოდ. ფიქრობს თარაშ ემხვარ, თანაც ისე შესცქერის ორივეს, თითქოს პირველადა ხედავს მათ.

ერთი უღარესად პრაქტიკული გენიის ნაყოფია, მეორე რომანტიულია. ფრანგული მელონ ნახევარ ჰემისფეროსა ჰგავს მიწისას, ქართული სატევარი კონცენტრიული სიბასრეა თავათ.

ეპრა უცნაური აზრები ამეკვიატა.

წავიდე, არ წავიდე?

ფიქრობს თარაშ ემხვარ.

წამოდგა. ისევ დაავლო ქუდს ხელი. საღამოს ცვარს დაეთრთვილა ბალახი.

მიდის ეზოში და ისევ შავი ქუდისა და სატევრის ანალოგია აწუხებს. და აგონდება იმ კაცის ბედი, ორი შეურიგებელი ცივილიზაციის შორის რომ ქანაობს.

ეზოში კრიკინების კრიახი გაისმის.

თუთის ხესთან შესდგა თარაში.

ხედავს: ვასაკა მოჩოჩავს ზის ტანზე. ცხვირსახოცი ამოიღო. ხელში აიყვანა — ზურმუხტის ფერი ვასაკა.

დატყვევებული ცხოველი თვალეზში შესცქერის თარაში:

აჰა, ეს შენა ხარ მთელი ღამე რომ კრიახობ მეგობარო?!

როგორი გონიერი, ადამიანური თვალეზი ჰქონია ვასაკას!

უქუთუთო თვალეზს აფახულებს ვასაკა. აკვირდება. ვინა ხარო? ეკითხება. მე კი არა, შენ ვინა ხარო? ამბობს თარაშ ემხვარ თავის გულში. გადააბრუნა ვასაკა. წინა თათები ადამიანს ხელეზს მიუგავს. მუცელი თეთრი ჰქონია და პირი... პირიე ბევრსა აქვს კაცთაგანსაც ასეთი ბლაგვი

პირის კუთხეში კია ვახირვია. სისხლი მოსდებია პირბაგეზე. ეს თეთრი მუცელი ჭითა და სისხლითაა ალბად გავსილი. (ვასაკაც კაცსავეთ სისხლით იკვებება თურმე)!

თათები... თათები ნამდვილი ხელეზია, ადამიანის ხელეზი. ამ ხელეზით დაცოცავს ვასაკა ხეებზე, დაცოცავს და უმღერის ღამეს თავის უსაშველო კრ... კრრრრრს...

ვინ იცის, ეგებ ადამიანის სული ჩასვლოდეს მას გვამში და ამ სახით მოსულიყოს იგი ამ ქვეყანად? . . . . .

. . . . .

ჭიშკრის კრიალი შემოესმა.  
მოხუცი დიასახლისი შემოდის ეზოში.

ოხვრით მოჩოჩჩავს ხვარანზე, ბალთებშემოხეულ ქოლგას ძლიერ მოათრევს.

აღმასკომში ყოფილა ხვარანზე.

შესდგა თარაშის წინაშე. ქოლგას დაეყრდნო, წელს გულმართისა შეათახვერ გადმოანთხია ბოლმა. სწყველის აღმასკომს, ფინინსპეტორს და რაიკომს. სჩივის: დუქნები ჩამომართევსო დაბაში, ქალაში წისქვილები არ შემარჩინესო, არც ღმერთი სწამთო ბოლშევიკებს, არც ნათელ-მირონი, არც ზიარება, არც ვეჭვილები და არც ნასყიდობა.

თხოვნა უნდა დამიწეროო. ეგეთ წისქვილები მაინც დამბრუნონო.

თარაშმა არა მიუგო რა. ცხვირსახოცი გახსნა.

და რას ხედავს ხვარანზე?

როგორის რუდუნებით ჩასვა ბალახებში თარაშ ემხვარმა ვასაკა! უცქერის ამ ამბავს ხვარანზე და საკუთარ თვალებს აღარ უჯერებს.

რა კარგი ყმაწვილი შესულილაო, ეს გაიფიქრა და კიდევ შეავლო თვალები ბალახებში მსტომარე ვასაკას. შერმე ქოლგას წაავლო ხელი და უსიტყვოდ მიაშურა სახლს.

ჰო, ემხვარებს გვარში აქვთ... ფიქრობს ხვარანზე, ერამხუტ ემხვარი მოიგონა და გასაღები ამოიღო ჯიბიდან.



შერვაშიძენათ ეზოში ფეხაკრეფით შევიდა თარაშ ემხვარ. თუთების ლანდებს ეფარებოდა, ერიდებოდა: ძაღლები არ გამონთებოდნენ. მაშინ მღვდელიც თავს გამოჰყოფდა ფანჯრიდან. ქანდრის გამხმარი ფოთლები ტარციანლებდნენ მიმავალის ფეხებს ქვეშ. ლუკაიას ხულაში დიდი ფაცაფუცი დაუხვდა ემხვარს.

ქალები ერიდებოდნენ კარდლების რაჩხუნს, კარის ქრიალს და ძაღლების მოგროვებას, ვინძლო ბაბუა ტარიელ არ მოსულიყო ხულაში. კაროლინა კერასთან იჯდა, საფელამუშო ბადავს ადუღებდა. დაშა იქვე დაცუტულიყო, ჰყინტი სიშინდებს სწვაედა მთელ სახეზე აღმოღებული.

თამარი ლუკაიას საწოლთან იდგა. ტილოს სწურავდა. კაროლინა საწოლთან მიუძღვა თარაშს. თამარს სახე აერია თარაშის დანახავზე, (ქალის სინათლეზე ეს არ შეუნიშნავს თარაშ ემხვარს) თარაშიც ააღელვა თამარის შეხვედრამ. (ეს იყო სისხლის საამური აჩქამება გულის არეში, სხვა არაფერი). სწრაფად შეავლო თვალი დალალ-ჩამოშლილ ლოყებს და იქვე მიბრუნდა, მაშინალურად შუბლზე ხელი დაადო ლუკაიას.

უშველებელ ბალიშზე იწვა ლუკაია, მთლად დაღუფული მოსჩანდა საწოლში.

ყველანი ისე მოელოდნენ თარაშის მოსვლას, თითქოს ცნობილი ექიმი ყოფილიყო იგი. თავათ ლუკაიაც მოუთმენლად ბორგავდა ვიდრე ხურვება დაეწყებოდა

თვალეები გაახილა ლუკაიამ, და თარაშ ემზვარს ეუცხოვა ლუკაიას ვგზომ უცნაური ამოხედვა.

და თვალეები, თვალეებიც ისეთი ჰქონდა ლუკაიას, როგორც ცივსა და სლიპ ვასაკას. და ამ თვალეებში იგივე ამოიკითხნა ბოროტებისა.

ვინა ხარო? . . . . .

დასჩერებოდა მდუმარე თარაში, თითქოს აროდეს ენახოსო ლუკაიას ისრმის ფერი თვალეები.

„როგორ ხარ ბეჩა ლუკაია?“

„მე დაებრუნდი, გუშინ ცეცხლი მომეკიდა... არ მომეკარო, ცეცხლი ანთია თოვლში. ხელი გასწიე... ყურძენი ძირს ჩამოვა... მე და დედა ღლორში მივდივართ ამელამ“.

„ილორშიო? ილორში რა გინდა ბეჩა ლუკაია?“

„ილორში როგორ რა მინდა? ილორში დავწეები... ისინი მოვლენ.“

ძველ სიმღერებს იტყვიან და გადამთელავენ... ჯოგები მოდიან... მტვერი სცივია“...

თარაში თამარს მიუბრუნდა:

„ხომ არ აცივებს“.

„სიცხე კი აქვს და რა ვიცი“.

კაროლინამ სიტყვა ჩააგდო:

„ხერიპის ასე ამბობს: ტვინის შერყევა უნდა ჰქონდესო, მაგრამ გაუფლისო, თუმცა სულ ერთია... ლუკაია ცუდად გაათავებს აღრე თუ გვიან“.

„რა სიმაღლიდან ჩამოვარდა?“ ჩურჩულით იკითხა თარაშმა.

„სამი მეტრიც არ იქნებოდა, მაგრამ ლუკაიას ტვინისთვის ესეც კმარა“. ამბობს კაროლინა და ბადაგში ჩოგანს ურევს.

ლუკაიამ ისევ გაახილა თვალი. თარაშ ემზვარს მიაშტერდა.

„შენ ვინა ხარ შურივე?“

თარაშმა პასუხი არ გასცა. მარცხენა ხელი გამოუღო საბნიდან.

ჩურჩხელასავით გამხმარი მაჯა ხელში აიღო. პულსს უსინჯავს. ლუკაია ისევ ბოდავს.

თარაშის მეტი არავინ უგდებდა ყურს ლუკაიას ბოდავს.

სჩანდა: შეჩვეოდნენ.

დაშამ მეგრული ტაბაკი ცეცხლის პირად დადვა. სიმინდის ნაქურჩა-ლით პირდანცული დოჭი ამშვეენებდა სუფრას, ჰყინტი სიმინდი, გოგრა... ნედლი ნიგოზი და ფელამუში...

კაროლინა ბოდიშობდა: დანა ჩანგალი რომ მოგვეტანა ბაბუა ტარიფ-ლი გაგვიგებდაო ოინებს.

კაროლინამ მკლავში ხელი წაავლო თარაშს, ლუკაიას მოაცილა.

ლუკაია ასე ბოდავსო დღე და ღამ. ტაბაკთან ჯერგვალაზე დასუა თარაში.

„დაშა ცეცხლი გააჩაღეო“. უბრძანეს დაშას. დაშა დაოთხდა... დიდხანს უბერავდა და მერმე კოპიტის ხეს მოედო ალი... ცეცხლი ავუზღუნდა და გაანათა ხულა.

ქარქინული

თარაშმა თვალი მოაველო გარემოს. ირგვლივ სიმიდნამ ტანსაცმის მარამილები დაეზენინათ. აბრეშუმით თეთრი ნაქურჩელა და ხაშარი ეყარა გოგრებსა და გოგრის ნაკუწებს შორის.

კედლებზე ჯიჭურასა და ქონდრის კონები ეკიდა, ველური ტახის ჯაგარსავით წამობურძენილი. ხელწისქვილის გელაზისოდენა აბედის სოკობი ელაგა თაროზე და იქვე მთელი კოლლექცია სოკოებისა: ბებრის სოკო, გულდაფშუტა, ქამა სოკო, გველის სოკო, მარქვალი, ტრედა, ნიყვა, რიგა, მეფის სოკო, სოკო კვერცხი, კრიანტელი, მჭადა სოკო, არყა, და მიქელა და ეს მიქელა ძლიერ წააგავდა თვით ლუკაიას.

„ფელამუში ჩემი გაკეთებულია, იცოდეთ“.

ამბობს კაროლინა და ფელამუშით საესე თევშს აწვდის თარაშს. „ლუკაიამ მოგვიკრიფა ყურძენი... მერმე რაკი ასეთი ხიფათი შეემთხვა, დაშას ფეხი დაეაბანინეთ მე და თამარმა და საწნახელში ჩავუშვიო“.

თამარმა დოქი აიღო, მაჭარი დაუსხა თარაშს.

„ეს უბრალო ღვინო არ გეგონოთ, პაპისეული ვენახისაა. ამილახორის ჯიშისა.“

მამა გვიამბობდა: ეს ემხვარების მოტანილიაო ოდიშში. ემხვარები ამილახვრები ყოფილანო. საცოდავმა ლუკაიამ ოქტმის მამულიდან მოპარეია ეს ერთი ძირი კაც ზეამბაიას...

იმ ხეზე არავის უშვებდა. ბევრი ვუჩინინეთ მე და კაროლინამ, მაინც არ დაიშალა და კინალამ გადაჰყვა“.

თარაშმა დასცალა. თამარმა კიდევ დაუსხა.

თარაშმა ისევ დალია.

იამა.

მოაგონდა: ამას წინად მთაში სანადიროდ წასულმა დაღელი აფხაზის ფაცხაში გაათია ღამე. ოჯახის ქალწული ფეხზე იდგა პურობის დროს და ღვინოს უსხამდა სტუმარს.

ცეცხლი მოედო კოპიტის მუგუზალს და აწრიპინდა.

წივოდა ხე და ცრემლის დარი ღუეი მოდიოდა კოპიტის ნაჭრის ბოლოდან.

კაროლინა ხარბად სკამდა ჭყინტი სიმიდს, თანაც იცინოდა.

„რა ვაცილებთ კეთილო ფრაუ?“

ეკითხება თარაში.

„რამდენი ხანია აფხაზეთში ეცხოვრობ ჯერაც სიმიდი არ მიჭამია“.

„რატომო მერმე?“

„ციების მეშინოდა“.

„განა ასე საშიშია ციება?“

„თქვენ ყველას შეუვალობა გაქვთ, ჩვენ უცხოელებს უფრო მეტად გვეკიდება ციება“.

„თქვენ ხუმრობთ და ციება ჩვენი ქვეყნის უდიდესი ცენტრული იყო“. მიუგო თარაშმა.

კაროლინამ გაიცინა.

„Sie sind em Schwarzscher Herr“...

„თარაშმა თაროებისკენ მიიხედა, სოკოებს შეავლო თვალი.

„რად უნდა ნეტავ ლუკაიას ამდენი სოკო... ნუ თუ ყველას სკამს?“

„ეს მეც მაკვირვებს, ამბობს კაროლინა, გერმანიაში მარტო თეთრ აოკოსა ვკამთ. ის გველის სოკო შხამიანია... ის წვრილმანი მოწითანო სოკოებიც... ეჰ, ლუკაიას ამბავს ვინ გაიგებს... იგი ზოგსა სკამს, ზოგსაც წამლად აკეთებს... მაგ და ზოსიმა გველებს ტყიდან გამოიხმობენ თურმე. მერმე უბით ატარებენ, შესაძლოა გველებსაც სკამდნენ... ასე ამბობენ და მე რა ვიცი“...

დაშასაც დააღვივინეს მაჭარი. კაროლინამ ჭყინტი სიმილი გაუწოდა თარაშს და ეს ჭკითხა:

„ერთი მითხარი პერ ემხვარი, რა და რა ჯიშის ვენახი ყოფილა ამ მხარეში კიდევ?“

„ძველ ოდიშში საუცხოვო კაქიჭი მოჰყავდათ, ტყბილი კაპისტონი, მომეყო კაბუნია მოზელის ღვინის ტიშისა, თეთრი აფხაზური ავარსახვა, ქვიტილური და ოჯალეში“.

„ერეხელი ვარ და მერეხელი“...

წვრილი, საწყალობელი ხმით მღეროდა ლუკაია. შესწყდა სიმღერა და ისევ ბოდვას მოჰყვა.

„ბიჭო ზოსიმა, გველს რად ვაუბე თავი?.. არ მოსწყვიტო, დაიკვირებს... ჯვარი აქა... ჯვარი აქა“...

თამარი ადგა. ტილო გამოუცვალა.

„ვინა ხარ?“ შეეკითხა თამარს. მერმე შეიციო, ხელზე წაებოტინა, თამარის ხელებს კოცნის.

„ამ ხელებმა უნდა მომაყაროს მე მიწა შურიგე“.

საქმელი თუ გინდაო რამე? ეკითხება თამარი. სახე მოჯღუნა, ხელი ჩაიქნია ლუკაიამ და კედლისკენ მიიდრიკა თავი.

ეს, უბედური ლუკაიას სადღეგრძელო იყოსო, ამბობდა თარაში. თასი გამოსცალა, ისევ გაავსო თამარმა და თარაშმა კაროლინას დაუდგა წინ. კაროლინამ მოსვა, თამარს გადაულოცა, თამარმა ბაგე დააკარა, დაშამ გამოსცალა დასასრულ.

„ასეა. ერთი მამაკაცი სამ ჭალს უდრის“.

იხუმრა თარაშმა.

„ის დრო წავიდა... ახლა ერთი ჭალი ერთ მამაკაცს უდრის, თუ მეტს არა“.

თარაშმა გაიცინა, არა მიუგო რა.



კაროლინამ შემწვარ ტაროს უკბინა, ისევე როგორც ოლიში/სივე-  
ვიათ ეს და თარაშს ეუბნება:

„თქვენ იცით პერ ემხვარ, თამარი ტფილისს რომ <sup>შინძვანს ხელს?</sup>“  
„რისთვის?“

მედიკურ ინსტიტუტში უნდა შევიდეს“.

„ეჰ, ქალს ინსტიტუტში რა უნდა?! ისა სჯობს გათხოვდეს და ბავ-  
შეები გააკეთოს რაც შეიძლება მეტი“.

„მე თქვენ ძლიერ მამრახებთ პერ ემხვარ, არ კი გამიჯავრდეთ და  
თქვენი აზროვნება ქალის საკითხში მაინც, არაფრით განსხვავდება ბაბუა  
ტარიელის აფორიზმებისაგან“.

თარაშმა გაიღიმა. მაჰარი მოსვა და დადუმდა.

„თქვენ რატომ მიბრძანდებით ტფილისს?“

„თათია უნდა ვუჩვენო ექიმებს. ყივანა ხველამ ჯირყვლები დაუტოვა,  
აქურმა ექიმებმა თავი ვერ გაართვეს“.

„არზაყანსაც უნდოდა წამოსვლა და არსადა სჩანს“.

შენიშნა თამარმა.

თარაშს გაგებული ჰქონდა არზაყანს ცხენი რომ დაუფეთდა და მარ-  
ჯვენა ფეხი დაეშავებინა, მაგრამ დადუმდა. თასს ხელი დააელო და  
უსიტყვოთ დასცალა. თამარმა ისევ გაავსო თასი.

ესეც ჩვენი მგზავრობისა იყოსო.

სთქვა თარაშმა და ისევ გამოსცალა.

თამარს უნდოდა ეკითხა და კაროლინამ დაასწრო:

„მაშ თქვენც მოდიხართ ხვალ?“

„მეც“.

უპასუხა თარაშმა და ცეცხლში შეაგდო მარცვალშემოკლილი სიმი-  
დის ნაჭურჩელა.

ცეცხლი მადლიანად გიზგიზებდა კერაზე. ტკიცილებდა ნაძვის მშმა-  
რი ტოტები, იწვოდა კოპიტის მუგუზალი, თანაც ისეთის საწყალობელის  
ხმით წრიბინებდა თითქოს ცოცხალს მოსდებიაო ალი. წივოდა ხე და  
კრემლის მაგვარი დუღი იღვენთებოდა მოკვეთილ შტოდან. და გარეთ,  
ლუკაიას ხულას გარშემო მოზღვავებულ ანწლნარში გაცივებულ კამეჩსა-  
ვით ფშვინავდა უმთვარო ღამე.

(გაგრძელება იქნება)





ქართველთა  
წიგნების კავშირი

სერგო კლიშვილი

# ხალდე

ნოველა

ა. გაწერულია

1

ერთფეროვანი ცხოვრება მთებში წამებათ გადაექცა არკადი ადოლინს. კავკასიის ქედის სიღიადღე და უშბას ორთავეიანი მწვერვალი მობეზრდა თვალს. დღითიღღე უფრო ძლიერად ენატრებოდა სხვა ცხოვრება, ქალაქის ხმაური, თეატრი.

თერთმეტი თვის წინად ამ მივარდნილ კუთხეში ამოვიდა ის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ოფიცერი. მისივე სურვილი იყო და ის განზრახვა ჰქონდა, რომ ამ გზით წარჩინება მიეღო, თუ უიმედო ტრფი-ალმა გააქცია და ცხოვრებიდან გარიყა, ამაზე ადოლინს არაფერი უთქვამს.

მაიორ შაბუროვმა, ნაწილის უფროსმა, სიხარულით მიიღო და მა-მობრივი მზრუნველობა გაუწია. დაუთმო თავის ბინაში საუკეთესო ოთა-ხი, დაუკრდა საწოლთან პატარა ფარდაგი და გაუნაწილა ზოგი ისეთი საჭირო საოჯახო ნივთი, რაც ცხოვრებაში გამოუცდელ ახალგაზრდას არ აღმოაჩნდა. პირველ დღიდანვე შაბუროვი ისეთი ალერსით მოეპყრა, თი-თქო საყვარელ მეგობარს შეხვდა.

მაიორის მუდმივმა სიმშვიდემ თავდაპირველად კეთილად იმოქმედა ადოლინზე. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, ისეთივე მოსაწყენი და მომა-ბეზრებელი ხდებოდა ეს ერთფეროვანი მოხუცი, როგორც მუდმივი თოვ-ლით დაფარული მწვერვალებით შემორტყმული გარემო.

ადოლინი ხედავდა, რომ ჯარისკაცებიც მოწყენილი იყვნენ. მთელი დღეობით უსაქმოდ მყოფნი, ყაზარმის წინ მინდორზე ეფინენ, თბებო-დენ მზეზე და სევდიანათ გასცქეროდენ მაღალ მთებს, რომლის გადაღმა მათი სამშობლო თვალუწვდენი ველები იყო გადაშლილი. ერთმანეთს შორის სალაპარაკო დიდიხანია გამოლეოდათ და მოწყენილობის დასა-ძლევად მხოლოდ სიმღერა შერჩენოდათ. ამ ხმებში ისმოდა მწუხარება მიტოვებულ ქვეყანაზე და უიმედო ნატვრა დაბრუნებოდენ თავიანთ ქო-ხებს.

მაიორ შაბუროვს და ადოლინს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ. როცა მოინატრებდნენ, მიდიოდნენ მეზობელ სოფლებში მცხოვრებ წარჩინებულ გვარის სევანებთან.

ქვეყნული

ყველგან გულგაშლილად ხვდებოდნენ მათ სტუმართმოყვარე მშობლებს. არ ახსოვთ, შინ ხელცარიელი დაბრუნებულიყვნენ. მასპინძლები არ კმაყოფილდებოდნენ უხვი პატივისცემით და დამშვიდობებისას ვალდებულად სთვლიდნენ თავს სახსოვრად რაიმე ნივთი მიეცათ. ყოველი დაბრუნების შემდეგ უკვე წინად ნაჩუქარ ნივთებს ემატებოდა ჯიხვის რქა, ძველებური საპირწამლე, ან ხიდან გამოჭრილი ბაზმანდი.

ოფიცრებთანაც სტუმრობდნენ სვანი აზნაურები. მაგრამ მათი მოსვლა ადოლინს არ უხაროდა. დაუსრულებელი ცერემონიები, რაც აუცილებელი იყო მათდამი პატივისცემის დასამტკიცებლად, მოთმინებას უკარგავდა უბრალოებას მიჩვეულ ჩრდილოეთელს.

— ეს ცოცხალი მანეკენები ერთი საათის განმავლობაში უფრო მეტად მღალავენ, ვიდრე მთელი ღამის უძილობა! — საყვედურობდა ყოველთვის არკადი.

მოწყენილობის გასაქარებლად ხანდახან ადოლინი შეიკავშავდა ცხენს, გადაივლიდა ბალის ქედს და თავისუფალ სევანეთში გადადიოდა. იცოდა არკადიმ, რომ ასეული, სადაც მსახურობდა, ამ თავისუფალ კუთხის საფრთხობელად იდგა ბეჩოში. მისი წარმოდგენით ლატალს იქითა სოფლებში გავლისას მუდამ მოსალოდნელი იყო, რომ უეცრად სიციცხლეს მოუსპობდა საფარიდან გასროლილი ტყვია, ან და ბილიკზე მიმავალს ჩაჭოლავდნენ კლდიდან გადმოყრილი ლოდებით.

მაგრამ არაერთხელ კვირიკეს მთამდისაც მიულწევია და შინ მაინც უვნებელი დაბრუნებულა. პუშკინის კავკასიის რომანტიკით გაბრუნებული ახალგაზრდა ხედავდა მშვიდობიან ლატაკ გლეხებს, რომელნიც ოფიცერის დანახვაზე მხოლოდ ჩვეულებრივ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ.

— მათი გმირობა მოგონილი ამბავია, მეტი არაფერი. ისინი საბრალონი და მხდალნი არიან! — ფიქრობდა ყაზარმისკენ გაბრუნებული ადოლინი თითქო უკმაყოფილო, რომ ერთხელაც არ განუტღია ვაკეაცობაში დასაკვებნი შეხვედრა მთიელთან.

ერთ დღეს მაიორ შაბუროვს მეგობარი აზნაური ესტუმრა. მას თან ახლდა შუახნის სვანი თამბი რატიანი.

პირველ შეხვედრისთანავე ეუცხოვა ის ადოლინს. როცა რატიანი გადმოვიდა თავის პატარა მთიულურ ზერდაგიდან, არკადის ეჩვენა, თითქო სვანმა გადმოაბიჯა ცხენს. დევისტანად კაცს ნაბიჯი ჰქონდა მჩატე და შეპარავი. ხშირ და შეერთებულ წარბების ქვეშ პატარა თვალეები უელავდნენ.

იმ ხნის განმავლობაში, სანამ მაიორის მეგობარი აზნაური სვანი მისთვის ჩვეული ხალისით მუსაიდობდა, თამბი რატიანი მუნჯათ იჯდა, თავ-

დახრილი დასჩერებოდა იატაკს და ხელში გიშრის კრიალონანს ათამაშებდა.

სტუმრები დიდხანს არ დარჩენილან. მოიბოდიშეს, მუტუტუტუა მოიმიზეზეს და ცხენებზე შეჯდნენ.

არკადიმ შენიშნა, რომ თამბი რატიანის ცხენის მოკაზმულობა მდიდრული იყო. სამკერდე და აღვირი ვერცხლით შემკული ჰქონდა, უნაგირქვეშ ეფინა ყვითელი მაუდი მოქარგული და მოსირმული.

ცხენოსნები ფერდობს შეუდგნენ. დიდხანს უტყობა მათ აღოლინმა, თვალი გააყოლა პატარა ზერდავს და უქმყოფილოდ გადაულაპარაკა შაბუროვს —

— საკვირველი კაცი მოიყვანა თქვენმა მეგობარმა. ნადირისგან არაფრით განიჩხვეა!

— შეიძლება შენ მართალი იყო! — გაუღიმა შაბუროვმა — მაგრამ ისიც სიმათლეა, რომ მის სამშობლოში აგრე არ უყურებენ. თავისუფალი სევანები რატიანს დიდ პატივს სცემენ. ეს პატივისცემა მან დაიმსახურა არა მარტო ვაჟკაცობით, არამედ ჰკუთითა და შეუბოვრობით, რომლითაც იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას. დიდხანია ვცდილობ მასთან დაახლოვებას, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფრით მოვახერხე. ჩემმა მეგობარმა სევანმა მრავალი ცდის შემდეგ მხოლოდ დღეს შესძლო მოეყვანა ის ჩემთან. არ მინდოდა პირველადვე რაიმე ეჭვი აღმეძრა მასში. ამიტომაც ასე ფრთხილად და თითქო უნდომათ ეთხოვე კიდევ მსტუმრებოდა. მთიელი მუდამ იჭვიანია. მისი მოჩვევისათვის ოსტატობა და მოთმინებაა საჭირო. თუ ერთხელ დააფრთხე, სამუდამოდ გაგეჭყევა. ოცი წელიწადია მთებში ვცხოვრობ და, დამიჯერე, ჯერაც ვერ ვცნობ მთის ხალხს. ოცი წლის შემდეგ, როცა ტუჩზე მაგ ჭერა გინგლის მაგიერ ჩემსავით ქალარა ჯაგარი გეჭნება, შენთვისაც აუხსნელ ამოცანად დარჩება ამ ველურ მხარეში მოსახლე ადამიანი... ჯერჯერობით კი ერთი პირობა შემისრულე, — როგორც შეიღს ისე გთხოვ, — ნუ ეთამამები მათ. მე მუდამ შიშში ვარ, რომ შენი ხეტიალი ბალის ჭედის გადაღმა ერთ დღეს უბედურებით დასრულდება. ეს ბედთან თამაშს გავს. ქვეყანას გაეჭეცი და მთას შეაფარე თავი? უქმყოფილება ცხოვრებით, სიცალიერე, ამოება... ასეა, ხომ? — შაბუროვმა აღერსით მოხვია ხელი და სახლისკენ წაიყვანა — ერთ დროს მეც მაგითი ვიყავი სნეული. ასეც უნდა იყოს... ახალგაზრდობაშივე უნდა გადაიტანო კაცმა წითელა, ყვანა ხველა, ფშატი, სიყვარული, უიმედობა და სხვა მსგავსი სიმშვენიერე!...

## II

უკანასკნელი თვე არკადი აღოლინს დაუსრულებელი ეჩვენებოდა. ერთობ ზარმაცად თენდებოდა და მერე ლამესაც მოსელა ავიწყდებოდა.

თავის გასართობად აღოლინმა რვეულის ფურცლებიდან კალენდარო გააკეთა. ყველაფერი ისე, როგორც ჩვეულებრივად კალენდარში უნახავს.

ვერა და უკმე დღეები წითელი ფანქრით მოხაზა. რიცხვის ქვეშ კი წმინდანთა სახელების მაგიერ თავისი მეგობრების და ნაცნობების სახელები ჩამოსწერა.

ყოველი დღე ამის შემდეგ ადოლინისათვის ამ პატარავს უფრო უფრო იწყებოდა: გაიღვიძებდა თუ არა, უმალვე კალენდარს მიეარდებოდა და ფურცელს ჩამოხვედა... ერთი დღით კიდევ შემცირდა ეს დაუსრულებელი თვე!

თანდათან ხალისიც მიეცა. თვალმაც უფრო კეთილად გამოიხედა. ისევ ახარებდა მთების სილამაზე, მზის უკანასკნელი შეჩერება უშბას მწვერვალზე, მწვანე ტყეები. უკვე ებრძოდა და უმკლავდებოდა მარტოობის სიმძიმეს. ისევ გაიხსენა თავისი ნაცნობი სევანები. შეიკაზმავდა ცხენს და მიდიოდა ახლომელ სოფლებში სახეტიალოდ.

როცა ერთხელ მსიარული ბრუნდებოდა, ტყიდან ცხენის ფრუტუნნი მოესმა. მოიხედა და თამბი რატიანის ზერდაგი დაინახა. უნაგირზე ნაბადი იყო გადაფენილი. თითონ თამბი არ სჩანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ადოლინმა ისევ მოჰკრა თვალი ნაცნობ ზერდაგს. სრულიად შემთხვევით გაიხედა ბალის ქედისკენ და უეცრად შენიშნა ცხენი, რომელმაც ბუჩქნარი ლანდივით გადაიარა.

სადამოს არკადი შაბუროვთან იჯდა ოთახში. შემთხვევით თამბი რატიანზე ჩამოვარდა საუბარი. ადოლინმა მაშინ გაიხსენა დღევანდელი შემთხვევა და თან ექვი გამოსთქვა:

— დარწმუნებული ვარ ის ხშირად დაეხეტება ამ არემარეში. ტყუილად არ იქნება ეს. უმიზეზოდ დროს არ დაჰკარგავს!

მაიორმა გულგრილად მოუსმინა. ამბავი ყურადღების ღირსად არ სცნო. ზოლო ექვები უსაფუძვლოდ ჩასთვალა და გამოუცდელი კაცის შიშს მიაწერა.

— რა გენაღვლება იხეტიალოს იმ კაცმა ტყეში? ამას მისი ბუნება მოითხოვს. იქ სხვა ნადირიც ბევრია. დალევ?

მაიორმა გადაუდგა კიჭა და დაუსხა. ადოლინმა ზრდილობისათვის მოსეა ყლაპი. მეტი ვერ შესძლო. აქამდე ვერ მიეჩვია იმ მყრალ სითხეს, რომელსაც აქ არაყს ეძახდნენ.

— მართლა საშიზღარია. — დაიღრჩია შაბუროვიც. — ამით ნალველს ვერ დაიყუჩებ, ამაში თავდავიწყებას ვერ ჰპოვებ!

ამ მიზეზით ტყუილად ემდუროდა შაბუროვი არაყს. თავდავიწყება საჭირო არ იყო ჭალარა მაიორისთვის. დიდი ხანია მას თავისი თავიც დავიწყებული ჰყავდა და ქვეყანაც. ოცი წლის წინად, რუსეთის ერთ მიყრუებულ ქალაქში, დასტოვა ცოლი და მას შემდეგ არც მისი, არც სხვა მახლობელის არაფერი სცოდნია. ერთი ორჯერ მოაგონდა მხოლოდ, დასძლია თავს, დასწერა ბარათი, მაგრამ ისიც გაუფხავნელი დარჩა. ახლაც მაგიდაზე ეგდო დალუქული კონვერტი, ნაპირმომწვარი ფერგადასული და დამტვრეული.

ცხოვრებაზე ხელაქნეული მაიორი თავის საქმეშიც გულგრილობას იჩენდა. დარწმუნებული, რომ სევანები შეურიგდენ თავისუფლების დაკარგვას და სამუდამოდ დაცხრენ, ხშირად უყურადღებოდ უტოვებდა იმ ამბავს, რომელიც ქედის გადაღმა მხრიდან მოდიოდა.

როცა ერთხელ ადოლინმა გამოსთქვა აზრი, რომ მთაში სიფრთხილით და არა ერთბაშად უნდა შემოიღონ ახალი წესები, მაიორმა დაცინვით და თან აღერსით მოუთათუნა მხარზე.

— შენ შორს გაიწევე, არკადი, ვგრძნობ შე ამას. ახლა არმიაში შენისთანა პოლიტიკანებს მეტი გასავალი და პატივისცემა აქვთ, ვიდრე ისეთ მებრძოლებს, როგორიც ჩვენ, ახლა მოხუცები, ვიყავით. შორს გაიწევე, გახსოვდეს ჩემი სიტყვა!

მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ მაიორმაც შეიცვალა აზრი და ფიქრს მიეცა. მას საიდუმლოდ აცნობეს, რომ ლატალის მხრიდან ხშირად გადმოდიოდენ გავლენიანი თავისუფალი სევანები და სადადეშქელიანოს გლებითა მიმხრობას ცდილობდენ. ამით შორის ყველაზე მოხერხებულად თამბი რატიანი მოქმედებდა. მას ფიციც კი ჩამოერთმია რამდენიმე სოფლისთვის, რომ პირველსავე დაძახებაზე ისინი აჯანყებულთ მიემხრობოდენ.

ბალის ქედიდან დღითიდღე დამაფიქრებელი ცნობა მოდიოდა და ერთ დღეს მაიორ შაბუროვს აღარ ეოცა მიღებული ბრძანება სასწრაფოდ გადაეღახა ქედი და ურჩი სოფლების დასამშვიდებლად შექრილიყო.

პირველად მოუხდა არკადი ადოლინს ბრძოლაში წასვლა. ეს დილა, ნისლიანი და მოლრუბლული, რატომღაც სხვანაირი ეჩვენა.

გრძელ წყებათ გაშლილი რაზმი მთის ბილიკს შეუდგა. ადოლინი ფიქრში იყო გართული. უეცრად მაიორის ხმამ გამოარკვია:

— პოდპორუჩიკ ადოლინ! — გაუცინა შაბუროვმა — შენ სადარბაზოდ გამზადებულ ფრანტს უფრო გეცხარ, ვიდრე საომრად მიმავალ მხედარს!

ადოლინმა დაიხედა ტანსაცმელზე და შერცხვა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ყველაფერი სადღესასწაულო ჩაეცვა.

— მართლაც რა საჭირო იყო ეს საპარადო მუნდირი, მოოქრული გალუქული და ვერცხლის დეზები! — უკვირდა თითონაც — ნუთუ ასე ვლელავდი?

წმინდა კვირიკეს ეკლესიის გაღავანში თავშეყრილ ხალხს სადღესასწაულო გუნება არ ჰქონია. მოლხენის მაგიერ ისმოდა მუჭარა ჯარისა და დაჩქლანების მიმართ, რომელნიც თავისუფალ მხარეში გაბატონებას აპირებდენ. ღამით, როცა ცეცხლის გარშემო შემომსხდარ ერთ ჯგუფში სალაშქრო სიმღერა სთქვეს, მთელმა ხალხმა აიტაცა ეს ხმა. მოხუცები აქეზებდენ ახალგაზრდებს გაემავრებიათ თავისუფალ სევანეთში გადმოსასვლელი ბილიკები. გახელებულ ხალხს წაქეზება აღარ სჭირდებოდა. თუ კიდევ იცდიდენ, ამის მიზეზი ის იყო, რომ მეორე დღისათვის მოე-

ლოდენ ქალაქში ვაგზაენილ გზირების დაბრუნებას. ისინი ამართანდენ პასუხს და ამის შემდეგ გადასწყვეტდენ, თუ როგორ ემოქმედნათ.

მაგრამ მეორე დილით ქალაქიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა ისიც ღამით გამოპარული. დანარჩენები იქ მძევლებათ დეტროუტში მთავრობა ხალხისგან მოითხოვდა მორჩილებას და იმუქრებოდა ჯარით, თუ ურჩობას განიზრახავდა. ვალავანში შეკრებილმა ხალხმა მაშინ ერთბაშად შეფიცა ერთმანეთს ერთგულება, დაეშვა კვირიკეს მთიდან, დაუბრუნდა სოფლებს და საბრძოლველად მოემზადა.

ხალხის ეს ჯანყი არკადი ადოლინს მაინც ერთი კაცის სახით წარმოუდგა. ეს კაცი იყო თამბი რატიანი. თვალწინ ედგა ეს ვეებერთელა სვანი. მთელი გზა მასზე ფიქრობდა. მუნჯად მიჰყევებოდა მისი დიდი ლანდი, ამღვრეულ წყალისფერ უცნაურ თვალეებით მისჩერებოდა და გაბრაზებით სრესდა თითებით გიშრის კრიალოსანს.

მთებში სიჩუმე იყო. გაიარეს პირველი სოფელი. კაცი არსად დაუნახავთ. თითქო მკვდართა ქვეყანა იყო. მრისხანეთ ამართულიყო მიტოვებული კოშკები.

ადოლინს ეს კოშკები მრავალჯერ უნახავს, მაგრამ ასეთი პირქუშობა არასოდეს შეუძმნევია. ეჩვენებოდა, რომ ახლა შურისძიება იხედებოდა მათ პატარა სარკმელებიდან.

გულზე დაწოლილ სიმძიმეს დროგამოშვებით უქარებდა მაიორ შაბუროვის შეხედვა. ეს მსუტქანი მოხუცი, თუმცა გრილოდა, მკერდმოღეღილი სთვლემდა ცხენზე. მაიორის ასეთი უდარდელობა კეთილად მოქმედებდა ახალგაზრდა ოფიცერზე.

მთების სიჩუმეში ადოლინმა უეცრად ყური მოჰკრა ხმას, რომელიც შორეულ გრგვინვას ვავდა.

ბნელოდა, როცა მდინარის მიმყოლ ბილიკით ასეული ხალდეს მიუახლოვდა. ზარბაზნების ხმა ადოლინს ახლა გარკვევით ესმოდა. როგორც კი გასცილდენ ხევს და მთის ვაკეზე გავიდენ, დაინახა ცეცხლში გახვეული სოფელი. ყინულით დაფარული მთები აღის შუქზე წითლად შეღებილი სჩანდენ. ცეცხლი მოსდებოდა კოშკებს და ღარიბ მარტებს.

დამარცხებულმა სვანებმა ბნელი ღამით ისარგებლეს, დასტოვეს კოშკები და მთებში გაიხიზნენ. დაცარიელებულ სოფლებში ყაბარდოს თავადის მიერ საძარცველად ჩამოყვანილი რაზმი და ჯარისკაცები დათარეშობდენ. კარღია სახლებიდან გამოჰქონდათ ყველაფერი, რაც წასაღებათ ვარგოდა.

ლატფარის მხრიდან ყოველდღე გადმოდინდა ახალი ბატალიონები. გახიზნულ ხალდელებს მეზობელ სოფლებიდან უერთდებოდენ შეიარაღებული სვანები. მოსალოდნელი იყო, რომ ერთ დღეს მთიდან უეცრად დაეშვებოდენ და, შურისძიებით საესენი, ბრძოლას განაახლებდენ.

აფიცრების წრეში ხშირად ისმოდა აჯანყების მეთაურის ყასბულათ შარვაშიძის სახელი. თუმცა ის მტერი იყო, მაგრამ მის შეტევაზე მინც ალტაცებით ლაპარაკობდნ.

— სიმამაცეში თამბი რატიანი არ ჩამორჩება თავის მტერს, სთქვა ჭართველმა აფიცრმა. — ეს კაცი ნამდვილი აფთარია. მე თითონ დავინახე, ერთმა როგორ გაარღვია ჯარისკაცთა ჯგუფი, ჩაკლა სამი და გაჭრა უეცრად...

— მე ვიცნობ მას! — ვერ მოითმინა და წამოიძახა არკადი ადოლინმა. — სანაძლეოს ვეღბ, მასში ავი სული ბუდობს. ის ერთხელ ჩემი სტუმარიც კი იყო და მას შემდეგ არა მაქვს სურვილი კიდევ ვნახო!

— ვაი მას, ვინც თამბი რატიანს ხმალში პირისპირ შეხვდება! — ჩაიცინა ჭართველმა — მან წინდაწინვე უნდა იცოდეს, რომ განწირულია. რატიანი ყასბულათის მარჯვენა ხელია. დარწმუნებული ვარ, ის ახლაც დაძრწის სოფლებში და აჯანყებს ხალხს. სანამ მას ხელთ არ ვიგდებთ, შარვაშიძე თავს არ დაბრის!

ერთ საღამოს შაბუროვის კარავში დროს გასატარებლად აფიცრებმა თავი მოიყარეს. მხიარულ საუბარს სასმელები მოჰყვა. სუფრა მიწაზე გაშალეს და ჭებებზე ჩამომსხდარნი მეგობრულ ლხინს მიეცენ. საიდანღაც მოიტანეს სვანური ჭიანური და მაიორ შაბუროვმა ხმაც კი ააწყო ზედ. ჩუმი, ჩახლენილი ხმით დაამლურა ძველი რომანსები, რომელნიც დიდხანია აღარ სმენიათ.

არკადი ყველასთან თანაბრად სვამდა. ლხინი ცისკრამდე გავრძელდა. შესწყვიტეს მხოლოდ მაშინ, როცა დამთვრალმა და დაღლილმა შაბუროვმა თავი დაჰკიდა. ამის შემდეგ აიშალენ და თავიანთ კარეებისკენ წავიდნ.

წუთით მორეული ძილი ადოლინს სრულიად გაუჭრა, როცა გარედ გამოვიდა. გული ხარბად სუნთქავდა მთის სუფთა ჰაერს. ხელგადახვეული მასავით ახალგაზრდა აფიცერთან, ბედნიერი მიაბიჯებდა დაცვარულ ბილიკზე. ახალგაზრდა აფიცერი, რომელსაც მხოლოდ მეორედ ხედავდა, უკვე მეგობრად მიაჩნდა. სიმთვრალეში ერთმანეთს გული გადაუშალეს, მშობა და სიყვარული შეფიცეს.

არკადიმ მიიყვანა ის კარავში, დააძინა და გამობრუნდა.

გახურებულ სახეს სიამით ხვდებოდა დილის სივრცელე. თეთრი მწვერვლებიდან, ტყიან მთებიდან მზემ გადმოხვდა. კლდის მკერდზე ღამენათევი ნისლი დაიძრა. უყურებდა ამას ადოლინი და უხაროდა, რომ ჭვეყანა ღამაში იყო.

ატაცებულს გაურკვეველი სიხარულით, უცნაური სურვილი აღეძრა: მოითხოვა ცხენი და მთებში გაიჭრა.

თითონ არ იცოდა საით, მიაჩქარებდა ცხენს. ვადაიარა გორაკი, გაბედულად გავიდა ჩქარ მდინარეში და გაჰყვა ქალას. ქალის ბოლოში პატარა სოფელი შეხვდა. დაცარიელებულ სოფლის შარაზე ერთ ადგილას



დაინახა დაბნეული ქერი და გატეხილი კოკა. წუთით წარმოიჭრა ის შიში, რომლითაც სევანები სტოვებდნენ სახლებს და გარბოდნენ. ადოლინს ახლა ეცოდებოდა ისინი.

უკაცუნეული

მხოლოდ მაშინ, როცა ტყიანი მთის ბილიკი აათავა და გამოწვეთქვეხდა, დაინახა თუ რა შორს წასულიყო. შენიშნა ისიც, რომ ცხენი დაღლოდა

ნახევრად გამოფხიზლებული და გამორკვეული, ახლა უმადური იყო თავისი თავის.

— რას არ ჩაიდენ მთვრალი კაცი! — უკმაყოფილოდ ჩააქნია ხელი — რა მინდოდა აქ?

მზეს ახედა. შუადღის იყო.

დამშეულ ცხენს მოძოვება აცალა და გამობრუნდა. ბილიკი ჩამოდიოდა წაბლითა და წიფელით დაბურულ ტყეში.

მოსახრელში უეცრად თვალი მოჰკრა ზევითკენ მომავალ ნაბღიან ცხენოსანს.

პირველივე, რამაც შეაშფოთა ადოლინი, ის იყო რომ ცხენის ფეხი ეცნობა. შორიდან ის თამბი რატიანის ზერდაგს გავდა.

პატარა მთიულური ულავი აღმართს მარდათ ამოდიოდა.

— კიდევ რამდენიმე წამი და ჩემთვის ყველაფერი გათავდება! — სასწრაფოთ გაიფიქრა არკადიმ.

შიშისგან გამოწვეულმა გამბედაობამ უნებურად მიიღებინა გადაწყვეტილება შებრძოლებოდა კაცს, რომელიც, რა თქმა უნდა, შურისძიებით საესე იქნებოდა.

ცხენს ლაგამში ღონიერად მოსწია და ბორცვთან შეაჩერა.

ბილიკზე მოსახვევში ზერდაგი და მხედარი წუთით ტყემ მიმალა. ისმოდა მხოლოდ ცხენის ქშენა და ირხეოდა შტოები, რომელიც ნაბაღს ეღებოდა.

ზერდაგი ისევ მალე გამოჩნდა, სწრაფად ამოჰყვა აღმართს და გაუსწორდა თუ არა ბორცვს, ადოლინმა მხედარს ამართული ხმალი შეაგება.

მის წინ თამბი რატიანი იყო.

არკადიმ შენიშნა სევანის გაკვირვებული თვალი.

გამოცდილმა მთიულმა იგრძნო, რომ იარაღის ამოღებას ვეღარ მოასწრებდა. ხელის ოდნავი გაქნევაც კი მოწინააღმდეგეს საბაბს მისცემდა დაერტყა ხმალი. ისევ ხერხი ამჯობინა. მტრისგან შეწყალების იმედზე დანდობა არჩია. შეხედა, გაუღიმა, თითქო მორჩილების ნიშნად თავი დახარა. მაგრამ მოსტყუვდა. ადოლინმა ისარგებლა ამ წუთით და ხმალი თავში დასცა. რატიანი მაშინვე გადმოეკიდა უნაგირზე და მიწაზე მძიმედ დაეარდა.

არკადი ბურანში იყო. თვალამღვრეული დაჰყურებდა ქვებზე გაშოლტილ ტანს. ხედავდა როგორ მოწვეთავდა სახეზე სისხლი. დასცქეროდა და მაინც არ სჯეროდა გარდახდილის სინამდვილე. უცბად თვა-

ლი მოჰკრა რატიანის წელზე შემორტყმულ ვერცხლით მარტვილ ხან-  
ჯალს. ცხენიდან ჩამოხტა, ხმალის წვერით ქამარი ააჭრა, ხანჯალი აიღო  
და გზას გაუდგა.

რეტდასხმული გაჰყვა ბილიკს. სადაც მთის ვაკე <sup>უკვე ნულე</sup> ~~ქვემოთ~~ ქერალმა  
გზა გადაუჭრა. წყლის ხმაურმა გამოაფხიზლა. როგორ ჩამოიარა აქამდე  
გზა, არ ახსოვდა.

დააჩქარა ცხენი, მანძილის შესამოკლებლად გზა ყანებით გადასჭრა.  
ფრთხილად გავიდა მდინარეში და მინდვრებით წავიდა.

მალე მიუახლოვდა სოფელს. შარაზე ისევ დაინახა დაბნეული ქერი  
და ვატეხილი კოკა. მიხვდა, რომ გზა არ აბნეოდა.

პირველივე სახლი სოფლის დასაწყისში კარლია დაინახა. მოაგონდა.  
რომ დილით ამ ადგილას წყარო შენიშნა. დიდხანია წყურვილი აწვა-  
ლებდა. ჩამოხტა, ხარბად დაეწაფა და იქვე ჩამოჯდა ქვაზე.

მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლილობა. თანაც საოცარი გულგრილობა  
ყველაფრისადმი. ბანაკი შორს აღარ იყო, მაგრამ ადგილიდან დაძვრა  
ეზარებოდა. კმაყოფილი იყო, რომ თავს მარტო გრძნობდა. უძილობის-  
გან თვალეები ეწვოდა. მოსვენება უნდოდა. სხვა სურვილი აღარ ჰქონდა.

თავს ძალა დაატანა, წამოდგა, ფარდულში ცხენი დააბა, შევიდა  
სახლში და ფიცრულზე დაეგდო. ბნელ ქოხში ბინდათ დაინახა კერიაზე  
დაკიდებული ჯაჭვი, თაროებზე მიყრტილი ქურჭელი და მაღლა კედელში  
ვიწრო სარკმელი, საიდანაც ცის ნათელი ნაჭერი მოსჩანდა. ხანჯალი  
გვერდით მიაგდო, ბალიშით ქუდი ამოიღო და იმავე წუთში დაეძინა.

დიდხანს ეძინა. ღამე იყო, როცა გამოეღვიძა. ჯერ კიდევ ბურანში  
შყოფს ეჩვენა, რომ ცხენის ჭიხვინი გაიგონა.

წარმოდგენა არ ჰქონდა რა დრო იყო. სარკმელიდან შემოსული მთვა-  
რის ნათელი ფიცრულს დანათოდა. სიჩუმე იყო. შორიდან მდინარის ხმა  
ისმოდა. გულცივად შეაჩერა თვალი ხანჯალზე. ქარქაშის ვერცხლი მთვა-  
რის შუქზე პრიალებდა. მხოლოდ წუთით მოაგონდა განვლილი დღე და  
ისევ ჩაეძინა.

უეცრად შემკრთალმა გამოიღვიძა. გამოაფხიზლა უფრო გრძნობამ,  
რომ ქოხში ვიღაც იყო. გაახილა თუ არა თვალი დაინახა — თავზე კაცი  
დასდგომოდა.

არკადის ის მოჩვენებად წარმოუდგა, დახუჭა თვალი რომ კოშმარი  
მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოითმინა და ისევ გამოიხედა. მთვარის სინათ-  
ლეზე ახლა გარკვევით დაინახა მხარზე ნაბადმოგდებული კაცი შეხვე-  
ული თავით.

ექვე აღარ იყო, მის წინ თამბი რატიანი იდგა.

ხმალზე დაბჯენილი ის შეუპოვრად დასჩერებოდა.

დაცინვა და ზიზღი მოსჩანდა მის სახეზე.

ადოლინმა უნებურად დახუჭა თვალები. გონება ახლა ნათლად ამუ-  
შავდა. განვლილმა დღემ მთელი სიცხადით გაიარა მის წინ. მესხიერე-

ბაში ათასი წვრილმანი მოგონება მოკალათებულ იყო... რა საჭირო იყო, რომ აშლილიყვნენ ახლა და დაბორილობდნენ... რა უფნური რამაა ეს მესხიერება... ბებერი ძუნწივით ინახავს ყველაფერს თავის ქაფქაფში! მამ თამბი მხოლოდ დაკრული იყო... და როცა გონს მბრუნებდა, ახლობელ სოფელს შეაფარა... რაც მოხდა — ორივესთვის მოულოდნელი იყო... რას იზამ, ბედს ვერსად წაუხვალ...

ადოლინი გრძნობდა, რა შეუპოვრად დაჩერებოდა ორი, ფოლადივით ცივი თვალი. ელოდა სიკვდილს, ელოდა ხმალის ღონიერ დარტყმას და ყველაზე უფრო ის აწამებდა, რომ ეს წუთი გვიანდებოდა.

გაურყვევლად იწვა. დრო წამებაში გადიოდა. მზად იყო ეთხოვა სიკვდილი. ახლა სიკვდილი შებრალებას უდრიდა.

ბოლოს ველარ მოითმინა და გამოიხედა.

ალარავინ იყო.

შეშინებული წამოიქრა საწოლიდან. ამავე წუთში ცხენის თქარუნთი გაიგონა. ხმა თანდათან შორდებოდა და შემდეგ უცბად შეწყდა.

ისევ სიჩუმე ჩამოდგა. ისევ მდინარის შორი ხმა მოისმა.

მეტეი არაფერი.

როცა გათენებისას არკადი ადოლინმა ცხენი ახსნა და წასვლა დააპირა, შენიშნა, რომ ხანჯლის წამოღება დაეწყებოდა. ეს იყო მთებში გატარებული დღეების დაუფიწყარი სახსოვარი და თანაც საუკეთესო ტროფეი, რომელიც მეგობრებისთვის საჩვენებლად მიჰქონდა.

შებრუნდა ქოხში, მოიფათურა ფიცრულზე, მაგრამ ხანჯალი აღარსად იყო. მის მაგიერ ამავე ადგილას ახლა კრიალოსანი იდგა. თამბი რატიანის ვიშრის კრიალოსანი.

აიღო, ჯიბეში ჩაიდვა და სახლიდან გავიდა.

მზე მაღლა იყო, როცა ბანაკში დაბრუნდა. არავის არაფერი უთხრა. კარავში შევიდა, ნაბადი წაიხურა და თავი მოიმძინარა.

ამ დილით აფეთქებდნენ და ანგრევდნენ კოშკებს სვანებისგან მიტოვებულ ხალღეში. დაშლილი ქვების გრიალს სამხედრო ორკესტრის ხმა ერთვოდა. როცა ერთხელ არკადიმ კარავის კალთა ვადასწია, მტვერში ვახვეული ნასოფლარი დაინახა.



გიორგი კახახიძე

## განახლებული ქვეყნის ზინაღარი

წელს ფოთში ვნახე, ურემზე გიჟდა  
 ლამაზი ცირა, პატარა ქალი.  
 ერეკებოდი კამეჩებს დინჯად  
 და ქუჩებისკენ გეკირა თვალი.  
 ჭრიალი ურმის იგრძნო ქალაქმა,  
 იგრძნო ვარემომ შენი ნაბიჯი;  
 მძიმედ მოგქონდა მიწის ბარაქა,  
 თეთრი გოდრები სავესე ნარინჯით.  
 ხილი გქონია ფოთში წინადაც  
 და არ უგრძენია ბაზარს კმაყოფილს...  
 ახლა, ვით ოქრო იდო, ბრწყინავდა  
 შენი მცენარის თითო ნაყოფი.  
 რომ არ მენახა, სტრიქონში მადლი  
 არ ექნებოდა პოეტის ნათქვამს.  
 რა ნაზი იყო მკვრივი და ბადრი,  
 მე იგი ოქრო მეგონა მართლაც.  
 გმირი ვაჟკაცის იერი ვახლდა,  
 თვალს მოეწონა გმირის მაჯანი.  
 ხიდის ახლო თუ ქალაქის ბაღთან  
 არ შეგხვედრია ვინმე ვაჭარი.  
 ურემი შენებრ ბევრს მოეყვანა  
 და ვერ წვდებოდა ხელი დაღალის...  
 წერტში მისულებს მოგცათ ქვეყანამ  
 ძალა თქვენივე ოქროს ბადალი.  
 ალბათ ეს გქონდა ვაჟკაცს მიზეზად,  
 გეთქვა: — ფართო აქვს ქვეყანას კარი, —  
 გეგრძნო, ვარემოს როგორ უმზერდა  
 ცქრიალა ცირაც, პატარა ქალი.  
 იმ დღილად ღირდა გოგონა იგი,  
 გაბრწყინებოდა თვალები შავი...  
 ცირას უყიდე კაბა და წიგნი,  
 ცოლსაც ქსოვილი ლამაზი შალის.



ქართული  
ბიბლიოთეკა

იმ დღეს არ იყო პაერში ნისლი  
და არც გრიგალი ღმუროდა ზღვაზე.  
იციოდი, ოჯახს ფოთიდან მისვლით  
გაახარებდი ხორავით საესე.  
აქებდი მარჯვენს, ნოყიერ ლუქმას,  
კოლხიდის მწეს და ტანდაბალ ხეხილს...  
და ბრუნდებოდი სიმღერით უკან  
ქალადიდელი პირხმელი გლეხი.  
იმღერე, ვისმენ! მაქ ახლა იბრძვით,  
გმობთ ქაობების წყალსა და ეკლებს,  
კოლხიდას, ცნობილს ნისლების სივრცით,  
რომ სიმშრალე და დოვლათი ექნეს.  
ქალადიდის ტბას დაუცხრა ტალღა,  
ტოვებს დაბლობებს მარადი წყალი.  
და სიხარულით მკლავებს წვეს მალღა  
ლომონის ხე და ნარინჯი წყნარი.  
ველარ დააფრთხობს პატარებს ჭინკა,  
ლაჭაშების ტყე ხმება და მიდის...  
მრავალი კომლის მხიარულ ჭიშკარს  
მალე შეხედავს რიონის ზიდი.  
გზაც გექნებათ და იოლად მაშინ  
ხელს ჩამოგართმევთ გურიის მხარე...  
ველარ ჩაიტანს რიონი ზღვაში  
მეგრელ კაცსა თუ მეგრელის ხარებს.  
ვით გაზაფხულის დღეები თბილი,  
თქვენი ცხოვრება იზრდება ახლა.  
სოველ ტყეებში იბრძოლებთ, ივლით  
და გამარჯვების შარაზეც გახვალთ.  
წელს ფოთში გნახე, ურემზე გიჯდა  
ლამაზი ცირა, პატარა ქალი.  
ერეკებოდი კამეჩებს დინჯად  
და ჭურჭებისკენ გეჭირა თვალი.

ბ. ჩხეიძე

# „ალაჰის ვეშაჰი“

მ ო თ ხ რ ო ბ ა

1

მეტად კარგი დარი იდგა. ამიტომ ყიშლაყში ადრე ადგენ დილით და სამუშაოდ გაეშურნენ არხებზე, მინდვრად და ცხვარში.

ხურომან მარტო დარჩა მიწურ სახლსა და ბოსელში. ხმელი წივა ნელა იწოდა შუაღმოსავლეთზე შემოკიდულ ძირფარტო ქვაბ ქვეშ. მიწურში ბოლი იდგა. ქალს ბოლისაგან ფვალეები ცრემლით ჰჭონდა ამოვსებული და დრო-და-დრო ჩითის გრძელ მრავალხვეულიან კაბის ბოლოთი იწმენდა.

დაბალ სარეცხიან გეჯის გვერდით ვარცლით ედგა გამოსაცხობი ხმიადი. ბოსელი დასაწმენდი იყო, სახლი მისალაგებელი და ეზო დასაგველი. აღარ იცოდა, რომელ ერთს გასძლოლოდა. ნამეტნაველ აფიქრებდა ორთოკზე ჩამოკიდული სადღეებელი, რომელიც სავსე იყო მთავე რძით, და როცა შინ დაგვა-დალაგებას მორჩებოდა, შემდეგ მთელი დღე უნდა ედღეება.

ბოსელში არეული იყო ერთმანეთში ცხვრის, ძროხის, თხისა და ფრინველის ნებვისა და შარდის სუნი. ამას ზედ ერთეოდა დოთი სავსე ქილეების მკვეთრი მთავე სიწალტე და წივის ფუვილი. ქალს სული ეგუბებოდა. ხველაფერ ამასთან მზე მხოლოდ კარიდან და ერდოდან შემოდოდა: ერთგან — შვეულად, მეორიდგან — ჰორიზონტალურად. მზის სხივების ეს სვეტები ერთმანეთს ეჯვარედინებოდა ჭოჭზე და იჭმნებოდა სწორი კუთხე. ხურომან აქეთ-იქით ბრუსიალში ხშირად გადადიოდა ამ სხივებში და ჭოჭზე შიშველი ფეხის კვალს აჩნევდა.

ტრიალებდა, შრომობდა. ერთი ნივთი კუთხიდან კუთხეში გადაჰჭონდა, ქვაბებს არახუნებდა და ცეცხლს წივას უმატებდა.

ბოლოს დადლილობა იგრძნო. წამით მიწურის საძირკველზე ჩამოჯდა და როცა ზეზე ადგომა მოისურვა და წამოიწია, დადლილობისაგან წელი აღარ აპყვა გვამს და იქვე ჩაიკეცა.

მერე ღონე მოიკრიბა, გარეთ გამოდგორთხდა. სუფთა პაერო შეკუნ-  
თქა და სიმევეებისაგან დასხმული ბრუ გადაეყარა.

სუფთა პაერზე კი ნალველი და ვარამი შემოაწვა ჯერსკანის?  
ამას ვერ განმარტავდა. ეს კი იყო, რომ ეზო, როგორც ზეგნით მიწური,  
ნაგვითა და ნეხვით იყო მოფენილი.

ნაკელით სავეს საჩხეში ორი მიხაკისფერი ცხვარი ერთმანეთს და-  
სდევდა. დაკუნტრუშობდნენ. ძლივას დაათრევდნენ საკუთარ ტანზე მეტ  
დუმებს.

მამალი, რქებდაგრეხილი ერკემალი, გამოეციდებოდა დედალ ცხვარს.  
ერთს შეკბლავლებდა და ისე დაეკიდებოდა, თითქოს ერთმანეთს იყენენ  
შეწებებულნი.

როცა ერკემალი ძირს გადმოვიდოდა, ნასიამოვნები საჩხესს გარს შე-  
მოურბენდა, ღობეს შეახტებოდა და მთელ ეზოს წაბლა თვალებს მოა-  
ვლებდა, თითქოს სურდა დაენახა, თუ ვინ შენიშნა იგი ამ ნეტარების წუ-  
თებში. რამდენჯერაც გადმოიხედავდა ერკემალი, იმდენჯერ შეხედავდა  
მიწურის პირად თვალეგაბრწყინებულ ხერომანს.

— გეყოფა ცელქობა!

სთქვა ჭალმა და სირბილით საჩხეში შევიდა. ვერძს დაუტია, შორს  
გააგდო, ხოლო დედალი ცხვარი ნამჯაზე გადაიყვანა და მარტო დასტოვა.  
თავზე ხელი გადაუსვა, ყელი გამოუურვა. ცხვარი მღვრიე, მაგრამ ბედ-  
ნიერების გამომეტყველი თვალით შესცქეროდა პატრონს და ხელებს გო-  
შისებრ უღოკავდა.

— ოთხი თვის შემდეგ უნდა მაჩუქო წყვილი ბატკანი, ჩემო მშვენი-  
ერო! უთბრა ჭალმა ცხვარს მოფერებით და ხეზე შედებული ქვაბარული  
ჩამოუღო, წინ დაუდო და დრუნჩი ზედ დაადებია. ცხვარმა ხარბად და-  
უწყო მარხლს ლოკვა.

ჭალს დაბრუებული თავი სრულიად მოურჩა. აღარ აწუხებდა საფეთ-  
ქლებში მოწოლილი სისხლი. მზეც თავზე დაჭათჭათებდა. უეცრად რაღაც  
სისადავე და სიმჩატე იგრძნო ტანში. მოუნდა სირბილი, ხმამალა ტკრი-  
ალი და გაფრენა. გაიჭკა, იქვე საბზევეს თავზე დადებულ მუთაქას ხელი  
წააელო, გულში ჩაიხუტა, მკლავები მოუქარა და ციბრუტივით დატრი-  
აღდა. დიდხანს იტრიალა ასე და კვლავ თავბრუ დაესხა. წაბორძიკდა და  
ნამჯაზე გაიშლართა. თავსახვევი გაეშალა, და შავი თმა ყვითელ თივაზე  
ისე მკვეთრად მოსჩანდა, როგორც აბრეშუმის ყვითელ შულოზე დაგდ-  
ებული შავი ძაფის ბურღი.

როცა თავბრუმ გადაუარა, ისევ ზეზე წამოდგა. მუთაქას ხელი წა-  
მოავლო და შეაბურთავა. ეს ძლიერ მოეწონა და რამდენჯერმე გაიშე-  
ორა. მუთაქას თავზევით ისროდა და სიცილ-კისკისით იჭერდა.

ბოლოს ესეც მოსწყინდა. მუთაქა ისევე საბზევეს თავზე დასდო და  
იქვე მდგარ შავი ქლიავის ტოტს ხელი მოავლო. ზედ ჩამოეპორწიალა,  
ტყუბად ფეხები გაიქნია და მეორე ტოტზე გასდო. მერე წელი ასწია,

აიზნიქა და ბორჯღლებში მოექცა. ჩამოჯდა, ზურგიით ხის ტანს მიეყრდნო. ხელები ზემო ტოტებს მოაველო და ისეთი სიმღერა შემოსაძახა, როგორიც მათ სოფელში მზიარულმა კოლმეურნეებმა ერთდროულად მზის კრფის დროს, შეჯიბრში.

შეჯიბრება

მღეროდა ხურომან თავდავიწყებით, არ უწყევდა ანგარიშს, თუ ვინმე ესმოდა მისი ამალღებულები ხმა და არც იმაზე ფიქრობდა, უყურებდა თუ არა ვინმე მის მუთაქით თამაშს თივაზე. მღეროდა თავდავიწყებით.

ამ დროს, ამ გართობის წუთებში ქვემოდან მოესმა ფეხის ხმა და ლაპარაკიც.

— დაშთამირ შინ არის? სალამი!

ხურომანს ხმა ჩაუწყდა. თვალთ დაუბნელდა. შეამჩნია რომ ქლიავის დახუნძლული ტოტები დატრიალდა, მათი მიწური ვეებერთელა სიგრძის ოთხკუთხედ გორაკს დაემსგავსა.

გონს აიღამირის მკლავებზე მოვიდა, იმავე ნამჯაზე, სადაც ის მუთაქას ათამაშებდა. აიღამირის შავი, გარუჯული და ახლად მოპარსული სურნელწაცხებული სახე ისე ახლოს ჩასჩერებოდა, რომ ნემსებივით გაფშეკილი ძუასებრ უღვაშები ნესტოებში უღიტინებდა.

— გამშორდი! ვაალაპ! გამშორდი! დაშთამირ და ხალა სამუშაოდ არიან!.. — შეპკიელა ქალმა და აიღამირს თავისი მაგარი ხელები ისე გაუჭირა მაჯებში, რომ ვაჟკაცს ტკივილისაგან თითები გაუშეშდა და სახე დაემანჭა.

აიღამირი იმავე ყიშლაყელი, ქალაქში გაჩვეული ვაჟი იყო. ამბობდნენ: აიღამირის მამა მდიდარია და ამიტომ კოლმეურნეობაში არ ღებულობენ წევრადო. თვითონ აიღამირი კი ხან ბაქოში, ხან ტფილისში და ხანაც განჯაში დადიოდა. თვეობით სოფელშიაც რჩებოდა. იცვამდა ისე, როგორც ქალაქელი. შინ მუშაობით თავს არ იწუხებდა.

აიღამირს ხურომანი თვალში მოუვიდა ერთხელ, როცა ბამბის ყანაში დასეირნობდა, არხების გასწვრივ, ჩრდილში. იმ დღიდან ყოველ ღონეზე ხმარობდა ხშირად შეხვედროდა. ხურომანიც ამჩნევდა ამას. ზარდაცემულივით გაურბოდა მის გაცრეცილ სახესა და წავივით მრგვალ ბრჭყვიალა თვალებს.

აიღამირი ეზოს გადაღმიდან დიდხანს უყურებდა და უთვალთვალებდა ქალს. ხურომანი ხეზე შეეცოცდა, ტანსაცმელი აუფრიალდა. ვაჟმა ველარ მოითმინა და კატუნისაგვით ეზოში გადაიპარა.

ხურომანი წამოდგა. ტანისამოსი გაისწორა. თმა გაიკეთა და მიწურისაკენ გაქცევა დააპირა, რომ აიღამირმა ისევ იკითხა:

— მაშ დაშთამირ შინ არაა? არც ხალა?

— ვაალაპ! აკი ვითხარ არ არიან მეთქი!

— მე კი მეტად დიდი საქმე მქონდა. მეტად დიდი, ალაპის მადლმა! — თქვა აიღამირმა და განგებ ვითომ წასასვლელად ზურგი შეაქცია.



— იქნებ მე შემძლია მაგიერობა გავსწიო, მითხარ! ჩაილაპარაკა ქალმა, საჩქაროდ, თან იგონებდა, რა სამეზობლო უნდა სკიბიბობდა მათგან აიღამირს. იგონებდა და ვერ მოეგონებია.

— ხურომან, ჩემო ღურაჯო, შენ ვერაფერს გამიკეთებ <sup>ეგვიტყე</sup> <sup>მათი ჩემი</sup> <sup>წესად</sup>. ეს ძნელია, იმ სამეზობლოს შესახებ ჩვენი ჩვეულებაა არაფერი გვითხოვთ მას, ვისაც ის ნამდვილად შეეხება. მის პატრონს კი...

ხურომანი აიღეწა, გაწითლდა; სხეულში ისეთმა სისუსტემ დაუარა, რომ კინალამ იქვე ჩაიკეცა. მიხვდა, რაზედაც იყო მისული აიღამირ. სამეზობლო ქალი იყო თვითონ ხურომანი. გულის წასვლას ცოტალა უკლდა. თვალები ცეცხლნარეც ცრემლით ავესო და გასავათებულმა უთხრა:

— ჰო, ალაპ! ისევ დაშთამირს ელაპარაკე, ისევ ხალას გაუგზავნე მაქანკალი!

— შენ კი რალას მეუბნები, ჩემო ღურაჯო? შენი სიტყვა რალა? — ჩაიკეცა აიღამირი და ათრთოლებულ ქალს ბეჭებში ხელი მოჰკიდა, გულზე მიიყრდნო და ჩაიკეცებით ჩაჰკითხა: — შენ, შენ რალას მეუბნები?

— მე რა უნდა ვითხრა!.. აკი ჩვენი ჩვეულება არაა!.. რა უნდა ეთქვა!.. ჰო! ალაპ! დამითარე!.. ხალას მეც გაუმხელ!.. ვეტყვი!.. კეთილია, ჩემთვის ბედს არ დაიშურებს, ალაპ!..

ამ სიტყვებზე აიღამირმა შემოატრიალა და ტუჩებში ჩაეკონა. ქალი შეტორტმანდა დაქერპილი ნადირივით და ხელიდან გაუსხლტა. აიღამირმა მესამედ მიიტანა იერიში, ისევ ეტყერა და იმის მაგიერად, რომ ქალის ტუჩებს დაჰკონებოდა, ლოყაში მაგარი მჯიღი იგრძნო და ახლა თვითონ გავრდა თივაზე.

ზეზე რომ წამოდგა, ხურომანი აღარსად ჩანდა და მიწურის კარიც დახურული იყო. ხურომანმა შიგნიდან კარი ჩაიკეტა. დარცხვენილმა აიღამირმა გასწია სოფლის შარასაკენ. გზად ბევრს ფიქრობდა. თვალწინ ედგა სულ რამდენიმე წუთის წინად განცდილი წუთები და რაც გზაში საგანი ხედებოდა, ხურომანი ეგონა. ბოლოს ერთ ბეჭობზე წამოწვა გულ-ალმა, პირზე ცხვირსახოცი გადაიფარა და გაირინდა.

სიხარულისაგან გაშტერებული ხურომანი ცეცხლს მიუჯდა. ბედნიერებისაგან ისე იწოდა, რომ ვეღარ გრძნობდა ცეცხლს, რომელიც წვავდა და წვივებს უჭრელებდა.

ოჯახის შეწყვეტილ საქმეს უნდა შესდგომოდა. ამისთვის საჭირო იყო გარეთ წარამარა სირბილი, ეზოში წყლის გადაქცევა, წივის შემოტანა, ცხერების მოვლა და ლოგინის შემოზიდვა. კარის გაღება და გასვლა არ უნდოდა. ეშინოდა, აიღამირი ისევ გარეთ არ დახვედროდა. ცალკედული კბე მიიდგა, შეეცოცდა, ერდოდან აძვრა და ბანზე ფრთხილად გაწვა. დაათვალიერა. აიღამირი წასულიყო. ერდოდან ისევ ჩაეშვა მიწურში და კარი გააღო. შეუდგა ოჯახის საქმეს და ისე ხელმარჯვედ, რომ მთელი

დღის საჭმე ორიოდ საათში მოათავა. პატარა ხნის შერე ჩამოკიდულ თოკებში სადღეები ჩაამაგრა და რხევა დაიწყო.

გაახსენდა აიდამირი. ვაჭი თითქოს იქვე იდგა და ელაღვრებოდა. ყურში ესმოდა სიტყვები „ჩემო ღურაჯო“, ტუჩებზე გლახოვნა ქემსებით ჩხელეტია უღვაშებს.

შემდეგ სულ გადაავიწყდა აიდამირი. სადღაც შორს გაფრენილ წლებს დაუბრუნდა. მოიგონა დედა, მამა და პატარა დაძმები, რომლებიც ყვა-ვილმა ერთ კვირაში ამოწყვეტა. გაახსენდა, როგორის თავდადებით უვლი-და მათ ხალა. პატარა დაობლებული ხურომანი ხალამ თავისთან წაი-ყვანა აღსაზრდელად. აგერ დაქალდა კიდევაც. დრო მიუღის. შრომობს, მუშაობს როგორც ნამდვილი ვაჭკაცი. ხალას ერთხელაც არ წამოცდენია არაფერი მის ვათხოვებაზე. გაახსენდა დაშთამირის (მამობილის) წარ-ბებჭვეშ ქურდული გადმოხედვა და ჟრჯოლამ აიტანა.

ამ დროს სადღეებელი ჩამოუვარდა. კინალამ ერბო და დო დაეღვარა. ამან ხურომანი შეაშინა, მაგრამ ისევ ჩქარა გაასწორა სადღეებელი. მო-აწყო და ხელის თანაბრობით დაარხია. სადღეებელი ნელა ცურავდა. ახლა ბავშვიანი აკვანი წარმოუდგა. კედელზე ჩამოკიდულ ზედატანს ხელი მოავლო და თითქოს სადღეებელში ბავშვი წევს და გაციების ემინიარ, ზედ გადააფარა. საძინებელ მიწურშიც გავიდა. სკივრიდან ამოალაგა ათიოდე მეტრი აბრეშუმის ნაჭერი, ამდენივე საცვლებად შესაკერი მიტ-კალი, ჩითი, აბრეშუმის დარაია და ყველაფერი სადღეებელს შემოახვია. შეჭკოჭკა, დაფუთნა და არტახების მაგივრად ღვედები გადააკრა.

ყველაფერი ეს ბამბის კრეტაში აღებული ავლა-დიდება იყო. კარგ გუნებაზე მყოფს, ცხოვრება ისე ადვილად ეჩვენა, როგორც სავესე ქაშა-ნურით თბილი რძის შეხვრება.

ფიქრში გართულმა ნელი, თათრული ბაიათის მსგავსი ნანინა და-ამღერა. სწორედ ის ნანინა, რომელიც მას თავის საყვარელ დედისაგან გაეგონა და ახსოვდა.

სადღეებელში დო და კარაქი დაცალკალკევდა. რხევა კმაროდა. ამი-ტომ სადღეებელი, როგორც იყო შეფუთვნილი, ისე დასტოვა და ეზოში გავარდა. ფოცხს ხელი წამოავლო და ეზოს დაგვა-დასუფთაებებს შეუ-დგა. ეზო დიდი არ იყო. ჩქარა დაასუფთავა. ცხვრებს წყალი დააღვებო რუზე და ისევ მიწურში შებრუნდა.

ნაცრიდან პურები ამოჰყარა და ისევ სადღეებელს მისდგა. აჩემებუ-ლი სიმღერა კვლავ წამოიწყო.

ღია კარიდან ჩრდილი შემოიშარათა. მიიხედა. დაინახა სახეგაბრწყი-ნებული ხალა, რომელსაც ილიები მწვანე ხახვით ქონდა სავესე და გარ-შემო შემოკაპიწებულ კალთებშიაც ბევრი რამე ელაგა. ხალას ბაღში გამოველო.

— შენ კი გენაცვალოს შენი ხალა! — წამოიძახა ხალამ და საყვარელი დისწული გადაკონა.

ხურომანი ბედნიერი იყო.

ხალამ სადღეებელს შეხედა. ჩაფუთვნილი რომ შემოვიდა და იქვე ჩაიკეტა. შემდეგ წამოდგა და ისევ ჩაიკრა გულში დისწული.

— შეილები მოგდომებია, ჩემო კარგო ციკანო? მერე როგორ? მერე ვისთან? რამ გაფიქრებია! აი შეაჩვენოს ალაპმა ქალიშვილი! თუ გინდა ცხრა კლიტულში ჩასვი იქაც მოახერხებს მამაკაცზე ფიქრს, და თუ სხვა ვერაფერი მოახერხა, დედოფალას თავის კაბის ბოლოდან გამოიყვანს.

ხურომანს შერცხვა. კედელთან დამნაშავესავეთ აიტუხა. ჩემი სლუკუნი მორთო. ხალა უფრო გადაიჩია სიხარულით. კისკისს უმატა. ხურომანი ბრაზობდა იმ სასიამოვნო სიბრაზით, რომელიც ისევე არსებობს, როგორც სიმწრის სიცილი და ტირილი.

უბოში ხმაური ატყდა. დაშთამირი მოდიოდა. თანაც ცხვირს მძლავრად აცემინებდა. გამოჩნდა კიდევაც. შინ შემოვიარდა, კედელზე ჩამოკიდებულ ცხვირის ტყავს ხელი დაავლო და ბანზე სალამოს ლოცვად დადგა.

— ალაპ! ალაპ! — ესმოდათ მისი ხმა ქალებს ერდოდან და თვითონაც სულგანებული ისმენდნენ.

ლოცვის შემდეგ დაშთამირი სადღაც გაპტრა. მზე ჩასული იყო, შინ რომ შემოვიდა. ცოლს არც კი შეხედა და რალაც საეჭვოდ დაქვეტილი თვალებით ხურომანს ჩააცქერდა. მერე „ვანსაბანი“ წყალი მოსთხოვა. ხურომანი გაშრა, გაფითრდა. ვანსაბანი წყლის მოთხოვნაზე, ხალა თოფნაკრავივით მოსწყდა ადგილს. ხურომანი მიეშველა. რალა მიშველება იყო... უველაზე საყვარელი დისწული ხალას უკვე შემოკოცებული გველივით სძულდა. მის მისაშველებლად გაწვდილი ხელებიც ქვეწარმავალის მგლინავი კანივით ეჩვენებოდა.

— გამცილდი, შე ბაყაყო! — წამოიყვირა ხალამ. წამოვიარდა. ხურომანს სწვდა, ხელი ჰკრა და კუთხეში დაგროვილ ხარა-ხურას დააჯახა. ხურომანი მიხვდა, რად გაბრაზდა ხალა. თვითონ სასოწარკვეთილუბაში ჩაეარდა. თავის მოკვლა ერჩია. ხალაც არ ცხრებოდა. თავპირს იკაწრავდა და თმებს ივლეჯდა.

— მანამდი არ გასძლე, სანამ შენ, ჩემი ქმრისა და ჩემს სახლში მეორე ცოლად არ დაგსვა. შე ბაყაყო, შე ბამბიდან გამოსულო გველო!

ხმაურზე დაშთამირიც შემოვიდა. ხარა-ხურაში ჩამხვლეველ ხურომანს ხელი მოხვია და წამოაყენა. ცოლს შეუბღვირა, ხოლო ხურომანს უბრძანა ჩაი მიერთმია მალლა ბანზე, მარტოს.

ამან მთლად კეუიდან გამოიყვანა ხალა. ქალს ყელში წვდა. ახრჩობდა და თანაც ეუბნებოდა:

— არა, არ მოგასწრებს ალაპი შვილებს და ბედნიერ კარგებას! მაგას რომ შვილები გასჩენოდა, განა ოცდაათი წელიწადი ერთად არ ეცხოვრობთ!? ჭირიანმა შემირთო და მეც დამაჭირიფნე ყვეფურმუჯერ მომწყდა მუცელი... აი თურმე რაზე ფიქრობ, აი თურმე რას უფიქრებს მაგ უწმიდღურ გულში? ალაპმა ქნას, ახლა ჭირი შენც შეგყროდეს! ალაპმა ქნას, უნაყოფოდ გადასულიყო საფლავივით!

ხალა დაიღალა, გასავათდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მოეშვა და მიეგდო სველ სოხანზე. ჩაი ბანზე თვითონ აიტანა. იქ უარესი ამბავი დატრიალდა. დაშთამირმა ბრძანა, ცოლი ძირს ჩასულიყო, ჩაი კი ზურომანს აეტანა. ხალას მეტიც აღარ უნდოდა. ხონჩა მოაპირქვავეა ქმრის თავზე. მერე ზევიდან დააცხრა და გაფუფქული ქმრის თმებს ნიაეს ატანდა.

დაშთამირ სულაც არ მოელოდა ცოლის ამგვარ წინააღმდეგობას. გაბრაზდა. წაეკიდა. გააშრებული ქალი სამაგიეროდ ერთზე ათს ეუბნებოდა. ხელის ერთი მიკარების საპასუხოდ ასჯერ ცემდა, რაც ხელთ ჰყვებოდა. თანაც გაანჩხლებული გააკიოდა. სოფელი ლამის ბანებზე გამოიკრიაფა.

— მე სოფლის საბჭოსაც მივაგნებ, შე არამზადე! დიახ, საბჭოსაც მივაგნებ! თუ საქირო ვახდა, იმის იქითაც წავალ და მაშინ გაკბედე და ეგ შენი მურტალი განზრახვა აისრულე!

სოფლის საბჭოს ხსენებაზე დაშთამირ მოტყდა. ცოლის მეჭარა შიგ თვალეში მოხვდა, როგორც ორი თითი, და სული გატეცინა შეშინებულ კაქკაქის ბახალასავით.

ნაშუალამევს გაათავა ხალამ ქმრისა და დისწულის ლანძღვა-გინება. ყბებს ველარ ანძრევდა და ზეზეც ველარ დგებოდა. დაშთამირმა ნაბადი მოძებნა, ბანზე ქეჩა გაიგო, თავით სასთუმალი მიიღო და დაიძინა. ხალამ აღარ იცოდა ახლა ვის დასტაკებოდა. მძინარე ზურომანი მღუმარედ ეგდო ძირს თავის ნესტიან კუთხეში. ხალა ადგა, ზურომანთან ჩაეკიდა, ერთი ქოქოლა მიაყოლა და როცა კვლავ ბანზე ავიდა, გაიფიქრა: „ავია თუ კაიათ, ქალო შენი ქმარიო“, და ქმრის მახლობლად, თეჭის კედლეზე მიეგდო. სახრე, თვითონაც არ იცოდა — რა „პირუტყვის“ გასადენად, ახლოს მოიღო და კურდღლის ფხიზელი ძილით დაიძინა.

ქმრის გამოღვიძება, გვერდისცელა, შემშუშვნა ერთი იყო და ხალას წყეველა და მეჭარა ათასი. ამით დაშთამირს იმდენი შიში დაუგროვა გათენებამდე გულში, რამდენიც ფანატოკოსის და ავადმყოფობისაგან გატეხილი შუახანს გადაცილებული კაცის გული მას დაიტევს.

— გათენდა თუ არა, ხალამ ქმრავი წინ გაიგდო, სოფლის ბოლომდე გააცილა სამუშაოზე, ორიოდ რიყის ქვა ფეხებში მიაყოლა სათანადო წყეველით. სიკედლის, ღამით დახრჩობას, თვალეების ამოკაწერას დაემუჭრა და შინ მობრუნდა.



ხურომანი პირვედადებულიყო და გულამოსკენილი ტიროდა. ხალა შინ შევიდა. ჭალი რომ ამ ყოფაში ნახა, გულცივობას შეეკატა. მკერამ მასში ამგმა და დის სიყვარულმა გაიღვიძა. წყველითა და მუქიროთი დასწული ანუგეშა. წამოაყენა და ყველაფერი გამოკითხა.

ხურომანიმა დეიდა ძლივსძლივობით დაარწმუნა, რომ მას და დაშთამირს შორის არაფერი არ მომზდარა. აიდამირის ამბავი კი დაუფიქრა. ჭალმა გათხოვების სურვილი გამოსთქვა. დეიდა გაახარა ამან და ჩამოუთვალა ყველა საქმრო ვინაც იმის შესაფერისად ეგულებოდა.

ხურომანი არც ერთზე არ თანხმდებოდა.

— ფიცი მწამს და ბოლო მაკვირებს! — შეუტია ხალამ. — მაშ ჩემს ქმარს უვარობ და ისაა, სხვა რალა უნდა ვიფიქრო!

— იცოდეს ალაჰმა, ხალა, დაშთამირ მამასავით მიყვარს, იმის გულში კი რა შაითანები დაბუდებულა, არ ვიცი.

— მაშ თუ ასეა, მე მოგიძებნი საქმროს. ქვეყანას გადავებრუნებ. ნათრევიც რომ იყო, მაინც არ დაგერიდება კაცი. ბებერს მაინც მოენახავ!

თქვა ხალამ. მცირედი ტუქსევა კიდევ დააყოლა ამ მუქარას, მერე „ბაყაყო“, „ბაყაყო“-ს ბუტბუტით დისწული გულში ჩაიკრა და გარეთ გიფით გაეჭრა.

ხალა თავისი ტოლჭალები საშუალებით შეუდგა საქმროს გამორჩევას. ხალა უარესად გაბრაზებული მობრუნდა შინ.

სოფელში ჭალები დასცინოდენ და ეუბნებოდენ:

— დაშთამირ ჯერ ისე არ გასულელელებულა თავისი მეორე ცოლი ვინმეს გაატანოს.

დაშთამირ ამით ძალზე ნასიამოვნები იყო და რაც უფრო ბრაზობდა ცოლი, მით უფრო კმაყოფილი ხდებოდა. თანაც ამბობდა თავისთვის: „აი ალაჰმა შეაჩვენოს შენი თავი, რაც მე, ეგ შენ არა გკითხოო“.

თანაც დაშთამირს გულში ჩაესახა სურვილი — ცოლის ფეხები აღრე-დამალე გაფშეკილი ენახა. წამდაუწუმ ხნოვანებასა კკითხავდა.

ხალა ფრთხილობდა. დაშთამირს და ხურომანს ერთად არსად ტოვებდა. მარტოდ-მარტო შეხვედრის საშუალებას უსპობდა და თუ ერთს ერთ მხარეს გააგზავნიდა, ცდილობდა მეორე სულ მეორე მხარეს გაეგზავნა და თანაც უთვალთვალებდა.

არ ეძინა, დღედაღამ კრუხივით ქოთავდა, ლეკვებიან ძუკნასავით იღრინებოდა, ქვეწარმავალივით სისინებდა და მთელ ოცდაოთხ საათს, როცა კი თვალი არ ეხუტა, რკალივით ჭრიჭინებდა. იგინებოდა და ილანძლებოდა. სწუხდა ძლიერ, რომ იმ ყვავილმა, რომელმაც მისი საწყალი დიი ქმარშვილიანა ამობავა, რატომ ხურომანიც არ მიაყოლა მათ.

## II



აიღამირ ახლოს ცხოვრობდა. ჩქარა შენიშნა და შეტყობინა უფროსებში დატრიალებული ეკვიანობა. აიღამირსაც ეს უნდოდა, მაგრამ მისი დაშთაშორისას სიარულს ჩაის სასმელად და ნარგვილის საწვევად.

ერთი მიზანი ქონდა. უნდოდა ხურომანთან ახლოს ეტრიალა. მართლაც პირშებურვილი ხურომანი ხშირად შედიოდა. ხან ჩაი შექქონდა, ხან ნარგვილას მართავდა.

აიღამირი ღამით გვიან მიდიოდა ერთი აჩემებული გზით. ეს გზა ხურომანმა ნატერფალებივით დაისწავლა. ერთხელ კი აიღამირი ერთ ალაგას დიდხანს იდგა და პაპიროსებს უკიდებდა. ხურომანი დღე-დღეზე ელოდა, რომ ხალას მაკანკალი მოუვიდოდა აიღამირისაგან. ამის სამახარობლოდ მას მზად ჰქონდა ხალასათვის სიკედილამდე სიყვარული და გოფხდელი ფეხის გულები დაკონა. მაკანკალი არსად ჩანდა. შინ მდგომარეობა მწვევადებოდა. დაშთამირმა ერთხელ იერიში მიიტანა ხურომანზე და ისეთი აღიაქოთი ასტყდა შინ, რომ მიწის გაბობა და შიგ მოყოლა ერჩივნა.

ხურომანს ის ამ დღის შემდეგ ისე შეზიზღდა, რომ მზად იყო ზედაც არ შეეხედა. ამიტომ გაათავებდა თუ არა საქმეს, სადღაც ნამჯამი გატეჭდა საწოლს და შინ არ შედიოდა. აქ მარტო ფიქრობდა თავის მწარე ბედზე. ღვრიდა ცრემლებს.

შუა ღამე იქნებოდა, რუს გადაღმა ასანთის სინათლე გამოჩნდა. ხურომანი მიხვდა, რომ აიღამირი იცდიდა თავის ამოჩემებულ ადგილას და პაპიროსს ეწეოდა.

ქალს სიცოცხლესავეთ მოსწყურდა მისი გამოლაპარაკება. შინ ხალას და მის ქმარს ეძინათ პირველ ძილში.

ხურომანი ფეხაკრეფით გამოვიდა. გადასჭრა ეზო, არხი, სოფლის მეორე მხარეს მოექცა ამომშრალ და მარილივით გათეთრებულ ნაგუბართან. ბექობიდან ვილაკამ წამოიწია. ხურომანმა აიღამირი იცნო. ორივენი ერთმანეთისაკენ გაიტყვნ. აიღამირმა ხურომანი ხელში აიტაცა. გავგნებული ქალი არ იძროდა. მაგრამ, როცა ვაქმა საზღვარს გადაბიჯებდა დააპირა, ქალმა ღონე მოიკრიბა. მოსწურა თავისი მძლავრი მკლავებით. ვაქს ტკივილისაგან ხელები აუკანკალდა და ქალი მიწაზე დადო. ქალმა ხელები შეუშვა. ერთხანს გამოშტერებული იდგა. მერე ნაგუბარის პირად ჩაეღუკა და ტირილი მორთო.

შერაცხენილი აიღამირი ახლოს მიუჯდა. მოეფერა, დაუყვავა, ანუ გეშა და შემდეგ ხალას ამბავიც ჰკითხა.

— ეგ ერთადერთი პატრონი მყავს და მაგასაც უსამართლო აღაპი ხელიდან მაკლის! — ჩაიბუტბუტა ქალმა და სიტყვები ღაბაღუნა ცრემლებით მოაკურა.

— მეორე პატრონი მეცა ვარ! — ეშმაკურად ჩაურთო აიღამირმა.



— მერე რაში გამოჩნდა შენი პატრონობა? — მიუგო გულამირმა დაბრ-  
მა ქალმა.

აიღამირმა ნეკზე იტბინა. აპირებდა თავი გაენებებინა, მაგრამ ქალი  
ზღუკუნებდა. დანდობილი იყო. აიღამირმა ის ჯერ გტყუროს! ქა  
მერე გადააწვინა ქაჩალა მოლზე.

— ხურომან! ალაპი იყოს მოწმე, ძალზე მიჭირს. მთელი სოფელი  
დაშთამირის მეორე ცოლად გთვლის, ნაჩუმათევ ცოლად. აღარ ვიცი, რა  
მოვახერხო, რა ვიღონო!

— ბაქოში წამიყვანე, სადაც შენ დადიხარ. ვიწრომებ. დღესა და ღა-  
მეს გავასწორებ, შენ არც კი გაგრაჯი, სულაც მე შეგინახავ. შენ ისედაც  
სუსტი ხარ და ჯანიანი ცოლი არ ვირჩენია?

— ო, მეც მაგას ვუციდი, თორემ აქამდე გაეთავებდი საქმეს, მაჭან-  
კალს მოვვზავნიდი, მაგრამ ბაქოში ჯერ ბინა არა მაქვს. საქმეს ეს უფრო  
აპირებს, თორემ აქაურების ენა იმდენი არაფერია.

— მაშ თუ ასეა, შემიბრალე, აიღამირ! ობოლი ვარ. ჩემი ჯანისა და  
ხალას მეტი არავეინა მყავს. ხალასაც ალაპი მართმევს, დაშთამირ კირიანი  
და ბოროტია. რომ დამკუწონ, რომ მომკლან არავეინა მყავს მოსარჩლე,  
ჩემო აიღამირ!

აიღამირი იღიმებოდა. გაიგო ქალის მტკივანი გულის კუნჭული და  
ისეთი ენა გაუშალა, რომ დააჯერა იგი: მათ მარტო ალაპი თუ დააშო-  
რებდა. თანაც ნახად გადაჰკოცნა ქალის მარტილიანი ლოყები.

ნატანჯი ხურომანი ახლა სრულიად ბედნიერად გრძნობდა თავს. მო-  
ეშვა, მოწყდა, თვალეები მინაბა და შემდეგ რა მოხდა, წარმოდგენა  
უქირდა.

ზეზე რომ წამოდგენ, აიღამირმა შინისკენ წასვლა დააპირა.

— ჩქარა იშოვე ბინა ბაქოში, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლე! მეც  
მოგეხმარები, აი, პატარახანს აქ მომიცადე და ეხლავ მოვალ!

თქვა ქალმა და სიბნელეში გაქრა. შინ ფეხაკრეფით შევიდა. ბამბის  
კრეფაში აღებული მატერიები და ორი ცალი დედისეული ოქროს მოუ-  
რბენია აიღამირს.

იმანაც მატერიები უბეში ჩაიკუშნა, ოქროები კი ჯიბეში ჩაიღო. მერე  
ისევ ხურომანს გარს ბარდივით შემოეხვია. ახლა ხურომანი აღარაფერს  
უშლიდა. თუმცა არ იყო დაჯერებული სწორად მოიქცა თუ არა, მაგ-  
რამ არ ჩიოდა, რადგან აიღამირი თვითონ გაგიყვით უყვარდა.

ცოტახანს კიდევ დაჰყევს მინდორზე. განთიადის ვარსკვლავები გა-  
ჩნდენ, შინისაკენ რომ წავეიდენ.

ასე გაგრძელდა ორ კვირას, სანამ აიღამირ ბაქოში არ წავეიდა.

ამ დღიდან ხურომანს თვალი გზისაკენ ექირა. წამსვლელი და მო-  
მსვლელი არ ეპარებოდა. შინ რაც ძალი და ღონე ჰქონდა შრომას თავს  
აკლავდა. ხალას და დაშთამირის დროებითი შერიგებაც მოხდა, თუმცა

ხალამ ვერასგზით ვერ დაიყოლია ქმარი ხურომანისთვის „მგალი“ დაე-  
რქმია და მის გათხოვებაზე ეფიქრათ.

შემოდგომაზე ხურომანი ბამბას სამუშაოდ გავიდა, გულან კამით მო-  
დიოდა შინ სხვა თავის ტოლ ქალებთან ერთად. ის ეროვნულ-მშენებლურ-  
განი იყო, რომელიც ყოველდღე კრეფის ახალ ნორმების რეკორდს ამყა-  
რებდა და ისეთი გამომუშავება ჰქონდა, რომ ყველა მკრეფავი კვირობდა.

ხურომან გაზეთშიაც ჩაბატეს და გასწერეს. ბრიგადირადაც აირჩიეს.  
თავის ბრიგადის წევრებს ისეთი ხელმარჯვე კრეფა ასწავლა, რომ ყვე-  
ლა ბრიგადაზე წინ გამოიყვანა.

მუშაობდა ხურომანი ჩემად და გულდადებით — აიღამირის და მა-  
ქანკლების მოლოდინში. ხანდახან მხიარულობდა, იცინოდა კიდევაც და  
ფერხულში ხომ ტოლი არა ჰყავდა.

მაგრამ მისი მხიარულობა გადნა, როცა ერთ დღეს ორსულობა შე-  
იტყო.

აიღამირი არ ჩანდა, ხალა ეჭვიანობდა. ხალას ქმარი დაშთამირა ში-  
შის ზარსა სცემდა თავისი მგლის თვლებით.

ერთი რამ ანუგეშებდა მხოლოდ. ხალა დარწმუნებული იყო, რომ  
დაშთამირსა და მის შორის ცუდი არაფერი მომხდარიყო, გარდა იმისა,  
რომ დაშთამირს ის მეორე ცოლად უნდოდა.

ეს მეტად ცოტა იყო. ხურომანი ელოდა თავის მოჭრას, გამოაშვარა-  
ვებას, ცხენის ძეაზე დაგლეჯას და შინიდან გაგდებას. ამას კიდევ ის  
დაემატა, რომ ნიეთები დაჰკარგა. აიღამირი გამოჩნდა, მაგრამ თან ვი-  
ლაც ქერა ქალი ჩამოიყვანა ბაქოდან. ქერა ქალი მის აბრეშუმებში იყო  
გამოწყობილი. ხურომანმა სცადა დალაპარაკებოდა აიღამირს, მაგრამ ის  
გაუბრბოდა და ერიდებოდა. შემდეგ კი ბაქოში წავიდა თავისი ცოლიანად.

გადიოდა ცვირებები, თვეები, მუცელი თანდათან ეზრდებოდა. ამის  
ისე ეშინოდა ხურომანს, როგორც სიკვდილის. ერთხელ კაბის სათავის  
გადაკეთება მოუხდა. ნემსითა და ძაფით ხელში გული ორჯერ წაუვიდა.  
რა ჰქნას ხურომანმა? ვის უთხრას თავისი გასაქირი? ვის გაანდოს? რა  
უპასუხოს როცა, მტირალს მოასწრებენ? ვის გაუტყდეს? ხალას? განა ხა-  
ლას, ქმრისაგან გამწარებულ საყვარელ ხალას მესამე და მეშვიდე ცეცხ-  
ლი ეპირებება შესანთებად? აბა ვისლა უთხრას? დედას?

დედას, საყვარელ დედას დიდიხანია საფლავში ძინავს. ძმებსაც და  
დებსაც. ამხანაგისათვის, ტოლისათვის გამზელა საქვეყნოდ დაყვირებას  
ნიშნავს. კარგად იცის ხურომანმა, რომ მის ამხანაგს სხვა კარგი ამხანაგი  
ჰყავს და შუბი ხალთაში არ დაიმალება.

დაყუმიდა, დადუმდა ცქრილა ხურომანი. პირს იშვიათად აღებს. დარ-  
დი და ვარაში მის ისედაც მშვენიერ სახესა და თვლებს უფრო ამშვე-  
ნებს, ალამაზებს. როცა შინაა ხურომანი, თუ სხვა საქმე არაფერი აქვს,  
ნებხსა და ნავაეს ეზიდება ეზოდან მახლობელ ბალებში და მიხდორში.



დაშთამირ ვერ ხედება, რად იწვევტს ბავშვი შრომით წელს ხალას ეს კითხვა არც კი მოსვლია თავში. ეს კი იყო, რომ ოჯახმა საქმოდ წამოიწია. ძროხები, თხები და ცხვრები კარგად იწველებოდა. კრეფიდან კარგი შემოსავალია. კრავები, ხბოები და ციკენები მშველსისხინტით არიან მოვლილი. ყველაფერს ხურომანი ქორივით თავს დატრიალებს. ათას საქმეს აკეთებს.

ამასობაში ბავშვის დაბადების დროც ახლოვდებოდა. ხურომანიც თანდათან პირქუში და სასოწარკვეთილი ხდებოდა. ხვნეშოდა და ჩიფჩიფებდა თავისთვის. ხანდახან გაშტერებული იღგა და შორს იყურებოდა, გზისკენ, თათქოს ვილაცას მოელის იმ მხრიდანო.

დაშთამირ სადღაც წავიდა. ხალა და ხურომან შინ დარჩენ. ხალამ რატომღაც სკივრები გამოალაგა და ვერსად ვერ ნახა ვერც ჩითები, ვერც აბრეშუმები და ვერც ოქროები. ცეცხლი მოეკიდა, გააკაპასდა. გაიფიქრა — „ხომ არ დაიკარგაო“ და ბოსელში ხვეტა-წმენდაში გართულ ხურომანს დაუძახა.

ხურომანი მივიდა. ხალა სკივრებში ყირამალა იყო ჩაკიდებული და ბრაზობდა ლენცოფანაქამივით.

ხურომანი მზად იყო არაფერი წინააღმდეგობა არ გაეწია ხალასათვის, თუ ის მის დახრჩობას მოინდომებდა. ნატრობდა კიდევაც, ხალა სცემოდა, ყელში ხელი წაეჭირა და იქავე გაეგულა, სამულდამოდ მოეცილებია მზის ყურებისათვის.

— გოგოვ! სთქვი, შენ ხომ არსად წავილია ის შენი ნივთები?

ქალმა დაიფიცა; ხალამ კვლავ გაუმეორა:

— კიდევ გუბნები და გაფრთხილებ: შენ ხომ არ წავილია მეთქი? თუ შენ წაიღე და მოიხმარე, ან შენახული გაქვს, ალაპმა მოგახმაროს. დეიდაშენს შენთვის მარტო კარგი ბედი უნდა და კარგად ყოფა!

ხურომანი ამაზე ატირდა. იქვე ჩაიკეცა.

— დაჰკარგე? როგორ? სად?

— იმ ჩემმა დამლუპველმა გამომტყუა.

ამოსთქვა როგორც იქნა ბოლოს.

— ვინ შენმა დამლუპველმა? დაშთამირმა? ჩემმა სასიკვდილე ჭმირმა?

— არა! არა! ალაპის მადლმა. დაშთამირ რა შუაშია, აიდამირმა დამტყუა.

ამ დროს იგი სოხანეზე ისე იყო მიგდებული, რომ თავის დაჭერა დაავიწყდა და მუცელი ბალიშით წინ გამოსვლოდა.

— ეს კიდევ რაღაა, შე ბაყაყო?

წამოიყვირა ხალამ და ხურომანს თმაში ჩააფრინდა. გასწეწა და თმების ბურღი თითებში თივასავით დაიჭირა.

— ესეც იმან დამლუპა! — ჩაილაპარაკა ხურომანმა და სასოწარკვეთილი ალიზის კედლის ძირზე მოცულილივით გაიშხლართა.

ხალას გაბოროტებამ ახლა ერთი ათად იმატა. სირცხვილი, სირცხვილი იყო. ამას კიდევ გაუძლებდა როგორმე. მაგრამ თავისი გაზრდილი, საყვარელი დისწულის სისხლი, რომ თავისი თვალში უნდა ჩნებოდა, ეს ველარ აეტანა, და თანაც არ იცოდა თვითონ რა დაემართებოდა.

ამ ოჯახში სამი წევრი იყო. სამივეს თავისი ცეცხლი წვავედა. ხალას კი სამივესი. ხალამ აღარ იცოდა, როგორ ჩაექრო ცეცხლი. ეს კი იყო, რომ მიჩუმდა. თანაც სამზადისს შეუდგა. სალამოთი დაშთამირ შინ დაბრუნდა. ხალამ მას საგზლით გავსილი აბგა დაახვედრა. დაშთამირს დიდდი ხანია სწადდა ქალაქად საექიმოდ და გასავლელად წასვლა. თანაც ერთი გირვანქა ჩაი, თამბაქო და ხუთიოდ კილო შაქარი უნდოდა ეყიდნა ზამთრისათვის. ხალამ აბგის ერთი თვალი საგზლით გაავსო, მეორე — ერბოთი.

დაშთამირს გაუხარდა და გაუკვირდა. ადრე ჩაიძინა, ადრე ადგა და გზას გაუდგა. ხალამ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი. ქალაქში ერთი კვირით წასული, მეტადრე ზამთრის პირად, ორ თვესაც არ დაბრუნდებოდა. ვინმე ძველ მეგობართან ჩამოხტებოდა. აბანოში დადიოდა, ჩაის შეექცეოდა და ექიმბაშებთან რაღაც ბოლით და კომლით თავის ძველ ვენერაულ ავადმყოფობას ექიმობდა. იქნებ შვილი გამიჩნდეს ან ტანჯვა შემიმსუბუქდესო.

ამრიგად, შინ მარტო ხურომან და ხალა დარჩენ. შეიქნა ცემა-ტყემა. ხალა საძინებელ მიწურში არ უშვებდა ხურომანს. ხურომანს ბოსელში გაჩერება გულს ურევდა, ოთხი ღამე სიცავესა და ქარში ერდოს მახლობლად თივაში იძინა და დილით აკანკალებული დგებოდა.

ხალას იმედი ჰქონდა, ქმრის დაბრუნებამდე ხურომანისათვის მუცელი მოეწყვეტინებია. რაც რამ საკუთარი ან გაგონილი წამლები იცოდა, ყველაფერი ერთად სინჯა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ხურომანი ტანჯვა-წამებას ვერ უძლებდა და წამლებს ან არ სვამდა ან შორს ისვრიდა. ბოლოს გადაწყვიტა, რაც დაემართებოდა — დამართოდა და ბოლომდე დატანჯულიყო.

ერთხელ, როცა რაღაც მცენარის ძირები შორს გაისროლა, დეიდამ ტანთ გააძრო და სხეული წკებლით აუჭრელა. საკმელი აუჭრძალა და ბოსელში გარედან ჩაკეტა.

ხალას დიდხანს არ დაეძინა დისწულის ცოდვით. დილით ადრე წამოდგა, მოაგონდა დასჯილა, კარი ისე გააღო, შიგ არც კი შეუხედავს, და რუსაკენ გასწია ქვაბით ხელში წყლის მოსატანად.

ხურომანი არც იმ დღეს და არც შემდეგ აღარსად გამოჩნდა. ხალამ ბევრი ძებნა ისე, რომ არავის გააგებია, ბოლოს თავის გულში დაასვენა, რომ იგი დაშთამირთან გაიპარა.

რა საბუთი ჰქონდა ხალას ამის ფიქრისათვის? არავითარი, გარდა ექვიანობისა.

გული ბოღმით აეცხო. თავი დააჯერა, რომ ნამდვილად ასე და გა-  
დასწყვიტა, როცა დაშთამირ და ხურომან ერთად გამოჩნდნენ. ცხე-  
ლი წყლით დაემდღღრა ან ცოცხლიც გამოეწვა ისინი. ამ ამბავს კი ჯერ არსად ამხელდა, თუმცა რაღად უნდა გაემხილა,  
როცა მთელი სოფელი ამასვე ამბობდა, ამას იმეორებდა და სასაცილოდ  
იღებდა ხალას.

დაშთამირ ორი თვის შემდეგ დაბრუნდა. ხალა შინ არ იყო. მიწურის  
კარი შეაღო, მერე გომურში შეიხედა და ნოხზე წამოწვა. აბგიდან ამოა-  
ლაგა ნაყიდები და იქვე სკივრების თავზე, როგორც ყაფაზეზე ჩა-  
მწკრივა.

ამ ყოფაში მოუსწრო ხალამ, რომელიც კარიდანვე გაკაბასებული მო-  
სწყდა და ქმარს თმასა და წვერში სწვდა. აგინა, ლანძლა და ისეთებო  
აკადრა, რისიც შემდეგ თვითონვე შერცხვა.

მერე ბეჭებში წაჰკრა, ზეზე წამოაყენა და ჭოხიდან თავის ნაყიდებით  
გამოაგდო.

— წადი, გადაიკარგე შენი კახა ცოლიანად, სადაც გინდა, თვალს  
ნუ ეჩვენებით ნურც ერთი, ნურც მეორე!

— იცოდეს და განსაჯოს ალაპმა, რაი აქედან ფეხი გავდგი, ქალის-  
თვის არც კი შემიხედავს. დედაკაცო, რამ შეგწალა ჰქუაზე, ხურომან სა-  
დაა? — იკითხა დაშთამირმა.

— ხურომან სადაა? — გადაუმეორა ტუჩების აბზუკვით ხალამ. — აი  
წყალმა წაგიღოთ ორივე და შაითანმა გაგათრიოთ ორთავე! მე მისა და  
შენი გზის მწყემსი აღარა ვარ!

— დიაცო, ჰქუაზე ხომ არ შესცდი, რა მოგდის? ხურომან სადაა?  
ალაპი და ჩვენი სალოცავის ქვა იყოს მოწამე, მე არა ვიცოდერა!

ხალამ უარესი ტირილი და ღრიალი ასტება.

მხოლოდ ახლა, ქმრის ჩამოსვლამ მიახვედრა ის, რომ საშინელი საქმე  
დამართა. შევილივით გაზრდილი დისწული გადაიკარგა, ან თავი მოიკლა,  
ან მლაშე მინდორში ნადირმა შესჭამა.

იტირა, ითავცემა. დასვენა კი მაინც თავისებური გამოიყვანა. ქმრისა  
სჯეროდა, მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ ხურომან ბაჭოში გამოუღდა მის  
ქმარს და შევილიც აიღამირისა კი არა, დაშთამირის იყო.

სოფელი შეინძრა. მიიკითხ-მოიკითხეს ხურომან. მოძებნეს ველსა და  
მინდორში, აფრინეს კაცი ილაღებზე ფიჭლის ჭოხებში, მაგრამ ხურომანის  
კვალსაც ვეღარ მიაგნეს.

### III

მთვარე საშუალოზე იყო ამოსული. აქა-იქ კიაფობდა ნაკვერჩხლები-  
ვით ციმციმა ვარსკვლავები, რომელთა შუქზე ვერცხლის ფქვილ გადა-  
ცრილივით ბრჭყვილობდა მარილოვანი უდაბური ველი.

ხურომანი ფეხაქრედით გამოვიდა გომურიდან და კარი წიხურა. ნელა გაიარ-გამოიარა ეზოში. საჩხეში შევიდა. ძროხები, ხბორები, ცვერები და თხები გადაჰკონა, როგორც ნამდვილი შეიქმნა მათგან კარი დაუგდო და სოფლის გარეთ გავიდა. ხელთ პატარა წინავეტი, უჭირა და მარილოვან ველს დაადგა.

იცის ხურომანი: შორს, საღლაღ დიდი მდინარეა, მტკვარი. იმ მდინარემდე მიტანება სურს ხურომანს. გზად იმედი აქვს, გადმოვარდნილ ვეფხს, აფთარს, ან მგლის ხროვას გადაეყაროს და გზა შეუმოკლდეს.

მირზის, ხურომან, როგორც ეამსა და ჭირს გამოქცეული. მირზის ისეთითქოს უკან მოსდევდენ ჩასაქოლად გამძვინვარებული ადამიანები ქვეთა და ბელტებით.

მირზის საათი, ორი საათი, თენდება. ველის ფრინველები წამოიშალნენ და ჭრიალ-ჭივილით მოედვენ ცას. უკვირს ხურომანს, რომ ნადირს ვერ შეხვდა. ტურის ჩხავილსაც ვერ მოჰკრა ყური. იქნებ კიდევაც ჩხაოდენ და ღმუოდენ. მას არაფერი გაუგონია, არაფერი გაურჩევია ღამესა და სირბილში.

მტრედისფრად ინათლა. ხურომანი შენიშნა ბუჩქნარი. საჩქაროდ პირი იქით იბრუნა და შიგ შეძვრა. ნადირდით ძირს დაეგდო და ასე გაატარა დრო საღამომდე, სანამ მისი ფიქრით ადამიანის მოღგმა გარეთ, მინდორში აღარ იქნებოდა.

მთელი დღე არაფერზე არ უფიქრია, არაფერი არ გახსენებია. მუცელზე იშვითად იხედებოდა და როცა დაიხედავდა, შიშისაგან მოსახრებას კარგავდა. რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო უმტკიცდებოდა თავში ერთი აზრი: დროით მიეტანებია მდინარემდე, თუ ნადირი არსად შეხვდებოდა.

ცა ისევ მოიქედა ვარსკვლავებით, ისევ აბრკვეიალდა მარილოვანი ველები. ხურომან გამოძვრა თავის საფარიდან და ჩქარის ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაჰყვა ველს.

ერთგან, მინდორში, სინათლეებით გაბღღვრიალებული სახლები იდგა. მატარებლები მიდიოდენ და მოდიოდენ.

ხურომანი კარგა ხანს მოუნდა იქამდე მისვლას. თუმცა არასოდეს არ ენახა ორთქლმავალი და ვაგონები, მაგრამ ისევე არ გაჰკვირვებია ისინი, როგორც ურემი. მოუარა აზრმა — მანქანას გაჰყოლოდა შორს და იქ მოელო თავისთვის ბოლო. ბევრიც აღარ უფიქრია. უკანასკნელ ვაგონს შეუხტა და სადგურიც ჩქარა მიეფარა თვალთაგან.

რადაც გამოუთქმელი სიამე იგრძნო მატარებლის ქროლვითა და იმ იმედით, რომ თავის გვამს უგზო-უკვლოდ დაჰარგავდა.

საფეხურებზე იჯდა და სახელურს ზედმიკრულივით ჩასკიდებოდა. მხოლოდ მაშინ მოსცილდა, როცა გაბრაზებული კონდუქტორმა მესამე

სადგურზე ძალით ჩამოაგდო ძირს და იმის ადგილას ლინდოვანებით თვითონ გაჩერდა და ფარანი ხურომანს მიანათა.

სადგურიდან ქალმა გზა პირდაპირ გადასკრა და გეზი მდინარისაკენ აიღო. უკვე თენდებოდა. მიზნობდა ვეებერთელა ბელტეზიან ნახანაქზე. ფეხი წამდაუწუმ უვარდებოდა თხრილებში.

ეცემოდა ორმოებში. მერე გზა ნახნავეებიდან ეკლებიან ბარდებში გადავიდა. ეკლები და ბარდები აკავებდა. კაწრავდა, უხვედა, ისედაც ჩამოფხრეწილ ჩითის კაბას.

მდინარე რომ გამოჩნდა, ეკლნარი ისევე ნახნავეით შეიცვალა, ისევე ორმოებში უვარდებოდა ფეხები. შორიდან გუგუნის მოესმა. ხურომანმა ის მიამსგავსა ჰაეროპლანის გუგუნს, რაც ყიშლაყის თავზე ყოველდღე ჭორივით გადადიოდა და იკარგებოდა შორს ჰაერში.

შეეშინდა. იცოდა, გაეგონა, რომ იმ მანქანებში ადამიანები ისხდნენ. მაშასადამე მისი სირცხვილი, თავისმოჭრა, ცაში მფრინავემა ადამიანებმაც გაიგეს. და აი, მოსდევნენ ხურომანს. საცაა თავს დააცხრებიან, შეიპყრობენ, დაიჭერენ, შეარცხვენენ საქვეყნოდ და აწამებენ. ხმაური და გუგუნის თანდათან უახლოვდებოდა. ეს შიშის ზარს სცემდა და რაც შეიძლო გაჩობდა. უკანასკნელი ფიჭვი ისღა უტრიალებდა თავში, როგორმე მიეწრო მდინარის პირამდე.

მართლაც ციკაბო ნაპირიც გამოჩნდა. მდინარე იქ მორევად ტრიალებდა და წყალში შესულ კონცხს ხმაურით უხვევდა.

ციკაბოზე შესდგა. გარშემო მიმოიხედა მღვრიე თვალებით. გუგუნის ახლა უფრო გარკვევით მოესმა. თანაც ადამიანების „გიაურების“ ხმაური ჩაესმა დარეტყანებულ თავში და შხუილით აესილ ყურებში.

სულ უკანასკნელად მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მალე აღარ გაეგონა ჰაეროპლანის გუგუნის, აღარ ეგრძნო დასიებულის, დაკაწრული ფეხების ტკივილი და ტეხვა.

შედგა თუ არა ქალი მდინარის ციკაბო, მოხეტყილ ნაპირს, მიწა მოძერა და ქალიც თან გადაიტანა.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს რაღა უბედურებაა ამ დილით! დაუძახეთ ყველას, ვინც ცურვა იცის! — შესძახა ბრიგადის უფროსმა ტრაქტორისტმა და წყალით სავსე ვედრო იქვე მიაგდო.

უმალ კი თვითონ გაიძრო იუხტის ჩექმები, ტყავის ქურთუკი, შარვალი და გადაეშვა შიგ შეაგულ წყალში. მას ორი კაცი გადააყვა, ხოლო სხვები თოკებით და გრძელი ჯოხებით ნაპირს თავქვე დაჰყვნენ.

#### IV

ხურომანმა თვალი გაახილა. ყველაფერი თეთრი იყო. ადამიანებიც კი, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ და ხელში შუშები ეჭირათ.

ფანჯრიდან მზე შემოდისოდა. საკმაოდ თბილოდა.

— ნეტავ სადა ვარ? — გაიფიქრა ქალმა და თავს ძაღს დაატანა. კვლავ მოაელო თვალი ოთახს. ვერაფერი ვერ გაიგო.

გრძნობდა მდინარისაგან გაგრილებულ სიცხეს. გაახსენდა, როგორ მი-  
რბოდა მდინარისაკენ. აქ კი ვერავის და ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს  
ის მოკვდა, მისი სული იმ სხვა ქვეყანაში გადაენახლა, საიდანაც უკან  
არავინ ბრუნდება. თუ კიდევ გრძნობდა სააქაოს, ეს ტკივილი იყო, რო-  
მელიც სულისა და ხორცის გაყრისას სულს გაჰყვა.

თვალეები კვლავ დახუჭა ტკივილებისაგან განთავისუფლების მოლო-  
დინში.

რამდენი დროც გადიოდა, უფრო გრძნობაზე მოდიოდა და გარკვევით  
ესმოდა ფეხის ხმა, ჩურჩული. მერე ეს ხმაც მისწყდა. აღარაფერი ესმოდა.

სალამოს ისევ გამოელვინა. პირდაპირ ღია ფანჯარას შეხედა. დაინახა  
ეზო, აგურის მრავალფანჯრებიანი სახლები და ისეთივე მიწურები, რო-  
გორც მას თავის სოფელში ენახა. ეზოში იდგა მანქანების დამაყრუებე-  
ლი გუგუნე, სწორედ ისეთი, მას რომ ესმოდა მდინარის პირად.

ახალი დასკვნა გამოიყვანა: დაიჭირა მანქანამ.

ამ დასკვნას სხვა ფიქრები დაემატა, მერე კოთხეებიც.

ნეტავ რად ჰირდებოდა მანქანას მისი დაჭერა? ან აქ რად მოიყვანა?  
ან ვისთან მოიყვანა?

გარეთ ხმაურობდენ და დადგოდენ. წამოიწია დასანახავად. თავი  
ასწია. დაინახა მუცელი და თავი ისევ ბალიშზე მისდო. სახეზე რაღაც  
ნაჭერი გადაიფარა და ჩუმად, თითქოს ეს უჩვეულოდ ამობურცული მუ-  
ცელი მისი სხეულის ნაწილი არ იყო, ზედ ხელი გადაისვა და გასინჯა.  
ნაყოფი იძროდა. საბანი სახეზე გადაიფარა და მწარედ ატირდა.

მეორე დღით ხურომანი კარგად გრძნობდა თავს. სტკიოდა მხოლოდ  
დასიებული და დაკარგული, იოდით ყვითლად შეღებილი ფეხები.

ეჭიმი ქალი შევიდა. შებღზე ხელი დაადო. მაჯა გაუსინჯა და თქვა:

— გადარჩი, კარგადა ხარ.

მერე ეჭიმმა მთელი ტანი გასინჯა. ფეხებზე ალაგ-ალაგ იოდი წაუ-  
სვა და უბრძანა საკმელი შემოეტანათ. ხურომან ხმას არ იღებდა. თავის  
გასაჭირის შესახებ არავინ არაფერს ეკითხებოდა და ამით ძალზე კმაყო-  
ფილი იყო. ეჭიმი უხმოდ თვალებით გააცილა და შემოტანილ ჩაისა და  
საქმელს შეეჭკა. აღარ ახსოვდა, რამდენი ხნის მშვიერი იყო და მადანელ-  
ნელა მოსდიოდა. თევში ჩქარა მოაცარიელა და ორი ჭიქა ჩაიც და-  
სცალა.

კარის იქიდან სიცილი მოესმა. ჩქარა კარიც გაიღო და შემოვიდნენ  
მუშები. ერთი მათგანი, მოხუცი და ქალარა ყბედობდა.

— აი ასეთი მშვენიერი ყოფილა და თურმე რას ეპირებოდა? ბიჭები  
გააცილნა, იმ დღეს ერთი ჰექტარიც აღარ მოგვიხნავს. სულელია, სუ-  
ლელი!

— რა იცი, რა გაქორცვება ადგა?

უსაყვედურა მას ექიმმა და ხურომანს მზრუნველი ხელი გადაუსვა წავივით შავ ქოჩორზე და აბურდულ თმიდან სახე გამოუჩინა. ხურომანმა სირცხვილით თვალები მოხუჭა და სახეზე სიწითლემ, ცხდადყოფა ქალა დარწმუნდა, რომ მის სხეულს სული არ გაჰყროდა და იმავე ქვეყანაზე იყო, სადაც დაიბადა, ჩვეულებრივ ადამიანებს შორის. შემდეგ ისიც გაიგო, რომ საავადმყოფოში იწვა, სრულიად უცნობ ადამიანებში. ამ ხალხში თათარიც ბევრი ერიო. ტრაქტორისტები კი მას თავის სოფელშიაც ენახა, საბამზე ყანების ხვნის დროს.

ხურომანს ვაჟი გაუჩნდა. ბავში საზარელი სანახავი იყო. გაღურჯებულ ხორცის ნაჭერს ჰგავდა. თვალები ტკიოდა, ვერ ახელდა. მიზეზი ეს იყო, რომ დაბადების წუთს ექიმმა ამოუსვა უბებში რალაც წამალი.

ასე იყო ბავში სამ დღეს, ღნაოდა. მეოთხე დღეს კი იმავე ექიმმა გადაუწმინდა თვალთავან წირპლები და ბრჭყვიალა თვალები გამოუჩინა. თვალებში შეხედვა იყო და დედას ისე შეუყვარდა ბავში, როგორც არასოდეს არაფერს ყვარებია. საკოცნელად დაიხარა. ამ დროს ექიმმა მიადანა:

— მოესწრები, თავს რაღას იხრჩობდი, თუ ეგრე გინდოდა ბავში?

— თავს რაღად ვიხრჩობდი? — გაიმეორა მან და ბავში გადააწვინა. თვითონაც თავს მისდო ბალიშზე. გაიჩინდა. ბავშვის ღნავილი ოთახს აყრუებდა. ექიმი წავიდა. დედამ ბავში აიყვანა და პირში ძუძუ ჩაუღო.

ბავში ენერგიულად წოვდა. ქალი ცქერით ვერ ძღებოდა. რაც შეტი დრო გადიოდა, მით მეტად იბუღებდა მის გულში ამ პატარა არსების სიყვარული.

ახლა ერთი რამ აფიქრებდა. სად უნდა წასულიყო საავადმყოფოს შემდეგ? ხალაზე ფიქრიც კი უქირდა. აიღამირასთან საქმე გათავებული იყო, თავის სიკვდილიც არ გამოუვიდა.

ჯერჯერობით კი ყველაფერი რიგზე ეწყობოდა. საავადმყოფოდან წასვლას და გაგდებას არაფერს უპირებდა. ეშინოდა მხოლოდ ნაცნობი ვინმე არსად შეჭვთებოდა. განსაკუთრებით ეშინოდა თათრებისა, რომლებიც მას ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ და ერთმა ვინაობის გამოკითხვაც დაიწყო. ქალს შიშმა ციებასავით დაუარა ტანში. იღბლად ვერაფერს ვერაფერი გაიგო.

ერთ კვირაში მოილოგინა. ბავშვს ოთხჯერ აწოვებდა. ექიმიც ასე მოითხოვდა. სამანქანოს მუშები მას ხუმრობით „ალაპის ფეშქაშს“ ეძახოდნენ. არაფერს აკლებდნენ. ყველაფერი ბევრი ჰქონდა. ნატეხი შაქრით ექიმის ნაჩუქარი დიდი ყუთი ააესო. პური იმდენი ჰქონდა, რამდენსაც მოინებებდა. მეურნეობის ადგილკომმა კი ტანსაცმელისათვის იხრუნა. საცვლები და კაბები ზისცეს, იქვე ეზოში ერთი პატარა ოთახი გამოიანხეს, რომელიც ოდესღაც საყარაულო პოსტის ბინად ითვლებოდა და შივ

ჩაასახლეს. ხურომანს მოსვენებით ეძინა თივით გატენილ მატრონებზე და ბავშვს უვლიდა.

უხემა ძუძუმ ბავშვს ძალა შემატა. გაიზარდა. მატრონის სიხეხესა და სახეზე ალისფერი სისხლი დაუტრიალდა. ახლა ხურომან კიდევაც ეთამაშებოდა ბავშვს და თავსაც იყოლიებდა.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ქალს გული სამუშაოსაკენ მისწევდა. არ იყო მიჩვეული ტყუილად ყოფას. ბავშვს ტოვებდა ხშირად დაძინებულს და მომუშავე ქალებს შეელოდა. სალამოობით ბავშვიანად დადიოდა მეურნეობის გვერდით მდებარე ველზე. ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ერთხელ ბინდისას სეირნობიდან ბრუნდებოდა. ბავშვი ხელთ ეჭირა და ეალერსებოდა. პირველად იყო ხურომან ასეთ კარგ გუნებაზე. აღარც კი ფიქრობდა თუ მიაგნებდნენ და ნაცნობი გაუჩნდებოდა. უეცრივ ავტომობილმა ჩაუჭროლა და შეხედა თუ არა მგზავრებს, შიშით იქავე გაშეშდა. ნაცნობი სახე შეამჩნია. ბინაში მანამ არ მისულა ამის გამო, სანამ ყველამ არ დაიძინა და მარტოკა დარაჯი არ დახვდა ჭიშკარზე.

შევიდა თუ არა, შინ, თავის ოთახში, ბავშვი გამოხვია, მიაძინა და ფეხაკრფით გავიდა ალაყაფის კარიდან. პირდაპირ რკინისგზის სადგურისაკენ გასწია და როგორც პირველად, ახლაც შეუხტა სამარშრუტო მატარებლის კიბებს.

შეხუთე გაჩერებაზე ჩამოხტა. იქვე იყო ავტოს გასაჩერებელი მოედანი. დიდი ცდაც აღარ დასკირებია, რომ ავტობუსს შეუჯდა და დილით მეძროხეობის საბჭოთა მეურნეობაში ამოჰყო თავი.

აქ კი ერთი ნაცნობიც აღარ შეხვდებოდა ხურომანს. ამის იმედი მას ძლიერ ჰქონდა, მაგრამ ძუძუები საშინლად ტეხდა და ბავშვის ნახვის სურვილი აწუხებდა.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობაში ხურომანი დააბინავეს საერთო საცხოვრებელში. სულ ჩქარა მწველაობა დაეაღეს და ჯამაგირიც დაუნიშნეს.

დილით ადრე დგება. სტერილიზებული ბაკებით ყველაზე ადრე მიდის თავის ძროხებთან და ხელმარჯვედ წველის.

ძროხებს და ხბოებს თავს ევლება. საკვებს ურჩევს. წმენდს და ბანს. პირუტყვი ჩქარა ეჩვევა, უხარია და გრძნობს კარგი პატრონის ხელს.

ზოოტექნიკოსი ალტაცებულია. უწონებს ნაშრომს და საერთო კრებაზე იმის მაგალითით სხვებს აქეზებს.

ხურომანიც ვახარებულობა. ოღონდაც საშრომი და საამაგო მიანდონ რამე და აბა ვინ აჯობებს? მეტი რა უსწავლია?

ყოველი კრების შემდეგ ვახარებულები ბრუნდება შინ. გულში მადლობელია თავისი ბედის, რომ ყველაფერი ასე მოეწყო, მაგრამ სადამდე გასტანს ასე? ფიქრობს და გული შიშითა და ბოლმით ევსება. გულჩახვეუ-





ლობა სრემდება და ამხანაგ ქალებთან დამეგობრების ეშინია. მას იშვიათად ამოიღებს. თუ ამოიღებს სამი თუ ოთხი სიტყვის მეტს არ დაბარჯავს: „ჰო“, „არა“, „არ ვიცი“, „აგრე“ — მეტს ერამ. ჩემს ცნობას არ იტყვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ კითხვა და საუბარის მიმართულებას, ბზობებს, ბაკს, წველას, გამომუშავებას და სისუფთავეს არ შეეხება.

მუშაობის შემდეგ, თავისუფალ დროს გომურების მოშორებით პატარა ბაღში ატარებს, იქ, იმ კუთხეში, სადაც თავს იყრიან, პატარა მოედანზე. მოედანზე ორი პატარა და-ძმა დადის. ხურომანი მათ გვერდით ისევს. უკრფს მინდვრის ყვავილებს და ართობს, შემდეგ სახლამდე აცილებს პავშევებს და როცა შინისკენ გაბრუნდება, საღმე, თივის ძირებს იქით, მივდება და ტირის მარტო ადამიანის უნუფემო ტირილით.

ამ ყოფაში მას ნახულობენ საერთო საცხოვრებლის ქალები. ეკითხებიან მიზეზს, ანუფეშებენ, მაგრამ ტირილის შეკავება მაინც არ შეუძლია. არავის უშხელს, გულში იკლავს თავის ქირს და შინ სლუკუნით ბრუნდება.

ბაღში ბავშვების დანახვაზე თავის ბავშვის დანახვის სურვილი უსკცდება. ჯავრით მიადა ეკარგება. პური და კოვზი ხელში უშეშდება. კრებაზე ხანდახან ისე გამოშტერდება, რომ ქალები ძლივს ახერხებენ მის გონზე მოყვანას.

ხურომანიმ გაიგო, რომ მისი პატარა მეგობრები ზოოტექნიკოსის შეილები არიან, რომელთაც დედა ორი წლის წინათ გარდაეცვალათ, ხოლო მამა მრავალი საქმის გამო ბავშვების მოვლას ველარ სწევდება. ბავშვები ნახვეარჯერ უპატრონოდ, მოუვლელად და მშვივრები დაებეტებიან ფერმის ისეთ ადგილებში, სადაც მათი ადგილი არაა.

ამის შემდეგ ხურომანს ბავშვები უფრო შეეცოდა. შეუდგა მათ მოვლას. მიჰყავს წყალზე, ურეცხავს, უკერავს, უკან მობრუნებისას ცოტა რამესაც აქმევს და შინამდე აცილებს.

ბავშვებიც ეჩვევიან. ეპარებიან მამას და „ხალასთან“ მიდიან საერთო საცხოვრებელში. როცა შინ ბრუნდებიან ტიტინით ეუბნებიან მამას, რომ ხალასთან იყვნენ, ყველაზე კარგ ხალასთან.

ნამწყვემსარმა ზოოტექნიკოსმა არ იცოდა ვინ იყო ეს ყველაზე კარგი ხალა და გულმა სიხარულით ტოკვა დაუწყო, როცა ეს „ხალა“ ხურომანი აღმოჩნდა. ზოოტექნიკოსს დიდიხანია მოსწონდა ხურომანი. ერთბელ კიდევაც სინჯა სურვილი გამოემგლავნებია, მაგრამ ქალი მიუკარებელი იყო, ერიდებოდა, უფრთხოდა. ენაზე ერთავად ეკერა „არა“, „არ ვიცი“.

მაღე კარგი შემთხვევა მიეცა. ქალმა ჩვეულებისამებრ მოვლილი, ნათამაშები, გახარებული და აკისკისებული ბავშვები შინ, კიბემდე მიიყვანა. მოგვიანებული იყო. შუბლზე თითო კოცნა დაურიგა და შინისკენ გაბრუნდა. სიბნელეში ზოოტექნიკოსი ზედ დაეჯახა და შეკრთა. ზოო-

ტექნიკოსმა მაგები მაგრა დაუჭირა მისუსტებულ ქალს და მადლობა გადაუხადა ობოლი ბავშვების მიხედვისთვის.

— გმადლობთ ჩემი ბავშვებისათვის, რითღა გცუვსაქვთქვენი პატივი?

— ალაპ! არ მინდა არავითარი პატივისცემა გამომგით მხოლოდ!

წაიბურტყუნა ქალმა და ტირილი აუვარდა. კაცი ხელებს არ უშვებდა.

— მე... მე... მინდოდა მეთქვა! — დაიწყო ისევ კაცმა — იმ ბავშვებს ბარემღა დედობა ვაუწიე!

ქალი შეჩერდა. კაცმა განაგრძო: — ჰა, რას ფიქრობ?

— მე... არა, არ შემიძლია... დედობა? არა! სიკვდილის გულისათვისაც არ შემიძლია?

— მაშ?

— ისე მივხედავ! ბავშვები მიყვარს.

— იქნებ ცუდი კაცი გგონივარ? გარწმუნებ, არა ვარ ცუდი. მინდოროში და მიწურებში დამიავადმყოფდა ცოლი... გარდაიცვალა. ბევრი საცადელი ვცადე, არაფერი დამიშურია და რა უყო, თუ ვერაფერი გავაწევ და სიკვდილმა დამჯაბნა?

— მე... მე... ეგ არ მითქვამს, — ჩაილულულა ისევ ქალმა. კაცს იმედი მიეცა და მიზეზის გაგება მოინდომა.

— მაშ რა გიშლის? ის ხომ არა უთვისტომო ხარ? განა არ გირჩენია უფრო ახლობლები გყავდეს?

— მაშ თუ ეგრეა, ნება მომეცი, იქ თქვენს ახლო ბინა გავიჩინო. ბავშვების ახლოს ვიქნები და მოუვლი.

— მე უკეთესი არ გითხარ, შენ კარგო ქალო? — უკმაყოფილოდ მიუჯო ზოტექნიკოსმა.

— ვიცო! მადლობელი ვარ! ალაპი შენს კეთილ გულს გაახარებს სამაგიეროდ. მე კი ისე მინდა როგორც გითხარ... ბავშვების ახლო ვიქნები!

— აპა! გვეც თქვენი ნება იყოს. გვერდზე ერთი პატარა საკუქნაო მაქვს, იმას დავიცლი და ხვალვე გადმოდი. ის საკუქნაო მაშინ მჭირდება, როცა ცოლი მყავდა. ახლა აღარ მინდა. ღამე მშვიდობის! — უთხრა ზოტექნიკოსმა და გასცილდა.

მეორე დღეს კი საკუქნაო დასცალა. გამოგავა. ხის ტახტი შეათრია, მაგიდა დადგა და ელექტრობუდეს ახალი შუშა მოარგო. შემდეგ ჩვეულებრივ საქმეზე გასწია.

ხურომან შეადლის წველის შემდეგ გადაესახლა საერთო საცხოვრებელიდან ახალ ბინაში. ზოტექნიკოსი შინ არ იყო. ბავშვები მართო თამაშობდნენ არეულ და დაულაგებელ ოთახში. უმცროსი ტიროდა. თავის ოთახის მოწყობას არც ათ წუთს მონდომებია. ბავშვებთან შევიდა. სახლი დაალაგა, იატაკები გარეცხა, ლოგინი გამოიტანა, გაბლერტა ხალიჩები; ბავშვებსაც თბილი საქმელი მისცა, ბოლოს დააძინა. უმცროსს თავით მიუჯდა და დიდხანს ცრემლები ღვარა.



იდროვა თუ არა ზოოტექნიკოსის მოსვლა, საჩქაროდ თავს ბანაში  
გაეიდა თვალცრემლიანი მიეგდო ლეიბზე და დილით უთენია გასწავა ბოს-  
ლებისაკენ.

ბიზლიჩისეკა

ზოოტექნიკოსი თითქმის ყოველ კვირაში დაიარებოდა სადღაც შორს,  
ხან პარტიულ კრებებზე და ხანაც ფარეხებში. ერთხელ ბაქოშიაც წავი-  
და, როგორც თვითონ ამბობდა, მესაქონლეობის საკითხის გამოსარკვევად.

ბაქოს ხსენებაზე ხურომანს შეაცივა. სანამ ზოოტექნიკოსი არ დაბრუნ-  
და წესიერად არც დაუძინია, არც უმუშავნია და არც პური უჭამია. თავს  
ბავშვებზე იყოლიებდა, რომელთა დანახვაზედაც თავისი აგონდებოდა და  
ძუძუებზე ცეცხლი ეკიდებოდა. ერთხელ, ცოტა უკლდა, დანა არ ჩაიკრა  
გულში.

უნებურად ეშინოდა ზოოტექნიკოსს არაფერი გაეგო. აიღამირს არ  
შეხვედროდა, დაშთამირს არ გადააპროდა და ან იმათსავეთ ბოროტი არ  
დაბრუნებულყო, ქალი არ ჩამოეყვანა თან და ბავშვებისათვის არ მოე-  
შორებია, არ გაეგო მისი ამბავი და ათასი კიდევ სხვა, რისი ფიჭრიც  
შეეძლო და არ შეეძლო გაბოროტებულს გულსა და თავს.

ზოოტექნიკოსი ორ კვირაზე დაბრუნდა. მზიარული, გულამომგდარი  
შევიდა შინ. ბავშვები უვნებელი და მოვლილი დახვდა. იცინოდა ხმა-  
ლლა და ეფერებოდა. პატარა ხნის მერე საკუქნაოში გავიდა. კარს და-  
უკაკუნა, ხურომანმა გაუღო. მზიარულად მიესალმა და ქალაღლში გა-  
ხვეული საჩუქარი გადასცა.

ქალმა შეხვეული არც კი გახსნა, ტახტის ყურზე ჩამოსდო. წამოწეა,  
მერე პირქვე დაემსო და ჩუმად ატირდა. დილით ადრე კი ჩვეულებრივად  
გასწია ფერმაში. ღამით, კლუბის ეზოში ზოოტექნიკოსი კვლავ შეხვდა.  
ერთხელ კიდევ გაუმეორა თავისი თხოვნა, ქალმა ერთხელ კიდევ შორს  
დაიკავა თავი.

ამის შემდეგ მეტი რა გზა იყო, ზოოტექნიკოსი ცდილობდა ამ ახირე-  
ბული ქალის სიყვარული გულიდან მოეშორებია. აღარ ხედებოდა, მეურ-  
ნეობაშიაც გვერდს უვლიდა. მის ძროხებთან არც კი მიდიოდა.

სამაგიეროდ ქალი ბავშვებს თავს არ ანებებდა. თავდადებულად უვლი-  
და. ბავშვები გამოკეთდნენ, გამოცოცხლდნენ. მალხაზობდნენ და ხარხარებ-  
დნენ. ქალი, რაც დრო ვადიოდა, უფროდაუფრო ხდებოდა. მოწყენა და  
ჯავრი იპყრობდა.

ზოოტექნიკოსი ცდილობდა თავიდან და გულიდან ამოეგდო ქალის  
სიყვარული, მაგრამ მინც განაგრობდა მის საიდუმლოების გაგებას. და-  
ტყვევობრდა ხურომანის ამხანაგ მწველავებს, გამოკითხა, გამოიძია, მაგ-  
რამ ვერაფერი ვერ გაიგო. ქალები ერთავად გაიძახოდნენ: — მაგისთანა  
მშრომელი და ჯაერიანი ქალი ჯერაც არ შეგვხვედრიო.

გამოირკვა ისიც, რომ ქალთა შორის ერთი გულითადი მეგობარიც არ ჰყავდა. არც არავის უმხელდა თავის ჭირვარას და ჭკუეფეფუღ... თავი ძალიან შორს ექირა ყველასაგან.

გ ი ნ ვ ლ ი მ ი მ ა

ერთადერთი მეგობარი ჰყავდა ხურომანს, მაგრამ ეს მეგობარი ადამიანი კი არა, მანქანა იყო. ეს მანქანა ქალმა თავისი ერთი თვის ხელფასით მოიწყო და ოდნავ თავისუფალ დროს შიგ თავს ჰყოფდა... უსმენდა. ძლიერ ჯავრობდა, თუ რადიო-გადაცემა სწყდებოდა.

ზოოტექნიკოსმა ამ მშრითაც სცადა ბედი. სთხოვა ხურომანს ახალი რადიოს დადგმის ნება მიეცა მისთვის, თავისი ხარჯით.

ისეთი რადიოსი, რომელიც მთელ მსოფლიოს შეაერთებდა მასთან.

ქალმა ამ სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და უსაყვედურა მეცნიერება, რომ რადიოთი მხოლოდ მოსმენა შეიძლებოდა, და არა საუბარი როგორც ტელეფონით და სთქვა:

— მაშინ კი დაველაპარაკებოდი!

— მაინც ვისთან გინდა საუბარი? — ჰკითხა ზოოტექნიკოსმა.

— არ ვიცი! — მიუგო ქალმა და ცრემლების დასაფრავად სახეზე დარაია აიფარა.

ამ დროს კაცმა კიდევ მოაგონა ვინს მოსულიყო, დაფიქრებოდა თავს და ბავშვებისათვის დედობა გაეწია.

ქალმა ცივი უარი განაცხადა და ზოოტექნიკოსმა საბოლოოდ დაჰკარგა იმედი.

გადასწყვიტა შეერთო ცოლი, და შეერთო თუნდაც ის ქალი, ვინც პირველ შეხვედრისთანავე მოეწონებოდა. დაათვალიერა მწველავეები და მეურნეობის ყველა მომუშავე ქალი, მაგრამ არცერთი არ მოეწონა...

ოჯახი კი აღარ ითმენდა.

ერთხელ გადასწყვიტა ბებია ქალის თანამემწე შეერთო. ქალს კიდევაც გამოელაპარაკა, დაითანხმა და მეორე დღეს მმაჩში წასვლადა უკლდა, რომ ხურომანს გზაში გადაეყარა და გული ისე აუტოკდა, რომ თავის გადაწყვეტილებაზე იმწამსვე უარი თქვა.

— ალბად მომაჯადოვა ამ წყეულმა, — გაივლო გულში ზოოტექნიკოსმა და მოიფიქრა თავის ყიშლაყში ორი კვირით გამგზავრება. დაისვენებდა კიდევაც და ქალსაც შეირთავდა.

აეტომობილი მზად იყო. მიწსახკომის ინსტრუქტორი, რომელიც ზოოტექნიკოსთან ერთად მიემგზავრებოდა, ძალიან იჩქაროდა. ზოოტექნიკოსს შინ ასავლელი დროც აღარ ჰქონდა და ბოსლიდან გამოაძახებია ხურომანი. ქალი მივიდა, ხელში რძით სავსე ბაკი ექირა და ელოდა ზოოტექნიკოსის სიტყვას. „ჩემს ჩამოსვლამდე... ბავშვ...“ — გაიგონა ხურომანმა და აეტომობილში შენიშნა ინსტრუქტორის წყვილი თვალი, რომლებიც მას დაეინებით მისჩერებოდა.

ჭალმა უეცრად დაავლო რძიანი ბავი, რაც ძალი და ღონე მჭონდა გაეჭანა და თივებს მიეფარა.

— ჯანაბას შენი თავი! გივია.

ჩაილაპარაკა ზოოტექნიკოსმა და ავტომობილში ჩაჯდა, მარჯვენა ხელში მოებჯინა. გულმოსულობისაგან კანკალებდა. ინსტრუქტორი იცინოდა. ბოლოს მან კითხა:

— ეგ ქალი აქ მუშაობს?

— ჰო აქ მუშაობს! ჯანაბას მაგის თავი! — მიუგო ზოოტექნიკოსმა.

— რამდენი ხანი იქნება?

— აგერ ორი წელიწადი უსრულდება.

— როგორი მუშაა?

— ქალებში მაგის ფასი ტოლი მუშა არცა გვეყავს.

— მაშ აგრე? აქ მუშაობს?

— როგორ, თქვენ ხომ არ იცნობდით ადრე მაგ ქალს?

— არა, არ ვიცნობდი, მაგრამ მინახავს, — მიუგო ინსტრუქტორმა.

ავტომობილი უკვე მიჰქროდა მარილიან ველებსაკენ დაღმართებით და ზოოტექნიკოსი უსმენდა ინსტრუქტორს.

ხურომანი მეურნეობაში შრომის შემდეგ ჩვეულებისამებრ საკუჭნაოში დაბრუნდა. ზოოტექნიკოსის ბავშვები დააბურა. ათამაშა. ჭალმა რადიო ჩამოიცივა თავზე და უსმენდა. რადიო რომ მოსწყინდა, ისევ ბავშვებს მიუჯდა. ვიხსენა რაც ბავშვობისას თამაშობები იცოდა. და-მმა ხარხარებდა. ზოოტექნიკოსი ორი დღის წინათ გაემგზავრა და ორ კვირასაც არ დაბრუნდებოდა. ამიტომაც ხურომანი არავის მოელოდა არსაიდან. ბავშვებთან იმ ტანისამოსით იყო შესული, რომლითაც მხოლოდ თავის თავს ენახებოდა და კიბიდან ხმაური რომ შემოესმა, ქსოვილის საბნის მოხურვალა მოასწრო ტანზე. ფეხის ხმა აივანზე შეჩერდა და სიბნელეში კარის ფანჯარაში გამოჩნდა ზოოტექნიკოსის სახე. მან კარი შემოაღო და გარედ გასაქცევად მომზადილი ხურომანი შეაჩერა.

— ჭალო, მინდა კიდევ გელაპარაკო, მოიცა ცოტა ხნით!

— ალაპ! ჩვენ განა პირველად ვლაპარაკობთ? ვერ გაგახარებ, სიცოცხლე გაგიმწარდება, აბა, ალაპ! რაა იმისთანა ცოლი, რომელიც ტირილით და ვარამით სიცოცხლეს გაგიმწარებს?

— ეგ უკვე დაგვიანებულია. შენ უნდა გამხიარულდე. მიდი, ბავშვებთან დაჯექ. სულ სხვა რამესთვის დაებრუნდი, ერთი სათხოვარი მაქვს.

— განა მე რა შემიძლია და რას მოგებმარები?

— აი, ჩემი სათხოვარი, — თქვა ზოოტექნიკოსმა, — მესამე ბავშვიცა მყავს, იმასაც ამ ორსავით უგდე ყური.

— ალაპ! მაგას რას მეუბნები, განა დავიზარე?

— მაშ, თუ ასეა, ის მესამე ბავშვიც აქა მყავს. ახლავე მოვიყვან!

ზოოტექნიკოსი აივანზე გავიდა, მერე ისევ საჩქაროდ მიემობრუნდა და მკლავებში ატაცებული შავვერემანი ფუნთოურმა ბავშვმა მოიყვანა.

— აი, ეს ბავშვი!

თქვა მან და თავის ბავშვებთან დასვა. ქალმა გრძელხელისა და გრძელხელისა წაუვიდა. ზოოტექნიკოსმა ჩქარა მოიყვანა ის გონს. დიდხანს კოცნა შეიღობა დიდხანს ატრიალა ხელში, და ამდენი ხნის ნაწყენობამ და ვარამმა ერთბაშად პირი უფსკრულისაკენ ქნა. ერთი ველარ აეტანა მხოლოდ ხურომანს: ბავშვი ძალზე გვედა აიღამირას, რომლის მოგონება და სახის გახსენება რქიანი გველივით ეჯავრებოდა.

— აბა ეხლა მითხარ, გაუწევ ყველას დედობას?

ხურომანი თანხმობის ნიშნად სდუმდა.

— ვაზშმად გაქვს რამე? — იკითხა ზოოტექნიკოსმა.

ხურომან ზეზე წამოდგა, მაგრამ თარომდისაც ვერ მივიდა და სიხარულისაგან გულშეწუხებული ისევ თავის ალაგას ჩამოჯდა ბავშვებთან. ზოოტექნიკოსმა თვით მოიტანა პური და ხორცის შეკამალი.

ნავაზშმევს ხურომანმა თავისი ხელით, რაც მან ლიკესკოლაში ისწავლა, პატარა წერილი დასწერა:

„ჩემო საცოდაო ხალა!

მე ცოცხალი და კარგადა ვარ!“

მერე კონვერტს პირი დააწება, ბავშვებს გადახედა, ეძინათ თუ არა და გარეთ აღარ გამოსულა.

მეორე დღეს ყოფილი საკუქნაო ისევ საკუქნაოდ იქცა.





ლ. გუდიაშვილი — მანანას წასვლა საღარბაზოდ

იონა ვაკელი

## კ ო ლ ხ ე თ ი

შრება და კვდება ნოყო,  
ჭრება ჭაობი ძველი,  
უკვე არ ბზუის კოლო,  
აღარც სისინებს გველი.

ქილი, ხავსი და შლამი,  
როგორ გაუძღვებს დარებს?  
ბრწყინავს მინდორი ღამით,  
როცა ამოდის მთეარე.

უცებ გამხმარა მჭისე;  
ლაქაშა, ბარდი, ჭილოფაც,  
არხები ჩანან ისე,  
როგორც გახსნილი ჭრილობა.

შრომას და ჯაფას მადლობა,  
კვლავ მოგვეცეს სიმხნე ჩქარი,  
მოდის ნარინჯთა სარდლობა, —  
მანდარინების ჯარით.

და იქ, სად უწინ კალოდ  
იყო ხაშმი და შხამი,  
უკვე ბულბული გალობს  
დაფნის შტოებზედ ღამით.



## მოსე გვასალია

# ა ბ რ ა გ ი

მოთხრობა

ათას ცხრაას თვარმეტ წელს მე ბაღლი ვიყავი, ამიტომ ეს წელი არც კი დამახსოვდებოდა, რომ იმ ხანად ჩვენს სოფელში შესანიშნავი ამბები არ მომხდარიყო: გლეხებმა ძიკი აბრაგი დაიჭირეს და გვარდიის ოფიცერს სცემეს...

ძიკი აბრაგის ხსენება თავზარს მცემდა. აბრაგებს მთელი სოფელი აკლებული ჰქონდათ. არავინ იცოდა, თუ რამდენ კაცისგან შესდგებოდა ზანდა, მეთაური კი ერთი ჰყავდათ — ძიკი აბრაგი; მას ყველა იცნობდა, მახლობელი სოფლის აზნაურიშვილი იყო, ქვეყანა რომ აირია, მან ტყისკენ მოჰქურცბლა და ავაზაკობა დაიწყო. თავისი გუშინდელი ყმების ასაწიოკებლად ეს უფრო მოხერხებულად ჩასთვალა. სოფლის აფარებელ ვასაჭირს ერთი ქირიც დაემატა. არავინ გვეშველებოდა, მთავრობა ძიკის ვერაფერს აკლებდა: — აქაური კაცი ისიც აბრაგი! ღმერთმა დაგიფაროთ! — იმართლებენ თავს ხელისუფლების წარმომადგენლები, „ქოროთები“.

ძიკი მეტად მკაცრი და კაცმოძულე იყო. მას სასჯელთა საკუთარი კოდექსი ჰქონდა შემუშავებული და დამნაშავეს ამის მიხედვით სჯიდა. მის სამართლის წიგნში ყველაზე მცირე სასჯელად ცალი წვერულეაშის და ნახევართაგის გაპარსვა ითვლებოდა. დამნაშავეს უფლება არა ჰქონდა მეორე ნახევარიც გაეპარსა ან სასაცილო თავზე ქუდი დაეხურა. სასჯელის მეორე საფეხური ჯარიმა იყო, მესამე — სახლკარის დაწვა, მეოთხე — წამება: შემწყრაღს ცეცხლში ჩაუღებდა ფეხს და ათამდის სთვლიდა. მეხუთე და უზენაესი საფეხური სიკვდილი იყო, რომელსაც ის მეტად აშეიათად მიმართავდა, სამაგიეროდ იგი სულ მოულოდნელი და უადგილო იყო ხოლმე.

ძიკის საჯარიმო წესი ასეთი იყო: ვასწევდა თუ არა რომელიმე გლეხი სოფელში ურჩობას, მაშინვე ვაუგზავნიდა წერილს და ამასთახავე სამ ვაზნას. წერილით ძიკი მოითხოვდა ჯარიმის გადახდას. როდესაც გლეხს

მართოს წააკითხებდენ (თუ კითხვა არ იცოდა, მომტანი აბრაგი წაკითხავდა), ვაზნაზე ხელს წააფათურებინებდენ და წერილში წაკითხულს ძიკის მიერ სიტყვიერად შემოთვლილსაც დაუმატებდენ: თუ *მარტო მარტო* დაიხილი, ამ ვაზნების წერა გახდებოდა...

შესაბრალოსი იყო, ვისაც ძიკი სახლში სამტროდ მიუხტებოდა. სომინდის ნალიებს სწვავდენ, თხებს ხოცავდენ, შემდეგ ოჯახში მოხვეტავდენ ნივთებს, საცვლებსაც არ დატოვებდენ. ყველაფერს რომ მოჩრებოდენ, თოფს გაისროდენ და თავიანთ უკულმართ ვზას გაუდგებოდენ.

ბევრი მაკვარანცი საქმე ჩაიდინა ძიკიმ, ამითვან მე მარტო ერთს მოგიყვებით: თურმე ძიკი ხინწკონის ტყეში სენაკიდან დაბრუნებულ გლეხებს ცარცვავდა. ერთ ქალს უნდოდა ნიშნობის ბეჭედი მაინც გადაერჩინა. ამიტომ ნეკიდან მოიძრო და შუათანა თითზე მჭიდროდ წამოიკვია. ამის შესახებ მოახსენეს ძიკის, მეთაური არცკი ჩაფიქრებულა: ბეჭედიანად მოაჭერით თითით, — გასცა განკარგულება, ქალს თითის მოჭრა რომ დაუპირეს, მაშინვე თვითონ დაფაცურდა და ბეჭედი წაიძრო.

ხინწკონის ტყის დასაწყისში ბერებმა პატარა ხულა ააგეს და შიგნით ხატი ჩაასვენეს. ეს მოსაგები საქმე იყო, რადგან ტყეზე გამვლელი აქ წინასწარ მშვიდობით გზავრობას შესთხოვდა ღმერთს და არც შესაწირს იშურებდა. კაცმა რომ თქვას, ჩვენი სოფლის აზნაურებს და თავადებს, \* შეძლებულებს და ვაჭრებს, ძიკის სრულებით არ ეშინოდათ და ამიტომ მათ არც ეს ხატი სჭირდებოდათ.

ღამე სოფელში ვერსად გაიგონებდით ქვიფს ან სიმღერას. ადრევე ჩააჭრობდენ სინათლეს, აუშვებდენ ძაღლებს, ჩაკეტავდენ კარებს და მზის ამოსვლამდე ძიკის შიში ძვალსა და რბილს ტკვერავდა.

რამდენიმე ხანს ასე დანავარდობდა სოფელში აბრაგი და მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა.

მამაჩემმა იმ ხანებში თხები გაყიდა, ფული სახლში მოიტანა და მთელი დღე ყოყმანობდა იმაზე, თუ სად შეენახა. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, სახლის სახურავზე ისლი გასწი-გამოსწია და იქ ფრთხილად შედო. მე ამას ყველაფერს ჩუმად ვუთვალთვალედი.

თავზარდამცემი ამბავი მოხდა.

ჩვენს ეზოს უკან მხრიდან აკაციის ტყე ერტყა. ტყე სავსე იყო ბარდებით, ეკლით და ღურღენით. გაუვალი რამე იყო ეს ეკალბარდი. აქ ყოველთვის კურდღლები და შაშვები იბუდებდენ. სალამოს ეამს თხები გაერკვე (კიდევ გვყავდა თხუთმეტოდე თხა). მინდოდა, ეს ტურის შესაქმელები ტკლებისთვის მიმესია და გამეძლო.

შემოდგომა ილევოდა. ტყე გაძარცულიყო, მხოლოდ ეკლებს ფოთლები ჯერ არ შემოებერტყათ. მე კურკანტელის მოსაკრეფად გადავუხვიე. საშინელი ქარი ქროდა, ხეებზე ასულ ვეებერთელა ბარდებს აქანავებდა და მომსხვრეული ტოტები ძირს ჩამოჰქონდა. უცებ ქარმა ბარ-

დი შეაქანა და სამი აბრაგი გამოაჩინა, აკაციის ძირახ ისხდნენ და ზურგი ჩემსკენ ჰქონდათ მოქცეული. ქარმა ბარდი ისევ გაარწია და აბრაგები კვლავ დამალა. თავში რალაცამ რომ ჩამკრა, ფეხებმაქვეყნებულა. არ ვიცი, როგორ მოვიფიქრე ყველაფერი ეს, მაგრამ რაღაცაქმედათ მოვკარ თვალი მათ ზურგსა და მხრებზე ჯვარედინად გადახლართულ მზნინავ ეაზნებს და სირმით მოჭარგულ ჩაბალახებს, რომლებიც აბრაგულად ჰქონდათ წაყრული, დაეკივლე და სახლისაკენ გავქანდი. თითქოს კუდიან ქარს ავეყვი, კივილით ვახტებოდი ძიგრებს, ეკლის ღობეებს, თხრილებს და ჯაგებს.

სახლში რომ მივედი, კრიკა შემეკრა, ენა ველარ ამოვიდგი, შიშისაგან ჩამვარდნოდა. დედამ კივილი ასტება. ბოლოს, როგორც იყო, მოვედი გონს... და მამამ ისლიდან ისევ გამოიღო ფული. ფერდაკარგულმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, თავისი ნაშრომი უბაში ჩაიღო. ძალლი აუშვით (დეკეულის სიმაღლის ძალლი გვეყავდა). რა უნდა გვექნა შეტი? მეზობლისას გაეიხიზნეთ და შორიდან ვუყურებდით, ჩვენი გაქცევით გაბოროტებული ძიკი როდის წაუკიდებდა ცეცხლს ჩვენ სახლს.

დაღამდა.

აკაციის ტყიდან ერთხელ გაისროლეს და მაშინვე ჩვენი ოდის ფანჯარაში შინა ჩატყდა. მთელი ღამე მეზობლისას გავათიეთ, მაგრამ ცეცხლი არ წაგვიკიდეს. ძიკიმ, როგორც ჩანდა, თავი დაგვანება და წაეიდა. ალბად რამდენიმე დღეში დაგვეჯიდა. ეს უმჯველი იყო. ჩვენც ვუცდიდით ამ დღეს.

—

ამგვარ გაქრვებაში ვიყავით, როდესაც სენაკიდან მთავრობამ გვარდიის ახალი ნაწილები გამოგზავნა. ისინი, ვინც ხელისუფლების სახელით აქამდე ძიკის დასაქერად დასდევდა, უკან გაიწვიეს. ასეთ ღონისძიებას ახლა მთავრობამ მებუთედ მიმართა.

გლებები გვარდიელების მოსვლას ჩვეულებრივად გულცივად შეხედენ, სწყენოდით კიდევ, მე ეს ვერაფრით ვერ ამებსნა. ბიძიები მოდიოდენ იმისათვის, რომ ძიკი დაეკირათ, გლებებს კი არ უხაროდით! ახალმოსულები ალბათ უსათუოდ დაიქერენ ძიკის. ატარებდენ: კარაბინებს, მაუზერებს, ყუმბარებს და რალაც უშველებელ თოფის მსგავს იარაღსაც კი, რომლის მაგვარი მე არსად არ მენახა. თუ ამასაც ვაისროდენ, ძიკის სად წაესვლებოდა?

გაისროლეს კიდევ, სამ დღეში ძიკი ხინწკონის ტყესთან მიიმწყედეს. ისეთი გრიალი გაისმოდა, თითქოს სიმინდის გაწმენდილ ტარობებს ნალიაში ჰყრიანო. ახლა კი სადღა წაეა ძიკი, რომელიღაც იარაღი საკერავ მანქანასავით კაკანებდა. სიხარულისაგან ვხტოდი... მაგრამ მეორე დღეს გა-

ვივით: ძიკი გადარჩენილიყო, თუმცა გვარდიელებს კინალამ მოეცლათ. შემთხვევით გაქცეოდათ.

ერკუნული

ერთი კვირის შემდეგ ისევ მიიმწყვდიეს მეზობელ ქუჩაში. ქუჩილივით გავარდა რალაც და წუთით ცა განათდა. როგორც ზაფხულის წვიმა ერთბაშად დაასხამს ხოლმე სახურავს და გადაივლის, ისე მიწნარდა ცოტა ხანში სროლა, გლეხის სახლი იწოდა.

— აი ახავე! — ამოიგმინა მამაჩემმა, მე კი მიხაროდა:

— აჰა, ალბათ სახლში გამოამწყვდიეს და გამოგუდეს! — ვუმტკიცებდი ჩემს უფროსებს, მაგრამ მათ ამის მოსმენაც კი არ უნდოდათ.

ძიკი იმ საღამოსაც გაქცეულიყო თითქოს ჯადოსნური ჯაგშანი აცვიოთ, ტყვია არ ეკარებოდა.

აბრავს ახლა სულ აღარ ეშინოდა გვარდიისა. ძველებურად იწყო თარეში. მამაჩემიც გაიხსენა: ჯარიმის ქალაქი გამოუგზავნა. მიკვირდა, რომ მამამ ეს ქალაქი გვარდიის ოფიცერს არ მიუტანა. წავიდა სენაკში, რალაცეები გაყიდა და ჯარიმა დროზე გადაიხადა.

ძიკის დაქერას რომ საშველი არ დაადგა და ვერაფრით ვერ მოვიშორეთ ეს უკუღმართი კაცი, ოფიცერმა ანგარიში გაუწია ხალხის მდგომარეობას და სოფელში საფუძვლიანად შემოგვისახლდა. დადიანების სასახლე დააცლევინა, ბუხრები გააწმენდინა, ზამთრისათვის შეშა მოიმარაგა, ოთახებში გვარდიელები ჩაასახლა, ეზოში ცხენები გაუშვა, საპატრონო შეაკეთებია. სამძებრო საქმეც სათანადო სიმაღლეზე დააყენა. მას უბრალო წვრილმანიც აღარ ეპარებოდა მხედველობიდან. შედგამდა თუ არა ვინმესთან ძიკი ფეხს ან მიიღებდა თუ არა რომელიმე გლეხის ოჯახიდან საქმელს, ყველაფერი ეს მეორე დღესვე დაწვრილებით მიდიოდა ოფიცერის ყურებად. აბრავის ხელშემწყობს მაშინვე აპატიმრებდენ, მიჰყავდათ ახლად შეკეთებულ საპატრონოში და ამწყვდევდენ.

ოფიცერმა ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც მიაქცია ყურადღება: მისი აზრით, ის ოჯახები, რომლებიც ძიკის ინახავდენ, სამაგიეროდ აბრაგებისაგანაც ღებულობდენ ალბათ ჯილდოს, ნაძარცვს საქონელს და სამკაულს. ამიტომ ოფიცერი დაპატიმრებულებს დაკინებით თხოვდა გამოეჩინათ ეს უკანონოდ შეძენილი სიმდიდრე.

საჭირო იყო ამ საქმეზე დაპატიმრებულთა გამოტყუება. გამოტყუებისათვის კი ოფიცერი ძიკის ზოგიერთ ხერხს მიმართავდა: სცემდა პატიმრებს მათრახით, ალევინებდა ზედიზედ წყალს, შესაშინებლად ვითომ დასახვერტად გამოიყვანდა, ან ცალ ფეხს ანთებულ ბუხარში შეაყოფინებდა. ასეთ ყოფაში ჩაეარდნილი პატიმრები ოფიცერს ჰპირდებოდენ, რომ მოუტანენ ოქროს, ბეჭდებს, ფულს ოღონდ გაუშვან.

ოფიცერი უშვებდა. პატიმრები შიზობდენ სენაკში, ჰყიდდენ სიმინდს, ლობიოს, ყველს, თამბაქოს, თხეხს და ბეჭდებს იძენდენ...

ყოველ კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ გვესმოდა დასრულებული სროლა. ახლა ზოგჯერ მთელ დღე-ღამეს ებრძოდნენ კერძო მფარველები. მაგრამ ჩვენ გვეჯეროდა, რომ ძიკის გვარდია კი არა, თვითმფრინველებს ეჯერას დააკლებდა. ძიკი ბათურიებს ეძახოდა გვარდიელებს. მთლად გათამამდა. შელაგდებოდნენ ძიკრებში, ეკალბარდებში და მთელი დღე და ღამე არაყს და ლეინოს შეეჭკოდნენ. ღამით ხან ზოხის ტყიდან, ხან ზინწკონიდან, ხან საგუგუნაოს ეწერიდან ისმოდა მათი ერთეული, ობოლი გასროლა. გაჯავრდა გვარდიის ოფიცერი, მაგრამ რას იზამდა: საღამოზე ყველა გზები შეკრული ჰქონდა, გზაჯვარედინებზე თითო გვარდიელი მაინც ეყენა...

ძიკი კი თავის საქმეს განაგრძობდა. ერთხელ კაცი მოგვიგზავნა და სადილის დამზადება გვიბრძანა. მამაჩემი დაფაცურდა. კაი დედის შეილი იყო და ნუ დაფაცურდებოდა... თხა დავკალით, ნახევარი მოეხარშეთ, ნახევარი შევწვით, ერთი დიდი ქვაბი ღომიც დავამზადეთ და გავუგზავნეთ...

მეორე დღესვე ეს ამბავი გვარდიის ოფიცერმა იცოდა. ვერ გავიგეთ, ვინ შეატყობინა. მამაჩემი დაიკვირეს. შემდეგ ერთი დღით გამოუშვეს. მაშინვე სენაკში გაიქცა, დარჩენილი თხები გაყიდა, ოქროს ბეჭედი შეიძინა და ოფიცერს ჩააბარა.

ცულად წავიდა სოფლის საქმე. ორივე, აბრაგიც და მისი მდედარიც ერთი მეორეზე უარესი გამოდგა. ამიტომ ზოგიერთები სოფლიდან აიყარნენ და სენაკში გადასახლდნენ.

ჩვენც უნდა ავეყოლიყავით, მაგრამ ამ დროს გაწმილებულ ოფიცერს სენაკში გაწვევა მოუწოდებდა. ძიკის დასაქურად გვარდიის ახალი ნაწილი უნდა გამოგზავნათ, ჩვენც მოცდა ვამჯობინეთ.



სწორედ სამი დღე იყო დარჩენილი ოფიცერის სენაკში წასვლამდე. იმ საღამოს მამაჩემი თოხით ხელში მოვარდა, რბენისაგან ძლიერ სუნთქავდა, შორიდანვე მომაძახა:

— ბიჭო ბარნაბა, წადი და მეზობელს დაუძახე, ძიკი უნდა დავიჭიროთ!..

თვითონაც ვბიქცა, მე კი თითით მანიშნა, საით წავსულიყავი. მცირე ხნის განშავლობაში ჩვენს უზოში ოცმა მამაკაცმა მოიყარა თავი. მამაჩემი ცულს ლესავდა, ქალები გატვრულულიყვნენ, ზოგიერთნი ხმა დაბლა მოსთქვამდნენ. მამას თურმე საყანის ზემოთ ტყეში უზომოდ მთვრალი აბრაგები შეენიშნა. ახლა მათი სათითაოდ შეკოჭვა შეიძლებოდა, ძიკი ოფიცერის გაწვევას თუ ზეიმობდა...

გლებები აქამდისაც მზად იყვნენ ფრჩხილის ამარა შებმოდნენ მათ... ახლა კი ასე თუ ისე შეიარაღებულნი იყვნენ, ზოგს მარჯილი ეკავა, ზოგს

კაჟიანი თოფი, ზოგს ცული. ერთმანეთს ტუჩზე ორი თითი მიღებით აჩუმებდნენ. როგორც იჭნა ეზოდან გაეტიეს. გვარდიისკაცებს უკვე შეუტყობინებიათ, ეს არავეინ ჩასთვალა საჭიროდ.

მე ვუთვალთვალეზღი, როგორ ფეხაკრეფით წავიდნენ გლეხები, მიუახლოვდნენ პატარა ტყეს, შემდეგ ერთბაშად წამოიშალნენ და ყვირილით გაიქცნენ, გაეარდა კაჟიანი თოფი, ვილაცამ დაიკივლა. გლეხები მორბოდნენ, ცულები და მარგილები აემართათ, კიდევ დაიქუხა თოფმა, შემდეგ მოისმა ხმა-მალალი გინება.

ახლა კი მთელი სოფელი, დიდი და პატარა, მირბოდა ტყისაკენ. მაგრამ მამები და ბიძები აქეთ შემოგვხვდნენ... და რას ვხედავთ?! გვარდიელების ოფიცრებს მოასვენებენ, დათოკილს, შუბლგახეთქილს, ტანისამოს შემოხეულს, იარაღაყრილს. სახე ცემისაგან გალურჯებოდა. უკან კიდევ ორ გვარდიელს მოათრევდნენ. ძიკი სუყველაზე ბოლოს მოჰყავდათ, შეკოკილი, ყაბალახ მოგლეჯილი, აბრაგებიც დაუჭერიათ...

მამაჩემს ხელში ეჭირა ჩალის ღერო, ოფიცერს თავზე არტყამდა და იმეორებდა:

— აჰა, ესეც შენ, აჰა ესეც შენ, აჰა!!

ოფიცერს დღეს ტყეში ძიკისთან უჭეიფნია. აქამდისაც ამხანაგობა ჰქონოდა... ამიტომ არ ეკარებოდა ტყვია ძიკის. აი თურმე საიდან გებულობდა მეძებარი აბრაგების ასავალ-დასავალს, ამისათვის იყო, რომ ხუთჯერ შეხცვალეს გვარდიის ნაწილები და ვერც ერთმა ვერაფერი გააკეთა.



ოზარ ხაიამ

## რ უ ზ ა ი ე ზ ი

ყოველივეს შეიცავს აღნაგობა ფიალის,  
თუ დამტვრა წახდება საჭმე ღვინის ტრფიალის.  
ბევრი ნაზი არსება შეუყვია სიყვარულს,  
დაბოლოს კი გამხდარა მსხვერპლი ბოროტი ძალის.

მარადისობამ წარმომშვა მე ცხოვრების ველად,  
თან სიყვარულის გასაღები მომცა ბირველად,  
და ყოველ ნაწილს შემადგენელს ჩემი გულისას  
საუნჯის კლიტე გაუკეთა მან გასახსნელად.

ძმებო როდესაც თავმოყრილი ერთად იქნებით,  
ერთი მეორის სიყვარულით რომ აღივზნებით,  
ზერდესტი\*) ღვინოს მერქიფე რომ მოგაწვდით ზელში,  
მეც მომიგონეთ საცოდავი თქვენის ლოცვებით,

მოიტა ღვინო, ლაპარაკის რაღა დრო არის.  
შენი ალერსი ჩემთვის მთელი საწუთრო არის.  
მომე ეგ ღვინო, მაგ შენს ლოყას რომ გავს სიწითლით,  
ჩემი აღვზნება აშლილი შენს თმებზე უფრო არის.

ღვინო, რაც გვაძლევს მარადიულს, იგი დალიე,  
ტკბილ სიკაბუკით რომ ავსებხ გულს, იგი დალიე.  
ცეცნლია იგი, მაგრამ ვით წყარო უკვდავების,  
სამუღამოდ რომ განბანს ჩვენს წყლულს, იგი დალიე.

\*) ზერდესტი — ცეცხლოყვანისმცემელი. მუსულმანური ვაგებით „არაწმინდა“.

ჩვენ ვართ ღვინის ზეიდველი ახალის და ძველის,  
 სძებნე სადაც ბალია ღვინის გამყიდველის,  
 იცი სიკვდილის შემდეგ თუ სად უნდა წახვიდე,  
 მე ღვინო მომიტანე, შენ წადი ვინც გელის.



ღვინის ჯამში კარგი არის ღვინო ვარდის ფერი.  
 თანაც ჰანგი თარისა და ჩანგი ანაფლერი,  
 სჯობია, რომ ჩვენ ვაგვშორდეს მწირი ათას ვერსზე,  
 რომელსაც არ გაეგება ღვინის არაფერი.

თნით შეეიჭენ მოჭეიფე და ლოთი ღვინის,  
 ხალხი ამისთვის თუ ასეა რაღად დამცინის?  
 შენ ეი, ყველა, ვინც შესცოდა ლოთად აქციე,  
 და ქვეყანაზე ვერ ვინ ვნახე ფხიზელი ტვინის.

უღვინოდ არ ეყოფილვარ რაც კი მე ცოცხალი ვარ,  
 ეს ვანკითხვის ღამეა, მე ამ ღამეს მთერალი ვარ,  
 ტუჩი ჯამის ტუჩზე მაქვს და ქვევრის მკერდზე მკერდი,  
 დოქი ხელში მიჭირავს, ამის მომღერალი ვარ.

გათენდა, ღამის კალთა მოშორდა არე მარეს,  
 აღე შესვი, შენ რისთვის ეძლევი სიმწუხარეს.  
 დალიე გულო, ქვეყნად კელავ ბევრჯერ მოვა დილა,  
 ის ჩვენ გვიახლოვდება, ჩვენ კიდევ ცივ სამარეს.

ის ვინც წითელი ღვინით ყოველთვის იყო მთერალი,  
 ან ვის ყოველ ღამე კისრად ედო ჭაბბის ვალი.  
 ყველა გაწყალდა, აღარ დარჩა არც ერთი მშრალი,  
 ერთიც არ ფხიზლობს, ყველამ ერთად დახუჭა თვალი.

ღვინოს თუ დაღვე გონების გზას ნუ გადასცდები,  
 ნურც შიში გიბყრობს, სულელივით ნურსად იჯდები.  
 თუ გინდა ღვინო, რომ ყოველთვის შეგერგოს ტკბილად,  
 ნურვის ვალანძლავ და თითონ შენც ნუ გაგიყდები.

თუა მერჭიფე, ღვინო ტკბილი და ლალის ფერი,  
 თუ გაქვს ერაციის სალამური და თან იმღერი,  
 ქვეყნის არსებას რამდენადაც მე ვაკვირდები,  
 ცხოვრების აზრი სიამეა, სხვა არაფერი.



გამზიარულდი, ეს ცხოვრება გაივლის ხელად,  
 სული, და ხორცი შეიქნება დასატირელად,  
 ეს თავის ქალა, რომელსაც რომ შენ ხელსაღმარა  
 მელოქეს ფეხქვეშ მოეპყევა ხვალ დასაზღვრად.

ისევ დაეწვეთ თავხედობა ახალგაზრდურად,  
 დღეში ხალხს ხუთჯერ მოუწოდებთ ღვთის სამსახურად.  
 სადაც დოქია გრძელ-კისერა, ღვინით ავსილი,  
 ჩვენც იქ ვართ მუდამ ფეხგაწედილი ამხანაგურად.

ქვეყნად ბევრი ჩვენ გვარი დათესილა, მომცილა.  
 ამაო მწუხარებით დარდი არ მოსპობილა.  
 ვაავსე ჯამი ღვინით, ხელში მომეცი ჩქარა,  
 შევსვამ. ეს მყოობადი მუდამ ასე ყოფილა.

უინც კი წავიდა არ-ვინაა უკან მოსული,  
 რომ ეთქვა შენთვის საიქიოს განცდილ-ნახული.  
 შენ ცხოვრობ ქვეყნად იძულებით და არა ლოცვით,  
 რა არის ლოცვა უშედეგო, აზრს მოკლებული.

რაც გიქამია ან ჩაგიცვამს შენ მაგ სხეულზე,  
 გეპატიება მისთვის ბოლმა თუ გაწვა გულზე.  
 სხვა დანარჩენი ქვეყანაზე არაფრადა ღირს,  
 თუნდაც სიცოცხლე გაგეყიდა იმისთვის ფულზე.

ქვეყნის სამზადში მხოლოდ ბოლი იგემე მწარე,  
 ყოფნა-არყოფნის განიცადე შენ სიმწუხარე,  
 რადგან ცხოვრება სატანჯველი არის ყველასთვის,  
 მოსპე ეგ ტანჯვა, მოისვენე და გაიხარე.

არვის უნახავს არც სამოთხე, არც ჯოჯობეთი.  
 ვერ იმ ქვეყნიდან არ მოსულა კაცი არც ერთი.  
 ჩვენი იმედი, შიში ყოფნის ისე განეწყო,  
 არა რა რჩება ნიშნისა და ხსენების მეტი.

ჩემის არ ცოდნით დაეკარგა სულს მოთმინება,  
 სევდით მოცულმა ვერ შევწყვიტე ცრემლთა დინება,  
 ჩემი აქ ყოფნა და არ ყოფნა თუ ერთი იყო,  
 ჩემი აქ მოსვლა განგებამ მაშ რისთვის ინება?..



ამ ქვეყნის ტრიალს ჩემის ფიქრით ველარა ვწვდები,  
გარდა ტანჯვისა ვერას აღწევს ჩემი განცდები, რაქუნული  
და რამდენად შე ვუქვირდები ახლა ჩემს საქმეს, მისი მისი  
გათავდა ყველა, და მაინც კი ვერასა ვხვდები.

ვინც აქ მოვიდა ამპარტაენულ თავმოწონებით,  
დასტება ამ ქვეყნის ყოველივე სიამოვნებით,  
შესვა ჯამით და მარადიულს მყუდროებაში  
ყველა შთაინთქა უღმობელი განგების ნებით.

ჩემს შემეცნებას არ აქვს შენში კიდევ-საზღვარი,  
თვით ჩემს შეგნებას შენის მადლით გავლო კარი,  
მაგრამ შეცნობა ვერ შევძელი შენი არსების,  
შენი შეცნობა შენი ყოფნის გარე არ არი.

ჩვენ ბადეში ვართ ფრინველით გამოხვეული,  
სევდა გულს გვიკლავს და ვართ მუდამ შიშმორეული.  
თავბრუდახვევით დავეყილობთ ღია სივრცეში,  
ყოფნა არ ყოფნას თანასწორად ვართ შერეული.

ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოვიშორეთ ქვეყნის ბორკილი,  
ერთ წუთს გვეღირსა მყობადში სიცოცხლე ტბილი,  
ბევრი რამ უკვე შევისწავლეთ საწუთროსაგან,  
ახლა ამ ქვეყნად ყველაფერში ვართ გამოცდილი.

ნუ შეგაწუხებს ქვეყნიური მუდმივი სევდა,  
ჰქმენ რაც ყოველ წუთს მოსალხენად გადაგიტყვედა.  
ქვეყნის საფუძვლად რომ სიკეთე რამ ყოფილიყო,  
სხვების სასჯელი ჯერ შენამდე არ მოაღწევდა.

ის რაც ყოფილა ნუ ხარ მისთვის ფერ დაკარგული,  
რაც არ ყოფილა ნურც იმაზე ნუ გწყდება გული,  
დასტები რაც ქვეყნად გაქვს ამეამად მზად მოცემული,  
სანამ მახვილით მოვა ბედი გაათრებული.

სანამ საწუთრო შეგაწუხებს და გაგაწვალებს,  
გულ გასივებულს ცრემლის ტბორი აგივსებს თვალებს,  
დალიე ღვინო მწვანით მოსილ წყაროს ნაპირზე,  
ვიდრე ამ ქვეყნით გარედ გასვლას ის დაგავალებს.

სანამ საწუთრო შემოგხედავს ბოროტის თვალით,  
ჩვენ შევსვით ღვინო ყველამ ერთად საცხენე ფეხებით,  
ჩვენ ეს სამყარო, როცა წავალთ, იმდენად ვაძინებთ,  
რომ ღვინის ჟინი სიცოცხლეში მოვიკლათ წყალით.

თუ შევიძლია ლოთებს ძმურად მიეცი ხელი,  
ლოცვას და მარხვას დაუნგრეე ცრუ საფუძველი,  
ომარ ხაიამს დაუჯერე მართალი სიტყვა,  
დალიე ღვინო, იგივე და იყავი ქველი.

საღმართო წესების შესრულება თუ გაგიჭირდეს,  
მას განერიდე რა გინდ ძლიერ ძვირად გიღირდეს,  
იმდენად სუსტი, უძლურია მისი მუქარა,  
რომ ეს ზღაპარი არც კი ღირს რომ კიდევ დამცირდეს.

ღვინის სასმელ ღუქანში ენახე მოხუცებული,  
ვკითხე — იქ წარსულთაგან გაქვს რამე გაგებული,  
მითხრა — ღვინო დალიე, ბევრია იქ წარსული,  
მაგრამ არვინ მინახავს უკან დაბრუნებული.

თევზი იხვს შესჩიოდა შეწვის დროს გულგამწყრალი,  
თქმულა — წყალის ნავალზე ისევ გაივლის წყალი.  
იხვმა უთხრა — თუ კი ჩვენ დაგვხრაკავს ცეცხლის ალი,  
ქვეყნად თუნდ ზღვა ყოფილა თუ გინდა წყაროს წყალი.

რადგან ვერაეინ გვეტყვის ჩვენ დღეს: ხვალინდელ ამბავს,  
ნუ მოიწყენ და სევდით ნულარ შეიწუხებ თავს.  
სვი ღვინო მთვარის შუქზე, შენ ეი მთვარევე, მთვარე  
კვლავ ბევრჯერ გაანათებს და ჩვენ ვერ დაგვინახავს.

დღე, რომელიც წავიდა მას ნულარ მოიგონებ,  
ხვალე, რომ არ მოსულა, მით გულს ნუ დაიღონებ.  
წარსულ და არ მოსულზე ნუ დაამყარებ იმედს,  
სიცოცხლეს ჭარს ნუ მისცემ, ლხენას ნუ დააყოვნებ.

რადგან ჰკვიანი ამ დროებით: ვერ გაიხარებს,  
უკუთოს გარდა სიამით დროს ვერ გაატარებს.  
მომე ის ღვინო, გონიერს რომ შეუცვლის ჰკუთას,  
იქნებ დროება ჩვენთვის უკეთ გამოიდარებს.

როგორც ამჟამად მე ამ ქვეყნის საქმესა ვხედავ  
 აქ ყველაფერში ყოველთვის ერთ რამესა ვხედავ,  
 ომ, ღმერთო ჩემო, ნეტავი თუ რად ვახელ  
 ჩვენი სურვილის მიუწვდომელ სახესა ვხედავ.

ოდეს სრულიად განშორდება სული ჩვენს სხეულს,  
 ორიოდ აგურს დაადებენ საფლავს დაქცეულს.  
 როცა აგური დასჭირდებათ სხვის საფლავისთვის,  
 ჩვენც ხის ყალიბში მოგვაქცევენ მტერად გადაქცეულს.

რაც კი რამ დროა, ერთი წამი კარგი არა გვაქვს.  
 სადილი როა, ჩვენ ვახშამი კარგი არა გვაქვს.  
 თუმც მზად შეუცნობ სამზადიდან გვეძლევა ყველა,  
 მაგრამ არვისგან ჩვენ სიამე კარგი არა, გვაქვს.

ჰეი რეგვენო, არსი მიწის არა რა არის,  
 ეს ჭრელი სფერო ამა ცხრა ცის არარა არის.  
 სიკვდილ-სიცოცხლის შეუწყვეტელ ორომტრიალში  
 ჩვენ ერთ წუთსა ვართ, და წუთი ის არარა არის.

ვშიშობ ამ ქვეყნად ამის მეტად აღარ ვიქნებით,  
 ძმა-მეგობრებთან კვლავ ჩვენ ერთად აღარ ვიქნებით.  
 და თვით ეს წუთი ჩვენ რომ ასე ძვირად ვაფასებთ,  
 რომ ამ წუთამდე ჩვენ ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით.

ეს მინდორ-ველი ყაყაჩოთი რომ შემკობილა,  
 იგი ნაზარდი მეფეების სისხლით ყოფილა.  
 ყოველი ია, აღმოზარდილი მიწის სიღრმიდან,  
 ტურფა სახოვან ქალისაგან წარმოშობილა.

ამბობენ სამოთხეში ლხენა ჩვენი სჯობია,  
 მე კი ვიტყვი მას ბევრად უტრძნის წვენი სჯობია.  
 ნაღდი ნახე, ნისია ნუ გსურს, ჩამოეხსენი,  
 დოლის ცემა შორიდან მოსასმენი სჯობია.

ბედი სასტიკი განწყობილი ჩვენს სატანჯველად,  
 მზად არის მუდამ ჩვენი სულის ამოსახდელად.  
 დაჯექი მოლზე სავსე ჭიქით. ცოტალა დარჩა,  
 რომ ეს ბალახი ამ ჩვენს ლეშზე ამოვა ველად.

რადგან ვერვინ ასცდება ამ ეკლიან საწუთროს,  
ტანჯვის მეტს ვერას ნახავს თუნდ სული ამოიხროს.  
შეენატრი, ვინც ქვეყნიდან ძლიერ ჩქარე წაიყვანა,  
ნეტავ მას ვინც ამ ქვეყნად არ ყოფილა.

ვაი რომ უსარგებლოდ დავრჩით ბედშეუვალი,  
ვკიდევართ თავქვე, როგორც ცაზე მთვარის ნამგალი.  
ჩვენს წარსულს ოხვრა-კენესით როცა დავაკვირდებით,  
არსად ვსჩანდით და ვართ კვლავ უჩინოდ მიმავალი.

ის ყოფნის ზღვაში არის საიდუმლო სიშორით,  
ვერ ვინ ეს მარგალიტი ვერ გახვრიტა სისწორით.  
ბევრი გულის ტკივილით გეტყვის თუ რა არის ის,  
ნამდვილად კი რაც არის, ეს არავინ არ იცის.

განთიადის ეამს ეს მამლები, ამ სისხამ დილით,  
იცი ისინი რას მოსთქვამენ გულის ტკივილით?  
მას, რომ სიცოცხლეს კიდევ ერთი მოაკლდა ღამე,  
და ვერ გაიგე შენ გართულმა შენი ღრმა ძილით.

ჰოი სოფელო, შენის ბრუნვით კმაყოფილი ვარ.  
დამიხსენ, რადგან მე ტყვესავით შეპყრობილი ვარ.  
თუ შენი აზრი უმეტრებას ვერ ურიგდება,  
მე ხომ გარ ღირსი, რომ საკმაოდ შეცნობილი ვარ.

თარგმანი სპარსულით ა. ზედიძის





დ ვუღიაშვილი — ბერიკაობა

# ა ლ ზ ი შ რ ი ი ა

კაქავაბერთის მწვერვალი მთელი წელი ღრუბლებითაა მოცული. ციხის კბილისებური კედლები შთანთქმულია თეთრ ღრუბლებში და მხოლოდ მაღალი ბურჯები გამოიყურება შავად. შორიდან ნანგრევები არა სჩანს და ისე გეჩვენებათ, თითქოს ბურჯების მწვერვალზე დარაჯები დგანანო. დახურულია კოშკის რკინის კარები, გოდოლის მწვერვალიდან აგერ ერთი ეშვადება ვადმოსძახოს კლდე-ხრიოკით ამსვლელს.

ხოლო როდესაც ქარი ღრუბლებს ჰფანტავს და ხევში ღრუბლების ნაფლეთები დნება, მაშინ ციხე-სიმაგრის ბურჯნარები, გოდოლის ჩამოკნთრული მწვერვალი და ნახევრად მიწაში ჩაფლული გალავანი გამოჩნდება. არც ერთი რკინის კარი, არც ერთი მცველი გოდოლის მწვერვალზე.

სიჩუმეა გაშეფებული კაქავაბერთის ნანგრევებში. მხოლოდ ხევში ხმაურობს მდინარე ბასუტა, ფხეკს კიდეებს და სალავს კალაპოტის ცისფერ ქვას. ვიწრო კალაპოტში იკლავება მდინარე ბასუტა, თითქოს მის თეთრ ქაფში ღმუის ათასი ნაგაზი და ღრღინის ჭვის ბორკილებს.

ციხის გალავანზე დაბუდებულან ორბი და სეავი. როგორც კი კედლების ძირში გაისმის ფეხის ხმა, ისინი ჩხავილით ახმაურდებიან, აფრინდებიან ბუდიდან და საშინელ სიმაღლიდან დასტრიალებენ ციხის ქოჩორს. შემდეგ აიძვრის ბასრ ნისკარტიანი, შუბივით გალესილი ბრჭყალებით, ფოლადის ფარისებური ფრთებით ჭვის არწივი.

კაქავაბერთის მწვერვალის ერთადერთი ყვავილი ალპის იაა. ღერო კაკაბის ფეხსავით წითელი აქვს, ყვავილი — ჭერამის ფერისა. ჭვის ახლოს ამოდის ალპიური ია, გალავნის ძირში. მზისგან ქვები ხურდება და როდესაც ღრუბლები გადაეფარება ქვასა და გალავანს, ია მოიხრება, თავს აყრდნობს ქვაზე. ყვავილის მტვერში ამოგანგლულ კრელ ხოქოს ია საჭანელად ეჩვენება, ქვეყანა კი ჭერამისფერ წალკოტად.

ქვევით ხევში, მდინარე ბასუტას მეორე ნაპირას საღ კლდეებს შეჰკედლებია რამოდენიმე სახლი. დილით ბუხრიდან კვამლი ამოდის, იგი იჭიმება ცისფერ ბაფთასავით და ინთქმის ღრუბლებში. სოფელში პაპანაქ შუადღეს ყივის მამალი, მამლის ყივილთან ბებერი გლეხი ქობის ჩრდილში ამოქნარებს, ჯოხით ქვიშაზე ნიშნებს სახავს, ნიშნებთან ერთად სჩხრეკს თავგადასავალს.

თუ სოფლად და ციხის მწვერვალზე დრო წელის ნაზიჯით მივლოდავს, წლები იგივე ხის ერთმანეთის მზგავსი ფოთლებია. ამიტომაც, რომ მოხუცის მესხიერებაში ირევა ყოველივე. მდინარე ხმაურით მტკვლე პანგზე, იგივე ქვებია და იგივე ქვის არწივი.

რამდენ თაობას უცხოვრია მდინარე ბასუტასთან. ნაფლეთებით დაკერილი ქეჩა გადაუფარავთ ფიჩხებზე, ლერწმით ქოხი შემოუსარავთ და ყოველ გაზაფხულზე, როდესაც კაქაეაბერთის ფერდობზე გაშლილა ალპიური ია, თხა და ცხვრები წაუსხავეთ ციხის ფერდობზე, ყველით გულა გაუტენიათ და ზამთრობით უხრავთ ღომის პური და თხის ყველი.

ერთ მზიან შუადღეს კაქაეაბერთის კლდე-ხრიოკით მიეშურებოდა სამი მხედარი. არამც თუ მარტო ტანთსაცმელი, არამედ ცხენებზე უხერხული ჯდომაც ააშკარავენს, რომ ორი მხედართაგანი ქალაქელია და ჯერ არ უხილავთ არც კაქაეაბერთი და არც მისი კლდე-ხრიოკი.

მესამე ცხენოსანი მათ თანამგზავრობდა და მაშინ, როდესაც პირველი ორი მაგრად ჩაპფრენოდა ცხენებს ფაფარში, თითქმის მოხრილიყენენ კიდევ წონასწორობის შესანარჩუნებლად, უკანასკნელი მხედარი ცხვირში ლილინებდა სიმღერას — უდაბნო ხევივით, მოსაწყენს კლდე-ხრიოკით და დაშორებულ სოფლებსავე სევდიანსა და იმედდაკარგულს.

ციხის მწვერვალზე დასკუპებული ღრუბელი ფარდის მზგავსად ხან გადაიწეოდა და მაშინ მოსჩანდა გალავანი, ხან გადაეფოფებოდა ქოჩორს. პირველი მხედარი თვალს არ აშორებდა ციხე-სიმაგრის გალავანს. იმის თავში ციხის წარსული ტრიალებდა, ეტრატის მატრიანებში თავადების დროის შესახებ მოხსენებული ამბავი, როდესაც ციხის რკინის შესავალთან გაისმოდა ჯავშნიანი ცხენების ჩლიქების რახუნით გამოწვეული ხმაურობა და მოწინააღმდეგეთა განადგურების შემდეგ დაბრუნებულ გმირთა შუბების ტრიალი. სათვალეთაშორის მისი სწავლული თვალები ხედავდენ ჯავშნიანებს, პერგამენტის მემატრიანეს — ლერწმის კალმინს მათი ქების თხზვის დროს, და ის ისმენდა შორეულ წარსულის ცხენთა ხმაურს. რა ძნელი იყო მისთვის კლდე-ხრიოკით სიარული, მაშინ როდესაც ციხის უწინდელ მფლობელებს მთის თხებსავეთ ეადვილებოდათ ასვლა.

როდესაც მივიდენ ქოხებთან, პირველმა მხედარმა განაგრძო გზა. იგი ეძებდა ძველ გზას და ვერ ხედავდა ქოხების წინ ნაცარში მტუნანეს ნახევრად ტიტველ ბავშვებს, თხებს, რომლებიც გაკვირვებულნი აკიწინებდენ თავებს.

ფეტრის ქუდიანი მეორე მხედარი კაქაეაბერთის მწვერვალზე ძველ ნაშთებს არ დაეძებდა. მთელ მის სიმდიდრეს უბის სქელი რვეული და წვერწათილი ფანქარი შეადგენდა. როგორც კი თვალს მოჰკრავდა რო-



მელიმე სახეს, შეამჩნევდა ღამაზე კუთხეს, ან ხაესით დაფარულ ქვას, მაშინვე ფანქარს მოჰკიდებდა ხელს და ხატავდა რვეულში.

პირველი მხედარი არქეოლოგი იყო, მეორე — მხატვარი ნულოზ როდესაც ისინი მივიდნენ ქოხებთან, ძაღლები დატყვევებული იყვნენ რამოდენიმე სული გამოვიდა ქოხებიდან და მიიხედეს იმათკენ. ნაცარში მოთამაშე ბავშვებმა დაინახეს ძაღლები როგორ დაედევნენ ცხენებს ყეფით. ტყვილად ცდილობდა მესამე მხედარი მათრახის საშუალებით ძაღლების მოგერებას. ძაღლებმა ყეფით გააცილეს ციხის გაღვენამდე მხედრები, შემდეგ ერთმანეთთან ლაჭუცით დაბრუნდნენ.

კაქავაბერთის ქვეები თითქოს გაცოცხლდნენ და ესაუბრებოდათ არქეოლოგს. იგი უახლოვდებოდა ამა თუ იმ ქვას, მოიხრებოდა, აცქერდებოდა, ზომავდა, სწერდა რალაცას, ფეხით სთხრიდა მიწის ნანგრევს, სინჯავდა მიწის ქვეშ ჩაფლულ გათლილ ქვის წვერს. ის ავიდა ციხის კედელზე, თავი გამოჰყო ბურჯის სარკმელიდან, და როდესაც ბურჯის კუთხეში ქვაზე ნათხარი წარწერა დაინახა, მორთო ყვირილი.

მესამე მხედარი, რომელსაც ცხენებისთვის აღვირი აეყარა და გაღვენთან მიმდარი თამბაქოს ეწეოდა, არქეოლოგის ყვირილმა ფეხზე წამოაბტუნა: იმას ეგონა, სათვალეებიან კაცს გველმა უკბინაო.

ფეტრის ქუდიანმა კაცმა დახატა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, მალაღი ბურჯები და ნაკედლარები. ციხის შესავლის დახატვის დროს ფანქარი ერთ წუთს ხელში შერჩა, ვინაიდან იმის ფეხის ხმაზე ერთი სვავი ჩხავილით აფრინდა ბუდიდან და შემოუტრიალა ციხის მწვერვალს. იმის ხმაზე სხვებიც შეგროვდნენ.

სვავების ჩხავილით დაფრთხალმა ცხენებმა აცქვიტეს ყურები, ერთმანეთს დაუახლოვდნენ. და როდესაც არქეოლოგმა ბურჯის მწვერვალისგან დაიძახა, რომ მან იპოვა თავად ბაკურის სასაფლაო, მხატვარი ვერ მიუხედა სიტყვას. მისი ყურადღება სვავთა ტრიალს, მათ ფრთების მძლავრ ფარფატა და სისხლისფერ ჩანგლისებურ ნისკარტებს გაეტაცნა. საოცარი ქნევა იყო მათს ტრიალში! ერთი წამი და გატაცებულს ხელთ შერჩა ფანქარი. მან ვერ შეამჩნია, როგორ დაუტურდა ქუდი და დაეარდა ქვაზე.

ერთი კაცი, ქაშარში ნამგალ გაყრილი, ბინძური ხელცახოცით თავშეხვეული გამოვიდა ქოხიდან და კომბალზე ყრდნობით ციხის კედელხრიოკით ავიდა მაღლა, მიუახლოვდა ცხენების ახლოს მჯდომ მცველს. კაცმა დაინახა სათვალეებიანი, რომელიც ერთ ქვის ამოთხრას ღამობდა, და როდესაც მცველს შეეკითხა მოსულთა ვინაობას და ციხის ნანგრევებში ძებნის მიზანს, მცველმა ამ მოულოდნელ კითხვაზე უპასუხა, რომ წიგნებში სწერია, კაქავაბერთის მწვერვალზე დაფლულ ქურში ოქროს საუნჯებია დამარხულიო.

მომკვლი ჩაფიქრდა. მხარი მოიფხანა და გაუდგა ხეცს ღომის ყანის მოსამკელად. მიდიოდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. რა იქნებოდა,

რომ თვითონ ეპოვნა საუნჯე! რამდენჯერ მჯდარა სწორედ იმ ქვაზე, რომელიც ამოთხარა სათვალეებიანმა. რომ სცოდნოდა, მაშინ სტუნჯე მის ახალუხის ჯიბეში იქნებოდა. რამდენ ძროხას იყიდებდა. *ქუნი*

ამ ფიქრებში იყო გართული მომკელი, როდესაც *ქუნი* რომ უკვე ლომის ყანასთან მისულიყო. მან ჩიხა გადაისროლა, ჩიხას ზედმეტი ფიქრები გააყოლა, მოხვია ნამგალი ერთ ხელეურ ლომს და მოსჭრა.

ციხის ქვების ახლოს ამოსულიყო ალპიური ია, ჭერამისფერი ყვავილი. არქეოლოგი ვერ ხედავდა ვერც იას, ვერც ბალახს. იმის ფეხსაცმელი სთელავდა ბალახსაც და ყვავილსაც.

ქვეყანა მისთვის ვრცელი მუზეუმი იყო, სადაც არც ერთი სულიერი არ არსებობდა და არც ერთი ხოჭო. იგი ჰგლეჯდა ქვებზე ამოსულ მცენარეებს, ჯოხის წვერით ძირბუდიანად სთხრიდა ქვის ნაპრაღში ამოსულ იას, ხელით ასუფთავებდა წარწერებს და ეალერსებოდა ქვებს.

ფეტრის ქუდიანმა კაცმა არქეოლოგისათვის საჭირო სურათების დახატვის შემდეგ, რვეულის ახალ ფურცლებზე ჩახატა აგრეთვე ვალაენის ერთი ნაწილი, არწივის ბუდე და ვალაენის ფეხქვეშ ამოსული ალპიური იები.

ნაშუადღევს ციხიდან ჩამოვიდნენ. არქეოლოგმა ერთხელ კიდევ შემოუარა ციხეს, რვეულში რაღაც ჩანიშნა და შემდეგ აჩქარებული ნაბიჯით დაედევნა ცხენებს.

ყველაზე წინ მესამე მხედარი მიდიოდა. არქეოლოგს თავადი ბაკური და მემპტიანეთა პერგამენტები აგონდებოდა, მხატვარს კი არ ავიწყებოდა იები და ისმენდა ბასუტა მდინარის ყრუ შუილს. მესამე მხედარი ახალ გამომცხვარ ლავაშების, ყველის და მაწვნის გემოს გაეტაცნა. მან პირველ ქოხთანვე შეაჩერა ცხენები, მოსართავები მოუშვა, ალვირით შეუკრა ცხენებს ფეხები და ქოხის პატარა კარებში შევიდა. მშვიერი ცხენები ნორჩ მწვანე ბალახს ხარბად დაეწაფენ.

ქოხის შესავალთან კერასთან ერთი პატარა ბავშვი სოკოებს სწვავდა ნაცარში, უცნობ ადამიანების შემოსვლამ ის გააოცა, აღარ იცოდა სოკო ცეცხლზე დაეტოვა და დედისთვის დაემძხნა, თუ სოკოც თან წაეღო. როდესაც ქოხის ახლოს მოისმა დედის ფეხის ხმა და კაბის შრიალი, ბავშვს გული მოეცა: შემწვარი სოკო ამოიღო ნაცრიდან და კერის ქვაზე დასდო.

დედა შემოვიდა. დაინახა რა სტუმრები, თავშალი ოდნავ ჩამოიწია თვალეებზე, შემდეგ მიუახლოვდა წალოს, გადმოიღო ორი ბალიში და მიაწოდა სტუმრებს.

მესამე მხედარმა არქეოლოგის ჩანთიდან კონსერვი ამოიღო.

— ჩვენ გვშია, დობილო! თუ მოგეპოვება მაწონი, მოგვეცი, კარგი იქნება თუ ჩაჩსთვის წყალს აგვიღულებ. შაქარი გვაქვს... — უთხრა მან.

ქალი მიუახლოვდა კერას, ბავშვის სოკოები გვერდზე გადასდო და იხარა და მხრჩოლავ წივას შეუბერა. ამ დროს თავშალი უკან გადაეწია. ფეტრის-ქუდიანმა კაცმა დაინახა დედაკაცის თეთრი შუბლიანი მკვეთრი და ისეთივე თვალები.

მან სახე ველარ მოაშორა მხრჩოლავ კერას და ნაცართან მიჩოქილ დედაკაცს. სად ენახა მას მსგავსი სახე? მაღალი თეთრი შუბლი და მუქი ისფერი თვალები? როდესაც ქალი წამოდგა, მოიტანა კერაზე დასადგმელი სამფეხა ზედადგარი, გადმოიღო კვამლისგან გაშავებული ჩაიდანნი. მხატვარმა ძალიან ახლოს დაინახა მისი თვალები, წარბებზე და თმებზე დაყრილი ნაცრის მტვერი.

რა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ! ნუთუ შესაძლოა ორი სახე და ტუჩებიც კი ამნაირად ჰგავდეს ერთმანეთს! კაქავაბერთის ქალის სახე მზეს ოდნავ დაეწვა, მაგრამ თვალების მოყვანილობა იგივე იყო რაც იმ ქალისა, რომელსაც ისეთივე წვრილი წელი ჰქონდა და მაღალი მოყვანილობა.

ქალი ჩაის ამზადებდა უსიტყვოდ, მარდი მოძრაობით. ყოველჯერ წელში მოხერხის და გამართვის ანდა შიშველი ფეხებით ქილობზე გავლის დროს მისი სახელოების ვერცხლისფერი სამკაულები ჩხრიალებდა პატარა ეფანებივით და მისი ტანისაცმელიც შრიალებდა, რომლის კალთები შიშველ ტერფებს სწევდებოდა.

იმ ქალსაც მოშრიალე ტანისაცმელი ჰქონდა, იცვამდა მოყვითალო ფერის პალტოს და შავი ხავერდის ქუდი ეხურა, რომლის მოგრძო ჭინჭისთავს ნარინჯისფერი თავი ჰქონდა. შორს იყო, ძლიერ შორს. ეგების მდინარე ბასუტა შეერთებული სხვა მდინარესთან აღწევს იმ ზღვის კიდეს, რომლის ქვიშაზე ერთ დღეს ისხდნენ ეს ქალი და ეს მხატვარი.

მეგზურმა გახსნა კონსერვის მეორე კოლოფი. არქეოლოგი სუფრასა და სპილენძის ჭურჭლებს თვალს არ აშორებდა. ბავშვმა სოკო იგემა და თვალები მიაჩერა კონსერვის ბრჭყვიალა კოლოფს. მოუთმენლად ელოდა მის დაცარიელებას. კაცმა შეამჩნია ბავშვს და კონსერვის კოლოფი მიაწოდა.

ბავშვმა კოლოფი დაბღერტა. ჭიხის წინ მწოლარე ძაღლმა გადასანსლა ხორცის ნაჭრები და მოილოკა სასა. შემდეგ კოლოფი გაიტაცა და ბავშვებისაკენ გაიქცა, რომ ეჩვენებინა მათთვის თეთრი თუნუქის კოლოფი, რომელიც უნახავი რამ იყო კლდე-ზრიოკელთათვის.

ქალი დამჯდარიყო კერასთან, ხშირად ჩაიდანს სახურავს ხდიდა და წყალს დასცქეროდა, უბერავდა ცეცხლს და წივის ნატეხებს უმატებდა. როდესაც კვამლი ღრუბელივით მაღლა აღიოდა და ჟონავდა ლერწმიან კედლის ნაპრალებ შორის, ქალს ხელი შუბლისკენ მიჰქონდა, რომ თვალები დაეფარა ცხარე კვამლისაგან.

კერასთან მიმჯდარ დედაკაცს გრძელი კაბის ქვედან მუხლები უჩანდა. ფეტრის-ქუდიან კაცს ეს ნაცნობ-უცნობი მკითხავ ქურუმ ქალად ეჩვენებოდა.

იმ ქალს არასდროს შიშველი ფეხებით არ უვლიდა და არც მხრჩოლაე წივის წინ მჯდარა. დილით ზღვა ბრინჯაოს სადნობ ქურსავით ღელავდა და ნაპირის ქვებს ლოკავდა. შავი ხავერდის ქეტრსანი ქალი ზღვის ნაპირას ქვიშაზე ქოლგის წვერით რალაც ნიშნებს ხაზავდა და შლიდა, და ამავე დროს ხელში ნაქერს გამხმარ ტოტს ამტვრევდა, ნაკუწებად აქცევდა. ტალღები წვეთებით რწყავდა მათ ფეხებს და უკან გარბოდა, თან გამხმარი ტოტების ნაკუწები მიჰქონდა. ქალმა ზღვის ნაპირას სიტყვა მისცა... ქვეყნის ვრცელ ზღვად ეჩვენა და გული მას შეუღულა.

შემდეგ სხვა დრო დადგა. შემთხვევითი და მარტივი აღმოჩნდა განშორება. ფიქრში დარჩა წყვილი იისფერი თვალეები, მოყვითალო ფერის პალტო და ქოლგის წვერი, რომლითაც ქალი ქვიშაზე ფიცის ნიშნებს სწერდა და შლიდა.

ჩაიდანში წყალი აღუღდა, საბურავი ახმაურდა. ქალმა კალათიდან ლამბაქები და ყვავილებიანი ჭიქები ამოიღო, სუფრაზე დააწყო, და როდესაც სუფრისკენ დაიხარა, ბეჭებზე დაყრილი ნაწნავეები გადმოეყარა და მხრებზე ჩამოეკიდა. ზღვის კიდის ქალს მოკლედ შეეკრეპილი თმები ჰქონდა და თეთრი კისერი, ზედ თხელ კანში ლურჯი ძარღვები მოჩანდა. ბავშვი ცარიელი კოლოფით შემოვარდა ქოხში. ქოხის კარებიდან ბავშვების ერთი ჯგუფი გაკვირებული შესცქეროდა ჭილობზე დამსხდარ სტუმრებს. ბავშვის მზიარულებას საზღვარი არა ჰქონდა როდესაც მეორე კოლოფიც მიიღო. ახლა ის გარეთ აღარ გავიდა, დაჯდა ჭილობზე და დედამ იმასაც ჩაი მიაწოდა, ხოლო ფეტრის-ქუდიანმა კაცმა შაქრის ერთი დიდი ნაქერი ჩაუღო ჭიქაში.

ბავშვს გაუკვირდა და როდესაც შაქრიდან ბუშტები აციმციმდა ჩაის ზედაპირზე, მან თითი ჩაჰყო ჭიქაში შაქრის ამოსაღებად. თუმცა ცხელმა ჩაიმ დასწვა თითი, მაგრამ კრინტი არ დასძრა. მეტად გემრიელი იყო ჩაიში ნახევრად გამდნარი შაქარი. არქეოლოგს ცხვირ-ქვეშ ჩაეცინა, რალაც მოაგონდა ადამიანის წარსული დროიდან. ქალმა ჩაიდანს წყალი ჩაუმატა და ყმაწვილის ცელქ საქციელზე მზიარულად გაიღიმა.

ფეტრის-ქუდიანმა კაცმა შეამჩნია ეს ღიმილი. მეტად ნაცნობი იყო იგი. ალბათ ვისაც მზგავსი სახე აქვთ, მათ ღიმილიც ერთნაირი ექნებათ. დედაკაცს ზევითა ტურჩი შეუშინველად აუკანკალდა, ღიმილისგან ტურჩები გაუწითლდა სისხლისფერი მებაკის ფურცელსავით, ღიმილისაგან თვალეები გაუბრწყინდა.

უცბათ მან უბიდან რვეული ამოიღო, გადაფურცლა ქვებისა და ქანდაკების სურათები, გადაფურცლა აგრეთვე ვალანის თავზე მოთავსებული არწივის ბუდის სურათი და თეთრ ქალღღზე ფანქრის სწრაფი მოძრაობით დახატა კერასთან მიმჯდარი ქალი, რომელიც თვალეებით კერის ქვას დასცქეროდა. სახის გამომეტყველება უცხო არ იყო მისთვის. რამო-

დენიმე ხნის წინ, გონებას ბევრი ემუშავნა მასზე. დახუჭული თვალებითაც კი ხედავდა იგი ქალის პროფილს.

მხოლოდ ბავშვა დაინახა დედის სურათი თეთრ ქალღმერთს და მოეგონა, თითქოს ფეტრის-ქუდიანი კაცის თეთრი ფურცლები ყოველივეს ისე სახავდეს, როგორც წყაროს ანკარა წყალი.

ცოტა ხანს შემდეგ ცხენები ქოხის წინ იდგნენ. მესამე მხედარი აღვირს უკეთებდა ცხენებს და ამაგრებდა მოსართავეებს. და როდესაც ჩანთა ჩააკრა უნაგირს, მიუახლოვდა კერასთან მიმჯდარ ქალს გამოსამშვილობებლად. ქალი წამოდგა, თავსაფარი შებლზე ჩამოიწია და თითის წვერებით შეეხო მესამე მხედრის გამოშვერილ ხელს. დედაკაცმა ხელები გულზე მიიკრა და თავი მოიხარა. ფეტრის-ქუდიანმა კაცმა ბავშვს ვერცხლის ფული მისცა და ხელი თავზე გადაუსვა.

ცხენები დაიძრნენ კაქავაბურთის კლდე-ხრიოკით ბასუტის ხევისაკენ. აღვირებში ხელჩაკიდებული სამი სული მიუძლოდა მათ, რომლიდან თითოეული ფიქრში ჰჭოვდა ნახულს. გზის ორივე მხარეს ამოსულიყვნენ აღპიური იები. ფეტრის-ქუდიანი კაცი დაიხარა, მოსწყვიტა ერთი ია და რვეულის იმ ფურცელში ჩასდო, რომელზედაც დახატული იყო სამფეხი და წვრილწელიანი ქალი.

### შედამდა.

იგივე გზით ქოხებისკენ მიეშურებოდა ერთი კაცი. ქამარში ფოლადის ბრკვეიალა ნამგალი ჰქონდა გაყრილი. კაცი დაქანცულიყო, მთელი დღე ემკა მოკლე ღეროანი ღომი და წელი სტკიოდა. ამიტომ ის ნელი ნაბიჯით ადიოდა. კომბალს აბჯენდა ქვაზე, ხანდახან შეჩერდებოდა სულის მოსათქმელად. როდესაც ჩერდებოდა, მოხრილი მუხლები კანკალს უწყებდა.

მომკველი ის კაცი იყო, რომელსაც მესამე მხედარმა ციხის საუნჯის ამბავი მოუთხრო. თავის ყანიდან დაინახა მან მხედრები და ეჩვენა, რომ უნაგირზე ჩაკრულ ჩანთებში სწორედ ის საუნჯეებია, რომლებიც ასე წლობით დარჩენილან ქვის ქვეშ, რომელზედაც თვითონაც ხშირად ჯდებოდა, როდესაც ციხის ნანგრევებში თხასა და ცხვარს ინახავდა. ამ ფიქრებს გაებრაზებინა იგი თუ დაღლილობას ემოქმედნა?.. კაცი დაღვრემილიყო ისე, როგორც საღამოს ეამს სანადიროდ ტყეში გამოსული მშვიერი დათვი.

ის მივიდა პირველ ქოხთან, ფეხი ჰკრა კუდის ქნევით პატრონის შესაგებებლად გამოსულ ძალს, შემდეგ ნამგალი ამოიძრო ქამრიდან, გადისროლა კუთხეში, დასდო ჯოხი კერასთან და ჩუმად მოიკეცა ქილობზე.

კერა ხრჩოლავდა. ჩაიდანში ცხელი ჩაი დღულდა. წალოში ბალიშზე ორი ნაჭერი შაქარი იდო. მომკალს ჯერ ქალამნები არ გაეძრო და წინდები არ დაეფერთხა ღომის მარცვლებისაგან, როდესაც გრძელ კაბის

კალთების ერთმანეთზე ხახუნით და სამკაულების კორიანით ქოხში შეზოვიდენ მისი ცოლი და ბავშვი, რომელიც დედას კალთაზე ჩამოჰკიდებოდა და ხელთ კონსერვის ორი ცარიელი კოლოფი ეჭებოდა. ბავშვი მამისკენ გაეჭანა, რომ კოლოფები ეჩვენებინა. მამამ მხედრები მის ქილოზე მსხდარიყვენ. ბავშვმა ვერცხლის ფულიც უჩვენა, რომელიც ერთ კეთილ ბიძას მიეცა მისთვის.

მამამ ფები ჰკრა შვილს და ცარიელ კოლოფებსაც. კოლოფები გაგორდა, ბავშვიც გაგორდა. შემდეგ წამოხტა და დაედევნა კოლოფებს. კოლოფებით მოეხვია დედის კალთებს და მორთო ტირილი. მამამ დაბალი ხმით დაუძახა ბავშვს და სთხოვა ვერცხლის ფული ეჩვენებინა. ბავშვს დასრებულს სახე გაელიმა, მიუახლოვდა მამას. შემდეგ მოუყვა, რომ სტუმარს უბეში მზინავი რამ ჰქონდა, რომელშიაც თეთრი ქაღალდები ეწყო და რომ ფულის მომცემმა კაცმა დედის სურათი გადაიღო ქაღალდზე და უბეში ჩაიღო.

ევემა დადვრემილ მომკალს მეხვიით ჩაუელვა გულში. თვალები გაუფართოვდა, გაფითრდა. დედამ გადახედა ბავშვს და სახე აელანდა. მამამ შეამჩნია ეს. ყველა ეს მოხდა ერთ წამში. მეორე წამს კაცი ბრაზ-მორეულ დათვისებრ გადახტა და მისი ბალნიანი ხელები მაგრად ჩაეჭირა მძიმე კომბალს და კომბალი საშინელის ძალით დაეშვა ქალის ბეჭებზე.

სამკაულები აჩხრიალდა, ქალის გრძელი ნაწნავები შეთამაშდა. სამ ფეხ ზედადგარზე მდგარი ჩაიდანა გადაიხარა. კომბლის დამსხვრეული თავი დაეცა წალოზე. ქალმა არ იყვირა, მხოლოდ ტკივილებისგან დიოკლავა და ზელი ჩაივლო ბეჭში. შემდეგ გამოვიდა ქოხიდან და მორთო უხმო ქვითინი.

ბავშვს ცარიელი კოლოფები ისევ ხელში ეჭირა, მერე დედას დაედევნა და მის კალთას შეაფარა თავი. კაცმა ცოტა კიდევ იბუზღუნა, შემდეგ შეჭამა ღომის პური, ბეწვიანი ქუდი ამოიღო თავქვეშ და გაიშხლართა ქილოზე.

კაჭავაბერთის მწვერვალზე სიჩუმე ჩამოვარდა. ჩაჭრა ცეცხლი კერაში. ბნელმა ღამემ მოიკვა არემარე. მხეცების შიშისაგან ძაღლები მოიკუქნენ ქოხების წინ. ცხვარი მწვანეზე მიწვა. ქილოზე წამოწვა ქალიც და წაახურა ბავშვს ქება.

კაჭავაბერთის მწვერვალიდან უშველებელი ღრუბელი ლოკოკინასიგოქოხებისაგან წალოდა. ნამმა დასწვეთა ქვებზე, ხავსზე. ცხვრების მატყლ ღამის სინესტე შეუჯდა. დაიცვარა ალპური იის ფურცლები.

ყვავილის სუნით დამთვრალ ერთ ხოქოს ჩასძინებოდა მტვრიანაში და ასე ეგონა, თითქოს ქვეყანა სურნელოვანი წალკოტი, ალპიის ია ყოფილიყო.

თარგმანი სომხურიდან ბრ. სიმონაშვილიანი



დ. გუგუშვილი — კოსტუმები

## აკაკის „მორონცოვი“-ს გამოცემა

როცა პირველად ამ ნაწარმოებს წაეაწყედი 1927 წ. „ბოქვა“-ზე მუშაობის დროს, — მიუხედავად იმისა, რომ პოემა არა აკაკისებური მძლავრი შტრიხებითაა დაწერილი, — ჩალაც სიამოვნება ვიგრძენ. რუსეთში პუშკინის თუ ნეკრასოვის რომელიმე დაკარგული პუყარის შესახებ, მთელი ტომები იწერება, და ვითომ რატომ არ უნდა გამხარებოდა, ხუნი ძვირფასი კლასიკის ჯერ გამოუქვეყნებელი პოემის პოენა?

ცენტრარქივში დატულია საცენზურო კომიტეტის საქმეები, ერთ საქმეს ასეთი წარწერა აქვს: „Дело Тифлисского комитета по делам печати о задержании Грузинской брошюры сочинение Акакия Церетели, второй том, Кутаис, типография Киладае. Издание „Ииерети“; № 398“.

როცა ეს საქმე გადავითვალისწინებ თვით აკაკის პოემა, (ე. ი. ცენზურის მიერ დატყუარილი აკაკის ტექსტი) ვერ აღმოვაჩინებ. „საქმე“-ში არ იყო ჩაყერებული. სამაგიეროდ საქმეში ჩართული იყო აკაკის პოემის ტექსტი რუსულ ენაზე გადათარგმნილი (თარგმანი სერეთოდ კარგია, შესრულებულია პროზად, შეიცავს 18 თაბახ ჭალადს, რემინგტონზე სუფთად დაბეჭდილს).

როგორც მიწერმოწერაიდან ირყევეა საქმის გარემოება ასე ყოფილა.

ქუთაისში, გამოცემულა „იერეთი“ (ის. კვიციანიძის თაოსნობით და იაკობ მანსეგრაშვილის საფასით) გადასწყვიტა აკაკის ნაწერების გამოცემა ატორთან შეთანხმებით: აკაკი თავის პირველ ტომს ასეთ შენიშვნას უყეთებს: „... განვიზრახებ სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამ გყარად: გამოცემა თვითეთული წიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში კი — ძველი, უყვე სხვადასხვა ფურცალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ ვასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ეს თხზულება.“\*)

ეს პირველი ტომი ტფილისში დაბეჭდა 1912 წელს ხოლო მეორე ტომი ქუთაისში 1912 წლის მიწურულში. საცენზურო კომიტეტის განკარგულებით მეორე ტომი აკრძალულ იქმნა. ტფილისის ბეჭდვითი კომიტეტი საჩქაროდ გზავნის დეპეშას ქუთაისის პოლიციისტრის სახელზე: „Кутаис. Полициейстеру. Комитет печати просит задержать второй том сочинений Акакия Церетели“. განკარგულება მალიად იქმნა შესრულებული და მთელი გამოცემა ჩააწყვეს სამ ყუთში, დაბეჭდეს და გადაიტანეს პოლიციის სამმართველოში.

მეორე ტომის მთლიანად აკრძალვა იმან გამოიწვია, რომ საცენზურო კომიტეტი უცებ ვერ გაყრკვია რა იყო აკაკის პოემაში მთავრობის საწინააღმდეგო (129 მუხ. 1034\*)! — ცენზურის ზეპირმა მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილა კომიტეტის დანარჩენი წევრები და დადგენილ იქმნა აკაკის პოემა „მორონცოვი“ გადათარგმნილიყო რუსულად და წაითხზულიყო მეორე სხდომაზედ.

\*) აკაკი: „ჩემი ნაწერები“ ტ. I. 1912 წ. გვ. 5.



ეს საქმეც მალიად იქმნა შესრულებული.

ამ თარგმნით საბოლოოდ დადასტურდა პოემის „მიუღებელი ადგილები“ და ტფილისის ბეჭდვითი კომიტეტი მეორედ გზავნის ქუთაისში, ახლანდელ ქუთაისის სასამართლოს ბრალმდებელის სახელზე შემდეგი შინაარსის მიწერილობას:

„...ამ წიგნში (გვ. 3—58) აკაკი თავის პოემით „ეპრონცოვი და მისი დრო“ იძლევა უკლებლივ და ყურმოკრულ ცნობებს ეპეასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცების დროის შესახებ. ეს პოემა გამსჭვალულია ცილისწამებით და რუსეთის მფლობელობისადმი მტრულ განწყობილებით. ამ ნაწარმოებიდან ის აზრი გამომდინარეობს თითქოს რუსეთი მიამიტ საქართველოს ატყუებს მლიქვნელობით, კრუ დაპირებებით და სისხლხარბათა სწოვს... ეს პოემა, რომელიც გაშუქებულია საეჭვო ისტორიული ფაქტებით და ტენდენციურობით, აღიზანებს მოსახლეობას, უნერგავს სიძულვილის გრძობას რუსეთის მიმართ და უპარისპირებს თავის სამშობლოს წმინდა სახეს, რომლის ვასანთაიუსფლებლად საჭიროა ერთგულ მამულიშვილებს მოწოდება მამულისთვის თავის დასადებად. ვინაიდან ეს პოემა ზოროტეანზრახვითაა დაწერილი და შესაძლოა მისი გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაში უპატივცემულობა გამოიწვიოს რუსეთის ხელისუფლებისადმი, ამიტომ კომიტეტმა დაადგინა შეაჩეროს აკაკის ხსენებული წიგნის გამოცემა, გიგზავნით რა ამასთანავე აკაკი წერეთლის მეორე ტომს ქართულად დაბეჭდილს და რუსულ ენაზე თარგმნილს პოემის სრულ ტექსტს, კომიტეტი გთხოვთ, თქვენი აღმატებულებაც, აღძრათ საკითხი ამ წიგნის აკრძალვის შესახებ იმ დრომდე ვიდრე ეს საოთირო პოემა არ ამოიჭრება“.

წიგნიდან შარტილიც ამოჭრილ იქმნა აკაკის ახალი პოემა: „ეპრონცოვი“ და ამ ოპერაციის შემდეგ, „ჩემი ნაწერები“-ს მეორე ტომი გამოვიდა შხოლოდ 1913 წელს. \*)

კანონმდებლობის 1034<sup>ა</sup> მ-ვ მუხლის მიხედვით საცენზურო კომიტეტი დაკმაყოფილდა წიგნიდან პოემის ამოჭრით და გამოცემლობა პასუხისგებაში არ მიუციათ.

როგორ მოვიძიეთ ამ პოემის ქართული ტექსტი? საცენზურო საქმეში (№ 398) აკაკის ამონახევი პოემა არ აღმოჩნდა, მაშინ როდესაც სხვა ავტორთა დაკერილი წიგნი თუ სტატია თვით „საქმეებში“ ჩართული. იყო შხოლოდ „ეპრონცოვის“ რუსული თარგმანი, მაგრამ ეს ხომ საქმეს არ უშველიდა? აშკარაა ჩვენ შევეუდგებოდით ამ პოემის ქართული ეგზემპლარის ძებნას. ამბობდნენ: აკაკის ეს პოემა დასწევსო \*\*), ისე კი რამდენიმე ცალი (ამონახევი) ჩემი მკვსნობის დროს რომელიღაც მწერლის ხელში მენახა.

\*) ამოჭრილ გვერდების (3—58) შესაცებად და „ეპრონცოვის“ ნაცვლად გამოცემლობამ დაბეჭდა აკაკის შემდეგი ნაწერები: 1. „საქართველოს დღევანდელი სახე“, 2. „ვაშხრდელი“, 3. „თამარ მეფე“, 4. „დავითის გვირგვინი“, 5. „ფული“, 6. „ვახაფხული“, 7. „უკანასკნელი ნატვრა“, 8. „სასოწარკვეთილება“, 9. „გამოფხიზლება“, 10. „სცენიდან ნათქვამი“ და 11. სიმღერა“.

ერთი გაკვირვება: მეორე ტომში რომელიც ცენზორმა დაიჭირა, იბეჭდებოდა აკაკის ორი დაუბეჭდავი ნაწარმოები. 1. „ეპრონცოვი“ (პოემა) და 2. „მომავლადვის ფიქრები“ (ლექსი). ეს უკანასკნელი ნაწარმოები არ ყოფილა დაკერილი და რატომ აღარ მოთავსდა ნებადართულ ტომში — გაუგებარია. ეს კია, რომ „მომავლადვის ფიქრები“ („თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს“) როგორც ახალი ლექსი, დაიბეჭდა გაზეთ „თემში“ (ნ. „თემი“ 1913 წ. № 113).

\*\*) როცა ტფილისის საცენზურო კომიტეტში განსაზღვრული რაოდენობის დაკერილი ლიტერატურა მოკროვდებოდა, გაჭუნდათ უკარისკაცთა თანხლებით ვერის ფართობზე და სწევიდნენ პროკურორის, სტამბის ინსპექტორის და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენელთა თანდასწრებით. აკრძალული წიგნის რამოდენიმე ეგზემპლარს კი შინც ინახავდნენ.

პერამ მაშინ ამისთანა დოკუმენტებს ყურადღებას არ ეაქცევდი; მიეწოდებოდა თეი/ გა-  
პოპულარულ კლუბში, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ, ერთმა ძველმა პოეტმა მიიხრა,  
რომ ეს ამოხვეული პოემა მე მაქვს, მპირდებოდა კიდევ გაჩვენებო, მაგრამ მას  
ვრ ვეღირსე... ბოლოს იძულებული ვიყავი მიმეწავა ერთი ადამიანი, რომელიც  
საქონლო კომიტეტში მსახურობდა, მან დიდს სიხარულით ჩამაბარა, არამც თუ ამ  
პოემის ამონახვევი, არამედ მთლიანად აკაკის მეორე ტომი, (პირველი ეგზემპლარი ამო-  
ხვეულია \*).

ჩვენ ეს დაბეჭდილი პოემა შეუღარდეთ აკაკის ავტორებს\*\*) და აი რა გამო-  
რცევა: პოემის არსად არა ჰქვიან „ეორონკოვი და მისი დრო“, როგორც ეს საცენზურო  
კომიტეტმა დაასათაურა. პოემის (— დაბეჭდილშიც და ხელთნაწერშიც) ჰქვიან  
„ეორონკოვი“. დაბეჭდილში — ზოგიერთი საგრძნობი კორექტურული შეცდომები იყო:  
მაგ. მარცხელა მტერ-ნაყლებობის გამო დაბეჭდილ ეგზემპლარებში ცეზურა ირღვე-  
ოდა. ჩვენ ეს ყველაფერ შევასწორეთ ხელთნაწერ ტექსტის მიხედვით, თუმცა მინც  
დაბა ქართული ყურისათვის უჩვეულო გამოთქმები: „მაგრამ რადგან [ა] ც დღეს  
არის“. „და თან [ა] ც გამოიჩინა“, „ბაბილონიც გამოვხარ [ი] თ“, „არ შეიძლება  
ვგონებ „ტ ყუ [ი] ლი. „დღეს სადღა ან ც ერთი“ და სხვ. აგრეთვე ავტორი ყველ-  
გან სწორად არ იცავს ასო „პაეს“ მნიშვნელობას. მაგ. „შეუსხლეტელი ქონია ომი“.   
პირველ ადგილას კი სადაც „პაე“ სრულიად სიჭირო არ არის, ავტორი სწერს: „ცა სი-  
წინდით შეღადა“. სასვენებელი ნიშნები ისე დაეტოვეთ, როგორც ავტორსა აქვს.

ყველა ამ განმარტების შემდეგ, ვიდრე თვით ტექსტს მოვიყვანდეთ, საინტერესოა  
ამ ნაწარმოების თარიღის გამოკვლევა.

როდის უნდა იყოს აკაკის „ეორონკოვი“ დაწერილი? პოემაში, სხვათა შორის,  
ს. ა. ეორონკოვის აჩრდილი იმბობს:

„ეგ ვერ ადრეა! გულს ნუ გაიტებით...  
მოგვეღინებათ ჩემი მოგვარე“.

ჩვენის აზრით პოემა დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1905 წლის\*). ამ წელს  
პეტერბურგიდან მიღებული ცნობებით კავკასიაში უკმდებოდა მთავარმართებლის თა-  
ნამდებობა და არსდებოდა ნამესტნიკობა\*) როგორც ვიცით ამ თანამდებობაზე დანიშ-

\*) შემდეგ რამდენიმე ეგზემპლარი აღმოჩნდა ცენტრარქივში და ერთი ცალი ტუ-  
თაისიდან ის. კვიციარიძემაც გამოიგზავნა.

\*\*) იხ. საქ. საისტ. და საენთ. მუხ. № 1469.

\*\*\*) ავტორს როგორც ჩანს მისი დაბეჭდვა არ უნდოდა და ხელთნაწერად ენახე-  
ბოდა. აკაკიმ მხოლოდ მაშინ გახედა მისი დაბეჭდვა როცა დაუბეჭდავი ნაწერების ტო-  
მების გამოცემა განიზრახა (1911—1912—1913). პატივცემული სერგო გორგაძე მის  
მერ სათუთად შედგენილ „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“ (ხელთნაწერა) სწერს: „ეორონ-  
კოვი დაწერილია 1911 წელს“ (გვ. 206). ხელთნაწერზედაცაა აღნიშნული: „დაწე-  
რილია 1911 წელს ბახტაძისას“. საქმე ის არის, რომ ეს წარწერა ეკუთვნის არა აკაკის,  
არამედ ის. კვიციარიძეს. აკაკი ეორონკოვის პოლიტიკაზე 1911 წელს სულ სხვა წარმო-  
დგენისა იყო, რადგან „დიდმა ეორონკოვის მოგვარემ“ პოეტის იმედები ვერ გაამართლა.  
აკაკი სადაც ბინას დაიღებდა, ყველას ეხარბებოდა ეთქვა: „ესა და ეს ლეკი ჩემთან  
დასწერაო“. აღბად ამ პოემამოდდა ის. კვიციარიძის მერ წარწერილი „დაიწერა 1911  
წელს ბახტაძისასო“. ამგვარ ყურმოკრულ ამბობია გამოწვეული.

\*\*\*\*) „მოგზაური“, 1905 წ., № 6.

ნული იყო სახლის მინისტრად ნამყოფი გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი (1837—1916), ეს იყო 1905 წელს, 26 თებერვალს\*).

თემატურად „ვორონცოვი“ ა. წერეთელი აგრძელებს პატრიოტულ პოეზიის ხას მასში გამოყვანილია როგორც მომკვმედი პირები XIX საუკუნის სინკრისტული ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთი საზოგადოებრივი შეხედულებებით და მსწრაფებით. ა. წერეთელი მათ შეხედვრებასა და საუბრებში სცდილობს გადმოგვეყვ თავისი ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი.

როგორც ლიტერატურული ნაწარმოები ეს პოემაც ავტორის ჩვეულებრივი ყაღღით არის დაწერილი, რომელსაც არ აკლია, ის უარყოფითი მხარეები ლექსის აღნაგობის მხრივ, რომელიც დამახასიათებელია მისი სხვა პოემებისა (გარდა „თორნივ ერისთავისა“, „თამარ ცხიერისა“ და ნაწილობრივად „პატარა კახისა“). „ვორონცოვი“ დაწერილია პ. უმიკაშვილის ერთმომკვმედიან პიესა „სამზადს“-ის, „პლანროვით“; აქაც მომკვმედ პირებად იგივე მწერლებია გაკოცხლებული.

ყველა ამ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს თვით ტექსტი.

ი. ზანიშაშვილი,

აქაკი

## ვარანცოვი

(პოემა დიალოგებად)

I ტატი

ვანტანს მკაზელიანი და მისი ძმა ალექსანდრი.

ალექსანდრი

წაველ წმინდა სიონში,  
რომ ლოცვა მომესმინა,  
მაგრამ მწარე ოცნებამ  
სულ სხვა გზით გამაფრინა:

მომავონდა ძველი დრო,  
დღეს, თითქმის, სინატრელი,  
რომელზედაც შეცდომით  
ჩვენი ავიღეთ ხელი;

ის დრო, როცა ჩვენივე  
ჩვენ ვიყავით უფროსი  
და სამღვდელელოებასაც  
ყავდა კათალიკოსი;

\*) იხ. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем Графа Воронцова-Дашкова, 1907 წ.

გაისმოდა ყოველგან  
წირვა-ლოცვა ქართული;  
კანანახით გალობა,  
ქართულ კილო ჩართული.



დღეს სადღაა ანც ერთი?  
სუყველა გადაგვარდა;  
შეგვქულდა ჩვენი თავი  
და სხვაც არ შეგვიყვარდა.

დატრიალდა უკულმა  
ჩვენი ცხოვრების ჩარხი...  
ქვეყნის შეუფერებლად,  
სხვა კუთხით გაპყავთ არხი!..

დღეს ნინოობა არის,  
მოციქულთა სწორისა,  
სიონში ვერ ვინ ენახე,  
გარდა ერთი-ორისა!

რატომ? მიტომ რომ დღესაც  
აღარ სწირვენ ქართულად  
და ჩვენი ლიტანია  
მოსპობილია სრულად.

ეკზარხოსი სწირაედა  
ფორმად სლავენურადა;  
მლოცველებს არ ესმოდათ,  
ქონდათ სანანურადა.

ასე დღეს ხვალიობით  
ხალხი დაკარგავს რჯულსა...  
დამღუპველი შარა-გზით,  
მიადგება უფსკრულსა.

მე ქართველი ურწმუნო  
ვერ წარმომიდგენია!..  
აი რამ მომიკიდა  
ცეცხლი და გენია! (ტირის)



### ვახტანგ

იპ, შენ და შენს ოცნებამსრქუნული  
 ლამის გადავიყოლოს გიგლიჩიძისა  
 ვაგრე ხომ შენს სიცოცხლეს  
 შენვე მოუღებ ბოლოს?!

### ალექსანდრე

და რად მინდა სიცოცხლე,  
 მწვაევი, გამწარებული,  
 თუ მუდამ ნაღველ-შხამით  
 მევესებოდეს მე გული?

ჯერ იყო და თათრებმა  
 არ მოგვცეს მოსვენება.  
 იტაცებდა იმით გულს  
 ჩვენი ქვეყნის შეწება.

ერთი მხრიდან სპარსეთი,  
 მეორიდან თურქები  
 და, მათი წანაქეზი,  
 კავკასიონის მთები.

რჯულის და ეროვნების  
 მოკავშირე ქართველი,  
 მარტო თვითონვე იყო  
 თავისს-თავის დამცველი.

ვიგერებდით ურიცხვ-მტერს,  
 სანამ გვეჭონდა ძალ-ლონე.  
 ვითხოვდით შემწეობას;  
 არ ვინ იყო გამგონე...

### ვახტანგ

(ჩამოართმევს სიტყვას)

და მაშინ გამოგვიჩნდა  
 ჩვენ მომხრედ ჩრდილოეთი,  
 ჩვენი თანა-მორჯულები,  
 ჩვენსავეთ სწამდა ღმერთი!

მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით,  
დაგვარწუნა მან ფიცით,  
ჩამოგვართვა პირობა  
და მერე?.. აღარ ვიცით!



ესეები სუყველა,  
მეც კი მაქვს შეგნებული,  
მაგრამ ჯერ კიდევ მაინც  
არ გამტეხია გული!

რაც რომ დღეს გვემართება,  
დროებითია ყველა.  
აქაური მთავრობა  
მოქმედობს როგორც მელა;

ჩაუგდია სახრავად  
უპატრონო ქვეყანა!..  
მგელი, რომ ცხვარს დაიჭერს,  
მას შეიბრალებს განა?

იქ მთავრობას გვაბეზლებს  
ატყუებს თვით რუსეთსა  
და აქ კი ჩვენ სისხლსა გვწოვს...  
აღარ სტოვებს არც წვეთსა.

მაგრამ მითქვამს და ვამბობ,  
რომ ეს წამაფალია!  
რა გაეწყობა, უნდა  
მოვითმინოთ ვალია.

#### ალექსანდრე

კი, მაგრამ აღარ უნდა  
მოთმინებას საზღვარი?  
მაგისტანა ნუგეში  
სიცრუეა... ზღაპარი.

თუ რომ ვერ მოვესწრებით,  
რალათ გვინდა იმედი?  
გადაგვიწყდა, ეს არის,  
საშვილიშვილოდ ბედი.

დღემდი თუ ხორციელად  
მტრისაგან ვიყავთ ტანჯული,  
დღეს უფრო არ მოგვიკლემს არცნულნი  
ფარისველობით სული?! გიგლიჩიძე

სული როცა მოკვდება,  
მაშინ ხორციც მკვდარია!..  
და აი ქართველობას  
დღეს ხელი რამ დაჰრია!..

### ვახტანგ

ეგ სუყველა მაგრეა,  
აზრით მეც გეთანხმები,  
მაგრამ რა ვქნა, რომ სულ სხვას  
ჩამძახიან ჰანგები:

არსებობს შემოქმედი  
ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!..  
მის ხელშია, ის გაპწონს  
საუკუნესა და წამს.

უმისოდ ყოლიფერი  
ამ ქვეყნად ტყვილია!  
ვისაც ის სწამს იმისთვის  
სიკვდილიც კი ტყბილია.

ეს პატარა სამეფო,  
თვით ღვთისმშობლის წილ ხვედრი,  
როგორ ამოვარდება?  
ტყვილად ბედს რადა ჰყვედრი?

ამ ძველის-ძველ სამეფოს  
ბევრი ქირი უნახავს,  
მაგრამ თვითარსებობა  
მაინც კი შეუნახავს.

ამ მშვენიერ ქვეყანას  
ყველა ეჭიდებოდა,

ქართველი, მომგერებლად  
ყველას წინ უხვდებოდა.

—  
დღეს ის დიდი ქვეყნები  
მოსპობილია ყველა  
და ჩვენ კი როგორც ძველად  
მიეჩანჩალობთ ნელ-ნელა.

—  
ის დიდი ბაბილონი  
და დიდი ასურეთი,  
ჩვენ რომ გვეჩხუბებოდენ,  
სად არიან ანც ერთი?

—  
როდესაც გაძლიერდენ  
ქვეყნად მაჰმადიანნი,  
მათ მთელ საქრისტიანოს  
მოაყენეს ზიანი:

—  
დაამხვეს ვიზანტია  
და სლავიანთ ქვეყანა,  
მაგრამ ყურანმა ძალა  
აქ ვერ შემოიტანა.

—  
მეცხრე საუკუნიდან  
ჩვენ გვებრძოდენ უსუსტრად  
და მაინც კი გადავრჩით,  
თუმც გადავრჩით ცოცხალ-მკედრად.

—  
ერთ ხელში ხმალი გვქონდა  
და მეორეში — ჯვარი.  
რომ ხალხს არ გაჭრობოდა  
ქრისტეს წმინდა ლამპარი.

—  
და თუ არ სასწაულით,  
მაშ ისე როგორ მოხდა,  
რომ ამდენ განსაცდელში  
ჩვენ სული არ ამოგვხდა?

—  
მაგრამ ღმერთი გვფარავდა.  
დღესაც ის დაგვიფარავს





და გაუძლებთ განსაცდელს  
ისე, რომ ვერ დაგვბზარავს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ულმართოდ არ გადასწყდება  
ჩვენი სამშობლოს ბედი..  
აი რას მეუბნება  
და მიქაელის იმედი.

### ალექსანდრე

(ალტაცებული გაღებვით)

მაგ შენი პირით, ძმაო;  
ლაპარაკობს თვით ზეცა!  
შენი სიტყვა მალამოდ  
გულის წყლულზე დამეცა!

აწ ჩემთვისაც აიხსნა,  
მტანჯავი, გამოცანა;  
მგოსანო, შენმა სიტყვამ  
მეც კი ამაფრთოვანა.

ღიას ღმერთი... მხოლოდ ის!..  
იმას უნდა მივინდოთ,  
ვიტვირთოთ ჯვარი მძიმე...  
არ დავრჩეთ უიმედოთ!

მაგრამ ხალხი ბრბო არის,  
ძნელი გამოსარკვევი  
და გულს მალე გაიტეხს,  
სხვა ცხოვრების ნაჩვევი.

თუ რომ არ გამოუჩნდა  
მას წინასწარმეტყველი  
და არ შეუშვირა მან  
განთიადისკენ ხელი.

და ეს შენ ხარ, მგოსანო,  
ციური მოციქული,  
რომ, გულ-გატეხილ ქართველს,  
გამოუბრუნო გული.

## ვახტანგ

არა, ძმავო, მე არ ვარ!  
 ხალხის წინამორბედი  
 ის არის, ვინც დასწერა  
 მისათვის „ქართლის ბედი“.



## ალექსანდრე

(შეფუცხუნებით)

ტატო ბარათაშვილი?!  
 აბა რა სათქმელია?!  
 მისი მოციქულობა  
 ყოვლად საეჭველია!

მისგან სადღეის-დღეო  
 ჯერ რა ვაგვიგონია?  
 კოჭლი რომ არის, თავი  
 ბაირონი გონია!

ნაწერებში ეტყობა,  
 რომ არის გონიერი,  
 მაგრამ საქმით რა არის?  
 სრულიად არაფერი!

კრუპენტელა, მეჭორე,  
 უსაქმოდ მაწანწალა!  
 რასში გამოიჩინა,  
 მიჩვენე, ჭკუის ძალა?

უთავბოლოდ დასცინის,  
 რასაც კი მოჰკრავს ყურსა  
 და დიდ რამედ აფასებს  
 უბრალო სამსახურსა!

მდივან-ბეგად ჩამდგარი  
 სუნიტ დაემებს ჩინებს;  
 დაცუნცულობს, ოხუნჯობს  
 და მოცლილებს აცინებს.

არა, მამულიშვილი  
 მაგრე არ მოიქცევა...  
 ბიძა მისს გრიგოლს სწუნობს,  
 მაგრამ ვერ მიეწევა...  
 გრიგოლის  
 გიგლიძის



### ვახტანგ

(ნაღვლიანად)

ალექსანდრე, ვინ შენ და  
 ვინ ეგ უსამართლობა?!  
 ტატოზე განა ითქმის  
 მაგდენი საძაგლობა?

ვიცი რათაც არ მოგწონს...  
 გგონია გესლიანი...  
 მიტომ, რომ მას არ უყვარს  
 გეარად ორბელიანი.

გრიგოლს თუმცა აღიარებს  
 ის დიდებულ პოეტად,  
 მაგრამ დასცინის და რაცხს,  
 ქართველების ზორცმეტად.

ასე ამბობს: გრიგოლი  
 კარგი ქართველიაო,  
 მაგრამ ურუსოდ ყოფნა  
 კი არ შეუძლიაო.

იმათგან გამოელის  
 გეარის გადიდებასო  
 და ამაში საჭყვენოს  
 ხედავს ის დიდებასო.

თვითონ კი ზალხის შვილი  
 არის, სულით ობოლი;  
 დადის ყველგან, დაჰბორგავს,  
 რომ გამოჩაბოს ტოლი.

მაგრამ ვერსად უნახავს  
 ჯერ მისი იდეალი

და არ იცის რაღა ქნას?  
 ებნევა გზა და კვალი.

—

ვაცადოთ!.. ყმაწვილია!..  
 რომ დადარბაისლდება,  
 როგორც უნდა მოიქცეს,  
 თავის-თავად მიხვდება.

—

თავს დაუდებს სამშობლო  
 ქვეყნის ბედნიერებას  
 და იმ თავ-დადებაში  
 თვით იგრძნობს ნეტარებას...

—

ცული მხარე თუ რამ აქვს,  
 ეს ბუნების წესია:  
 სადაც ვარდი ამოდის  
 იქ ეკალიც სთესია.

—

მაგრამ ვარდის მოშკრეფი,  
 ეკალს მოერიდება.  
 ტატოც ჩენი ვარდია,  
 ჩენი ქვეყნის დიდება.

—

სულით, გულით მაღალი  
 ქართლის შვილი, ქართველი  
 და მომავალში მისგან  
 ბევრ კეთილს გამოველი!

—


### აღექსანდრე

ღმერთმა ქნას, მაგრამ ჯერ ო  
 არაფერი შვილია!..  
 ოცნებობ და ოცნება  
 მატყუარი... ტყბილია.

—

სულ ოცნება... ოცნებას  
 როგორ უნდა გადავწყვეთ?  
 ჩენი გრძნობა-გონება  
 გაეუხადოთ იმედს ტყვედ!..



ცეცხლი რომ ეკიდება  
სახლს, უნდა მიშველება  
და არ განზე გადგომა,   
შორით მჭერ-მეტყველებას იხსიანთა

ჩვენც ცეცხლი გეკიდია;  
თანდათან ძლიერდება  
და თუ რამ შეუძლია,  
ის რაღას უჩერდება?!

რომ ჩამჯდარა განჯაში...  
ახლოს არ გვეკარება  
და აღარც აგონდება  
სამშობლოს ნეტარება?

განა მაგვარი იყვენ  
წინასწარმეტყველები?  
თუ ახლებს ვეღარ ვხედავთ,  
მოვიგონოთ ძველები!

დახე იერემიას,  
რაა მისი გოდება,  
თუ არ სამშობლოს გლოვა...  
მწვაფი ცეცხლის მოდება?!

ებრაელებში იყო,  
ამათ არ შორდებოდა  
უა წინასწარ სათქმელებს,  
ცრემლით ეუბნებოდა.

ტატო კი ხალხს მოშორდა,  
არაფერს ეუბნება.  
მიკვირს, როგორ ასვენებს,  
თუ აქვს დიდი-ბუნება?

არა!.. ჩვენი ნუგეში,  
ყოველის შემძლე ღმერთია  
იმას უნდა მივენდოთ,  
მხოლოდ ერთად-ერთია!

(პირველად იწერს)

## II ტ ა ვ ი



(ბარათაშვილი შემოიჭრება მოულოდნელად სიცილურკუნულნი  
ორბელიანები შეკრთებიან და წამოდგებიან) გ ი ზ ლ ი მ ი თ ე ბ ა

ბარათაშვილი

დილა მშვიდობის!..

ორივე

ტატო?!

საიდან მოგვევლინე?  
როდის მოხველ? რასა იქმ?  
გვითხარ!.. გაგვაგებინე!..

ბარათაშვილი

განჯიდან ჩამოვედი  
ერთი-ორის კვირიტა,  
ბევრის ჭაპან-წყვეტიტა,  
დიდი გასაჭირიტა.

გზები წამხდარი იყო.  
არაფინ ყავს პატრონი!  
სწორეთ მართალი უთქვამთ,  
რომ „მეფობენო დრონი“.

გერი ვერ გაიხარებს  
დედინაცვლის ხელშია!..  
თვალს გვიხვევენ კოცნიტა!..  
ხელს გვიჭერენ ყელშია!!

ეროვნული ღირსება  
ყველა შელახულია  
და ტანჯვა-მოთმინებაც  
ჩვენი პირუტყვეულია.

ჩვენვე ვეპოტინებით  
სიზმრებსა და ზღაპრებსა,  
რასაც დედინაცვალი  
ახურავს ჭრელ საბნებსა.

ძველი წეს-წყობილება  
 ელვასავით იცვლის ფერს; ვერცხულნი  
 რაც ვიყავით აღარ ვართ გიგანური  
 და რაც ვართ დღეს — ის თქვენ მტერს!..

### ალექსანდრე

(აღტაცებით აწვევებებს სიტყვას)

ღმერთო!.. რა მეყურება?!..  
 ნუ თუ შენა ხარ ტატო!?  
 მაშ შენი მოქმედება  
 როგორ უნდა გავმარტო?

აყოლიხარ ქალებსა,  
 მათში ჭორიკანაობ  
 და ცხოვრების ტალღებში  
 უკულმართად კბანაობ!

### ბარათაშვილი

(წარბ-შეკრით)

ღიამ, მე იქ ვიციანი,  
 სადაც არ მიხარია!..  
 არ იცი რომ სიცილი  
 ზოგჯერ ცრემლზე მწარია?

შენ სტირი, მე ვიციანი,  
 საგანი კი ერთია  
 და ვინ სცდება ჩვენ ორში  
 გამკითხავი ღმერთია!..

დღევანდელი ქართველი  
 აღარ მოსჩანს ქართველად;  
 იმიტომაც მოგშორდით  
 და გავიჭერი ველად.

თათრებში ვიმალები,  
 შევეფარე განჯასა  
 და აღარა ფრად ვაგდებ,  
 მოძმეების... განსჯასა!

იქ ვიგონებ სამშობლოს,  
ჭირს იმითი ვიჭარვებ  
და ჩემ გულის პასუხებს  
ვარსკვლავებს ვუზიარებ.



### ვახტანგ

(სვედიანის ლიბლით)

მაგრამ მაინც ვერ ვასძულ,  
ვერ მოიჭარვე ჭირი!..  
ჩამოსულხარ ტფილისში  
და აგერ ჩვენთან სტირი.

### ბარათაშვილი

ხან ასეა, ხან ისე —  
ტრიალებს ეს ქვეყანა...  
მე კი ორმა შემთხვევამ  
თქვენთან ჩამომიყვანა.

პირველი ის, რომ მითხრეს:  
რაღაც დაგიწერია,  
„იმედი“ ჰქვიათ, თურმე,  
გულის ამძგერია.

მეორე — დიმიტრი მწერს:  
ნუ აგვალეხ ხელსაო!  
რად არ ნახავ ჩვენ ახალ  
მთავარ-მართებელსაო?

გრაფი ვარანცოვია  
ყოველგვარად სრულიო;  
ვეცადოთ რომ მოვიგოთ  
ჩვენც იმისი გულიო!

ამ ცოტა ხანში ყველა  
ერთად შევიყრებითო  
და მოვილაპარაკებთ  
შენის თან დასწრებითო!



აი რას იწერება  
 დიმიტრი ყიფიანი,  
 გამოცდილი ქართველი,  
 შორს მკვრეტელი, ჰქვიანს



ერეკნული  
 მკვლარეა

და ახლა კი მშვიდობით!  
 მინდა, რომ სხვებიც ენახო  
 და დიმიტრის წერილზე  
 გრიგოლიც გაეაძრახო.  
 (ეთხოვბა და შიღის. სიჩუგე).

### ვახტანგ

ახლა ხომ თვალით ნახე,  
 ტატო როგორ ჰღელავდა?  
 ყოველი მისი სიტყვა  
 ცის სიწმინდით ჰღელავდა.

ის თურმე სულ სხვას ჰფიქრობს.  
 ჩვენ კი იმაზე სხვასა...  
 მდინარე დიდიც იყოს  
 ვერ ჩასწედეს გულში ზღვასა!!..

### ალექსანდრე

რაღა შეთქმის?! შენ სიტყვებს  
 ამტკიცებს მისი ქცევა  
 და აწ თქვენ, ორივეზე  
 იყოს მაღლით კურთხევა!..

ჩემ გულ-გატეხილობის,  
 ჭეშმარიტად მრცხვენია!  
 დღეს აქ ის გაევიგონე,  
 რაც დღემღი არ მსმენია.

მაგრამ რადგანც დღეს არის  
 ნინოს დღესასწაული,  
 მისმა მაღლმა და ძალმა  
 გამიმთელა მე გული.

მრწამსა და აღვიარებ:  
ქართლი აღორძინდება  
და ღვთისმშობლის წილ-ხვედრი,  
არ ვის დაეწინდება.



(მიდის პირვერის წერით)

### ვახტანგ

(გაყოლებს თვალს)

აი ძველი ქართველი:  
წმინდა, პატიოსანი.  
მე რა ვარ შედარებით?  
— საცოდავი მგოსანი!..

### III თ ა ვ ი

(დიმიტრი ყიფიანი და ბარათაშვილი საუბრობენ)

#### დიმიტრი

სხვა ყველა იჭით იყოს!..  
იცი რად დაგიბარე?  
ჭირშიაც და ღვინშიაც  
საჭიროა მოყვარე.

რომ შენს გულში ნადები  
მასაც გაუზიარო!..  
თუ სწუხარ — მოაწყინო,  
თუ ჰხარობ — გააბარო!

შენც კი მატყობ, მგონია,  
რომ ვარ გახარებული?  
დღემდი ჩვეულს ტანჯვისას,  
სხვა გვარად მიგრძნობს გული.

გავეცანი ახალი  
მე მთავარმართებელი.  
მისგან ჩვენი ქვეყნისთვის  
ბევრ კეთილს გამოველი.

სხვა ნაირი რამ არის...  
სწორეთ რომ ზეკაცია  
და თანასწორად უყვარს,  
სუყოველი ნაცია!



ეს ის ვარანცოვია,  
ოდესას რომ მმართავდა;  
ვის ხელშიაც ზღვის პირი  
გახრეკილი აპყევდა.

ჩვენში ადრეც ყოფილა  
და უყვარს საქართველო,  
მაშინ ყვაეილოვანი...  
დღეს კი დამკვნარი მდებო!

დიმიტრი ციციანოვს \*)  
ახლდა სულ პირტიტველა.  
ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი  
შესწავლილი აქვს ყველა.

#### ბარათაშვილი

ეგ ის ვარანცოვია?  
გრაფ-ვარანცოვი?... განა...  
ელჩად რომ იმერეთში  
მეფესთან გაიგზავნა?

#### დიმიტრი

ღიახ! და მისი რჩევაც,  
რომ დაეჯერებინათ,  
სოლომონი ტრაპიზონს  
არ აიჩენდა ბინათ!

მაგრამ გადასულ საქმეს  
ნულა გამოვეუდგებით!..  
ის ვიფიქროთ, ახალ-დროს  
როგორ მივეგებებით?

\*) აქ ავტორი სცდება: ციციანოვს დიმიტრი კი არ ერქვა, არამედ პავლე, რომელსაც ახალგაზრდა ვარანცოვი ახლდა 1803 წ.

დღეს ის დრო, რომ ყოფილა,  
 აღარ არის... აღარა.  
 და გრაფიც დაგვიბრუნდა  
 მოხუცი და ჭალარა.



მჯერა, რომ საქართველოს,  
 ასე დასწეულეებულს,  
 ნელა-ნელა განკურნავს  
 და მოუბრუნებს ის გულს.

ენახე: გრიგოლ, პლატონი,  
 გლუხარჩი, ლევანი \*)  
 და სხვანი. გავამელავნეთ  
 ჩვენ ჩვენი გულის თქმანი.

სუყველას მოეწონა  
 ჩემი წინა დადება.  
 არავის მონდომია  
 მისთვის შრომა-მზადება.

### ბარათაშვილი

მაგ-აზრს მეც ვეთანხმები.  
 ესინჯოთ ეს ერთიც კიდე!  
 უკეთესს რას იფიქრებს,  
 შავი დღის გადამკიდე?

ენახოთ და სასიკეთოს,  
 თუ კი რამეს დავატყობთ,  
 თავს დავსდებთ, თორემ ძალით  
 ველარა ფერს გავაწყობთ.

თუ მართლა შეიყვარა  
 საბრალო ქართველობა  
 და თანც გამოიჩინა  
 ჩვეულებრივ ქველობა,

\*) გრიგოლ ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, გლუხარჩი (გიორგი ერისთავი) და ლევან მელიქიშვილი.

მეტიც არა უნდა რა...  
 მოიგებს ქართველის გულს  
 და აქ საშვილიშვილოთ  
 ჩაპნერგავს წრფელ სიყვარულს



ქართული  
 ლიტერატურა

—  
 ღმერთმა ჰქნას, რომ გამართლდეს,  
 ეგ შენი განძრახული.  
 რომ შეგვიყვაროს და მით  
 მოიგოს ჩვენიც გული.

—  
 ახლა სხვაზე ვადვიდეთ!  
 რას შერებიან „ჩვენები“?  
 მზათ არიან ყოველთვის  
 წაიგძელონ ენები.

—  
 და საქმეს კი ერიდონ?  
 იქვეშ-ქვეშონ მონურად  
 და რასაც ყური მოჰკრან,  
 იძახონ კაქკაჰურად?

—  
 ბიძა ჩემი გრიგოლი  
 ხომ კარგ გუნებაზეა?  
 კიდევ ფიჭრობს, რომ რუსეთს  
 დაუმონოს აზია?

—  
 პლატონი რაღასა იქმს,  
 ჩვენი ფილოსოფოსი  
 რომ არაეინ ვონია  
 თავისს თავზე უფროსი?

—  
 აღარ ამბობს: „ქართველებს  
 გვწყალობს მაღლით ღმერთიო:  
 ბაბილონიც გამოეხართ  
 და თვით ასურეთიო“

—  
 ესჰამლით: რომს და საბერძნეთს,  
 სპარსეთს, არაბეთსაო...  
 აროდეს უმტყუენია  
 ჩვენთვის სვე და ბედსაო?

ახლა რუსის ხელში ვართ,  
 რუსეთს ჩაეებარეთო  
 და სახრავიც ბევრი გვაქვს  
 ყველგან შინ და გარეთო?



### დიმიტრი

ამზობსს.. იმას არ ფიქრობს,  
 რომ დრო მაშინ სხვა იყო,  
 ძველი წეს-წყობილება  
 იმ ძველმა დრომ წაიღო.

ალარ გამეორდება  
 ის, რაც ძველათ ყოფილა  
 და ჩვენც ვეღარ აღვადგენთ  
 იმას, რაც დამხოზილა!..

### ბარათაშვილი

პლატონს არ დაეძრახვის  
 მაგნიური მსჯელობა.  
 ფილოსოფია არის  
 მარტო მისი ხელობა.

სიძველის მიმდევრობით  
 ეისაც თავი ეჭება,  
 აწმყოსა და მომავლის  
 აბა, რა გაეგება!?

პლატონი იქით იყოს!..  
 გლუხარიჩხე მითხარი  
 ისევ ისე ზარმაცობს?  
 როგორ არის? სად არი?

### დიმიტრი

სოფელშია! ოძისში  
 ჩაჯდა მოიკალათა.  
 ერთხელ ჩამოვიტყუე,  
 როგორც იქნა, ძალათა.

კომედია შეუთხუზავს  
 „გაყრა“ დაურქმევია  
 და გრავ ვარანცოვისთვის  
 მას ძღვნად მიურთმევია.



დამიბარა მე გრავმა  
 მის გადასათარგმნელად  
 და მეც, როგორც შევიძელ,  
 გადავეუთარგმნე ხელად.

გრავმა ბევრი იცინა, —  
 სულ ცრემლები დაღვარა,  
 მოეწონა აეტორი  
 მოლიერს შეადარა.

და, მართლაც, კარგი არის,  
 მეც დიდათ მომეწონა!..  
 თუ ღღეს ვინმე მისთანას  
 დასწერდა, არ მეგონა.

კარგათ გამოუხატავს  
 ჩვენი ზნე-ჩვეულება:  
 ქირა, ლხინი, ქორწილი,  
 გლოვა და წვეულება.

გრავს უნდა, სასახლეში  
 რომ წარმოადგენიოს  
 და მისი შინაარსი  
 ყველგან მოაფენიოს.

დიდი თანამგრძნობია  
 გრაფინაც... მისი ცოლი!  
 და მოდი შენც აიღე  
 ჩვენთან ერთი რამ როლი!..

#### ბარათაშვილი

არა, ჩემო ბატონო  
 არ ვარგვარ აქტიორად  
 ხალხში ისეც მორცხვი ვარ...  
 შევრცხვები ერთი-ორად!!

დავიწყე მარტოობა..  
სრულად განცალკევება!  
და რად გინდა, ხელ-ახლა  
რომ ბადეში გავება?



ვგრძნობ, რომ არ შემოძლია  
მაგვარ რამეს კეთება!..  
მე სულ სხვა გზას ვადგივარ,  
სხვა მაქვს გულის კვეთება!

წაველ ისევე განჯას,  
შევეუდგები სამსახურს  
და, თუ იქიდან რამეს  
სასიამოს მოვპკრავ ყურს,

მაშინ მეც ერთად თქვენთან  
თანგრძნობით გავიხარებ  
და იმ სიტყბოს ვარსკვლავებს  
ცაში გავუზიარებ.  
(ეთხოვება და მღვდს)

### დიმიტრი

ყმაწვილია!.. ცხოვრების  
ბევრი არ გავება,  
და ოცნებით ვარსკვლავებს  
შეტრფის... ეჭიკტიკება.

### IV თ ა ვ ი

ვარანცოვი მარტო, დაფიქრებული დაღის

### ვარანცოვი

მე რომ მინახავს, ის აღარ არის!..  
რამ გამოცვალა ასე ქართველი?  
სადღაა მისი ამაყი სახე,  
შეუპოვრობის გამომხატველი?

ძალ-დატანებით შეშინებულსა,  
თითქოს, დასმია რაღაც ბეჭედი;



გმირი ქცეულა ნაცარქეჭიად  
და მოუხრია მონურად ქედი.



ერკონული  
მეზღინეთქა

—  
ფეჭრობ და ვერა გამიგია რა,  
რას შეუცვლია მათი ბუნება?  
უნდა შევიტყო, სხვებს გამოვკითხო...  
ერთს მათგანს მაინც ეცოდინება.

(დიმიტრი ყიფიანი შემოდის და გაჩერებული დგას კუთხეში. ვარანკოვი დაინახავს და მიუბრუნდება):

მე დაგიბარე... ისე კი არა  
როგორც უცნროსი მისმა უფროსმა.  
მსურს, რომ გულ-გახსნით, ვით მეგობრებმა,  
გავეზიაროთ ჩვენი გულის თქმა!

(დიმიტრი თავს უკრავს, ვარანკოვი სკამზე  
შიუთითებს და დასდებიან).

#### ვარანკოვი

ერთ რასმე გკითხავ, ნუ დამიფარავ,  
და გამომიტყდი ვით მამას შეილი!  
ერთ დროს განთქმული ქართველთა ერი,  
რად არის ასე დღეს გამოცვლილი?

—  
სთქვი! რად გაჩუმდი? ენა ჩაგვარდა?  
ნეტავ რას ნიშნავს ეგ მდუმარება?  
თუ არას შეტყვი და დამიფარავ,  
როგორ შევიტყო გარემოება?

#### დიმიტრი

(წამოდგება)

როგორც ღმერთს, ისე თავის უფროსსაც  
ვერ ეტყვის ტყუილს ვერა ქართველი,  
და რომ ტყუილი მოგახსენოთ რამ  
ამას, ბატონო, ნურც ჩემგან ელი!

—  
და თუ მართალი ვითხარი ყველა,  
ვაი, თუ ის თქმა ჩემგან გეწყინოს!..  
ჭკუა-გონება თუმც დამეთანხმოს,  
მაგრამ გულმა კი ვერ მოითმინოს

და გამირისხდეთ!..

**ვარანცოვი**

(აუღენს)

მე გუბნები,  
როგორც მოწაფეს მისას მოძღვარი  
და შენ რაც იცი და როგორც იცი  
დაუფარავად ყველა მითხარი!



**დიმიტრი**

მაშ თუ მაგრეა, ვერ დაგიფარავ!..  
სუყოლიფერი თქვენი ბრალია:  
მოტყუებულმა რუსეთის ხელში  
დღეს საქართველომ სული დალია!..

**ვარანცოვი**

(შეკრება)

მოტყუებულმა?! მაგას რას ამბობ,  
განა ჩვენ თქვენთან მიტომ მოვსულვართ,  
რომ ქირ-ნახული, უმანკო სული  
მოვიკლათ განძრახ და ამოგართვათ?!

**დიმიტრი**

ასე კია და!.. რალად დაფიცო?  
თქვენთან ტყუილი გმობაა ღვთისა!  
და ბნელ-საჭმეებს რა ნათელს მოფენს  
გადაფიცვა და თქმა ტყუილისა?

**ვარანცოვი**

მაშ მომიყევი, თუ არა სცდები!..  
მაგიტ გაუწევ შენ ხალხს სამსახურს  
და ნათქვამს, რომ არ გამოშეპაროს,  
გულ მოდგინებით მეც დაუგდებ ყურს.

## დიმიტრი

(დაფიქრების შემდეგ)


 ე. რ. ც. ნ. უ. ლ. ი.  
 ბ. ი. მ. ლ. ი. რ. თ. ე. ე.

ეს მშვენიერი ედემ ქვეყანა,  
 საჭირ-ბოროტოდ გაჩენილია,  
 თვალის და გულის სწორად წარმტაცი,  
 მომზიბლავი და თანაც ტკბილია.

იმ თავიდანვე, როგორც თაფლი ბუხს,  
 ისე იწვევდა სხვადასხვა ერებს  
 და სისხლით რწყავდა ატეხილ ქალებს,  
 ნაპრალ-კლდეებსა და მთისა წვერებს.

ხან ერთს ეჭირა და ხან მეორეს,  
 ვერ ჩერდებოდა ვერც ერთის ხელში.  
 მომსვლელი, მოსულს არა ზოგავდა,  
 დანას ურჭობდა საკლავად ყელში!

ბოლოს მოვიდა ქართველთა ერი,  
 ჩამოესახლა დიდხნობით მკვიდრად,  
 მაგრამ სხვებსაც რომ თვალი ეჭირათ  
 გადაიკიდეს სხვა ერები მტრად.

ჯერ ბაბილონი და ასურეთი,  
 მერმე ბერძნები და დიდი-რომი.  
 ამათ ყველასთან, ამ პატარა ქართლს  
 შეუსტლეტელი ჰქონია ომი.

როცა გამოჩნდნენ მაჰმადიანნი  
 და გაძლიერდნენ ქვეყნად გმირულად,  
 შემოესიენ საქართველოსაც  
 და სისხლს ატკევედნენ კოკის-პირულად.

დაამზვეს იმათ თვით ვიზანტია,  
 სლავიანების დიდი ქვეყნები.  
 და ევროპიაც ძლიეს იბრუნებდა  
 სულს, მათგან ნაწყენ-ნაზიანები.

ეს ურდო ძალი სტიქიონური  
 ქრისტიანობას ემუჭრებოდა,

და, მართლაც, ძლევა მოსილთა ხელში  
სარწმუნოება, თითქმის, ჰქრებოდა.



ქართული  
ენების ინსტიტუტი

როგორც სამეფოს საქრისტიანოს,  
ქართლსაც მოადგა ის მოსისხარ-მტრად,  
მაგრამ ქართველი შეუპოვარი  
თავ-დადებული დაუხვდა მედგრად.

ხმლითა და ჯვარით მოსაგერებლად  
და აიტანა ცეცხლი და ალი,  
რომ ჩააბაროს გოლიათ რუსეთს  
ქრისტიანობის მან მომავალი?

### ვარანცოვი

და არც მოსტყუვდით ეგ იყო მხოლოდ  
ერთად-ერთი გზა მომავალისა!..  
მაგაზედ არის დამყარებული  
ბედნიერებაც „თქვენი ხვალისა“.

### დიმიტრი

აგრე ვფიქრობდით ჩვენც, მაგრამ ახლა  
სად არის ჩვენთვის ბედნიერება?  
არა თუ ხორცი, თქვენმა განძრახვამ  
სულიც მოგვიკლა და ხალხი ჰქრება!

ვითა წესია დაღალულისა,  
ჩვენ შესვენება გვეჭირებოდა  
და ჩაგიდევით თავი კალთაში,  
დაღლილობით რომ სული გვხდებოდა,

ვამბობდით: ძმურად გამოგვაშუშებს,  
რომ აღგვადგინოს უფრო ძლიერად,  
და მასთან ერთად ჩვენც შევებრძოლოთ  
საქრისტიანოს მტერს ღონიერად.

„ძალა აღმართს ხნავს!“ ნათქვამი არის.  
არ აგვისრულდა ის, რაც გვეგონა!..  
ავეხადეთ მძინარს ყოველიფერი  
და შევიქენი მორჩილი მონა.

### ვარანცოვი

სცდები! რუსეთმა თქვენ დასაბყრობად  
 როდის იხმარა მახვილით ძალა? რა ქვეყნულნი  
 თქვენ თხოვილობდით, ხომ, მფარველობას?  
 და თქვენი თხოვნა მან შეიწყალა!

### დიმიტრი.

კიდევ ვგ არის!.. გავაღეთ კარი,  
 შემოვიყვანეთ, ვინც შეგვიწყალა,  
 მაგრამ, როგორც კი მოიკალათა,  
 გამოიჩინა ჩვენზედვე ძალა!

ვილაც კაპიტან ისპრავნიკები  
 დანიშნა უფროს პიონერებად,  
 და იმათ ქვეყნის ტანჯვა შიანდათ  
 საპირადო რამ ბედნიერებად.

ერთი მათგანი მიადგა სოფელს  
 უმწეოს, უძლურ — უიარაღოს  
 და ძლიერება ვითომ რუსეთის,  
 რომ აგრძნობინოს და დაანახოს,

ძალლი მოხარშა უწმინდურ შარდში,  
 შეაკაზმინა განაველითა,  
 დიდს და პატარას, ქალსაც და კაცსაც  
 აყურებინა ყველას თვალითა.

და მერე უთხრა გაცუბულებს:  
 „აბა, მიდით და ახლა სკამეთო!“  
 სალდათებს უთხრა: „ვინც არა სკამოს,  
 გაამათრახეთ და აწამეთო!“

### ვარანცოვი.

(იკმუხნება)

გადარეული ვილაც ყოფილა!..

## დიმიტრი

არა, ეს ჭკონდა მას ნაბძანები,  
იმ დროში ბევრი რამე ზღებოდა  
ვასაოცარი ამისთანები.



## ვარანცოვი

აჰ! აჰ! ნუ გჯერა! ტყუილი უთქვამთ!  
მაგას არ იზამს, მირონ ცხებული  
და არც იქნება მთავრობისაგან,  
მაგვეარი რამე მოწონებული.

## დიმიტრი

ბევრი ამ გვარი და ეს ამბავიც  
არხივში არის მოხსენებული.  
საქმის ქალაქში რომ ჩაიწეროს  
არ შეიძლება, ვგონებ, ტყუილი?

## ვარანცოვი

(დაფიქრდება)

მიკვირს! მიზეზი რამ იქნებოდა  
მაგრე მოქცევის და სასტიკობის?

## დიმიტრი

სხვა არაფერი! ძალ-მომრეობა  
უფლის მონაზე და ბატონ-ყმობის!

## ვარანცოვი

არა! მე, როგორც მთავარ-მართებელს,  
მაღალ-მთავრობის წარმომადგენელს,  
შემიძლია ვსთქვა... ნიშნად სიმართლის,  
გულზე დავიდებ წმინდის გრძნობით ხელს.

მაგვეარი რამე მაღალ-მთავრობას  
არა ჭკონია მაშინ სახეში,

რომ ადგილობრივ — მისს მოხელეებს  
მტრულად გაებით მძიმე მახეში უკონუსული  
გინგლიჩისეკა

უნდოდა მხოლოდ თქვენი გამოხსნა,  
ჩავარდნილების დიდ — განსაცდელში,  
და სურდა ტკბილად ამოგესუნთქათ  
სასიყვარულოდ მის მტკიცე ხელში...

### დიმიტრი

რომ შეგვრჩენოდა ჩვენ დედა-ენა  
და ეროვნული ჩვენი ელ-ფერი?  
გულით კი რუსი ვყოფილიყავით?  
ჩვენც ეგ გვინდოდა... სხვა არაფერი!..

მაგრამ მთავრობამ ადგილობრივმა  
სულ სხვა გასაჯა და მოისაზრა!..  
არ დაუფარავს, რაც გულში, ჰქონდა,  
გამოაქვეყნა... გამოაბაზრა!

უარყავთ თქვენი თვითარსებობა,  
თქვენი წესი და წყობილებაო!  
აი ეს არის ჩვენი გეგმების  
საყოველთაო განახლებაო!..

ვერ შევიწყნარეთ ჩვენ ეს განძრახვა  
და დავიმარხეთ გულში სურვილი.  
ღმერთზედა დავგვრჩა მხოლოდ იმედი:  
ან გამარჯობა და ან სიკვდილი!..


### ვარანცოვი

და რას ეძახით თქვენ გამარჯვებას?

### დიმიტრი

რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი  
და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად,  
აი, რა გვინდა... სხვა არაფერი!

## ვარანტოვი

და ეგ სურვილი, რომ აგისრულდესთ,  
 ქართველი რუსზე მოიბრუნებს გულს?  **ქართველი  
 მწერების  
 კავშირი**

## დიმიტრი

მოიბრუნებს და შიგ ჩაისაბავს  
 ერთგულობასთან მტკიცე სიყვარულს!

## ვარანტოვი

აბა, მეც გეტყვი, როგორც მამა შეილს.  
 ვაგიზიარებ ყველა ჩემ ძრახვებს,  
 თუ ქართველებიც მომეშველებით  
 და შენც გადასცემ ამ ჩემ სურვილს სხვებს:

მინდა, ქართველი დარჩეს ქართველად  
 ისე, როგორიც ყოფილა ძველად,  
 მისი წარსული მომავლისათვის  
 ვიხმარო მხოლოდ მე საფუძველად.

არც რჯულს შევეხო, არც ეროვნებას,  
 არც მისს სიწმინდეს, მის დედა-ენას,  
 რომ არ უშლიდეს მომავლისათვის  
 სწორსა მსვლელობას და აღმა-ფრენას!

მეიწვედენ მხოლოდ იმ საზრდოს სულის,  
 რაც მომავალ დროს შეეფერება,  
 რომ არ ჩამორჩეს სხვა ხალხებს ზდაში!..  
 თვისს არსებაში გრძნოს ნეტარება.

მხოლოდ მსურს მართო გულის მოგება,  
 არ ჩამოვართმევ რუსთან უფლებას  
 და შემოვიტან დროს შესაფერად  
 მაღალ — სწავლასა და განათლებას.

ყოველ მხარეში, ყოველ ქალაქში  
 ვაგვართავ შკოლებს და უიმნაზიას,  
 რომ განათლება მისწვდეს აქედან,  
 დღეს ჩამორჩენილ და ბნელ-აზიას!



ქართველ ქალებსაც, რომ დაემსგავსონ  
 დროს შესაფერად, წინანდელ დედებს,  
 ნინოს სახელზე, ჩემი მეუღლე, **ქართველი**  
 თავისის ხარჯით სკოლებს აუგებენ **სკოლებს**

ჯერ ეს ვიკმაროთ და შერმე კიდევ  
 მომავლისათვის სხვებიც ვიფიქროთ!  
 მაგრამ ჯერ უნდა მთიული ხალხი  
 აჯანყებული ჩამოვიშოროთ.

აი ეს არის ჩემი განძრახვა,  
 გადაწყვეტილი რამ... უეჭველი;  
 და შენც ამაზე, აბა, რას მეტყვი  
 ვით ღვიძლი შეილი? როგორც ქართველი?

### დიმიტრი

(ალტაელებით)

კურთხეულ იყოს თქვენი განძრახვა  
 და მობრძანება მთავარ-მართებლად!  
 თქვენთვის თავს დასდებს მთლად  
 საქართველო  
 და გაუზღებთ სადიდებელად!!  
 (წამოდგებიან, ყიფიანი თავიანთი სცემს და გადის  
 ვარანცოვი მარტო დადის დაფიქრებული)

### ვარანცოვი

(თავისთვის)

იოსელიანს ბევრი რამ უთქვამს  
 ისტორიული და არ მეჯერა.  
 ამან კი მისის გაბედულ-სიტყვით  
 გული მატკინა და ამიძგერა.

ხალხი, რომელსაც წარმოუშობავს  
 დიდი სულ-მნათი შოთა რუსთველი,  
 მისი არსება რად უნდა იყოს  
 ასე ორქოფი და საეჭველი?



არა, ეს ხალხი სულ სხვა ხალხია,  
 ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე!..  
 თავ-გამეტებულს, ქრისტეს რჯულისთვის,  
 შეულევია ძალი და ღონე.

და აწცა გულით გარუსებული,  
 მაგრამ ქართველი გარეგნობითა,  
 ის დაამშვენებს რუსეთის გვირგვინს  
 მაღალ გონებით და ტკბილ-გრძნობითა.

გაქრობა ქვეყნად ამ გვარი არის,  
 არს შემოქმედის შეურაცხყოფა!..  
 რაც სატანჯველი დღემდის უნახავს  
 გამოსაბრძმედად ისიც ეყოფა.

ვით მართლ-მორწმუნე და ქრისტიანი,  
 მე შევეუდგები ჩემსა განძრახვას  
 და ხალხის გრძნობაც ჩემს აზრს და სურვილს  
 შეუერთდება ვით მდინარე ზღვას.

### ათი წლის უმცლეს

ვარანცოვი, შერბინინი და კურიერი. (ვარანცოვს პაკეთი  
 უჭირავს და გაბარებული ელაპარაკება თავის თავს)

### ვარანცოვი

გურიის ჯარით ნიკო ერისთავს  
 გაუმარჯვნია სერასჭირზედა,  
 რადგან სალდათებს ქართველი ჯარიც  
 მიშველებია გასაჭირზედა.

ახალ-ციხეში ანდრონიკოვი  
 და ნიგოთში იმარჯვებს ნიკო,  
 სულ მცირე ჯარით. და ორგანვე კი  
 საქმე გადაწყდა რამ საარაკო  
 (მიუბრუნდა შერბინინს)

ახლა რას იტყვი ჩემ ქართველებზე?

### შჩერბინინი

ქართველი

გამართლდა თქვენი შორსმკვირვრობისა და მასთან ერთად ქართველებისაც, ერთგულობაში უმკველობა...

### კურიერი

თვით რუსებსაც კი გადააჭარბეს ამ თათრის ომში ერთგულებითა: ხელ ჩართულ ომში ქალებიც იყვენ ხელში კეტებით და ნამგლებითა.

### ვარანცოვი

(შჩერბინინს)

ახლა ხომ გესმის, რომ ქართველები რუსებთან ბრძოდენ თანასწორადა და სადაც ჩვენი სისხლი იღვროდა, მათიც იღვროდა ერთი-ორადა?

### კურიერი

როცა დამაჩქებდა... გატყდა თათარი, ჩვენ მაინც შეება არ მიგვიცია და გაქცეულებს ჩაუდგა კვალში, ფეხ-ფეხ მოსდევდა მათ მილიცია!

### ვარანცოვი

შენც მახარობლად დაუნიშნაეხარ, როგორც ვაეკაცი ჩვენი ერთგული, და დეე, ჯვარმა წშინდა — გიორგის შენ დაგიშვენოს ამიერ გული!

(კურიერი მალს უხდის და მივა, ჩამოვარდება სიჩუმე)

### შჩერბინინი

მე ქართველობას ვადევნებ თვალ-ყურს სამოქალაქო მხოლოდ ნაწილში.

რუსების მეტი არა ახსოვთ რა  
აღარც მღვიძარეს და აღარც ძილში.

და იმათ საქებ-საღიდებელად,  
თითქოს საერთოდ შეეკრასთ პირი!..  
არ შეუძლიათ რომ აიტანონ,  
თუ გაიგონეს რუსებზე ძვირი!

და თქვენ კი, როგორც ცით მოვლენილსა,  
ისე შეგყურებსთ ქართველი ერი,  
დღეს რუსის ხელში საშვილიშვილოდ  
მოსვენებული და ბედნიერი.

### ვარანცოვი

საშვილიშვილოდ?! ეგ ჯერ ვინ იცის?  
მე ხომ ყოველთვის აღარ ვიჭნები?  
და შეიძლება, რომ მოადგილემ  
მოშალოს ჩემი გეგმა... საგნები.

ამ საკვირველ ხალხს ისე შეხედოს,  
როგორც დაპყრობილ ვისმეს ველურსა,  
და მაშინ იმათ ერთგულ სამსახურს  
ვინღა მიაპყრობს თვალსა და ყურსა?

მაგრამ იმედი მაქვს მომავლისა,  
როდესაც ყველა გამოიცილება  
და ცეცხლისა და მახვილის ადგილს  
დაიჭერს სწაელა და განათლება.

## ნახევარი საუკუნის შემდეგ სიზმარი

### შგოსანი

(სძინავს და აზოდებს)

უცხო სტუმარო! მითხარი: ვინ ხარ,  
რომ შემოსულხარ კარ-დაკეტილში?  
თუმც ჯერ არც ერთხელ არ მინახავხარ,  
თვალწინ მიდგებხარ ცხადად და ძილში!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეგ შენი სახე, სხივ მომფინარე  
 ხიდის წინა სდგას გაბრწყინებული  
 და გადაჰყურებს მტკვარს, ქულ-მუხტოდღე  
 მოწყენილი და დაფიჭრებული.

შენ ხომ არა ხარ ცისკრის სხივებზე  
 ჩამონაყოლი, ცით ჩამოსული,  
 მარად — სახსოვარ — დაუვიწყარი  
 დიდ-ვარანცოვის უკვდავი სული?

თავს მიჭნევ? ის ხარ? მაშ ნება მომეც,  
 დავემხო მის წინ და ესცე თავყვანი  
 იმას, რომელსაც შეთვისებია,  
 ჩემი გულის თქმა: ჩემი ძრახვანი.

მაგრამ ვაი, რომ მისი განძრახვა  
 აღარ ასრულდა... გადასხვაფერდა  
 და აღარა სძგერს ქართველის გული,  
 ისე, როგორაც მის ხელში სძგერდა!

რა მიზეზია? — ის რომ მის შემდეგ  
 აქ ყოლიფერი გამოიცვალა,  
 და პატივ-ახდილ ქართველობასაც  
 ძალ-მომრეობის დააწვა ძალა.

მას უგონებენ სხვადასხვა მიზეზს,  
 ჩასცივებიან უმიზეზოდ მტრად,  
 რომ გააძეონ საქართველოდან  
 და იმათ ნაცვლად თვით ჩადგენ მკვიდრად.

ან გაარუსონ!.. და მერე რა გვარ?  
 მხოლოდ ენით და არ გულითა,  
 სასტიკ-ბრძანებით... ძალ მომრეობით  
 და არა სიტკბო, სიყვარულითა.

სასწავლებელში ყველგან საერთოდ  
 მოსპობილია ენა ქართული.  
 გვიგომობენ აწმყოს და მას სცდილობენ,  
 რომ შეგვაძღონ ჩვენი წარსული.

დღევანდელ გეგმით ჩვენი შვილები  
ვერა სწავლობენ, ტყვილად სცდებიან.  
და ორთა შუა გამომწვევდელი,  
ვერც აქ და ვერც იქ ველარ სწვდებიან!



ხალხმა დაკარგა სარწმუნოება,  
დღეს იმას აღარ მოეპოება;  
აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე  
და არც სიმართლე და სასოება!

ვისი ბრალია? სამღვდელოების!..  
რუსის ხელშია და იმიტომ მსურს,  
რომ გაარუსოს... თორემ ზნეობას  
ის არ ადევნებს თვალს და არც ყურს!

არ გჯერა? ამზობ, შეცდომააო?  
ჩვენ სამწუხაროდ, მაგას ჩვენც ვხედავთ,  
მაგრამ, რომ არას გვათქმევენებენ  
ჩვენც სიმართლის თქმას ველარა ვხედავთ!

ასე ამგვარად ღონე მიხდილი  
ვართ ჭარბელები, დღეს ცოცხალ-მკვდარი  
და სანუგეშო, რომ რამე გვითხრას  
მომავლისათვის, არავინ არი!

შენა ხარ, განა, ცით მოვლენილი,  
წინამორბედი და მოციქული,  
რომ ნაწამები და ვატეხილი  
გამომათელო ისევე გული?

სიტყვი და ყურს გიგდებ, ნათელ-მოსილო!..  
ეგ სამი სიტყვა, აბა, რა არი,  
რომ ჭარბელობა გამოაბრუნოს  
დღეს დატანჯული და ცოცხალ-მკვდარი?

დიდო მოხუციო! მე წინდაწინვე  
ვეთაყვანები მაგ შენ ციურ — ხმებს,  
რომ სიტყვა-სიტყვით მეცა გადავსცე,  
შენგან სულ-ჩადგმულ, ჩემსა მოძმეებს!

(ერთიმ ყურს უვდებს აჩრდილის სიტყვას და იმეორებს)

## 1) სიტუვა

„სანამ ქართველი დაუღვერობე დაუღვერობე  
 თვით არ შეიტყვის თავის ბუნებას, მისი  
 გარეშე მტერი, ურიცხვი იყოს,  
 ვერ მიაყენებს იმას დიდ ვნებას!“

## მგოსანი

უკვე დაჰკარგა!.. ის აღარ არის,  
 რაც რომ ყოფილა უწინდელ დროში!  
 დაჰკარგა მისი ძველი მახვილი,  
 და ვერც შეიშნო სანაცვლოდ გროში!

## 2) სიტუვა

„სანამ ქართველი კულა-ბზიკობით  
 სარწმუნოებას არ ააღებს ხელს,  
 გულ-გაუტეხელად და შეუპოვრად  
 მაინც აიტანს ყოველ-განსაცდელს!“

## მგოსანი

აღარც ეგა აქვს!.. აალო ხელი!!  
 სარწმუნოება დაჰკარგა მისი,  
 და დავლუბულ ვართ, თუ მაგაზეა,  
 დამყარებული მისი მერმისი!..

## 3) სიტუვა

„სანამ ქართველი მხნეობს სიმართლით  
 და არ დაჰკარგავს თავისს მიწა-წყალს,  
 ის მოიმზადებს საშვილიშვილოდ  
 სანუგეშებლად, კეთილ-მომავალს?“

## მგოსანი

დააკარგვინეს ძალით, თუ ნებით  
 აღარა რჩება მათ მიწა-წყალი.

სხვებს ასახლებენ იმით მაგიერ  
და მათ დარჩებათ მაშ მომავალი?!..



ქართველი  
გრაფიკოსები

### ვარანცოვი

(ვითომ აირდილი)

ეგ ჯერ, ადრია! გულს ნუ გავეიტებით...  
მოგველინება ჩემი მოგვარე  
და ხელ-ახლავე გამოგაბრუნებთ  
რუსის მოყვარედ, რუსის მოყვარე!

### შგოხანი.

(გამოიღვიძებს და აქეთ-იქით იხედება)

ეს, რა შეზმანა?! ცხადივით ვნახე,  
რომ ვარანცოვი გამომეცხადა  
და დღევანდელი შავი პირ-ბადე,  
ვით მოციქულმა მალლით ამხადა.

თან „სამი სიტყვა“ გადმომცა მცნებად  
და ამიღელეა მძინარეს გული!..  
ნუ თუ ამ ქვეყნად უნდა დამყარდეს  
„შობა“, „ერთობა“ და „სიყვარული?!“





დ. მისხი

# მეგობრებიანი

(განცდილი, ნახული და გაგონილი)

ჩემი მოგონებანი მეტნაწილად ოთხმოციანი წლიდან ჩვენი მწერლობისა და თეატრის ვითარებას შეეხება. ცალმხრივ მას ბიოგრაფიული სახეც ექნება, იმდენად, რამდენადაც ამ სახეს კავშირი ექნება საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. გზადაგზა, რასაკვირველია, ვეცდები — ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი აღნუსხავი არ დამრჩეს, თუ კი მოხუცის მახსოვრობის უნარმა ხელი შემიწყო... ახლა ვნანობ, რომ უფრო ადრე არ შევეუდევი იმის მოთხრობას, რაიც განმიცდია, მინახავს, ან გამიგონია. იქნება, ახლანდელზე მარჯვე იერით, მეტის სიფხიზლით რომ შევედგომოდი ამ საქმეს, მკითხველიც მეტის ხალისით დაეწაფებოდა ჩემს ნაშრომს. მაგრამ ასეთი სინანული ტყუილია ახლა და სამოცდაათოთხმეტ წელს ვადამცდარი მოხუცი მაინც ვეცდები — არავინ ინანოს და თუ დიდის ურადლებით არა, ისე გულგადასაყოლებლად მაინც გადაიკითხოს ეს ჩემი ამბავი... ამითაც დიდი კმაყოფილი დავრჩები.

მამიჩემის დავთარში სწერია: 1860 წ. იანვრის, 26-ს შემეძინა ვაჟი — დავით.

მეცხრე შვილი ვიყავი სიმონ მესხისა და მაგდან მარჯანიშვილის ასულის. ოთხიც ჩემს შემდეგ გაუჩნდათ ჩემს კეთილნაყოფიერ მშობლებს. თავის ნაშიერთა ამ გრძელი სიისთვის მამაჩემს მიუწერია ბოლოში: „გმადლობ, შენ უფალო ღმერთო, რომ ამდენი მოწყალება მიყავი და არც ულუკმაპუროდ დაგიტოვებივარ“-ო. ამ მინაწერში, ვფიქრობ, ირონიაც უნდა ერიოს. უფალი, ცხადია, არაფერს შუაშია, რომ ჩვენი მშობლები ესოდენ კარგი ჯიშისანი აღმოჩნდნენ. შიგადაშიგაც დააკლდათ თურმე — თერამეტი უნდა ვყოფილიყავით. ცამეტი დავრჩით. ცუდ რიტყვს იტყვიან... მაგრამ სიმონ მესხის ოჯახი ბედნიერ ოჯახად ითვლებოდა, — ასე ამბობდნენ...

დავიბადე ქუთაისში „სობოროზე“ — არქიელის ვორაზე. ჩვენი სახლიდან ქუთაისის ხელისგულივით დაეჩერებოდით. იმ დროის ქუთაისი ახლანდელზე ბევრად ნაკლები იყო. მოსახლეობა კანტი-კუნტაძე, წყნა, ჩამეტურ „სობოროზე“. აქ უპირველესი სახლი იყო ბაბუაჩხვინაძეებისა. მარჯანიშვილის (განსვენებული დიდი რეჟისორის ბაბუა. მამა კოტე მარჯანიშვილისა — ალექსანდრე კახეთში ჩაესიდა, ჭავჭავაძის ქალი შვირთო). ეს ანდრია რუსულს საყველბუროდ ამტვრევდა, და სასამართლოს „პრაონიკი“ კი გახლდათ. მერე ქუთაისის „კვარტალი“ იყო — ხელოსანი. დიდი გავლენიანი კაცი იყო და თავის ქალიშვილებისთვის სასიძოვებს არჩევდაო. კაი „წმინდა აზნაურელი“ თავადაც არ იყო, მაგრამ სიძეებს თავადებსა, „კარგ აზნაურებსა“ და ჩინოვნიკებში ეძებდა. ერთი ქალიშვილი ზურაბ ერისთავს მიათხოვა, პოეტი ქალის გენდევგოლის მამას. ეს ერისთავი ჩინებული მწიგნობარი და მოშიარე იყო. მეორე — ბაქრაძეს ჰყავდა, ქუთაისის მოურავის შვილს; მესამე — სოლომონ ლულაძეს, „ატუნკატს“; ანდრია და ივანე (ექიმი) ლულაძეების მამას; მეოთხე და მეხუთე ჩარკვიანებს ჰყავდათ, ერთი მღვდელი იყო, მეორე ჩინოვნიკი; მამაჩემიც ჩინოვნიკი იყო და მარჯანიშვილს რომ დაუმოყვრდა, თვეში კაი მ მანეთი ეძლეოდაო.

კაი ჯიშის აზნაურობაზე ერთი ამბავი მაგონდება.

მამაჩემი და მისი ცოლის ძმა კ. მარჯანიშვილი ხშირად წაებუშრებოდენ ერთმანეთს „აზნაურელობაზე“.

— მალაკელი მარჯანიშვილები რა აზნაურები ხართ! მოგონილი! წაიზნაურელებით ვითამ! აი, აზნაურები ჩვენა ვართ — მესხები, ღვთის მონათესავე და კეისრის ჩამომავალი, ტახტის აზნაურები! — ეტყოდა მამა... მარჯანიშვილიც თავისას ეტყოდა.

ასეთი შესიტყვება ჰქონდათ ერთ ფერისცვალება დღეს, სოფლის დღესასწაულზე, როცა მამაჩემმა დიდი სტუმრიანობა იცოდა. აივანზე თუ ეზოში სტუმარ-მასპინძლები გაერთობიან ნასადილევს. მამასთან მოჯამაგირე შემოვიდა და უთხრა:

— მეგრელი მწყემსები არიან, მამაწმინდაში (სამესხო მთა იყო) ჯოჯი მიჰყავთ და თქვენი ნახვა უნდათ.

— მოიყვანე, — უთხრა მამამ.

შემოვიდენ კომბლებით და ხალთებით მწყემსები.

— სადაურები ხართ, რა გვარისა? — ჰკითხა მამამ.

— ჩვენ, პატონი, ნაგვანაურელი მესხიეფი ვოხოლექ...

მარჯანიშვილი იქვე იყო, მოჰკრა ამას ყური და შეჰყვირა:

— უუ! ა, პატონო, კეისრის ჩამომავალი, წმინდა აზნაურები... მწყემსები ხალთით და კომბლებით!..

ატყდა სიცილი... შეწბილდენ მესხები. ერთი ბეკობა მათი იყო. ვა-  
შათრახებებს უპირობდა მეგრელ მწყემსებს — თავი მოგვეკოცო. მაგრამ მა-  
მამ ნება არ მისცა.

ერკონული

მამაჩემი ღარიბი მემამულე იყო, ორი-სამი ყმის მფლობელი და დიდი  
ადგილ-მამულის პატრონი არც მათ თავდახსნის შემდეგ გამზადრა. და  
მით უფრო გასაკვირალია — თავის დიდი ოჯახის მოთხოვნილებას რო-  
გორ უძლებოდა, მაგრამ...

მამიჩემის დროს მცირედ ნასწავლი ხალხიც ძალიან მოიძვირებდა. მო-  
რუსულე, საქმის კაცებს თითებზე დაითვლიდით. მათ შორის მამას, ბე-  
სარიონ ხელთუფლიშვილს, სოლომონ ლულაძესა და ორიოდ სხვას იმე-  
რეთში განათლებულ კაცებად სთვლიდენ. „აპელაციის მკოდნენი“ ესენი  
იყვნენ და ხალხიც ბუზივით ებვევოდა მათ. სანამ სასამართლოს ახალი  
კანონები მოუსწრებდათ, თხოვნების-კასაცია-აპელაციების დაშვები ესე-  
ნი იყვნენ, „ატუნკატობაც“ ამათი საქმე იყო და ამით იმ დროის შესა-  
დარად შემოსავალიც კარგი ჰქონდათ. იმ დროისთვის იმიტომ ვამბობ, რომ  
მაშინ ცხოვრება ბევრად იაფად ჯდებოდა და მოთხოვნილებაც დროის  
შესაფერი იყო...

მაღე „სობოროდან“ ჩვენი ოჯახი ქვევით ჩამოსახლდა, „სილაზე“.  
რიონის მარცხენა ნაპირს „სილას“ ეძახდენ. აქ ჩემი ძმის სერგეის ნათ-  
ლიამ, მელიტონ დადიანმა მამაჩემს ერთი ქცევა მიწა აჩუქა. მამამ ამ  
ადგილზე სახლი ააგო და იქ დაესახლდით. იმ დროს ამ „სილაზე“ თხუთ-  
მეტოდე მოსახლე იქნებოდა. ჩვენს ახლო, ერთ შენობაში ეგრეთწოდე-  
ბული „მრეველოვის კლასი“ იყო მოთავსებული. აქ მივიღე მე პირველ-  
დაწყებითი განათლება... წელიწადნახევარში დავამთავრე ორი კლასი ამ  
სასწავლებლისა და კლასიკურ გიმნაზიაში გადავედი. მიმიღეს „კაი პირ-  
ველში“.

ამ მრეველიშვილისა თუ სხვა სასწავლებლიდან გადასულებს გიმნაზიე-  
ლები ერთობ გვეყოფოებოდენ. თავი დიდად მოქონდათ. არ გვესმოდა  
კი — რად და ან რითი მედიდურობდენ. მრეველიშვილი თავისი საქმის  
კარგი მკოდნე იყო, გამოცდილი პედაგოგი და მოწაფეების საყვარელი  
მასწავლებელი. დაცინვით „მრეველოს უნივერსიტეტს“ ეძახდენ ამ ორ-  
კლასიან სასწავლებელს, რომელიც შემდეგ საქალაქო სასწავლებლად გა-  
დაკეთდა. აქედან ჩინებულად მომზადებული მოწაფეები გამოდიოდენ.  
ისინი ბევრით წინ იდგენ კლ. გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების მოწა-  
ფეებზე. ამ მოსამზადებელ კლასებს ნიკო აბულაძე პატრონობდა, ვერა-  
ფერი შვილი პედაგოგი. იგი ბევრად დაბლა იდგა ანდრია მრეველიშვილ-  
თან შედარებით. „ნიკო კვავს“ ეძახდენ და, მგონია, თუ ეინშედაა იმის  
ნამოწაფარი, კარგად ემახსოვრება მისი მოკვანჩხული თითების კაჩხუნი  
თავში და დიდი სახაზავის ტლაშუნი ხელის გულებზე...

მაგრამ რა ნიკო-კვახი აბულაძე და მისი პედაგოგობა! იმ დროს ქუთ. კლას. გიმნაზიაში ქარბად იყვნენ აბულაძის მსგავსი პედაგოგები. გარდა იმისა, რომ მათ არ გააჩნდათ სწავლის გადაცემის უნარი, ჭწეწუჭტუჭდაც არავითარი გავლენა ბავშვებზე არა ჰქონდათ. და ხშირად მათ მისწავლებლებს პირდაპირ აბუჩად იღებდენ, გაკვეთილები სიცილ-ხარხარსა და ლლაბუტობაში გადიოდა. არც იყო ისეთი მასწავლებელი, რომ ბავშვებს მეტი სახელი არ შეერქმიათ: კვახი, ყანჩა, მამლის... კანკლები, ცინტალი, ჭიაყელა, ვანდალი და მისთანები.

ეს ვანდალი — გიმნაზიის ინსპექტორი — ვანდალოვსკი იყო გვარად, ლათინური ენის მასწავლებელი. ბევრი მოწაფისათვის საბედისწერო გახდა იგი. მასწავლებელი კარგი იყო, კარგი ორატორი, გატაცებით ლაპარაკობდა ლათინთა კლასიკოსებზე და გმირებზე, მაგრამ როგორც ადამიანი — მკაცრი, ავი, უსამართლო და თან გესლით სავსე იყო. ცოდნასა და განვითარებასთან მას რომ ზნეობრივად სასიკეთო გავლენა ჰქონოდა ბავშვებზე, დახვედრული ლათინური ენის სწავლების საქმე ბევრად მეტს წარმატებაში იქნებოდა. თავის ცუდი ზნითა და ავი მოპყრობით ბევრ მოწაფეს გული გაუტეხა და სწავლის განგრძობის საშუალებაც მოუსპო...

ასე აგვიზიარდა მე და ილია ჭყონიას მეოთხე კლასში. თავის გაკვეთილზე გაზუთი „დროება“ გვიანხა და იმ დღიდან მის გესლიან დაცინვას საშველი არ მიეცა: Ну-сь грузинские литераторы!.. — ყოველ გაკვეთილზე ჩაგვძახებდა ხოლმე. ბოლმით გვაესებდა ასეთი მოპყრობა. მოვისროლეთ კიუნერის გრამატიკა ლათინური ენისა. გიმნაზიაში ამ კლასიკურს ენას რუსულის თანაბარი ადგილი ეჭრა.

ბოლოს აივსო საწყაო მოთმინებისა!

ერთ გაკვეთილზე გადახებულს მოწაფეს ლათინური ფრაზის — longissime absunt-ის გადარუსულება მოსთხოვა. ვერც ამ გადახებულმა და ვერც ორმა-სამმა სხვა მოწაფემ ვერ გადაუთარგმნეს... Ah, вот кто нам переведет сию фразу, Месхи, величайший грузинский литератор! Ну кось! პარტიდან არც შევრყეულვარ, გაბრაზებულმა მივახალე: Лонгисимейшим образом обсентируют-მეთქი... ატყდა კლასში სიცილ-ხარხარი. გაცეცხლდა და მომადხა: Von из класса! მეც მივახალე გრამატიკა და მივაყვირე: Ты не педагог, а сволочь-მეთქი, და მოკვურცხლე... პირდაპირ სოფლისკენ, ჩემი რიონისკენ...

ადელი წარმოსადგენია, რა ამბავს ეს ბრაზიანი ადამიანი გიმნაზიაში დაატრიალებდა. დირექტორი ეტლით მიჭრილიყო ჩვენსას, მოვევითბე... მამასთვის ეთქვა ყველაფერი: ცოდვაა თქვენი შვილი, უნიკო ბავში არაა, მოვიდეს, ბოდიში მოიხადოს ინსპექტორის წინაშე, მე ვიშუამდგომლებ, ასეთს სასჯელს არაფერს გავუჩინეთ და სხვ. ჩემიანები შეეწუხებია ამ ამბავს, და როცა ვაიგვს, სადაც ვიყავი, მამისაგან ბარათი მომივიდა, მწერდა: — ჩემთან დირექტორი იყო და შემპირდა, რო ვიშუამდგომლებს.

ჩამოდი. რო გაუწყრე, რას შეგეპუებიან და სხვ... მაგრამ მე არ გარად ვი-  
ანგარიშე, რაც ჩავიდინე, ვიციოდი თავზე ხელს არ გადამიხვამდენ და  
მამას ცივი უარი მივწერე: სიკვდილს ვარჩევ და გიმნაზიაში აღარ გავე-  
ქარები მტარვალეზს-მეთქი. თავი მიმანებეს... და დღესაც (ყოველწლიურ) მოხუ-  
ცებულო, წყველა-კრულვით ვიგონებ ლათინურ ენასა და მის მასწავლე-  
ბელს „ვანდალს“, რომელმაც უმაღლესი სწავლისაკენ გზა გადამიღობა.  
ამ ინციდენტს შემდეგ, აბა, რა საყაბულო მოწმობას მომცემდენ, რომ  
სწავლის განგრძობის საქმეში გამომდგომოდა... თავი ოხრად დამრჩა და  
ამ საყველპურო ცოდნით კი დავრჩი...

უამრავი მაგალითიდან, აქ კიდევ უნდა აღვნიშნო იმდროინდელი პე-  
დაგოგების სიკეთე.

მეორე კლასში რომ გადავედი, მოწაფებს წინადადება მოგვეცეს —  
ორი ახალი ენიდან — ფრანგულიდან და გერმანულიდან ერთ-ერთი აგვე-  
რჩია. მე ჩემით ეს საკითხი არ გადავეჭერი და უფროს ძმებს — სერგეისა  
და ივანეს მივწერე, როგორ მირჩევთ-თქო. სერგეიმ, როგორც „ფრან-  
ცუზმა“, ფრანგული მირჩია, ზოლო ივანემ — „გერმანელმა“ — გერმანუ-  
ლი. არც ერთს ხათრი არ გავუტეხე და ორივე ენას ჩავეჭიდე. მგრამ არ  
დამცალდა, ჩხირი მაშინ მიმატეხინეს, როცა გამოცდები მოახლოებული  
იყო და მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლის იმელი მქონდა. და  
ორ-სამ წელიწადს კი ისეთი ოსტატი მასწავლებლებს ხელში, როგორიც  
ჩვენ ფრანგულისა და გერმანულის მასწავლებლები გვყავდა, აბა რა  
„ფრანცუზი“ ან „გერმანელი“ გავხდებოდი! ფრანგულ ენას გვასწავლიდა  
ვინმე მოსიე პოშონ, შვეიცარიელი. ამბობდენ, თავის ქვეყანაში მეძებვედ  
უნდა ყოფილიყო, ქუთ. კლ. გიმნაზიაში კი პედაგოგად მონათლა. მოსიე  
პოშონ, *домой не пошёл, Курцов магазин зашёл, там коньяк на-  
шёл*, — ვუმღეროდით ბავშვები. ლოთი იყო უსაშველო. შემოვიდოდა  
გალეშილი გაკვეთილებზე და ჩვენც, ვის როგორ მოეპრიანებოდა, ისე  
უუთარგმნდით ფრანგულიდან რუსულზე. მორუსულე ძალიან სუსტი იყო  
და ესეც ხელსაყრელი იყო ჩვენთვის.

ასეთივე ჩლაგი იყო გერმანულის მასწავლებელი — რეიმერსი, აეს-  
ტრიელი ებრაელი, ვინ უწყის, საიდან სად გადმოტყორცნილი...

ციურხიზიდან ჩამოსულს ჩემს ძმას ივანეს ძალიან ეჩოთირა ჩემი გერ-  
მანული გამოთქმა: ეინ, მეინ, ცვეი, დრეი და სხვ. ებრაულიაო, მითხრა.  
და ამ სახით — გერმანულს ებრაული გამოთქმით ვსწავლობდით, ზოლო  
პარიზულ ფრანგულს, ცხადია, ვერც შვეიცარიელი მეძებვე გვასწავლიდა...

და ცხადზე ცხადია — ასეთი ბრძენი პედაგოგების მოწაფე ვერც ერთი  
ახალი ენის ცოდნას, თუნდაც საყველპურო ცოდნას ვერ დავიტრახებ, მაგრამ მას აქვთ ბევრმა წელმა განვლო, ცხოვრებაში აგერ-ეგერ დაკვირ-  
ვებით ფრანგულისა თუ გერმანული სიტყვების გამოთქმა ვითომ ვიცი  
და, მართალი მოგახსენოთ, ჩემი ცოდნის პატრონსაც კი მეჩოთირება,

როცა ქართული ანბანით დამახინჯებულ უცხო სიტყვებს შევხვდები, მეტწილად ჩვენს პრესაში: „ალგემეინე ცეიტუნგი“ (ალგემეინე ცეიტუნგი), „გეინე“ (გეინე), „ტემპსი“ (ტემპსი), „ტიმესი“ (ტიმესი) ეს ცოდვა სკირდა ძველს გაზეთებსაც და თანადროული გაზეთებიც ხშირად ჩაღიან ასეთს ცოდვას. მე ვფიქრობ — სირცხვილია უცხო სიტყვების ასე დამახინჯება წიგნებსა და გაზეთებში.

გამომასალმეს გიმნაზიას 1879 წ., სწორეთ გამომასალმეს ძალით ამ საშუალო სწავლის საბუღალროს, კერას, სადაც იმ დროის ყაზარმული სული იყო გამეფებული. მოწაფენი ჯარისკაცებივით დამონებული იყვნენ... წკებლვა, კარცერი, უსადილოდ დატოვება და ბევრი სხვა სასაჯელიც... ორზოში სასაჯელი ქართულს, ყოველ არა რუსს, ვინც კი რუს მოწაფეს რასმე აწყენინებდა. „რუსობა“ იყო. დანაშაული უთუოდ არა რუსს ხვდებოდა და სასაჯელიც მას... სასწავლებელში უხეში პოლიტიკა იყო შექმნილი.

თვალსაჩინო უპირატესობით სარგებლობდნენ პანსიონერებიც. პანსიონში უფრო ხშირად შეძლებული ფენების, ბურჟუაზიის შვილები იყვნენ. პანსიონერი უთუოდ ძირითადს განყოფილებაში იჯდა. არც სწავლებით, არც სხვა უფლებებით ძირითადი კლასები პარალელურისაგან არ განირჩეოდნენ, მაგრამ ძირითადელები მაინც „პარალელიშკას“ ეძახდნენ ამ განყოფილების მოწაფეებს.

ასეთს ატმოსფერას შედეგი ცუდი სდევდა. იმ დროს იშვიათი არ იყო მოწაფეების ენიანი ურჩობა, თავადებული საქციელი და მასწავლებლების შეურაცხება, ცემაც კი...

მაგრამ ასეთი ზომები, მკაცრი რეჟიმი ჩვენს „ქართველობას“ ვერ აფერხებდა. პატრიოტულ გრძნობას სდევნიდნენ, აბუჩად იღებდნენ, ქართველ მოწაფეებში კი ეს გრძნობა მით უფრო მეტად ღვიოდა.

ჩემს დროს გიმნაზიაში ორი ხელნაწერი ქართული გაზეთი გამოდიოდა. უფროსი კლასების მოწაფენი: ნიკო მარი, სილ. ხუნდაძე, პეტრე შირიანაშვილი, მიხ. მღვდელიშვილი და სხვ. ცალკე გაზეთს სცემდნენ. ჩვენც — უმცროს კლასიანებს ჩვენი ორგანო გვჭონდა. ნ. მარი იმ დროს პოეტობდა. ამ ორ გაზეთს შორის კალმით კინკლაობაც ხშირი იყო. მახსოვს, ერთხელ პ. შირიანაშვილმა რაღაც დასწერა და წერილში, სხვათა შორის, ასეთი ფრაზა ერიო: „ფიქრნი მათნი ჩაინთქებოდნენ საკუთარსა ლტოლვილებასა შინა“. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, ეს რომ ამოიკითხა, წამოიძახა: „უპ, უპ, ძაან არ სწერს, ბიჭო, ე პეტრე!..“ პეტრეს ღრმად წერა უყვარდა. ჩვენს ორგანოში იმის ღრმა ქართულობას კბილი გავჯარი და... ატყდა პოლემიკა.

გასაკვირალი კია! საიდან როგორ ვახერხებდით ქართულ წერა-კითხვას, როცა ამ ენას მაშინ არავითარი უკრადლება არ ექცეოდა? კვირაში თითო გაკვეთილი, იშვიათად ორი! მასწავლებლად ექვსკლას „ბატონი“, ასი წლის დეკანოზი — ნიკო ქუთათელაძე. შემოვმხვედრებოდა, ძლივს ჩვენი დახმარებით ააღწევდა კათედრაზე, ჩაჯდებოდა და ადგომის დროსაც მივეშველებოდით, ერთი ამბით მივეცვივდებოდით და დიდის ამბითვე ვაცხლებდით სამასწავლებლო ოთახამდე: გზა, ჩამოდევით, ბატონი მოგვეყავს! — იყო ერთი ხრიალი... როგორც მღვდელს, უყვარდა ბრჯგულები, გვასწავლიდა ხუცურსაც, მაგრამ მეოთხედმა კითხვაც არ იცოდა, კარნახით გამოგვეყავდა მცოდნეებს... ყურთასმენაზე ერთობ მწყურალად იყო ბატონი, და ეს ხელს გვიწყობდა...

სასწაულის მაგვარი! ქუთ. გიმნაზიაში ქართულის სწავლება ასე იყო მოწყობილი და „ბატონის“ ხელში გამოვლილი ნიკო მარი ვახდა აკადემიკოსი და უდიდესი მკვლევარი ამ ენისა, ხოლო სილ. ხუნდაძე, პ. მირიანაშვილი და რამდენიმე სხვა კარგ მოქართულეებად გადაიქცენ...

გიმნაზიის დატოვების შემდეგ, ერთხანს რომ სოფლად მივდეგი და მეტრნეობას მოვკიდე ხელი, ნათლად ვიგრძენი, რა გამოუსადეგარი ვიყავი ამ დარგისთვის... და ხშირად მიფიქრია — რა ხეირი და დოვლათი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ იგი აღრევე მოფენილიყო სამეურნეო და სხვადასხვა დარგის ტექნიკური სასწავლებლებით; რომ სოფლის მეურნეობის ამ ქვეყანას მცოდნე მეტრნენი, ტექნიკოსები რამდენად გააღონიერებდნენ ეკონომიურად. იმ დროიდან რომ ასე წასულიყო საქმე, დღეს იქნებ ამდენად მწვავე არ ყოფილიყო ბევრ რამეში ჩვენი ჩამორჩენილობა, ბევრი გეგმა გაიოლებული დაგვრჩებოდა.

გიმნაზიის უდროოდ გამოთხოვებამ გული იმდენად დამიჩაგრა, რომ სულ გასოფლება მქონდა გადაწყვეტილი. ლოზუნგს — „პირი სოფლისკენ“ მაშინაც წამოისროდნენ ხოლმე. ხალხოსნების პირველთქმაც ეს იყო...

ხოლო ჩემს მშობლებს, უფრო კი დედაჩემს ეს ხალხოსნური მოძღვრება არაფრად ექნაქებოდა, და მოუხშირა სერგეის წერილები: „არ დამიღუპოთ ეს ერთი შვილი, სოფიოსა და ივანიკასთან (სოფელში ჩვენი ვაღია და მოურავი) რა უნდა შეიძინოს? ამდენ შვილებში, რა იქნება, ერთი „ვოენი“ გამოხვიდეთ. ურჩიე შენც, შვილო, „ვოენში“ წავიდეს“, და სხვ. მაგრამ ასეთი ფიქრისაგან თავი ძალიან შორს მეჭირა, არც სერგეის გაუმხელია ეს ჩემთვის.

1880 წ. მე უკვე „დროების“ რედაქციაში მოვიკალათე. ილია ჭყონია და მე ერთ დროს შევეუდევით ვაზეთში მუშაობას. როგორც ვთქვი, ქართული ხელნაწერი ვაზეთი გიმნაზიაშიც გვექონდა, „დროებას“ წერილმან ამბებს ქუთაისიდანაც ვწერდით ხოლმე და ქართულში ვვარჯიშობდით.

მაგრამ ეს ჩვენი „ქართული“ მოიკოვლებდა და სერგეიც ვაფორიძეებდა: ჰა, იმერულად ნუ უქცევთ, თეარა აქეთურები „ქართულს“ ჩსეც გვიწუნებენო.

უდავოა, რომ საგაზეთო, ცოცხალი ენა ჩვენს მწერლებს უფროსად უნდა შეეძინეს: აკაკიმ, ვ. წერეთელმა, ს. მესხმა, ნიკო ნიკოლაძემ. ქურნალისტრის პირველი პიონერები ესენივე იყვნენ, და ამათი მიმყოლი ახალგაზრდობა, ვინც კი საგაზეთო მუშაობაში მოვხვდით და ლიტერატორების მარაგაში ჩავებით, ამათს კვალს მივყევბოდით...

დიდი მოქართულე იყო ილია. მისი ენა დახვეწილი ტკბილ-ქართულია, მაგრამ საგაზეთო ენისთვის მოიძიმებებს. „კაცია ადამიანის“, „ოთხრანთ ქერივის“ ქართული — მარგალიტია, ხოლო ყოველდღიურ გაზეთს, მასისთვის დანიშნულს, იგი ვერ მიუდგება. სხვა სახე, ბუნება, სტილი სჭირია საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებს, წიგნის ენას, კილოს და სულ სხვა — ყოველდღიურ გაზეთისას...

იმ ხანებში „დროების“ რედაქცია ერევნის მოედანზე იყო მოთავსებული.

სერგეის მეუღლე, ილია ქყონია და მე რუსეთის, უცხოეთის, საახალამბავო თუ სანარეგო და სხვა ამბებს ვკრებდით გაზეთებიდან, რასაც რედაქტორი შემოგვინახავდა, ან თავად „დროების“ მკითხველებისთვის — საცნაურად საჭიროს დავინახავდით.

იმ დროს აკაკი ხშირი სტუმარი იყო რედაქციისა. ღამესაც იქ ათევდა.

აქ მაგონდება ერთი ცოტად საჩოთირო ნაოხუნჯევი ჩვენი დიდი მგოსნისა. ხოლო დიდად საბოდიშოდ არ უნდა მქონდეს საქმე: აკაკი დიდი ვინმე იყო და მისი მახვილი ზუმრობის თვით უხერხულობაც ყურს არ უნდა ეჩოთიროს. მგოსნის ყოველ ნათქვამს საზოგადოების კუთვნილებად ვრაცხ და ამ საბუთით ამ ოხუნჯობასაც ვამზეურებ...

ჩემს ძმას სერგეის ძალიან უყვარდა საზოგადოდ ცხოველები და განსაკუთრებით ჩხიკვი — მატია ჩიტი. სერგეის საწერი მაგიდა და საერთოდ მთელი რედაქცია აფორიაქებული იყო ამ მატიასავან. რასაც მოიტაცებდა, ფხრეწდა, მალავდა. შეახტებოდა მუშაობის დროს სერგეის მხარზე, თავზე, გადაახტებოდა, სწვდებოდა კალმის ტარს, ეჭაჩებოდა... სერგეი ალურსით ეტყოდა ხოლმე: მატია, შე საძაგელო! — მოიშორებდა, მაგრამ ჩიტი მოუსვენარი იყო. დაუზარებლად მუშაობდენ რედაქტორი და მატია...

ზაფხული იყო. ტფილისის სიციხეები. აკაკის ხალს ან ჭილობს გავუფენდით იატაკზე. ზეწარს გადაუფენდით, ზეწარსვე — საბურავად. პერანგა წვეებოდა. რედაქციის ამ სრულ ოთახში ვწევბოდით მე და ჩემი ძმა ნესტორიც, რომელიც იმ დროს კახეთში, ყვარელში იყო მასწავლებლად და არდადეგების გამო შინისკენ, ჭტთაისის მიმავალმა ტფილისში გამოიარა. ნესტორი ძალიან ფაქიზი კაცი იყო, თანაც გულფიცხი; არისტო-



კრტიული მიდრეკილებაც ჰქონდა. აკაკი ფხიკიან იმერელს ვაძახდა, ვერც იმის არისტოკრატიულობას ურიგდებდა. ყვარელში ნესტორი ჰევკავაძეების ოჯახებში ხშირი სტუმარი იყო, სანატრელად კეტეშვილს, ყველაგან, როგორც კარგი „სუფრის კაცი“, მახვილი მოსაუბრე და მომღერალი, მაკეკვარი... აკაკის საკბილო არისტოკრატიული ელფერი ნესტორს ეახეთში, ჰევკავაძეთა ოჯახებში ჰქონდა შენაძენი.

ერთხელ დილით აკაკის მხიარულ გუნებაზე, „თავის ღიმილით“ გამოედვიდა. ვინც კი დაკვირებული იყო, აკაკის ასეთი სახე იმის შეტყვევლი იყო, რომ პოეტს გონებაში ან ლექსი აქვს გამოკოპიტებული და ან უთუოდ რასმე იოსუნჯებს. ახლაც ასე იყო: გამოვიდა თუ არა სერგეი ოთახიდან, აკაკიმ მიადახა:

— სერგეი, სერგეი! ამ შენმა მატია მწორეთ სული ამოგვართვა, ძილი არ შოგვცა და მოსვენება. იალონზე მომპარვია და რაღაცას მაკვეტებს. რა უბედურობაა-მეთქი და აუჭმიე, მოვისვი ხელი და შაქრის ნატები შემხედა, ვესროლე წყეულს... ვაბაკიკუკადა, აილო ის შაქარი და ამ შენს სახლიკაცს ნესტორს, გულადმა, პირლია რომ ეძინა, შიგ პირში ჩაუღვია ის შაქარი და მოკურცხლა.

გაღვიძებულმა ნესტორმა რომ ეს ამბავი გაიგონა, წამოვარდა და ფურთხება დაიწყო...

— არა ბიძია, რაღას აფურთხებ, ის შაქარი ახლა უკვე გამდნარია შენს კუჭში, — დასძინა აკაკიმ.

ნესტორი გაწიწმატდა, ჩვენ სიცილი შეგვსკდა, აკაკი თითქო ნაწყენი იყო, ისეთი სახე მიიღო...

საზოგადოდ ეს გაიძვერა და უკუღმართი მატია რედაქციაში ბევრს დავიდარაბას ახდენდა...

ერთხელ, სერგეის ავადმყოფობის დროს, მახსოვს, დილით მაგიდაზე ასეთი ბარათი დამხვდა:

„ულტიმატუმი.

რედაქციაში ან მე, ან მატია! ნაშუალამევაში ვწერდი. მატიაც ჩემთან მუშაობდა. დავიდარაბით ერთი სტატია მოვაცოდვილე, მარა ამ შეჩვენებულმა ერთი ფარატინი მომტაცა და ვერ მოვიძიე. კაცო, ამისთანა უბედური ცენზორი არც ლუკაა (ისარლოვი — მაშინდელი ცენზორი) ჩვენთვის: ის ვერთხა წითელი მელნით გვახშობს და მატია ბატონი დედნებს გვიფხრეწს. მოიძიე, თუ ძმა იყო, დათიკო, გადაიკითხე და დილით სტამბაში გაგზავნე. იონა“.

მაშინ რედაქცია გოლოვინის (რუსთველის) პროსპექტზე იყო, მუხრან-ბატონის სახლში. იონა მეუნარვიაც გვაწვდიდა იმ დროს წერილებს...

სერგეის მუშაობა აუკრძალეს. გულის ანევრიზმი თანდათან უმძაფრდებოდა. რედაქციაში ვმუშაობდით: სანდრო ყაზბეგი, სტ. კრელაშვილი (სანო), დავით კეხელი (სოსლანი), პეტრე უმიკაშვილი, ილია ხონელი

(მახტაძე) და მე. მუდმივად რედაქციაში პეტრე, სანდრო და მე ვიყავით, დანარჩენები შემოვივლიდნენ და მასალას გვაწოდებდნენ. უდრეველად მინ დიდი ტანის გაზეთი არ იყო და ამდენს მომუშავეს მასალებს ვიყვარებოდა არ უნდა გაგვეკირდებოდა... მასალის შემოკლება მაინც ხდებოდა, უფრო ხშირად ცენზორის წყალობით. და ყველას გვიკვირდა: ისეთი დროც იყო ხომ, როცა სერგეი თავის რედაქტორობაში მარტო უძღვებოდა გაზეთს. გვიკვირდა და ვგრძნობდით, რა ჯაფაც უნდა დასდგომოდა. უნდა ეწერა, გადაეკითხა მასალა, შეესწორებია, მერე კორექტურა, ცენზორთან ხშირი დავიდარაბა და ხშირად ასოთამწყობობაც...

ზევით რო მასალის შემოკლება ვახსენე, ყოველ ასეთს დროს ჩვენი გაკირების ტალკვესი სანდრო ყაზბეგი იყო.

ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში ამ მწერლის თაობაზე ატეხილი განგაშის გამო, აქ ორიოდ სიტყვა მეც უნდა ვთქვა.

ჯერ იმ ხანებშიც, როცა ყაზბეგი რედაქციაში ჩვენთან ერთად მუშაობდა, კანტიკუნტად ხმა გაისმოდა, რომ მისი ნაწერები იმის ბიძას — დიმიტრის ეკუთვნის, რომ ამ დიმიტრის სიკვდილის შემდეგ სანდრომ ეს ნაწერები ხელთ იგდო და თავისად ამწერებსო... ეს ხმები მწერლის დასწულებებისა და უფრო კი იმის სიკვდილის შემდეგ გახშირდა, გაიზარდა. აღასტურებდნენ და კვერსაც სცემდნენ საზოგადოებაში ზოგიერთი მწერლებიც და გარეშენიც... და რომ ეს ხმები შეთხზული ჭორებია, ამის მოწმედ, სხვათა შორის, მეც გამოვდგები.

ვფიქრობ — ეს ხმები იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ აღ. ყაზბეგი ჩვენს მწერლობას უეცრივ, გრიგალივით მოევლინა: იგი არც ისე ახალგაზრდა იყო, მთიდან რომ ჩვენს ლიტერატურულ წრეს მოევლინა. მაშინდელ ამ წრეს არც უნახავს, არც რამ სმენია და უეცრივ ოციოდელამატიული ნაწარმოები ჩამოიტანა და ზედიზედ მოთხრობებიც მიაწოლა...

ეს ექვები უნიადაგო და უფხოა იმათთვის, ვინც ყაზბეგის ყოველდღიური მუშაობის მოწმენი ვიყავით. სამწუხაროდ, ასეთი მოწმეების სია დღეს ერთობ შემცირებულა.

მე და სანდროს საცხოვრებელი ბინაც რედაქციაში გვექონდა და, აი, სწორეთ ამ დროს დაიწერა და დაიბეჭდა კიდეც: „ელისო“, „ელგუჯა“ და სხვ.

ვიმეორებ — თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ სანდრო თავისუფალი იყო. ხოლო როცა ასეთი მასალა გვისუსტებდა, ანდა ცენზორის წითელი მელანი ულმობელად გადახაზავდა ხშირად ვრცელს წერილსაც, მარკაფად სანდრო გვეყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენც ვუცაცხანებდით, თავს კიდეც გზირი — ასოთამწყობობა ადგა, ფარატინს ფარატინზე აკრელებდა თავის დიდი მოთხრობებისას,

და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხვედა და ვერც შეენებოდა. ხშირად ვეტყვოდით ხოლმე:

— სანდრო, კაცო, არ დაგვლუპო, მოთხრობა <sup>ეროვნული</sup> გეჭმის ჩუქურჭუჭყელი!..

— რა გინდათ, რა ექნა, თუ ამას მოვრჩები, სხვა ვეღარ დავიწყე! — იტყოდა ხოლმე.

დილით ძილი უყვარდა და გაღვიძებულიც ლოგინში ნებივრობდა და თავის ცუცქნა მიიმუნს — ეაკოს ეალერსებოდა. ეაკო მუდამ უბეში ჰყავდა, წერის დროსაც. ხანდახან აცმუკდებოდა, ატყდებოდა, სტაცებდა თათს დაწერილ ფარატიანს და ანაკუწებდა. სანდროს ხელახლა უხდებოდა დაწერა.

ალარ ვიცი — რა მახსოვრობისა უნდა ყოფილიყო, რომ იმოდენა ტანის მოთხრობა-რომანები გაეზებირებია — თუკი ისინი მართლა სხვას ეკუთვნოდა.

ერთიც საკითხავია — ვის რად დასჭირდა გვირგვინი მოებადა აღ. ყაზბეგისთვის? ესეც კია — ჩვენ ხილი ვიხილეთ, მაინცდამაინც მეხილეს რას ვეძებთ... ბიძა, მშისწული დღეს არცერთი აღარაა. გვატკობს ჩინებული თხზულებები და აუტივიარ თავს რისთვის ვიტკივებთ!..

როგორც ზევით ვთქვი, სერგეი იმ დროს რედაქციაში ვეღარ მუშაობდა. მაგრამ ისე კი ხშირად დაგვხვდავდა. შენიშვნებს გვაძლევდა, გკოწონებდა, გვიწუნებდა გაზეთის ნუმრებს.

მე მაშინ ცოტად ვითომ თავს მოლონიერებულად ვგრძნობდი და ფელეტონიც დავწერე „ცივ-ცივი ამბები“ — ინგლისელი სევეტის გავლენის ქვეშ. ეს ჩემი პირველი ნაშრომი სერგეის დავახვედრე. გადაიკითხა, სახეზე სიაშოვნება შევატყე. დაიბეჭდოსო — გამახარა.

სერგეი ახალგაზრდებს აჭებებდა: სწერეთ, სწერეთ ხშირად. ერთი თუ არ გამოდგეს, გული არ გაგიტყდეთ, კიდევ და კიდევ დასწერეთ და ბოლოს გაიმარჯვებთო, — გვეტყოდა.

მალე ვავერკვიე, ჩვენი გაზეთის ზომის რამდენი მასალაც სჭირდებოდა. სულ მცირე გამოკლებით, დაგროვილ წერილებს გადაიკითხვა სჭირდებოდა... ოო, რა ქართულით შეთხზული წერილები მოსდიოდა „დროებას“ და რა უზომო პრეტენზიებისა იყვნენ ავჭსონები!

მასალის წინდაწინ გადაიკითხვა და შესწორება ძალიან მშველლოდა კორექტურის დროს. ასეთი შრომა დიდხანს კისრად არ მაწევა, მაგრამ ძალიან ვიჭანცებოდი... ცხადია, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ცოდნისა და გამოცდილების მარაგი საკმაო არა მქონდა და მოცუბდა ის გარემოება, რომ სერგეი მესხმა თოთხმეტ წელიწადს როგორ შესძლო ასეთი შრომის ატანა და მერე კიდევ მაშინდელს წარმოუდგენელს საცენზურო პირობებში...

იმ მცირე ხანში ცენზურის სუსხი ჩვენც ბევრჯერ ვიწვინეთ. საოვა-  
ზრდები ვიყავით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოსაკითხის, კარგვით  
წერის უნარი არ გვეხერხებოდა, არც თავს ვიტკიებდით, კვირეულს კვირ-  
დაპირ ალალი ვუღლით, ჯიპურ შევეტყვევით ხოლმე კაცს, რომელიც  
ალაღე ხშირად ვაილალეს გვაძახებდა. გაზეთის ნომერი რომ გამზადე-  
ბული გვეგონა და თავს ჭედში ვგრძნობდით, მოვიდოდა წითელი მელ-  
ნით ახაზულ-ჩამოხაზული საცენზურო ფარატინები და თავში ცემას ვი-  
წყებდით... წვალემა იყო ჩვენი შრომა.

შაბათ საღამოს თუ სხვა უქმიძალს, როგორც მოწაფეობისას, ისე შე-  
ვეხარებოდი.

ერთ შაბათს მოვრჩი საქმეს, მხიარულ გუნებაზე ვარ. ხვალ კვირის  
ნომერი გაზეთისა ლაზათიანი იქნება, შერჩეულ მასალასთან აკაკის ფე-  
ლეტონიც იქნება — „ცხელ-ცხელი ამბები“.

„საპრაზნიკით“ გამოვეწყვე. ჩოხა-ახალოზი, ხანჯალი, რევოლვერი.  
უნდა გავისეირნო მუშტაიდისკენ გულის გასაგრილებლად, სულის მო-  
საბრუნებლად... შემოვარდა გაზეთის უფროსი ასოთამწყობი — დიომიდე  
კილაძე გაბრაზებული, დაანარცხა მაგიდაზე ცენზურის ფარატინები: „ჰა!  
მიირთვი, იგემე... ნახე, რა უჭნია იმ მ...ლს! აკაკის ფელეტონი ერთიანად  
წითელი ხაზებით!..“

მეცეცხლა. დავავლე ხელი ფარატინებს და იმავე წამს ცენზურისაკენ  
გაცეცხლებული შევიტყერი ოთახში. რომ დამინახა ჩერქეზი, შეკრთა. არც  
საღამი, არც ჩაღამი:

— აბა!.. ეგ წითელი მელანი იქეთ! აიღე შავი და ახლავ გაუშვი ეს  
ფელეტონი, თვარა...

— რა ამბავია, ვინა ხარ შენ!? — შემკრთალი მეკითხება.

— ხომ ხედავ ფარატინებს, ვერ მიხვდი, სიდანაც უნდა ვიყო!? ახ-  
ლავე გადახაზე შავით ეგ წითელი ხაზები და წააწერე — დაიბეჭდოს  
ჩქარა! მივაძახე და თან ხანჯალზე ხელი დავიდე.

— კაცო! შამილობაა... რა ამბავია!?

— შამილიცა ვარ და ქიარიმაც! უსისხლოდ აქედან არ წავალ, თუ  
ამ წამში არ გაგიშვია ეს ფელეტონი! მალე, მალე, გაზეთს აგვიანდება!  
აცახტახტა, ლულულული დაიწყო, მგონი, dominus vobiscum-ს ჩურ-  
ჩულებდა (კათოლიკე იყო)... გადაუსვა წითლებს შავი მელანი და წა-  
წერა — დაიბეჭდოსო.

ამის შემდეგ — მეორე თუ მესამე დღეს — კიდევ გადააწითლა რაღაც  
წერილი. მივედი. სამუშაო ტანისამოსით ვიყავი. დაუყვავე, მოვალზე და  
წერილიც გაუშვა.

— ჰო და, შენ მოდი ხოლმე! გუშინასწინ ის ვინ იყო, გიყვივით შე-  
მოვარდა. აქ კინალამ აგვეუწა, იარაღით შემომიტია!..

ვერ მიცნო...

ყოვლად საზიზღარი რამ იყო ეს ისარლოვი... ბებერი უფრობას მოვადგონებდა, მუნიანს... გასაგებია — ორას თუმნიან ჯამაგირს უფროხილდებოდა, თანამდებობის ერთგული ძალი იყო... ჩვენს შემხვეტელს სჩიოდა...

სერგეი მესხს თოთხმეტი წლის განმავლობაში არაფერი მასთან ჯველუნდა გაველო ასეთი ცენზორების ხელში?!

ურედაქტორო, დაობლებულ „დროებას“ ჩვენი სახელმძღვანელო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყურადღებას არ გვაკლებდნენ. შემოდოდნენ, გვამხნეებდნენ, გვაჭეზებდნენ.

აკაკის წვევა დღესასწაული იყო ჩვენთვის. თუ რასმე დამზადებულს მოგვიტანდა, თუ არა და, დაველიჯებოდით, დავსვამდით რედაქტორის ოთახში და მალე ან ლექსი იყო მზად, ან სხვა რამ სხარტული მასალი, რაც გაზეთის ნომერს შნოს აძლევდა.

ჩვეულებრივ მოგვინახულა მგოსანმა. შემოვიდა ღიმილით, ჩუმი ღიმილით. ჩვენც გავმხიარულდით, ვიცოდით, რომ ასეთ გუნებაზე როცაა, უთუოდ აქვს რაიმე ძვირფასი ძღვნად. დაჯდა, იგივე ღიმილი, მხიარული სახე.

— ჰო, კარგი ახლა, რაღას გვაწვალებ, მოიტა! — და ხელი გავუშვირე.

— ჯიბას ვაიკარ ხელია! — უხუმრა ხონელმა.

— არა, შეილო, იმ ჯიბას ერთხელ თქვენც ვაიკარით ხელი! — გვეუბნება. — ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და... ლექსიც იქნება!

— ამ ერთი მანეთის მეტი არაა რედაქციაში, შემოგფიცავ აკაკი! — და მანეთიანი გავუწოდე.

— დაჯერდება... მეც უნდა დაგჯერდე, მეტი რა გზაა?!

და ამოიღო, წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი, აჯანყებული აბაშელების სარდლის შესახებ დაწერილი. ალტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა:

— ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატეიანემ, დეეგულის ტყვილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს — აკაკის ერთადერთმა ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთს ლექსში, როგორც „არაბი ფაშა“!

— დეე, ისიც მოიხსენიოს იმ მემატეიანემ, რომ ამ რედაქციის ოთხი თანამშრომელი იმ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსადილოთ დარჩებიანო. — დასძინა ილია ხონელმა.

— პური ჩვენი არსებისა მოგვეც ჩვენ დღეს! — დაუმატა სოსლანმა.

„დროების“ რედაქცია ღარიბი იყო. თანამშრომლებს ხელფასი არ ეძლეოდათ, სტრიქონობით ჰონორარის ვადება სულ უცხო ხილი იყო. იშვიათად აკაკი თუ მიიღებდა მცირე რასმე. სერგეისა და აკაკის დიდი მეგობრული კავშირი ჰქონდათ ერთმანეთში. აკაკის იმ თავითვე, რაც მახსოვს, ქართული საზოგადოებისადმი საყვედურების გამოთქმა ზნეთა სჭირდა. კოტე მესხის თეატრის მოგონებებში ერთი ადგილია: „აკაკი

გაგვიჯავრდა (1875 წ.), ჩვენთან არავეითარი კავშირი არ იქნებოდა. თქვენ ყველა ჩემი მტრები ხართ, ჩემი მოკვლა გინდათო. აქედან გადაესახლდები, სხვა რჯულს მივიღებო“, და სხვა და სხვა. სწორედ, იქვე ქუთაისში მოგვახალა, რაც მას შემდეგ ბევრჯერ გაუმეორებია ქართველთა საზოგადოებისათვის, მაგრამ არც რჯული გამოიცვალა, არც გადასახლდა, არც არავის მოუკლავს, არამედ ყველა აღმერთებს იმის ნიქსა და მგოსნობას“...

აკაკის სენად ჰქონდა გადაქცეული ასეთი საყვედურები საზოგადოებაზე. რამდენი ცხარე და მწარე სიტყვები უთქვამს და კიდევაც დაუწერია მგოსანს იმის გამო, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი წესიერად არ აძლევდა აღთქმულს პენსიას. ამ სამღურავებით ხშირად სერგეისთან მოდიოდა მგოსანი და შესწიოდა. ერთადერთ ერთგულ მეგობრად სერგეი ეგულებოდა... მაგრამ ცარიელი სიტყვიერი ნუგეში პოეტს ვერ შეელოდა, „დროება“ კი ღარიბი იყო, რომ დიდი მგოსნის წყლულები სახსრით დაეშუშებია. ღარიბი ვიყავით. გაზეთის მუდმივი თანამშრომლები რამდენჯერ უსადილოდაც დავრჩენილვართ.

მკითხველი გაზეთს ბევრი ჰყავდა, ხელისმომწერი ცოტა. ერთი ნომრით ათი და მეტი ოჯახი სარგებლობდა. ეს ჩემს დროს იყო, 1880—1883 წწ., და ამის წინ ხომ მდგომარეობა უფრო ცუდრც იყო. ჩემს დროს ხშირი იყო, რომ სერგეის გაზეთის ქალაქისთვის საათი დაუგირაებია. „დროება“ კი უკვე ყოველდღიური ორგანო იყო, შინაარსით გაუმჯობესებული. ხელისმომწერთა რიცხვმაც იმატა...

სერგეისთვის სიკვდილი იყო „დროების“ თავის დანებება. ყველაფერს გაუძლებდა: შრომასაც, ცენზურასაც, ვალებსაც... მაგრამ მოტყდა, დასწულდა, მუშაობა აუკრძალეს და გულდაწყვეტილმა გაზეთი ცრემლით დასტოვა. და ეს მაშინ, როცა გაზეთს დღითიდღე წარმატება ემჩნეოდა, ნელ-ნელ ვალებსაც კვეცდა. მაშამ რიონის მამული ბანკში დააგირავე და ათას ზუთასი მანეთი რედაქციას მიაწოდა, მაგრამ „დროებას“ მაინც გამოეთხოვა სერ. მესტი.

გამოეთხოვა, მაგრამ მის სევდიან გულს ნუგეში ეძლეოდა იმის გამო, რომ გაზეთი მარჯვე, განათლებული ახალგაზრდის ხელში რჩებოდა.

„დროება“ ვალებით ივანე მაჩაბელმა აიღო და ორას თუმნამდი სერგეის მისცა.

ილ. ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს არ უნდოდათ, რომ გაზეთს ივ. მაჩაბელი დაპატრონებოდა. ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის უთანხმოების ნიშნები მაშინაც იყო. ილიას სარედაქტოროდ ნ. ქანანაშვილი ჰყავდა გამზადებული, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა. სერგეიმ ივ. მაჩაბელს უმხრო.

სერგეი მესხს დიდხანს აღარ დასცალდა სხვისი ხელმძღვანელობით და ამდენი ხნით მისგან ნაჭირნახულები „დროების“ ნომრების კითხვა-მაღე ავიბარგეთ ტფილისიდან. სერგეიმ დასასვენებლად საყვარელი სოფ.

რიონი აირჩია. აქ მცირე ხანს დავეყავით. ექიმებმა აბასთუმანს ურჩიეს, სადაც 1883 წ. ივლისის 25-ს 38 წლისამ თვალები საუკუნოდ დაბუკა.

ერთი უცნაური მოვლენა მინდა აქ აღენიშნო: *ქარქინული*

რიონსა და შემდეგ აბასთუმანში გვარიანად მრჩნებოდა *სქნებები*.

მნახველები ქუთაისიდან და ტფილისიდან მოდიოდნენ. ყველა სერგეის ვართობას ვცდილობდით. თითქოს შეურიგდა საყვარელი „დროების“ და საერთოდ ლიტერატურული წრის გამოთხოვებას.

აბასთუმანში სერგეი თავის სენს გაუთამამდა. ექიმები აფრთხილებდნენ: ნუ დაიღლები, ერთდღე მარჯვენის მოძრაობასო.

ერთ დღეს ველარ მოითმინა და ხეივანში გამართულ „კეგლის“ თამაშში მონაწილეობა მიიღო. ხის ბურთი კარგა მოზრდილი იყო. სერგეი აგულიანდა მოგებით, გახალისდა, თამაშმა ჩაითრია...

დავბრუნდით ბინაზე. ეს სწორეთ 25 ივლისი იყო. ერთი საათიკ აღარ უტოცხლია...

გავიდა ხანი. სოფელს დავებრუნდი. აღარც ვფიქრობდი თავის დაწებებას. მაგრამ ივანე მაჩაბლისაგან წერილი წერილზე მომდის. „დროებაში“ სამუშაოდ მიწვევს.

ივ. მაჩაბელს აღრუც ვიცნობდი. სერგეისობას ხშირად შემოდიოდა ხოლმე რედაქციაში. მოწაფეობაში არა ერთხელ ვადამიკითხავს იმისი და ილიას საერთო ნაშრომი. ინგლისურიდან ნათარგმნი — „მეფე ლიონი“. გაგონილი მქონდა, რომ ჩვენს დიდს მწერალს ილიას უყვარდა, მოსწონდა ვანო მაჩაბელი და ამ ახალგაზრდა ევროპულად განათლებულ ყმაწვილზე იმედსაც დიდს ამყარებდაო. ეს გარემოება რაკი აღრითვე გულს აღბეჭდილიც მქონდა, ვანოსთან მუშაობას ხალისით მივეგებე.

დავებრუნდი „დროების“ რედაქციას...

პირველ შეხვედრისას ვანო მაჩაბელს ღირსეულად ვერ ასწონივით. ეს აჩქარებული, თითქოს გაფანტული ადამიანი თქვენზე სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მაგრამ დაუახლოვდებოდი თუ არა და კარგად გაიცნობდით, ნახავდით. რა ერუდიციის კაცი იყო და შრომის უნარის პატრონი.

და მით მეტი წუხილი აღმიძრა იმ მოვლენამ, რომ ილიასა და ვანოს შორის ისეთი მწვავე გულმწირობა ჩამოვარდა...

აქ ცოტა კრძალვით უნდა აღენიშნო, რომ ლიხგადმოღმელმა აკაკიმ ლიხ-გადაღმა ძალიან შეუწყო ხელი კინკლაობასა და შეხლა-შემოხლას ქართლ-კახეთის ბანკის კრებებზე. აღრე ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა კრებები მშვიდად და წყნარად მიმდინარეობდა... იმერელი აკაკი ჩაერია ამ საქმეში და იმერული სული ვაამეფა ამ კრებებზე... ბევრს ემახსოვრება, რა ალიაქოთი, შეთქლემ-შემოთქლემი და ვაივავლახი მეფობდა მუდამ იმერეთის თავადაზნაურთა კრებებზე. ეს ნერვებაწეულობა იმერე-

თის კრებებს იმ თავითვე ჰქონდა დამისებული. ახლა ეს სურს ქართლ-კახელებსაც გაუჩინა აკაკიმ...

საზოგადოებრივი მოსაქმეობის ასპარეზზე ქართლსა და კახეთს შორის ილია იყო. იმ დროის ორი დიდი საქმე — ბანკის დაწესების გამოერცხლებული საზოგადოება ილიას ხელთ ებარა. ამავე დროს საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და სახის არც სხვა რამ საქმე გაჩნდებოდა, რომ ილიას, როგორც დიდი ცოდნისა და გამოცდილების პიროვნებას, არ დაკითხოდნენ. არა მარტო ლიხვად აღმა, ლიხვად მოღმელნიც ხშირად მიდიოდნენ ილიასთან რჩევა-დარიგების გამოსატანად...

საზოგადოებაში ყალბი აზრი ტრიალებდა იმის თაობაზე, თითქოს აკაკი სამსახურს, კარგ ადგილს არ ეძებდაო... სურდა ბანკის თავმჯდომარეობა ქუთაისში, სხვა რამდენიმე დიდი ადგილიც უნდოდა ეშოვნა. მაგრამ აკაკი, ყველამ იცოდა, „საქმის კაცი“ არ იყო, საქმიანობის უნარი არ მოეპოვებოდა. ის თავისუფალი პეპელი იყო, ფუტყარი, ვარდიდან იაზე მფრინავი... სიტყბოს სწუწნიდა და კალმით ხალხს თავფლად აწვდიდა თავის უკვდავ ნაწარმოებს... მაგრამ ეს ფუტყარი ხანდახან თავლის წუწვნასთან ერთად თავის შაშარს შხამისთვისაც ხმარობდა...

კვლავ „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმ დროს გოლოვინის (რუსთველის) პროსპექტზე დ. სარაჯიშვილის სახლში იყო. დაახლოებით გაციანო მაჩაბელი. ერთი წამითაც არ მიგრძენია, რომ მე ისევ ჩემს ძმა სერგეისთან არ ემუშაობდი. სამწუხაროდ, ეს მუშაობა ერთიან ხანმოკლე იყო.

ახალგაზრდას, საგაზეთო მუშაობაში პირველად ჩაბმულს — იე. მაჩაბელს ბევრი ნიშანი აჩნდა იმისა, რომ ის დიდი ჟურნალისტი დადგებოდა. ძალიან მარჯვე, სწრაფი, საგაზეთოდ ზედგამოჭრილი მუშაკი იყო. კარგი დახვეწილი ქართული, ცოცხალი საგაზეთო სტილი, მახვილი კალამი. სამწუხაროა, რომ ამ სარბილეზე მას მუშაობა დიდხანს არ დასცალდა. ილიასთან ბრძოლაში მოქცეულმა ვანომ დიდი ორატორული ნიჭიც გამოიჩინა. მაგრამ ის რომ „ათფუთიანს“ იტყოდა, ილია „ოცდაათიანით“ უპასუხებდა. ვერას გახდა, ვერ გაუმკლავდა ამ უკვე გამობრძმედილს დიდის ქუჩისა და გამოცდილების სახელმოხვეცილ მოღვაწეს... აქ არის დიდი ცოდვა აკაკისა. მან ხელი შეუწყო და ცეცხლს უკეთებდა ილიასა და ვანოს შორის ჩამოვარდნილს გულძვირობას, განგაშს, მტრობას და ბოლოს რაღა დარჩა... დიდი მომავლის ნიჭიერი ახალგაზრდა დაიჩაგრა.

ამის შემდეგ არც ისე დიდხანს გაუვლია, რომ ვანო მაჩაბელი გაქრა. სწორედ „გაქრა“. დღესაც არავენ იცის — ცამ აიტაცა, მიწამ ჩანთქა, თუ წყალმა ან ცეცხლმა შეიწირა ეს საიმედო ადამიანი...



ილიასა და ვანოს შორის რომ ადრე კარგი განწყობილებით იყო, ეს სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ როცა „დროება“ აკრძალეს და ვანოს დიდი ვალები თავს დაატყდა, ილიამ ტფილისში ჩამოვიდა მოღვაწეთა მეთაურებს თავი მოუყარა და გამოუცხადა, რომ ვაჭრების ვალებით ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროსო, არ უნდა ჩავარდეს, ჩვენი მოვალეობაა, შემწეობა აღმოუჩინოთ მას, რომ საზოგადო საქმისთვის მომხდარი ზარალი, საზოგადოებაზე ანაზღაუროსო და სხე... იმ ხანად მე იმერეთისკენ მივდიოდი და ილიამ დამავალა — ქუთაისში მენახა კირ. ლორთქიფანიძე, სხვებიც და ტფილისელების წინადადება გადამეცა — ამ საქმისთვის იმერლებსაც გაეღოთ წვლილი... მაგრამ.

კირილემ ჭკა აისროლა, თავი შეუშვია: ქუთაისში, იმერეთში ვის რა გააჩნია, ფულიანები იქ არიან და ვადაიხადონო.

ილიას მივწერე ეს ამბავი და პასუხად ერთობ გულნატკენი წერილი მივიღე. ეს წერილი ვალ. გუნიამ წაიღო ჩემგან.

მე ისევ სოფელს დავუბრუნდი და აღარაფერი გამიგია — ტფილისელები მაინც შეეწიენ თუ არა დავალიანებულს მაჩაბელს, თუ ისინიც კირილეს კვალს გაყვნენ.

„დროება“ რომ აკრძალეს, ვანო იმ ხანად კახეთში იყო. დებეშით ვაცნობე. მოიკრა გულგახეთქილი. Гадина-მ, — ასე ეძახდა ცენზორ ისარლოვს, — გაიტანა მაინც თავისი!

რას ვაუბდებოდით — ძალა აღმართსა...

„დროების“ აბრას სამგლოვიარო შავი ბლანდი გადავფინე...

შემოიკრა ბოჭაული:

— ამ წამში მოხსენით აბრა თავის ბლონდით! ეს რა ამბავია!?

— რა ამბავი უნდა იყოს. გაზეთი მოკვდა და ვგლოვობთ:

— დასრულეთ მთავრობის ბძანება! მოკვდა! მოკვდა კი არა, მოვკალით, ჩვენ ჩავკალით! ამ წამში მოხსენით! პროტესტები!?

ჩამოვხსენით... მთავრობის ქეშიკი თავისებურად მართალი იყო. იმათგან სასიკვდილოდ განწირულების გლოვის უფლება აკრძალული იყო...

კოტად, ვითომ გულის მოსაფხანად, ლუკა ისარლოვს ვუკბინეთ: იმ დამითვე აკაკის აკრძალული ლექსი „ხანჯალი“ დავსტამბეთ\*) და კარგა ბლომა ფარატინები მთელს ქალაქში მოვფინეთ. ლექსს მივუწერეთ: ლუკა ისარლოვი... დაფაცურდა პოლიცია და თანდარმები. კვალს ვერ მიაგნეს. მაგრამ მთავრობის ისეთს ერთგულ ქოფაკს რა დიდი ფიცი და მტკიცება დასჭირდებოდა, რომ ასეთი ლექსი იმის კალამს არ ეკუთვნოდა...

ახლა კი სამუდამოდ გამოვეთხოვე „დროების“ რედაქციას.

\*) ი. გრიშაშვილს თავის „ბოქემაში“ შეცდომით აქვს ნათქვამი, თითქოს ეს ლექსი ფოთში დაეჩვენათ.

ორი რედაქცია მოვლიე, ორი რედაქტორი ვიხილე გულდასუქებული. ორივეს უტროოდ დაღუპვასაც შევესწარი, შევესწარი ორი ახალგაზრდის, შრომის მოყვარულის, საიმედო პირის დაკარგვას. სერგეი შქეჩინი — 40 წელს არც ერთი არ იყო მიღწეული, მსრუტე-სწავლელმა ქართულ მწერლობასა და სხვა საზოგადოებრივ სარბიელს ორივე მოსწვეცია...

და ისევ რიონს დავუბრუნდი. კარგა ხანმა განელო, მე სარედაქციო მუშაობა აღარ შემხედომია. მაგრამ წერა არ დამიგდია. წერილებს ვაწვდიდი: „სახალხოს“, „თეატრსა და ცხოვრებას“, „ნიშადურს“ და კოტე მესხის ერთობ ხანმოკლე „პატარა ვაზეთს“...

(დასრული შემდეგ ნომერში)



ა. ზეიზვილი

## „ბათა ჭეჭია“

დღენა შენგელაის უკანასკნელი რომანი „ბათა ჭეჭია“ უსათუოდ წარმოადგენს საგრძნობ წინსვლას მწერლის შემოქმედებაში. ამ რომანით მან დაასრულა ხაზი, მომდინარე „სანაევარდოდან“, „ტფილისიდან“ და „ბათა ჭეჭიას“ წინამორბედ სხვა ნაწარმოებებიდან. ამ ეტაპზე დ. შენგელაის შემოქმედება ვითარდებოდა სიმბოლისტური და ექსპრესიონისტული სკოლების გავლენის ქვეშ. „სანაევარდოში“ ჩვენ გვაქვს ყურადღების კონცენტრაცია მიმავალ, დღეგარდასულ სამყაროზე, მართალია, დიდი მოთქმისა და გოდების გარეშე, მაგრამ აქ ავტორი არც რაიმე განსაზღვრულ პერსპექტივებს იძლევა. „ტფილისისათვის“ კიდევ დამახასიათებელი იყო ეგზოტიკის და მისტიური სუბმურის აღრევა. მოვლენების ზედაპირზე ცურვა რიტმიზირებული, ამღერებული პროზის ნავით.

ამ პერიოდშიაც დ. შენგელია ორივე ფეხით დეკადანსის პერიოდის ბურჟუაზიული ლიტერატურის ნიადაგზე იდგა.

არ შეიძლება ითქვას, რომ „ბათა ჭეჭიაში“ მწერალმა მოახერხა ექსპრესიონისტული მანერიდან საბოლოოდ თავის დაღწევა. აქაც ზოგან საგრძნობია ეგზოტიკა და უსულო, რიტმიზირებული თხრობა. მაგრამ საერთოდ რომანი წარმოადგენს ფართო რეალისტურ გზაზე გამოსვლის სერიოზულ ცდას. სოციალისტურ რეალიზმზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მოვლენები, რომელთაც ავტორი მხოლოდ გაკვრით ეხება, როგორც, მაგალითად, ბატონყმობის გადავარდნა სამეგრელოში, გლეხთა მოძრაობა 1905 წელს და სხვ., გაშუქებულია ჩვენის თვალსაზრისით. ძირითადი განწყობა მწერლის ამ ნაწარმოებში მაინც უტბოა პროლეტარიატის მსოფლმხედველობისათვის.

„ბათა ჭეჭიას“ განხილვა შეუძლებელია რომენ როლანის „კოლა ბრენიონისაგან“ დამოუკიდებლად, რომელმაც უსათუოდ ერთგვარი გავლენა მოახდინა მწერალზე ამ ნაწარმოების წერისას.

რაში გამოიხატება რ. როლანის გავლენა ამ რომანზე? ამ ნაწარმოების შედარებისას მკითხველს პირველ რიგში თვალში ეჩვენა რომანის საერთო ფორმა, რომანის თხრობა პირველ პირში, პერსონაჟებში, მათ ურთიერთობაში, ცალკე ეპიზოდებში, ზაქარის მტკიცების სიმრავლე გმირების დახასიათებაში და სხვა (რასაკვირველია, ყველაფერი ეს მოცემულია სამეგრელოს მასალაზე და მეგრულ კოლორიტში). მაგრამ, ჩვენის აზრით, „ბათა ქექიას“ ავტორს ამ შემთხვევაში იზიდავდა პირველ რიგში არა „კოლა ბრენიონის“ საერთო კომპოზიცია, მისი პერსონაჟები, მათი ურთიერთობა, ერთის სიტყვით, არა ჩონჩხი და ხორცი ნაწარმოებისა, არამედ მისი საერთო იდეა, საერთო სულისკვეთება. ეს საერთო იდეა კი არის ცხოვრების მიღება მის ყოველ გამოვლინებაში, პრინციპიალური ოპტიმიზმი, რომლითაც გამსჭვალულია რომენ როლანის „კოლა ბრენიონი“. „ბათა ქექიას“ ავტორს სურდა თავისი ნაწარმოებისათვის შთაენერგა ეს ძირითადი ემოციური დომინანტა, რომელიც ასე დამახასიათებელია რ. როლანის ნაწარმოებისათვის, მისი სიმზიარულე, მისი მზიურობა და მისი მოჩვენებითი უდარდებლობა და უზრუნველობა.

დომინანტა „ბათა ქექიასი“, ისე, როგორც „კოლა ბრენიონის“, არის უსაზღვრო ოპტიმიზმი, ყოფნის სიხარულის განცდა. მაგრამ, „კოლა ბრენიონისაგან“ განსხვავებით, ეს ოპტიმიზმი სხვას არაფერს ემყარება, თუ არა გმირის სურვილს — იყოს მზიარული ყოველთვის და ყოველ პირობაში. ეს არ არის განსაზღვრული სოციალური ჯგუფის ან კლასის წარმომადგენლის ოპტიმიზმი, რომელიც განსაზღვრულია ამ კლასის მდგომარეობით აწმყოში, მისი პერსპექტივებით მომავალში. ამ ოპტიმიზმის წყაროა მხოლოდ და მხოლოდ გმირის ინდივიდუალური ხასიათი. მწერალი არც თუ ძალიან იმტრევეს თავს იმის გამორკვევაზე, თუ საიდან მოდის გმირის ეს უსაზღვრო მზიარულება და სიკოცხლის სიხარული, თუ რატომ არის სწორედ ის ასე მზიარული. ასეთია მისი ინდივიდუალური ხასიათი, ასეთია მისი ფსიქოლოგია. „ეხ, როგორ მიყვარს ეს მიწა, ეს წყალი. ეს მშვენიერი ცა!“ „რა მიყვარს ეს ცოლივით გაშვართული მიწა!“ — იმეორებს ბათა თითქმის ყოველ აბზაცში. — „რა მშვენიერია ეს მთები, ეს მდინარეები, ეს ყანები!“ თითქმის ყოველ გვერდზე არწმუნებს იგი მკითხველს, რომ ის ზერეპს გაუმაძღრად, სიხარულით და სიხალისით აღსავსე ცხოვრების ფიალიდან, თუმცა მისივე თხრობიდან ჩანს, რომ ეს ფილა უმეტეს შემთხვევაში, თუ არ ყოველთვის შხამ-სამსალით არის სავსე. მკითხველზე კი ეს მზიარულების შადრევანი, რომელიც თითქმის უნდა სჩქედდეს, ხშირად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახდენს, ის საშინელ მოწყენილობას გრძნობს ამ დაუსრულებელი მსჯელობის დროს, ის განცვიფრებელი კითხულობს, თუ საიდან მოდის ბათას ეს უსაზღვრო მზიარულება? და ეს კითხვა არ არის უსაფუძვლო. ეს ნა-

წარმოები ხომ არ არის იმპრესიონისტული ესკიზი, არამედ მთელი რომანი, და ჩვენს მკითხველს უფლება აქვს მოსთხოვოს მწერალს, რომ მან დაასაბუთოს თავისი გმირის ხასიათი, გამოიყვანოს ეს განსაზღვრულ სოციალურ გარემოდან. ლიტერატურული ნაწარმოები, განსაკუთრებით კი მისი ისეთი ქანრი, როგორცაა რომანი, ისევე საჭიროებს ლოგიკურ დასაბუთებას და დაფუძნებას, როგორც ყოველი მეცნიერული ნაწარმოები. მხოლოდ, მეცნიერული ნაწარმოებისაგან განსხვავებით, აქ მტკიცების, დასაბუთების ხერხი სხვაგვარია, ის შეფარდებულია ფსიქიურ ქმედობის იმ სპეციფიურ ვეართან, ხატებით (სახეებით) აზროვნებასთან, რომლის შედეგად წარმოსდგება მხატვრული ნაწარმოები.

თუ ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ფორმალური ლოგიკის რაიმე პრინციპი, — ეს პირველ რიგში საკმაო საფუძვლიანობის კანონი. და თუ ადამიანის აზროვნების უმაღლესი სადგურის — დიალექტიკური ლოგიკისა და დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებმა, რომლებიც თავის თავში შეიცავენ ფორმალურ ლოგიკას, როგორც განვითარების განსაზღვრულ საფეხურს, ცოცხალი და კონკრეტული გამოყენება უნდა პპოვონ ლიტერატურასა და კერძოდ რომანში (და არა რაპისებური სქემატიური და აბსტრაქტული მიყენება დიალექტიკის კატეგორიების ლიტერატურულ ნაწარმოების მიმართ), ეს პირველ რიგში უნდა შელავნდებოდეს იმაში, რომ გმირის ხასიათი, განწყობილება და მოქმედება უნდა გამოიმდინარეობდეს იმ სოციალურ გარემოსაგან, რომლის პროდუქტს ის წარმოადგენს. მარქსისტული სოციოლოგიის ეს ძირითადი პოსტულატი — პიროვნების განსაზღვრა გარემოს მიერ ლიტერატურის მიმართ კონკრეტულიზებული კი — გმირის ხასიათის, ტემპერამენტის. მისი მისწრაფებების მთელი მისი სახის განსაზღვრა სოციალურ გარემოთი, ეპოქით, და მისი მამოძრავებელი იდეებით, უნდა პპოვლოდდეს თავის პლასტიურ გამოხატულებას ყველა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე აგებულ ნაწარმოებში და ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები საბჭოთა ლიტერატურის, სულ ერთია შეგნებულად თუ შეუგნებლად მათი ავტორების მიერ, აგებულია ამ ძირითად პრინციპზე.

ერთის შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს „კოლა ბრენიონში“ გვჭონდეს ისეთივე გულუბრყვილო განვითარება გმირის ხასიათის და ტემპერამენტისა, როგორც ეს არის მის მეგრულ ორეულში. რომანის დასაწყისში კოლა ბრენიონი ამბობს: „მე ყოველ ნაბიჯზე ვხედები უცნაურ ადამიანებს, რომლებიც ბუზღუნობენ. ისინი ამბობენ, რომ მე უხეირო დრო ამოვირჩიე სამღერლად, რომ ეხლა შავბნელი დროებაა... არ არსებობს შავბნელი დროება, არსებობს მხოლოდ შავბნელი ხალხი და მე, მაღლობა ღმერთს, იმათ რიცხვს არ ვეკუთვნი“.

და თვითონ ავტორიც რომანის წინასიტყვაობაში თითქოს დასტურს აძლევს თავისი გმირს, როცა იგი შვმღვევის სიტყვებით მიმართავს მკით-

ხველებს: „დეე, მათ მიიღონ ეს წიგნი ისეთად, როგორც ის არის, პირობად და გულდია, რომელსაც არა აქვს არავითარი პრეტენზია იმისა, რომ გარდაქმნას სამყარო, ან ახსნას ის ყოველგვარი პოლიტიკური შედეგგვარი მეტაფიზიკის გარეშე. როგორც წიგნი „ქარგ ფრანგულ ყაიდაზე“, რომელიც დასციინის ცხოვრებას, იმიტომ რომ ცხოვრებაში ის პოულობს გემოს და თითონ ჯანმრთელია“.

წინასიტყვაობაშივე რ. როლანი ამბობს, რომ „კოლა ბრენიონი“ წარმოიშვა შემთხვევით, რომ ის ამზადებდა რომანს და დრამას თანამედროვე თემაზე და ნაწილობრივ ქანკრისტოფის ტრაგიკულ ატმოსფერაში.

ეს მუშაობა „კოლა ბრენიონზე“, ამბობს ავტორი, იყო ერთგვარი რეაქცია ათ წელიწადს „ჟან კრისტოფის“ ჯავშანში ყოფნის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ თითქოს ჩემს ტანზე იყო მორგებული, დასასრულს კი ჩემთვის ძალიან ვიწრო გახდა. მე საშინლად მომენატრა თავისუფალი ვალიური მხიარულება, დიახ, მხიარულება თვით თავხედობამდის.

„ჟან კრისტოფის“ ჯავშანი, რომელზედაც აქ ლაპარაკობს რომენ როლანი და რომელიც მისთვის ვიწრო გახდა დროთა განმავლობაში, — ეს იყო კაპიტალისტური საზოგადოების ბორკილები.

ჟან კრისტოფის დაუსრულებელი ტანჯვა-წამება, მისი უნაყოფო ცდები, რომ დაამსხვრიოს ეს ბორკილები, ეს ხუნდები, ქმნიან იმ ტრაგიკულ ატმოსფერას, რომლისგან გამოსვლას რ. როლანი ცდილობს „კოლა ბრენიონში“.

ასე რომ „კოლა ბრენიონი“ თუმცა მხიარული წიგნია, მაგრამ ის სრულიად არ არის ისეთი გულუბრყვილოდ მხიარული წიგნი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი პოლიტიკა და არც არავითარი მეტაფიზიკა, რომელსაც არა აქვს არავითარი პრეტენზია, რომ გარდაქმნას მსოფლიო ან თუნდაც ახსნას ის. ამ რომანში რ. როლანი ცდილობს საშუალო საუკუნეების ქალაქის ხელოსნის არსებობისა და ყოფა-ცხოვრების პირობებში ნახოს „ბაზისი“ თავის სოციალურად და პუმანისტურად განწყობილ ინდივიდუალიზმისათვის, დააფუძნოს ეს ინდივიდუალიზმი, რომელიც ჟან კრისტოფის სახით ვანიცდის კრახს კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. ხელოსნის არსებობის პირობებში, — ხელოსნის, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ შებოჭილი არ არის კაპიტალისტური საზოგადოების ბორკილებით, მის ეკონომიკაში, მის ყოფა-ცხოვრებაში ეძიებს იგი გამოსავალს იმ პრინციპიალური ოპტიმიზმისა, რომელიც შეადგენს მისი შემოქმედების ძირითად ტონუსს, მიუხედავად ბევრი მისი ნაწარმოების ტრაგიკულ ტონისა.

გასაგებია, რომ მის მიერ დახატული სურათი საშუალო საუკუნეების ხელოსნის ცხოვრებისა, მისი არსებობის პირობებისა და ყოფის წარმოდგენს დაუსრულებელი იდეალიზაციის პროდუქტს. ის ვერ ხედავს იმ ხუნდებს, რომლებიც მას ჰპორაკვენ, ის ვერ ამჩნევს კლასობრივ ბრძო-

ლას საშუალო საუკუნეების ქალაქის წიაღში, ექსპლოატორულ დამოკიდებულებას სავაჭრო კაპიტალსა და ხელოსნის შრომას შორის სასტიკ ექსპლოატაციას და უფლებრივ ჩაგვრას თვით ამქრის კლასში.

„კოლა ბრენიონის“ წერის პერიოდში (რომანი დათარიღებულია 1914 წელს) რომენ როლანი ჯერ კიდევ ვერ ხედავდა შრომის განთავისუფლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების იმ შესაძლებლობას, რომელიც შეადგენდა მის მუდმივ ოცნებას და მისი სოციალური ოპტიმიზმის საფუძველს და რომელსაც პქმნის მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება. მას იმ პერიოდში არ გააჩნდა არავითარი პერსპექტივები და მას უხდებოდა მიბრუნება უკან, საშუალო საუკუნეების ქალაქის ხელოსნისაკენ, უხდებოდა მისი ცხოვრების იდეალიზაცია, მისი შეგუება თავის სოციალურ იდეალებთან. ფრანგი მწერლის რომანის პირველივე სტრიქონებიდან ნათლად ჩანს რომ კოლა ბრენიონის ოპტიმიზმი არ არის უმიზნო ოპტიმიზმი, რომ ის არ არის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ყოფნის, არსებობის სიხარული, რომელიც ახასიათებს ბათა ქექიას. კოლა ბრენიონი სრულიად არ არის, ბათა ქექიას მსგავსად, ზარმაცი და უსაქმური მოღაყბე. როცა ის ჩამოთვლის თავის ავლა-დიდებას, ცოლს, ბავშვებს, სახლს, ეკითხება თავის თავს: „შემოვიარე თუ არა სულ ჩემი სამფლობელო? არა, — უპასუხებს ის თავის თავს, — დამრჩა საუკეთესო რამ, მე ის სასაუზმოდ მოვიმარაგე, დამრჩა ჩემი ხელობა, მე წმინდა ანას ამობის წვერი ვარ, დურგალი“.

აბა ყური დაუგდეთ მის ქებათა ქებას, მის პიმნს შრომისადმი:

„მე მიყვარს ყველაფერი კარგი, კარგი სუფრა, კარგი ღვინო... და შენ, ჩემო ძველო მეგობარო, რომელიც არ გამცემ, ჩემო ხატო, ჩემო შრომაგ.“

რა მშვენიერებაა იარაღით ხელში დაზვასთან დგომა, ბერზეა, ბურღეა, გასალაშინება, ზეწა მშვენიერი და მტკიცე ნითისა, რომელიც წინააღმდეგობას გიწევს და შემდეგ მაინც გნებდება, რბილი და ზეთოვანი კაკლისისი, რომელიც შენს ხელში ცახცახებს, როგორც ალის ბერზემალი, სიხარული გონიერი ხელების და თითების, რომლებსაც განადის ხელოვნების ნაზი ნაწარმოები. სიხარული გონების, რომელიც მბრძანებლობს მიწის ძალებზე და რომელიც აღბეჭდავს ხეზე, რკინაში, ქვაში თავის ფანტაზიის მწყობრ მდინარებას. მე თავს ჭიმერულ სამყაროს მონარქად ვგარძობ... ჩემი ხელები მორჩილი მუშაყბები, რომელთაც მართავს ჩემი უფროსი თანაშემწე — ჩემი ტინი, რომელიც მე მტკვემდებარება და აწყობს გართობასა, ჩემი ოცნების მიერს. აბა მითხარო, ვის მსახურებოდენ უკეთ, ვიდრე მე? აბა რით არ ვარ მე პატარა მეფე? განა მე უფლება არა მაქვს შევესვა ჩემი სადღეგრძელო? რამდენი მშვენიერი რამ მოაოვენა ამ მრგვალ დედამიწაზე, რაც ახარებს თვალს, ატბობს გემოვნებას. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია ეს ცხოვრება!“

და ეს იმიტომ აყენებს ასე მაღლა შრომას, იმიტომ წარმოადგენს ის ცხოვრების ყველგვარი სიხარულის საფუძველს, რომ მასზე ემყარება სიცოცხლის უდიდესი ბედნიერება — თავისუფლება. ეს მისწრაფება მაქსიმალური თავისუფლებისადმი მას ისე ავადამყოფურად აქვს განვითარე-

ბული, რომ მას არ შეუძლია იმის ატანაც კი, რომ ის თვეის შედეგისაგან არის დამოკიდებული.

„მე ყველაფერი დაეკარგე, — მოსთქვამს ის შეეკირით და მსხვილი ხმით უბრალოდ — ჩემი ბინა — სადგური და მასთან ერთად იმედიც მისი ჩემზე ხელფასზე. მე დაეკარგე მთელი ჩემი დანაზოგაც, რომელსაც ვაგროვებდი დღენიადაც... განუწყვეტელი შრომით, რომელიც არის უდიდესი სიტყობებია. უფრო მეტიც, მე დაეკარგე ჩემი თავისუფლებაც...“

მე არ მსურს სხვა ვინმესგან ვიყო დავალებული, გარდა ჩემი შრომისა. მე უნდა ვიყო თავისუფალი, ბატონ-პატრონი ჩემს სახლში, უნდა შემეძლოს შესვლა და გამოსვლა, როცა მე მსურს. მე არაფრად არ ვარგვიან, რიცა თავს დამცირებულად ვგრძნობ“.

ის კარგად გრძნობს, რომ საზოგადოებრივი ძალა შეფარდების თვალსაზრისით, ეს თავისუფლება ძალიან შეკვეცილია, რომ ეს არის თავისუფლება ლოკოკინასი — იმოდროს თავის ნიჭარაში და ისიც მუდმივი საფრთხის ქვეშ, რომ მას ვასკყელეტს რომელიმე უხეში ფეხის დადგმა, მაგრამ ის მით უფრო მეტად აფასებს მოძრაობის თავისუფლებას ამ ფარგლებში.

მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის საილიუსტრაციოდ სიანტერესოა კოლა ბრენიონის საუბარი გრაფ შაიბუსთან:

— სულელი, მაშ შენ არაფერი ვიცვარს? — ეკითხება გრაფი კოლა ბრენიონს.

— ბატონო, მე მიყვარს მხოლოდ ჩემი ავლა-დიდება (სახლი). ყველას თავისი ხელობა აქვს. ზოგიერთები სჭამენ. სხვები კიდევ... იმასათვის არიან გაჩენილი, რომ ისინი სჭამონ. პოლიტიკა არის ჭამის ხელოვნება. ის ჩვენთვის, საწყალი ხალხისათვის არ არის ნოგონილი... ამა ჩვენ რა გვესმის და საიდან უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რაიმე გავყევებმა საზოგადოებრივ საქმეებში, თავიდაუფილების დავიღარაბაში, მეფის მაღალ მონაზრებაში, პოლიტიკის თამაშში და სხვა მეტაფიზიკაში. ჩვენ საბარგო პირუტყვი ვართ, იმისათვის შექმნილი, რომ გვეცმონ და მეც ამაზე თანახმა ვარ. მაგრამ ვისი მუშტო უფრო გეასიაშოვნებს ჩვენ და ვისი კეტი უფრო აამებს ჩვენს ზურგს — ეს მძიმე საკითხია, მეტად ძნელი გადასატრელია ჩვენი გონებისათვის. რომ ამ კითხვაზე გიპასუხოთ, ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენ თვითონ გვეკვიროს ხელთ ორივე კეტი, ავწონოთ ერთი და მეორე და თვითონ ჩვენ მოვიქნათ ის, როგორც რიგი და წესია. ისე კი ვერ იძულებული ვართ ვითმინოთ. ითმინე, სანამ გრდებლი ხარ, დაჰკა, როცა ჩაჭერი გახდები.

აქ თუმცა ყრუდ, მაგრამ მაინც საკმაოდ გასაგებად მოისმის კოლა ბრენიონის „პოლიტიკა და მეტაფიზიკა“.

შეიძლება კიდევ უფრო შორს გავყვეთ ამ „პოლიტიკასა და მეტაფიზიკის“ განხილვას, რომელიც ასე ორიგინალურად გამომდინარეობს ხოლმე საშუალო საუკუნეების ხელოსნის ყოფიდან.

ამა ყური დაუგდეთ მის ბრძოლის ტაქტიკას და სტრატეგიას, როცა ის მოჭალაქეებს არწმუნებს, რომ მათ დასძლიონ ხელოსნების პარტიკულიარზმი და მოაწყონ შეტევა მოძალადეების წინააღმდეგ:



— წავედით დავატყვევით ისინი! რას დამჯდარხართ თქვენ თქვენს „სოფლარში!“ — ეუბნება კოლა თავის მეზობლებს.

— ჩვენ ვიცავთ ჩვენს სახლებს, — უპასუხებენ მის მეზობლებს.

— საუკეთესო გზა თავის სახლის დაცვისა არის მეზობლებსა და მეზობლებსა დახმარება... ვისაც არ სურს იბრძოდოს თავისი ტყავის შესანარჩუნებლად, მან შეიძლება ის ადრე დაჰკარგოს, — ეუბნება მათ კოლა ბრენიონი.

— ისინი ბევრი არიან და შეიროლებული, ჩვენ არა გვყავს ბელადები, — წუწუნებენ ხელოსნები.

იყავით თავისი თავის ბელადები! ეუბნება მათ კოლა ბრენიონი, რომელსაც შემდეგ თითონ მიჰყავს რაზმი შეტევაზე შემდეგი სიტყვებით: „როცა ვხედავ, რომ ცუდლუტი ცუდლუტობს, მე პირველათ დავცემ მას კეტს თავში და მხოლოდ შემდეგ შევეკითხები, თუ რა ჰქვია მას. და თუ პროკურთრია ან პაპა აღმოჩნდება, დეე, ეს ასე იყოს. მეგობრებო, მოიქეცი თქვენც ასევე. როცა წესრიგი ხდება უწესრიგობად, საჭიროა, რომ უწესრიგობამ დაამყაროს წესრიგი და იხსნას კანონი“.

არ არის საჭირო მოვიყვანოთ შიში მსჯელობა მეფეზე, ფეოდალებზე, ომსა და სამხედრო კასტაზე, პაპზე, ეკლესიასა და მის მსახურებზე, კანონსა და მის შემსრულებლებზე. აქ ყოველ სტრიქონში მოსჩანს ეს ვიწროთ შემოფარგლული სამყარო ხელოსნისა, რომელიც უპირისპირდება ამ მჩაგვრელებისა და ყაჩაღების მთელ ხროვას. რასაკვირველია, ბრძოლის მეთოდების განსაზღვრულობა აქ, ერთი მხრივ, გამოწვეულია ხელოსნების კლასობრივი შეგნების განსაზღვრულობით, ხოლო მეორეს მხრივ — ავტორის ტოლსტოისებური შეხედულებებით ამ რომანის წერის პერიოდში. მაგრამ ამ ორი სამყაროს დაპირისპირება მაინც მოცემულია მაქსიმალური სიმკვეთრით: „სიყვარულიც აერთებს, მაგრამ თუ რამ ყველას მტკიცედ აკავშირებს, — ეს, პირველად ყოველისა, მტერი. მტერი კი ჩვენი პატრონია“, — ამბობს კოლა ბრენიონი, რომელიც ამ ცნების ქვეშ აერთიანებს ყველა მჩაგვრელსა და ექსპლოატატორს. მათ სიზარმაცესა და მუქთახორობას ის უპირისპირებს ხელოსნების შემომქმედ შრომას თავში „გაზაფხულის დღე“ ის იძლევა ამ მშრომელი ქალაქის სიმფონიას:

„მე ვდგები და ვმართავ ჩემ ბებერ ხელებს, რომლებშიაც მე ვგრძნობ საუცხოო დაღლილობას გაიწმამებული მუშაობის შემდეგ. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მე და ჩემი ქარგლები, რომ აგვენაზღაურებია იძულებითი უქმით ჯდომა, ბურბუშელას მთებს ვაყენებდით და ხე ათასგვარ ჰანგზე მღეროდა ჩვენს ხელს ქვეშ. სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის წყურვილი უფრო გაუმძღარია, ვიდრე ჩვენი მუშაობის შიდა. არავინ არაფერს არ ყიდულობს და კიდევ უფრო ნაკლებად იჩქარის ძველი დავალიანების დაფარვას, ჯიბე ყველას დაკარიელებული აქვს. ჭისა სისხლიდანა დაცლილი. მაგრამ ის (სისხლი) კიდევ ჩქედს ჩვენს ხელებში და მიწდევრებში. კარგია შიწა, რომლისგანაც მე ვარ შექმნილი და რომელზედაც ცხოვრობ (ეს ერთი და იგივეა)“. „ლოცითა და შრომით გახდები მეფე“ — ყველა ესენი მეფეებია, კლასის მცხოვრებლები, ან გახდებიან უთუოდ, თავს გეფიცებით. იმიტომ, რომ მე დილიდანვე მესმის, თუ როგორ ხმაურობენ წისქვილები მდინარეზე, თუ როგორ გუფუნებს საშვედ-

ლოს ჭურა სადღაც ახლოს, თუ როგორ ცნობენ გრდემლზე ჩაქრები... /ცხენი როგორ ფრტუტუნებს და სვამს წყალს, თუ მერქვე როგორ უკაცუნებს და შლერის, ასმის ურმის თვლების ვრილი ჭურაზე, ჩექმების მრავალხმოვანი ბაქრაქეკან შლექსების ტყლაში-ტყელში ხშების და ზარების გუგუნე, ერთის სიტყვით, ქეჭიაში ქეჭიაში ქეჭიაში-შაობაში, შრომით ოფლში: „მამა ჩვენი, ჩვენ ვებუთ ჩვენთვის პურსა ჩვენსა, სანამ ჩვენ მას მოგვემდე, ეს უფრო ნაღია“.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ მოქმედებს ეს გმირი რომანში წმინდა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. ქმნის რა ხასიათს, სახეს, რომელიც თავის ზოგად ხაზებში ორგანულად ამოიზრდება ხოლმე განსაზღვრულ გარემოდან, ყოფიდან, სოციალურ ურთიერთობიდან, მწერალი სწორად აგებს ამ სახეს, ხატს თვით დეტალებშიც.

მთელი მისი მოქმედება, ქცევა, მისი ხასიათის გამოვლინება, მისი დახასიათება თავისი თავის ან სხვა გმირების მიერ როგორღაც ადგება ამ სახეს (ამ ხატს), როგორღაც იხსნება მასში და ის გარეგნულად არაა მასზე დახუნძული, როგორც ბათა ქეჭიაში. ამიტომაც გმირის ხასიათის ცალკეული ხაზების, ცალკეული გამოვლინების მიღმა ჩვენ ყოველთვის ვხედავთ მისი ხასიათის ზოგად და არსებით ხაზებს.

გმირის ხასიათის ეს ზოგადი ხაზები, რომლებიც მის ხატს (სახეს) აძლევენ ასეთ სიმკვეთრეს, მუდამ თვალწინ უდგას მკითხველს, ისინი არასოდეს არ იშლებიან მისი მახასიათებლებიდან და ეს ასე ნაკეთოვანად არის მოცემული კოლა ბრენიონის ერთ დიალოგში თავის ქალიშვილ მარტინასთან.

„რა ტრახაბა რამ ხარ, — ეუბნება მარტინა კოლა ბრენიონს. — შენ რომ ეცმა ყერი გიგდოს შეიძლება იფიქროს, რომ შენ მარტო ყლით შეგიძლია მოქმედება, ყბელობა და ენის ფხანა, რომ შენ მუდამ წყურფილით იხრბობი, რომ შენ სიზმარშიც კი იფი გელანდება, რომ შენ ერთი დღეც არ შეგიძლია გაატარო ქეიფის გარეშე. სინამდვილეში კი შენ ერთ დღესაც ვერ გასძლებ მუშაობის გარეშე. შენ გინდა, რომ სხვებს თავი მოჭიფედ, მშებლად, გამფლანგველად, დელიბაშიდ მოაჩვენო, რომელმაც არ იცის, თუ რა აქვს ქისაში, კარგად არის გატენილი თუ არა. შენ ავიდ ვახდებოდი, რომ ყოველ დღე შენი საქმე საათითი აწყობილი არ გქონდეს, შენ იცი უკანასკნელ გროშამდის, თუ რა დახარჯე წარსულ აღდგომიდან, და ჯერ არ დაბადებულა ის კაცი, რომელიც შენ გიგაცურებს. არიფი, თავჭირიანი! ერთი დამიხედით ამ კრავს! სამი თქვენი თანა ერთად რომ შეიყაროს, მგელსაც დააბრძობს. მე ვიცი და არადერს ეუ-პასუხებ მახვილ ნისკარტა ქალბატონს. რა შეთქმის? ის მართალია. გამოტყდი, ჩემო კარგო, რაც უნდა თავი მოიგივიანო, მაინც სულ მთლად გივი ვერ ვახდები. ისე კი, როგორც ყველას, შენცა გაქვს თავში ქარი, და მას გამოუშვებ, როცა გინდა. მაგრამ შენ მას ისე ამწყვედე, როცა საჭიროა თავისუფალი ხელები და ნათელი გონება მუშაობისათვის. როგორც ყველა ფრანგს, შენც მაგრა ვიზის-კონებაში წესრიგის გრძობა, ისე კი გასართობად ზოგჯერ შენც შეგიძლია მალაყებზე გადასვლა:“

ეს საშინაი მხოლოდ იმ გულუბრველობებისათვის, რომელნიც შენ ვიკეტონ პირდღებულ და მოინდომებენ შენს მიზიდვას. ლამაზი სიტყვები, მყვირალი ლექსები, თავბრუდამხვევი პროექტები კარგი საქმეა: ეს იწვევს აღმადრენას, აღტყინებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ვწვევთ მხოლოდ ფიჩხს, ნამდვილ შეშას კი, ფარდულში მშრალად დაწყობილს, ჩვენ ხელსაც არ ვახლებთ“.

აქ ნათლად მოსჩანს ხასიათის ძირითადი ხაზები, რომელნიც გამომდინარეობენ განსაზღვრულ სოციალურ გარემოდან და რომელიც ამ ნაწარმოების დამახასიათებელ მზიურ, მზიარულ განწყობას ქვეყნის არსებითი და განსაზღვრელია.

დემნა შენგელისაჲს შეცდომა იმაშია, რომ ის ამ ოპტიმიზმის გამტარებლად ხდის წვივმაგარ გლესს, კულაკური მგლეჯელი ხასიათით, რომელიც, ალბათ, ავტორის პირველი მოფიქრებით, თავისი გვართ და ხასიათის ზოგიერთი თვისებებით ეხმაურება ქართულ ზღაპრების გმირს ნაყარქეჩიას.

„ბათა ქეჭიას“ ოპტიმიზმი არ გამომდინარეობს, როგორც ეს ფრანგ მწერლის რომანშია, გმირის არსებობის პირობებიდან, მისი ყოფიდან მისი ბიოგრაფიიდან, თუნდაც ეს იყოს დაუსრულებელ იდეალიზაციის პროდუქტი, ბათა ქეჭიას ეს უსაზღვრო ოპტიმიზმი მოცემულია როგორც შემთხვევითი რაღაც და მწერალს არ შეუძლია ის სხვანაირად დაასაბუთოს, თუ არ გმირის დაუსრულებელი განმეორებით და ლაპარაკით მსოფლიოსა და სიცოცხლის მშვენიერებაზე. ბათა ქეჭიას უყვარს სიცოცხლე, როგორც გაუმადლარს, გურმანს, როგორც მუსუს ზვადს, ყბედს, რომელიც მუდამ იფხანს ენას. ის არაფერს არ ეძებს ცხოვრებაში, გარდა თავისი, საკმაოდ პრიმიტიული, პირუტყველი სიამოვნების დაკმაყოფილებისა.

ბა ყური დაუგდეთ, როგორ ახასიათებს ბათა ქეჭია თავის თავს:

„რა ტბილი იყო ეს დღეები. ვთელი და სთვალავი მებნევა. ახლა (ვიღას დაუნძალო) სამოცდაათი წლის ბერიკაცი ვარ და ამ სამოცდაათი წლის ყველა დღეები თავისი სიტბოთი და სიმწარით, ცრემლითა და სიხარულით, ბატონ-ყმობით და ცოლის თხოვით, მამასახლისებოთა და გადასახადებით დედის რძესავით შემრგებია და მადლობელი ვარ განგების, რომ ეს დღეები ლორთქო ბოლოდღევით ეყარა უხვად ჩემ წინ და მე აბრეშუმის ქიასავით ეჭამდი მათ, ეცოცხლობდი, კანს კანზე ვიცვლიდი და შიგ ვი, კანქვეშ, შინც ის ბათა ვიყავი, გაუმადლარი, სიცოცხლით სავსე ბათა ქეჭია. სოფლის წვივმაგარი გლესის ძუძუებდაფუებული დედაკაციბი ძაღლის ლეკვის საბელს ბათურისაჲს რომ მებძბდენ სააღერსოდ, და ერთხელ რა არის, ერთხელ არ გადამიხვევია, არ მილაღატია ცხოვრებისათვის. დროს მუნაგ ლეკვივით ვეღარაჯებდი და ყველაფერს დაუწუნებლად და ხარბად ვტაცებდი ხელეხს. მეშინოდა, ყოყმანში ისიც არ დამკარგოდა, რასაც მძაღლედენ, იმტომ, რომ დრო წყევლია, ერთი თუ წავიდა, მერე ვერ დაწვივი. მეც ეცოცხლობდი, ვმუშაობდი, ეჭამდი, ელაჭობდი, ვიცინოდი. მე სიცოცხლის ყურმოპრილი ყმა და ქედმაღალი ბატონი ვიყავი“.

და ეს მეორდება სტრეოტიპიულად მკირეოდენი ვარიაციებით თითოეულ გვერდზე. და ეს დაუსრულებელი მსჯელობა, თუნდაც ის ძალიან ოპტიმისტურიც იყოს, კაცს საშინელ მოწყენილობას ჰგვრის და ამ ერთფეროვანი მსჯელობის ფონზე უფერულდება ის უსათუოდ ნიჭიერად და საინტერესოდ მოხაზული ტიპები და ხასიათები, რომლებიც ბლომად არის მოცემული რომანში. არც კოლა ბრენიონია ასკეტი და პურიტანი. მაგრამ ის მაინც დიდად განსხვავდება ბათა ქეჭიასაგან. კოლა ბრენიონს არ ახა-

სიათებს ბათას ანტიოციკალური თვისებები. და ეს ორგანიზაციის განსაზღვრავს აგრეთვე მხატვრულ ფორმალურ მხარესაც. „ბათა ქექიაში“ გმირის ეპიკურეისტული ხასიათის ჩამოყალიბება, მისი ყველაფრის მიზნები და მხიარული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და სხვა-სხვა გმირების ბედის და თვით საკუთარი ბედისა და ბიოგრაფიისაგან დამოუკიდებლად, ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის ელემენტარულ მოთხოვნებს. გმირის მსოფლმხედველობა და მისი მსოფლშეგრძნობა არაფრით არ არის დაკავშირებული არც მის წარსულთან და არც მის აწმყოსთან. ის მხიარულია დამოუკიდებლად ყოველივესი და თითქმის ყველაფრის საწინააღმდეგოდაც, ასე რომ სავსებით საფუძვლიანია მკითხველის გაოცება: როგორ უნდა აეხსნათ ასეთი მხიარულება და უდარდებლობა გლეხის, რომლის ცხოვრებაც დაიწყო ბატონყმობის შეგნულ პირობებში და რომელმაც შემდეგ იგემა გლეხური ყოფის მთელი სიმწარე ბატონყმობის გადავარდნიდან ოქტომბრის რევოლუციამდის.

აბა მივყვეთ მის ბიოგრაფიას. ბათა ქექიას ცხოვრების გზა საესეა ტანჯვა-წამებით. ბავშვობაში ყმის ოჯახის ნახევრად მშვიერი მათხოვრული ყოფა. ბატონყმობის გადავარდნა, რომელიც თავადაზნაურობის ვერაგობის გამო, სამეგრელოში დაგვიანდა... სცენა ბორანთან: მთელი სოფელი ღვას რიონის პირას ნოემბრის თვის სუსხიან დღეში და ელოდება „მებატონისაგან განთავისუფლებულ, დაჩიავებულ, ჯაფისგან და უქმელობისაგან დაბეჩავებულსა და გაბახებულ დებს. ძმებსა და მამებს. ნახევრად მშვიერი, სიმშვილისა და მალარიისაგან დაყვითლებული ბავშვები და მოზრდილები სამოცდაათი წლის მოხუცი ჯუფანა, რომლის შვილი უტუს ჯარში მონაწილეობისათვის ცემიბრში გაგზავნეს და რომლის სამი ვაჟი და ერთი ქალი ბატონს კარზე ჰყავდა სამუშაოდ. მისი შვილის შვილები ბეგარაზე წაასხეს, სახლი დაუწვეს, ეზო გაუპარტახეს, ძროხა და საქონელი წაართვეს. და აი ის ახლა ღვას აქ სხვებთან ერთად თავისიანების მოლოდინში და იყინება ნოემბრის ცივ ქარში. ის სიცვისაგან ძაგძაგებს და წყველა-კრულვას უგზავნის თავის ბატონებს. ნატრობს იმ დროს შემოსწრებას, რომ ლუქმა პურის მონატრული ბატონები კარიტკარზე დადიოდნენ და მათ ძაღლებს უსისინებდნენ. შემდეგ გულამაჩუყებელი სცენა მისი შეხვედრისა ბატონის კარიდან დაბრუნებულ შვილებთან და შვილიშვილებთან, რომელთაც ის გაყინული და ღონემიხდილი მიჰყავთ სახლში. შემდეგი თავები, რომლებიც აღწერენ მის უსიხარულო ცხოვრებას ტფილისში, ხელზე მოსამსახურედ ყოფნას გამოტყინებულ ლათინური ენის მასწავლებლის სახლში, სადაც ის თერთმეტი წლის ბაღლი გაგზავნეს ფულის საშოვნელად. მისი ტანჯვა-წამება საკუთარი კერის შესაქმნელად, მისი სოფლის გლეხების დავა მემამულეებთან „ნადელეზის“ გულისათვის, რომელშიაც ის ბელადის როლს ასრულებს. გლეხთა მოძრაობა 1905 წელს, რომელშიაც ის აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას

ლებულობს, თუმცა ერთგვარი ანგარული და წამგლეჯური მარტივებით. გასაგებია, რომ ყველა ამის შემდეგ მკითხველს ანცნობურად მისი „ფილოსოფიური“, რეზონანსური დამოკიდებულება ცხოვრების მიმდინარეობისადმი.

ეს წვიმამგარი გაიძვერა გლეხი, რომელიც მუდამ იმის ზრუნვაშია, თუ როგორ გამოჰგლიჯოს ცხოვრებას ზედმეტი ლექმა, უცბად იქცევა ბრძნად, რომელიც „ურიელ-აკოსტას“ ბენ-აკიბას აუღლეველობით და ინდიფერენტობით შეჰყურებს ცხოვრების მდინარებას.

„გარეთ ზამთარია, სიცოცხე, რეკოლუცია. ჩემი ზორანი ახლა სოფლისაა. ჩემი შეილება კოლექტივში მუშაობენ, ახალი ცხოვრებისათვის იბრძვიან, წლებზე ფეხს იდგამენ და მერე... მერე ისინიც მოკედებიან. სულელები. არ იციან, რომ მათი შეილება სულერთია ისევ დაიქვევენ ამ საქმეს, ესენი ახლა თავს რომ აკლავენ, ისევ თავიდან დაიწყებენ ახლის შენებას.. ასე ყოფილა დასაბამიდან და ასეც იქნება სულ მუდამ. არ იციან, რომ იმათაც მიწა შესჭამს. ამიტომ დროს ნუ დაკარგავთ, შეილებო, იმუშავეთ, იბრძოლეთ მაგრამ ნუ დაგაიფყდებით: მართალია, მიწა შეგვამთ, მაგრამ ჯერჯერობით, სინამ მას არ შეუტყამივართ, ჩვენ ვტყავთ ეს მიწა, ეს ზორცი, ეს ხილი და ესვათ ეს ღებო, ეს წყალი და ეს ცა“.

ერთის მხრივ, ის იძლევა ისტორიულად სწორ სურათს წერილი მესაკუთრის მსოფლშეგრძნებისა, — წერილი მესაკუთრის, რომელსაც ეშინია ყველასი, რომელიც ყველასაგან ჩაყლაპვას დ აგანადგურებას მოეღის. ის ამბობს თავის თავზე:

„მე უპკოო ლექმა ვიყავ და გემრიელი და იმიტომ ყველა მე მერჩოდა, ყველას ჩემი შეგმა უნდოდა, ვისაც შადა ჰქონდა და ჭამა არ ეზარებოდა, და, მართალია, ლექმა ვიყავ, უპკოოც, მაგრამ არც ისე სულელი, რომ ვისიმე ჯამში ჩემი ნებით ჩავვარდნილიყავი. ძლიერ კარგათ ვიციდი ჩემი ქონის გემო და ამიტომ ვემალეობდი ყველა მტერს და დუშმანს“.

და ამის გვერდით რაღაც პაგანისტური პანეგირიკი ბუნების მიმართ: „შეგხედავ ცას. — მიხარია, ვხედავ ამ გულგადაღლილ მიწას, ისევ ვხარობ. გაცეკრი ამ მწვანე მინდორ-ფელებს, თოვლით ჩამოფენილ კაცკასონს, აბრეშუმით აშრილებულ სიმინდის ყანებს, ამ რიონს, ამ ტბას ნარიონალს, შეილებს, შეილისშეილებს, — ვინ მოსთვლის მათ! — ჩემი ოფლით მონაგარ ფაცხას და რა გქნა, შეილებო, ბიძებო, რომ მიხარია. მიხარია, რომ ცოცხალი ვარ და ვმადლობ ღმერთს და ეშმაკს (უპკველია ორივეს, ვინ იცის, რომელი უფრო ძლიერია!), რომ ყველაფერი ეს ჩემთვის არის გაღწეილი, რომ ყველაფერი ეს მე მიკეთებია, მას მე ვუკუთვებო და გრძობამოჭარბებული ვემზობი მიწაზე, ვებტეები მის მსუქან და ნოყიერ ძებებებს, წვენიით და სიცოცხლით რომ მაცხებს, ებანაობ რიონში, ეთევზობ, ზუთხებსა და კობრებს ანვესებს ეუგებ. ლორთქო კოლინდარში გულაღმა ვწვები და შეეცეკრ ამ ლურჯ ყანასავით აბიბინებულ და დაუსრულებელ ცას, თავზე რომ ახალი ჩითივით მადენია, და ვიცი — ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემი ბებრეტი ცოლია, მე მოთესვილი ვარ და ვანაყოფიერებ მიწას, ის ვნებით იფშენება ჩემი სხეულის სასურველი სიმამის ქვეშ, მეკერის ცხელი, გაუმადარი და ჩვენ სულ მუდამ განუყრელი ვართ, ერთად მივდივართ, მივიმღვრივართ“.

და შემდეგში ეს პრიმიტიული, გლეხურისაგან არც თუ ისე განშორებული განცდა მიწის ნაყოფიერებისა გადადის რაღაც ვაკხურ პინში,

ხოლო წამგლეჯე გლეხის ხატი გადადის რალაც ფაენის, ხატორის ქიშინ ულაყის სახეში, რომელიც ანაყოფიერებს არა თუ მიწას, არამედ ქალებს მთელს სოფელში და მისი თესლი იზრდება როგორც მჭკრეჭკრე მონუნული და დამუშავებული მიწის მოსავალი.

„ენ იყის, ვინ არიან ეს ახალგაზრდები, მზიარულად რომ ოხუნჯობენ და იციან ისე, რომ მათი ხმა მალა ცას სწევდა — ჩემი შვილები, თუ მხოლოდ მეზობლები. აბა, რომელ სოფელში გინახავთ თქვენ ამდენი ხალისიანი, ამდენი მზიარული, მკვირცლ-გონებინი და კვიმატი ახალგაზრდობა, ეს ჩემი სისხლია, რომ იციან, ეს ჩემი თესლია, რომ მზიარულობს, ეს მე ვარ, ამ ახალგაზრდობაში რომ ვეისკობ და ჰერი დაბა. მივტრიავარ, მივეტრავ ამ წყალზე გაქნულები მე და ეს ბორანი შვილებთან, მეზობ-ლებთან. პაატ ჯიმიღურელი, ვინ დასთვლის მათ! ისინი მე მიოცსა, ასე უხვად მე მიკეთებია და არც ღონე, არც მონდომება არ დამიშურავს მათ კეთებაში და ახლა მეც მზიარია, მათ სიზარულს რომ ვუტკებრი, ვწუხვიარ მათ რომ რამე აწუხებს, მათი ზედნიერება ჩემი ზედნიერებაა და მათი ჭირი ჩემი გასაჭირი...“

„ასე მზიარებს მათი ახალგაზრდობა, მზიარია, რომ ნახევარზე მეტი ამათგან ჩემი შვილებია, ზოგი ლაფაროში, ზოგი ყანაში, ზოგი წყლის პირას და ზოგი ვეერში მათ დედებთან ქრის ნამალევად ნაკეთები. ეს ჩემი სისხლია, ჩემი ბორცი, ამ დობილოში ასე რომ ერევა, ტყარცალობს, იციანის და სიცოცხლე უხარია“.

ეს ვაკხურ-ეროტიული ალტყინება შემდეგ ედება არა მარტო მათა ქექიას. მთელი მზარე, რომელსაც ის რომანის დასაწყისში ხატავს, როგორც გაქირვებისა და სიმშოილისაგან და მალარიისაგან სულთმობრძავს, უცებ იქცევა ჭარბი სასიცოცხლო ძალებით გაბრუებულ ქვეყანად, რომელიც აღიარებს დიონისოს კერპთაყვანისმცემლურ კულტს. ის გვიხატავს ყურძნის კრეფის სცენებს კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ სულის-კვეთებაში, სადაც ახალი ღვინით გაბრუებული ყმაწვილები და ქალი-შვილები ეძლევიან რალაც ვაკხანალიას... აქ სცენაზე გამოდის მითიური ოქროს ვერძი — ავტორის ფანტაზიით თხა — სატირად ქცეული. და თვით ბათა ქექია იქცევა ენებათაშლილ მოხუცად, რომელიც თვალყურს ადევნებს, თუ მისი გათხოვილი ქალი სხვა ქალიშვილებთან ერთად როგორ ეძლევა თავდავიწყებას ამ სიუხვისა და ბედნიერების ველზე, სადაც მიდის რთველი. ის თითქოს სათვალთვალო პუნქტიდან დირიჟორობს ამ ორგიას, მართავს ეროტიულ ცეცხლს:

„არ დაინდოთ, ბიჭებო, არაფრის დიდებით არ დაინდოთ ევ თმავრძელები. პირდაპირ მიდით, ბაბა, ჯიქურ მიდით, თვარა თუ ელოლიავე და უცადე, სხვა დიგასწრებს და შენ რომ ლექვის მიზნებაში და ცდაში ხარ, სხვა წამოუტოლებს ჭორავით და ხელსა და ხელს შუა იგაცლის. თუ სხვა დაინდე, მერე დაინდობილი შენვე აღარ დაგინდობს. მოგვადება ზურგზე და მანამ გატენებს, სანამ არ მოსწყინდება. სიყვარული და ყოყმანი სად გავიწილა? ქალს, ბაბა, ველი უნდა მოუნახოთ, დრო უნდა უშოენო და ნაშოენი დრო თუ ვერ გამოიყენე და დააგვიანე, მაშინ ის გიშოვის ყელს და ისე გამოგტრის, რომ ცა მალა იყოს, და შენ მის მიწაზე ევდო. დაგვიანებას ისე ნადრევად შეტევა სჯობია, რომ ჰკვიან, კაპასობენ, ეს არაფერია. აბა, უმისოთ ხომ არ ჩაგვიარდების პირში. ერთი ატოცეთ, ერთი და მერე გემოს რომ გაუცნობენ, სირცხვილს უტებს რომ დაადგამენ, ვეღარ მოიცილებ. რა უყოთ, რომ კვიან და კაპასობენ. ცოტას იმტომ კვიან, რომ უხარიათ, ცოტა ეშინიათ, ცოტას სურვილები აკვილებს, ცოტას აჯიუ-

ტაბა, და ბიჭი იმიტომაც ბიჭი, რომ მოსტეხოს ეს სიჯიუტე. ასევე კაცის ჯი-  
ლაგი, და რას იზამ. "პაიტ, ეს მატყელი არ გამცენოდა ამ ზურგზე, გვერდებინებდით  
მავათი თვალის სეირს და ახლა რაღა დროისაა..."

### ქვიციანი

სატირის მსუნავი თვალებით უცქერის ეს დიდი ხანი მსახურს, თუ  
მისი ქალიშვილი ამ ეროტულ თავბრუდახვევის შემდეგ, უკან გადაგდებ-  
ბულის თავით, როგორ სვამს დოქიდან მაქარას: „მადლიანი გულმკერდი კი-  
დევ უფრო აებურცა და ასე საესე და ვენებიანი, ორივე ფეხებით ისე  
მავრა იდგა მიწაზე დაბჯენილი, რომ აღარ ვიცოდი, სად თავდებოდა  
ეს მიწა და სად იწყებოდა ჩემი ქალი“, — ამბობს ის.

და ახლა ეს დაჯანდაგებული სატირი (ის ასეთად არის დახატული  
წიგნის ყდაზედაც), ეს მობერებული ზეადი ზის კერასთან, ასხამს დაუ-  
სრულებლად დოქიდან დიდებულ ოჯალეშს და ჩხავერს, რომლებიც ერთ  
დროს ბლომათ მოკყავდათ სამეგრელოში და რომლებსაც ახლა იქ კაცი,  
ვგონებ, ჭაშნიკადაც ვეღარ იშოვის, და ღერდავს მოუკოდავ წისქვილი-  
ვით. მთელი მისი საზრუნავი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რო-  
გორმე ხელში ჩაიგდოს გამვლელი, რომელიც მის ყბედობას გაუძღვება.  
„კაცია და გუნება!“ გამოტყინებულ მებორნეს, რომელიც მწერალს დიდ  
ბრძნად და ფილოსოფოსად დაუსახავს, შეუძლია იჩურჩუტოს, რაც მას  
მოებრიანება, მაგრამ არც მისი ხასიათი, არც მისი განწყობილებები და  
არც მისი მსოფლმხედველობა არ არის რაიმე მხრივ დამახასიათებელი სა-  
ქართველოს და, კერძოდ, სამეგრელოს გლეზობისათვის. პირიქით, მის ხა-  
სიათში ბევრია ისეთი, რამ, რაც ჰქმნის მკდარ წარმოდგენას მასზე, მის  
არსებობის პირობებზე, მის მსოფლმეგრძენებაზე...

ოპტიმიზმი, არსებობის სიხარულის განცდა კარგი რამ არის. ხარბი  
მისწრაფება სიცოცხლისადმი აღმავალი კლასის მსოფლმხედველობის  
ემოციურ დომინანტს წარმოადგენს, მაგრამ საჭიროა ამ ოპტიმიზმის და-  
ფუძნება, საჭიროა მისი გამოყვანა განსაზღვრული სოციალური ურთი-  
ერთობიდან, ის უნდა გამომდინარეობდეს მწერლის მიერ სწორად დახა-  
ტული ცხოვრების სურათიდან და არა მისი მრუდე სარკიდან. მისი მა-  
ტარებლები უნდა იყვნენ რეალური, ცხოვრებრივი ტიპები და ხასიათები  
და არა ბათას მსგავსი უცნაური ტიპები. ბათა ქექიას ხასიათში, მის  
მსოფლმეგრძენებაში სწორათაა ასახული მხოლოდ მისი თავისკერძა კუ-  
ლაკური ტენდენციები, მისი მისწრაფება — გამოპკლიჯოს ცხოვრებას  
უფრო დიდი ნაჭერი. სხვა ყველაფერი კი ხელოვნურია და ყალბი.

რომ როგორმე დააფუძნოს ეს ოპტიმიზმი, ავტორი იძულებულია გა-  
სტენოს თავისი გმირი დაუსრულებელი აბსტრაქტული მსჯელობებით,  
დაწყებული ბერძნული მითოლოგიით და თომა აკენელით და გათავებუ-  
ლი მოძრაობის განმარტებით, როგორც სიცოცხლის უმაღლესი აზრით,  
ფილოსოფოსებებით, სენტენციებით, ქადაგებით განუსაზღვრელ ეგოი-  
ზმითა და ცხოვრების მხოლოდ თავის ანგარულ ინტერესებისათვის გამო-

ყენებით. რა გასაკვირია, რომ მთელი ეს რეზონერული ბაიასტრა არ აღგება ამ ტიპის კარკასს, არ შეადგენს მის სისხლსა და ხორცს.

ამით ირღვევა ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა ყველაფერი აღედგინოს რეალისტურად გამართული შემოქმედება, რომელიც სახე (ხატი) იზრდებოდეს ცხოვრებრივ პროცესიდან და არ იქმნებოდეს სადმე „გვერდზე“, რომ შემდეგ ჩასმულ იქნეს მოვლენათა მდინარებაში.

ამ შემთხვევაში კი სახეს, ტიპს, მისი აღნაგობის ორგანული დეფექტების გამო, არ შეუძლია იყოს მატარებელი იმ ზოგადი იდეისა, იმ სიხარულით აღსავსე რატიონისტური მსოფლშეგარძნებით, რომლის გამოვლინება წარმოადგენს ავტორის ძირითად მიზანს, სწრაფვას ამ ნაწარმოებში.

მაგრამ რომ ბოლომდის გაიტანოს ეს რატიონისტური განწყობილება, სიცოცხლის სიხარულის ეს აწეული ტონუსი, მას უხდება თვით მოქმედების ფონის დეფორმირება, ზოგიერთ ეპიზოდებში სამეგრელოს სოფლის სინამდვილის მოცემა რაღაც ყალბ, ფსევდოელინისტურ ტონებში, დიონისოს კულტის განწყობილებებით, მისი დასახვა ლეინის, სიხარულის უღვევი დოვლათის, ვაკხიური მზიარულების ქვეყნად. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება ავტორის არა თუ სხვა ნაწარმოებებს, რომლებიც სახავენ სამეგრელოს, როგორც უსაზღვრო სიღარიბის, გაჭირვებისა და მალარიის ნიადაგზე ვადაშენების გზაზე დამდგარ კუთხეს. ეს ეწინააღმდეგება თვით ამ რომანის ძირითად მომენტებსაც, რომლებიც საერთოდ დიდის ოსტატობით სახავენ ამ კუთხის კოლორიტს, მის ყოფაცხოვრებას, ზნეჩვეულებებს, ადამიანებს, მათ ტემპერამენტს თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

ზოგიერთი ტიპი, როგორც, მაგალითად, თემშუყ დანელია, თუმც კოტაოდენი მისტიური ბურუსით მოცული, მოხაზულია მაქსიმალური სიმკვეთრით და რელიეფობით. და ეს იმიტომ, რომ ეს არის არა მარტო გარეგნულად დასრულებული პლასტიური სახე, არამედ საკვანძო ფიგურა, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს მის მიღმა განსჭვრიტოს სოციალურ-ყოფითი ურთიერთობების მთელი კომპლექსი. აქ გაცვრით მოხსენებული პირები, რომლებიც ავტორს არც გამოჰყავს სცენაზე, მათი ურთიერთობა ქმნის კვანძს ახალ სიუჟეტური ხაზებისთვის, იძლევიან შესაძლებლობას ამ ყოფის, სოციალური ურთიერთობების ახალ ასპექტში გადასასვლელად.

იგივე შეიძლება ითქვას სცენაზე გლეხთა ოჯახების დაბრუნების მებატონის კარიდან. აქ რევოლუციონერი გლეხის დედის მოხუც უფუფანას სახეში, მთელ სცენაში, იხსნება ძლიერი გლეხური აჯანყებები სამეგრელოში. ასევე ოსტატურად არის მოცემული ბათას ბავშვობა, თერთმეტი წლის ბავშვის შორეულ ქალაქში გაგზავნა ფულის საშოვნელად, და ბევრი სხვა ტიპი, სცენა და ეპიზოდი. ძალიან მოხდენილად არის გამოყენებული ზნეჩვეულებებისა და სოციალური ურთიერთობის საჩვენებლად



ბორანი, როგორც ჩვენში ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან მომავალ გზების გადაკვანძვის პუნქტი. ეს ბორანი არსებითად საკვანძო პუნქტია, ის არის თითქმის ერთად-ერთი შემაკავშირებელი ელემენტი მშრანსა და სსრკ-სა-კმაოდ სუსტად შეკრული რომანისა. შესუსტებულნი ფუნქციონირებულნი გმირის ცხოვრების გზის აღწერაზე, ვერ არის საკმაოდ მაგარი კარკასი რომანისთვის. მოჩვენებითი საკვანძო პუნქტი გმირის ბიოგრაფიაში, მისი გაცუდებული სიყვარული და საერთოდ მთელი ბიოგრაფია თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ხასიათის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ბორანი, როგორც ცენტრი ბათას საკმაოდ ვიწროდ მოხაზულ მსოფლიოსი, მდებარე ამ პატარა მსოფლიოს „ვიპზე“ ავტორს ამ ნასესხები ხატის გამოვლინების საშუალებას აძლევს.

და რადგან ამ სახის გაშლა ხდება საკმაოდ ერთფეროვან და მოსაწყინარ მსჯელობებში, ავტორს უხდება თხრობის გამოცოცხლება სხვადასხვა სცენებით, ეპიზოდებით, ანეკდოტებით, ზოგჯერ საკმაოდ უფერულად ვადამღერებელი ხალხური იგავ-არაკებით, ანდაზებით და თქმულებებით.

„მათა ქეჟას“ განხილვისას ენის თვალსაზრისით ჩვენ უნდა შევეხოთ ორ მომენტს. ერთის მხრივ, ლექსითურ მასალის სიმდიდრეს, ხოლო მეორეს მხრივ — მისი ფრაზის წყობას, სახეების თანამიმდევრობას, რიტმს და მისი წყობის საერთო სტილს.

დ. შენგელიას ენა ხასიათდება ლექსიკის სიმდიდრით. ის თითქმის არასდროს არ მიმართავს გაცვეთილ, ავტომატიზირებულ გამოთქმებს, მას უხვად შემოაქვს ხმარებაში ახალი სიტყვები. თუმცა ხშირად მიმართავს პროვინციალიზმებს და არქაიზმებსაც. ამ მიმართულებით მას ხშირად ლალატობს ზომიერების გრძობაც. პროვინციალიზმების სიქარბე ზოგჯერ ტექსტის ვაგებას აძნელებს. არქაიზმების მნიშვნელობა კი მას ხშირად მცდარად აქვს ვაგებული და ამ მცდარი მნიშვნელობით შემოაქვს ეს „მკედრეთით აღმდგარი“ სიტყვები ლიტერატურაში. ხშირია აგრეთვე სხვადასხვა პროვინციებიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოტანილი, ეპიტეტის სახით ნაბმარი ზედნართავი სახელების დაგროვება ერთ წინადადებაში. მეგრული, გურული, იმერული, ქართლ-კახური აქ ერთადაა არეული და ეს ხშირად უფრო ლექსითურ სენსაციაზე არის გამოანგარიშებული, ვიდრე აზრის ნათელ, გამსჭვირვალე, მნატვრულ გამოხატვაზე.

მეორე მომენტი არის ვატაკება რიტმიზირებული პროზით. რომ შეინარჩუნოს ერთხელ აღებული რიტმი, რომ თავიდან აიცილნოს მოდუნება და შეფერხება თხრობაში, ის ხშირად მიმართავს ფრაზების შეერთებას კავშირებით, რაც სიმშრალის და დეკლამატიურობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რეალისტურად გამართულ ნაწარმოებში და მწერალი უსათუოდ უნდა შეეცადოს ამ ნაკლის აღმოფხვრას.

იოსებ მებრელიძე

## აკადემიკოსი ნიკო მარტი

აკადემიკოსი ნიკო მარტი დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს (ძვ. სტ.). მამა მისი ინგლისიდან ჩამოსული განათლებული იაკობ მარტი ყოფილა, ხოლო დედა — ალათი მალულარიას ასული. ბავშვობა გურიაში, სოფ. საყვავისტყეში გაუტარებია. შემდეგ უსწავლია ქ. ოზურგეთში და ქ. ქუთაისში; ბოლოს, მაშინდელ პეტერბურგში უნივერსიტეტში შესულა და „აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტი“ დაუმთავრებია. ყველგან იგი ითვლებოდა პირველ მოწაფედ და ეს პირველობა შერჩა მეცნიერებაშიც.

1902 წ. ნიკო მარტი პროფესორობა მიიღო, 1909 წ. არჩულ იქნა აკადემიკოსად. უკანასკნელად იგი ითვლებოდა საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, 1919 წელს მის მიერ შედგენილი ლენინის მიერ დამტკიცებული პროგრამით დაარსებულ ნიეთიერი კულტურის ინსტიტუტის სახელმწიფო აკადემიის პრეზიდენტად, მის მიერვე 1918 წ. ტფილისში დაარსებული კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის, ახლანდელი „კავკასიის მკოდნეობის ინსტიტუტის“ დირექტორად და საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის თავმჯდომარედ; 1921 წელს მის მიერვე დაარსებულს იაფეტიდოლოგიური ძიებების, შემდეგ იაფეტურ ინსტიტუტად გადაკეთებულის და ახლანდელ საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარტის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორად. ითვლებოდა აგრეთვე ბელორუსიის აკადემიის, სსრკ ცაკის (1929 წლიდან კანდიდატად და 1931 წლიდან წევრად) და სხვა მრავალ საბჭოთა ორგანიზაციის წევრად.

ნ. მარტი იყო კომუნისტური პარტიის წევრი 1929 წლიდან.

ნ. მარტი დაჯილდოვებული იყო ხელისუფლების მიერ ლენინის ორდენით, გამოცხადებული იყო შრომის გმირად, სახალხო დამსახურებულ სწავლულად.

აკად. ნიკო მარტი, ეპოქის შემქნელი ბუმბერაზი მეცნიერი, ხელისუფლებისა და საბჭოთა მეცნიერების მიერ დაფასებული იყო; მაგრამ ჩვენში ძველი იდეოლოგიით გაკლენთილ მეცნიერების დარჩენილ ჯგუფების მიერ, რომლებმაც არა ერთხელ სცადეს შეთხზული ცილისწამე-

ბებით მისი მოსპობა, ჯერ კიდევ არ იყო დაფასებული, ამ დრომდე იგი თვითონ იბრძოდა ყოველმხრივ და გერაფერი დააკლეს როგორც მის პიროვნებას, ისე მის მოძღვრებას. დროებით ბევრგან შექმნილ ნაწიერთებმა ამ მოძღვრების სათანადო განვითარება, მაგრამ იგი დღეს იმდენად შესულია მეცნიერების მტკიცე გარემოში, რომ მას ველარაღინ აღმოფხვრის იქიდან.

5. მარჩმა თვითონ დაუდგა თავის თავს უკვდავების ძეგლი. მან თავად უზრუნველყო მისი სამუდამოდ არსებობა. ეს ძეგლი გახლავთ მისი აზრებით დაუფრსული 500-ზე მეტი გამოცემული და სხვა მრავალი გამოუცემელი ნაწერი, მის მიერ გამოზრდილი მრავალი მეცნიერი, დაარსებული დიდი სამეცნიერო დაწესებულებები, მათთან დაკავშირებული უამრავი გამოცემა და სხვა მრავალი რამ. მის მიერ გადაწყვეტილია უამრავი პრობლემა. იგი ეჭვთვნის მოაზროვნეთა იმ მცირე რიცხვს, რომლებმაც ეპოქები შექმნეს, საკუთარი სისტემები ჩამოაყალიბეს. მან შექმნა ენაზე ახალი მოძღვრება (იადეტიდოლოგია), რითაც დაუშლელი საფუძველი ჩაუდო მარქსისტულ ლინგვისტიკას და მთელს მის მოსაზღვრე დარგებში უამრავი სიახლე შეიტანა, რითაც რევოლუცია მოახდინა მეცნიერებაში.

6. მარჩი იყო თავისი ეპოქის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი ენციკლოპედისტი. მან განსაზღვრა: ენათმეცნიერების, ნივთიერი კულტურის ისტორიის (ძველი არქეოლოგიის), ფილოლოგიის, პირველყოფილი საზოგადოების ლიტერატურის — ფოლკლორის, ეთნოგრაფიის და, საერთოდ, ადამიანთა კულტურის ისტორიის მეცნიერებათა საზღვრები, თითოეული ასეთი მეცნიერების რაობა და მათი ურთიერთ დამოკიდებულება.

მისი მეცნიერული მოღვაწეობით ძირითადში გადაწყვეტილია: ენების, აზროვნების ყოველგვარი სახეობის, ტომებისა და ერების, რელიგიების, ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის წარმოშობის ძირითადი პრობლემები. მან ჩამოაყალიბა საარქივო საქმეთა სისტემა, შექმნა სრულიად ახალ საფუძვლებზე დამყარებული ტიპური მუზეუმი, როგორც გახლდათ, მაგალითად, ანის მუზეუმი, რომლის პრინციპებზე არის აგებული ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლური განყოფილება; შექმნა ახალი სისტემა საბიბლიოთეკო მუშაობისა, ახალ საფუძვლებზე აგებული თემატური კატალოგი, რაიც დაიწყო მსოფლიოში მესამედ ცნობილს — ლენინგრადის სახალხო ბიბლიოთეკაში — მისი დირექტორობის დროს; მანვე შექმნა ენისა და აზროვნების სპეციალური საკვლევარო მეთოდი; აღმოაჩინა მათი განვითარების სპეციფიური კანონები და შეიმუშავა მათი წარმოშობის ისტორიაზე მონისტური თვალსაზრისი; მან დაადგინა ენისა და აზროვნების მთლიანობის კანონები, ახსნა ენის მთლიანი გლოტოგონიური პროცესი; მან პირველმა დაამუშავა ყველაფერი ეს და

სხვა მრავალი თავის ენის შესახებ ახალ მოძღვრებაში (ლოჯიკოლოგიაში). ეს მოძღვრება არის პირველი მეცნიერული ენათმეცნიერება, რომელშიც კონკრეტულ მასალებზეა დამუშავებული და მრავალმხრივ განვითარებული — აზლების მიმატებით — მარქსისტული დებულებების მთელი რიგი.

მართალი იყო ნ. მარჩი, როცა ამბობდა, რომ ენის შესახებ ახალი მოძღვრების შექმნამდე არ იყო ზოგადი ენათმეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ კურსებიც კი იკითხებოდა და იკითხება (ზოგან უცვლელად — ახლაც) ამ სახელით, რომლებშიც ზოგადი არაფერი არ იყო, გარდა მკვდარი სამწერლობო ენების ფორმალური აღწერისა. მას ეკუთვნის ფორმალურ საფუძვლებზე დამყარებული ენის კლასიური შედგენილობის აღიარება, ენაში სხვადასხვა ფენების გარჩევა — სტადიურობის დადგენით; სტადიის შიგნით სხვადასხვა ფენობრივი ელემენტების აღმოჩენა, ურომლისრდაც ვერც ერთი აწინდელი ენათმეცნიერება ისე ვერ იქნება მარქსისტული, როგორც ვერც ერთი ისტორია, თუ იგი გარკვეული ფორმაციების განვითარებას არ სწავლობს.

ნ. მარჩი პირველი გასცილდა მწერლობის მქონე ენების რკალს და გახადა ენათმეცნიერების უშუალო საგნად ენის ყოველგვარი სახე, რომელიც ამ ურთიერთობის როლს ასრულებს. მის ერთერთ უდიდეს დასახურებად ითვლება ის, რომ მან შექმნა ენაზე სტადიურობის თვალსაზრისი; მის მიერ გამომუშავებულია სტადიების ნიშანდობლივი თვისებები, სტადიიდან სტადიაში გადასვლის ნიშნები, რაიც დაუკავშირა საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარებას. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობისად თვლიდა მარქსისა და ენგელსის მიერ დაწყებულ საქმეს და ძირითადად გადაწყვეტილს — საზოგადოების ფორმაციათა განვითარების მიხედვით შესწავლას. ნიკო პირველი იყო, რომელმაც გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციების მიხედვით აღმოაჩინა ენაში სხვადასხვა სტადიები. მანვე ენის ერთი უძირითადესი სახის — ხმიური ენის სტადიური მდგომარეობის ადვილ-გამოსარკვევად შექმნა ანალიტიური წერა. მისი სათანადოდ მოხმარება, ნ. მარჩის მიერ გამოგონილი პალეონტოლოგიური მეთოდით, არკვევს ენის მთელ იდეოლოგიურ მხარეს. სხენებული ანალიტიური წერის შექმნით, რომელიც მტკიცე მათემატიკურ პრინციპზეა აგებული, წამოაყენა ცდები მომავალ კაცობრიობისათვის ერთიანი წერისა, რაიც დაკავშირებულია მის მიერ გათვალისწინებულ მომავალ საერთო ენის შექმნასთან. მასვე ეკუთვნის ენათმეცნიერული რთული სამკვლევრო აპარატის, სპეციალური სამკვლევრო ტექნიკის გამომუშავება — იაფეტიდოლოგიური სამკვლევრო ტექნიკური ნიშნების შექმნა. ურომლისრდაც ვერც ერთი აწინდელი ფონეტიკა და მისი სწავლება სათანადო მეცნიერულ სიმაღლისად ვერ ჩაითვლება.

ნ. მარრის ამ უდიდესი დამსახურების, ენის სტადიურობის აღმოჩენისა და პალეონტოლოგიური მეთოდის გამოა, რომ ენის წარმოშობის საკითხი დიდ მნიშვნელოვან პრობლემად აღიარა. მარრის მეთოდური შედეგების ისტორიზმის პრინციპის სრული გამართლებით მთავარი ყურადღება მიაკცია მას და ძირითადში გადაწყვიტა კიდევ. ამ ზოგად ნაწილშივე მის ერთერთი უდიდესი დამსახურება, ენის კლასიურობისა და სტადიურობის დადგენასთან ერთად, ისაა, რომ ენისა და აზროვნების განვითარებაში აღიარა ძვრების არსებობა, რევოლუციების შესრულება სტადიიდან სტადიაში გადასვლისას. თითოეულ სტადიას მან ყველაზე უფრო მოხდენილად შეუფარდა აზროვნების სხვადასხვა სახეები: კოსმიური, ტოტემისტური, სახეობითი და ტექნოლოგიური. მან პირველად ყველაზე უფრო საფუძვლიანად ენის სტადიები და აზროვნების სხვადასხვა ფორმების ვარდამავალი სახეები ერთი მეორეს დაუკავშირა და თითოეულში აღმოაჩინა წინა განვლილი საფეხურების ვადანაშთები, დაადგინა მდგომ საფეხურების ძირითადი თვისებები და მათში ახსნა იმ საფეხურების საწყისები, საითკენაც ვითარდება.

მან პირველმა დაანგრია ბურჟუაზიული იდეოლოგიების ხელში ნაციონალური ჩაგვრის მძლავრი იარაღი — რასული და მიგრაციის თეორიები. ენაზე ახალი მოძღვრების ზოგად ნაწილში ნ. მარრმა გამოარკვია, რომ არ არსებობს ერთი მასალისაგან შედგენილი ე. წ. წმინდა ენა, რასაც ინდოევროპეისტები ენის ავადმყოფობას უწოდებენ, და დააყენა ამის ადგილზე ენათა შეუღლების თეორია, სცნო კანონზომიერ მოვლენად. ე. წ. ენათა ოჯახების ადგილზე მან დააყენა ენათა სისტემები, მარტო მკვდარი სამწერლობო ენის კვლევის ადგილზე პირველ რიგში ცოცხალი ენები და მეორეში — მკვდარი ენები; ერთი ენის მეორისაგან დამოუკიდებელი განვითარების თეორიის ადგილზე — ენათა განვითარების მთლიანი გლოტოგონიური პროცესი; რასული თეორიის ადგილზე — ხალხთა ზრდის დიალექტიკური პროცესი; ერთი ენიდან მრავლის წარმოშობის თეორიის (ბიბლიური ლეგენდის, რასაც ინდოევროპეისტები თავგამოდებით იცავენ) ადგილზე — მრავლიდან ერთის წარმოშობის თეორია, რაზედაც აგებულია მისი დებულება კომუნიზმის აუცილებლობის შესახებ. საცა ამბობს: ჩვენი მიზანია მომავალ კაცობრიობის მთლიანობა როგორც სიტყვაში, ისე მეურნეობაში და საზოგადოებრივობაშიო. მანვე პირველმა აღიარა, რომ მომავალი საერთაშორისო ენა არ იქნება არც ერთი დღეს არსებული ენა. იგი წარმოიშვება ყველა დღეს არსებული ენების შინაგან წინააღმდეგობებიდან ყველას დიალექტიკური მოხსნის შედეგად და ახალი საერთაშორისო ენა იქნება განსხვავებული დღევანდელი და დღემდე არსებული ენებისაგან როგორც ხარისხობრივად, ისე თვისობრივად, ისე, როგორც ხელის, და, საერთოდ, ეესტ-ხიმიკის ენა მოიხსნა შინაგანი დიალექტიკური წინააღმდეგობების ნიადაგზე ზმიერი ენის წარმოშობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშიერ ენამდე არსებული ყველა ენების სპეციფიური თვისებები ნ. მარჩის მიერაა გამოკვლეული, მან მისცა პირველი მეცნიერული დასაბუთება; განსაკუთრებით ხელს შეუწყობდა ხშიერის ურთიერთდამოკიდებულება პირველმა მან გაარკვია, მან: სტრუქტურულად აღიარებულა, რომ დიალექტები განაწილებია ცალკე არსებული დამოუკიდებელი ენებისა, წინააღმდეგ ინდოევროპეისტიკის მტკიცებისა, თითქოს უწინ არსებული ერთი ენის დანაწილების შედეგია ყველა დღეს არსებული ენები და დიალექტები შემდეგ გამოიყვენ მისგან, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში კვლავ ახალ ენებს წარმოშობენო.

ნიკო მარჩმა პირველად დაადგინა ოთხი ელემენტის რაობა, მისი განვითარების ყველა სპეციფიური თავისებურება აღიარა და პირველმა მოიზარჯვა ენის იდეოლოგიის არსის გამოაშკარავებაში, მან უარყო ფაშისტური პოლიტიკის მტკიცე დასაყრდენი — ხალხთა დაყოფა კულტურულ და უკულტურო ერთეულებად; რასული თეორიის ეს ძირითადი საფუძველი მოშალა და მიჰყო ხელი მცირე ნაციათა ენების შესწავლას, მათ მსოფლიო ასპარეზზე გამოტანას. რასული თეორიის მიმდევრობის მიერ, იმ დროს, როცა ისინი თეორიაში კავკასიურ რასად ინგლისელებსაც კი თვლიან, კავკასიური პატარა ენები არასდროს არ განხილულა მსოფლიო მასშტაბით და მცირე ნაციათა ენებისათვის არასდროს არ მიუნიჭებიათ ის მნიშვნელობა, რასაც ნიკო გამოსთქვამს სხარტად: „დედაენა ძლიერი ბერკეტია კულტურული ამალლების“-ო („Родная речь — могучий рычаг культурного под'ема“), რაიც საესებით ამართლებს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას.

მიგრაციის და რასული თეორიების დანგრევით ნ. მარჩმა დაანგრია ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურის თემების საკითხებში მითების გადასახლებულობის თეორიაც. მოხსნა პრამითიური და პრაფოლკლორული მუდმივი საბადოების ადგილი, რათაც უმთავრესად ძველ ინდო-ირანელებს თვლიდენ; ხშირად აწერდენ ამ უკანასკნელთ იმას, რაც სულ არ ეკუთვნოდა მათ.

მეცნიერება მეცნიერებისათვის, რაიც უარყოფილი იყო მარქსიზმის კლასიკოსების მიერ, ნ. მარჩმა კიდევ უფრო გაანადგურა; ინდოევროპეისტების მიერ უმთავრესად და ბევრისაგან მხოლოდ თეორიულ დისციპლინად ჩათვლილ ენათმეცნიერებას მან უდიდესი პრაქტიკული ამოცანები დაუსახა; ჩაუდგა სათავეში საბჭოთა ენობრივ მშენებლობას, რისთვისაც იგი ორჯერ ოსმალეთშიც კი იყო მიწვეული. ნ. მარჩმა გადასწყვიტა დროისა და სივრცის ერთიანობის პრობლემა; მან თავისებური ახსნა-განმარტებები მისცა ძველი ფილოსოფოსების მიერ ქვეყნის წარმოშობაზე შეთხზულ თეორიებს. იგი შეეხო რიგს ფსიქოლოგიური პრობლემებისას და შეპიროვნებულ და შეუპიროვნებელი, თანშობილი და შეძენილი რეფლექსების ახალი გაგება წარმოადგინა. მან დაამტკიცა, რომ

სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენები შეიქმნა და არ წარმოშობილან უშუალოდ ბიოლოგიური სახეების წარმოშობის მსგავსად.

ნ. მარმა პირველმა დაამტკიცა მეცნიერულად, რომ ენობრივი ფაქტები ისეთივე ღირებულების ისტორიული ძეგლებია, როგორც წერილობითი წყაროები; ხშირად უფრო მნიშვნელოვანი და სანდო, ვიდრე მეორენი. მანვე შესცვალა ნივთიერი კულტურის ძეგლების ფორმალური ნიშნებით დახასიათება: სტილის, ფორმის და კონსტრუქციის — ფორმალური ტიპოლოგიური ანალიზი შესცვალა ფუნქციონალურ-მნიშვნელობითი დახასიათებით. შინაარსისა და ფორმის მთლიანობაში დაცვით დამუშავებას მოითხოვდა ყოველი ისტორიული ძეგლების, რომელათაც ენობრივ მასალებსაც მიიმჩნევდა, და ამის კვალობაზე შეიმუშავა ვრცელი სემანტიკური რიგები, ფუნქციონალური სემანტიკის მთავარი მნიშვნელობების დადგენით. პირველყოფილ ხელოვნებაში სინკრეტიზმი, რელიგიაში ანიმიზმი, ფეტიშიზმი, ტაბუ-დადებულ სიტყვების რაობა და ქრისტიანული სარწმუნოების ურთიერთობა მაჰმადიანურთან თავისებურად გამოიკვლია.

ამავე დროს ნ. მარმა გამოიმუშავა იაფექტილოლოგიური გრამატიკის ძირითადი საფუძვლები და დასტოვა რიგი კონკრეტული მითითებებისა. მან გამოიმუშავა აზრი, რომ პირველად სახელი და ზმნა არ განირჩეოდნენ ერთი და იგივე ფორმა ორივეს როლს ასრულებდა — ენის ერთ-ერთ სტადიაზე. არ იყო გარჩევა მრავლობითისა და მხოლობითი რიცხვის. გავება კი კრებადი, მრავლობითი იყო და როგორც მთელს ნაწილი, მრავლობითიდან მხოლობითი შემდეგ გამოეყო. ეს ერთი მუხლია მისი იმ აღმოჩენიდან, საცა დადგენილი აქვს, რომ მთელი და ნაწილები ერთი და იმავე სიტყვებით აღინიშნებოდნენ. როგორც მთელი და ნაწილები, მრავლობითი და მხოლობითი რიცხვი, ისე ყველა სხვა საწინააღმდეგო ცნებები ერთი და იმავე სიტყვებით აღინიშნებოდნენ. მათი დიფერენციაცია შემდეგი დროის მოვლენაა, შინაგან წინააღმდეგობათა განვითარების ნიადაგზე აღმოცენებული. ენის განვითარების გარკვეულ სტადიას არ გააჩნდა უღვლილება და ბრუნვები. არც დროები გააჩნდა ზმნებს და ყველაფერი ეს შემდეგ გამოიმუშავდა ენებში, იმის მიხედვით, თუ რომელი კოლექტივი განვითარების რომელ საფეხურზე იყო და რის გამოთქმას საჭიროებდა. მანვე აღნიშნა, რომ ბგერების სხვადასხვაგვარობა საზოგადოებრივად სხვადასხვა არსებული ფენების გამოსახულებაა. ბგერებში განსხვავება წარმოშვა აზრში განსხვავებამ, იდეოლოგიურმა სხვადასხვაობამ. ასევე აღნიშნა, რომ გრამატიკული სქესები სულ არ იყო ფორმაციათა განვითარების დაბალ საფეხურებზე. ისინი წარმოიშვენ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციების შესაფერ ენობრივ სტადიებზე, იმის მიხედვით, თუ რომელი სქესი რა განსხვავებულ სოციალურ ფუნქციის ასრულებდა მეურნეობასა და წარმოებაში. ამით შეუქავშირა მამრობითი სქე-

სის სიტყვები უმთავრესად პატრიარქალურ წყობილებას, მღვდლობრებით — მატრიარქალურსა და საშუალო — ყრმულს, მომავალი თაობის განსაკუთრებულ როლს საზოგადოებაში.

სიტყვათა შემოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლემენტს, რომლებიც თავის თავად არ არის უპირველესი მოვლენა. ისინი ხშიერი ენის გარკვეულ საფეხურზე შეიქნენ, მათ განიცადეს მრავალი ცვლილება, რომლებიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იქნა განვითარებული; ერთი და იგივე სიტყვები სხვადასხვაგვარად გაფორმდა, ერთ და იმავე ცნების აღმნიშვნელი სიტყვები სხვადასხვა სახის გამოდგა. ასეთი აღმოჩენები, პრობლემების ახალი თვალსაზრისით დაყენება და ახალი სამკვლევრო ხაზების გაშლა ნიკოს ყოველდღიურ მუშაობას ახასიათებდა, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რა გააკეთა!

ნ. მარრის მიერ შექმნილი ენის შესახებ ახალი მოძღვრება (იაფეტოლოგია) შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან. პირველია — ზოგადი მისი სამეცნიერო სისტემა, ზოგადი მისი მეთოდოლოგიური ხერხები, დამყარებული კონკრეტულ მასალათა განხილვის საფუძვლებზე; მეორეა — მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი — იაფეტოლოგია, როგორც მოძღვრება იაფეტური სისტემის ენების შესახებ. პირველ ნაწილიდან მთავარ მითითებულ მიღწევებს გარდა, ამ მეორე ნაწილში ისე შორს წავიდა ნ. მარრი, რომ ვერცერთი იაფეტური სისტემის ენის მკვლევარი ვერ აუღლის მას გვერდს.

ნ. მარრის მთლიან მოძღვრებასთან, განსაკუთრებით კი მეორე ნაწილთან მჭიდროდა დაკავშირებული კავკასიის მცოდნეობის მრავალი პრობლემა ენის, ისტორიის, რელიგიის, ლტერატურისა და მრავალ სხვა საკითხში.

ნ. მარრი კავკასიის მცოდნეობის დამაარსებლად მარი ბროსეს სთელის. მარრამდე კავკასიის მცოდნეობა ისეთ უმწეო მდგომარეობაში იყო და იმდენად ზერტლედ და ნაწილობრივ იყო შესწავლილი, რომ ყველა მარრამდე ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევარი ჩაითვლება მხოლოდ დასაწყისის საფუძვლების, ნამდვილი კავკასიის მცოდნეობის შექმნის შემამზადებლად. კავკასიის მცოდნეობა, დამყარებული გარკვეულ ზუსტ მეცნიერულ საფუძვლებსა და ადგილობრივი ენების ღრმა ცოდნაზე, მხოლოდ მარრიდან იწყება; მხოლოდ მარრის ხელში დაეკაცა იგი, და ნამდვილი მეცნიერული ძალები, რომლებსაც რაიმე დიდმნიშვნელოვანი გაუქმებიათ, უმთავრესად, შუალობით თუ უშუალობით, მარრის მოწაფეები იყვნენ.

ნ. მარრმა პირველმა შექმნა სომხურ-ქართული ფილოლოგია; მან სომხურ-ქართულ ისტორიულ ლიტერატურულ-მცოდნეობას ჩაუყარა მტკიცე ისტორიული საფუძვლები შრომების სერიით: „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“ (1900—1913 წ.), რომ-



მელი სერიიდანაც სულ 13 ტომი გამოიცა და მათში 11 მაროზ ეკუთვნის. კერძოდ, სომხურიდან მასვე ეკუთვნის უდიდესი "ზრომა": "Сборники притч Вардана", სამ ტომად გამოსული. მანვე პირველმა დაიწყო შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნი"-ს მეცნიერული კვლევამიზება; მან გააღვიძა რუსთაველზე დიდი ინტერესი, რომელიც ახლაც მისგან იწყება რუსთაველოლოგია. ენაში სომხურ-ქართული ურთიერთობის მიმართულებით „აკადემიის უწყებებში“ ნ. მაროზა მოათავსა წერილების მეორე სერია „Яфетические элементы в языках Армении“ (1911 — 1919 წ.), სულ 11 ნაწილად.

იაფეტური სისტემის ენების შესწავლაში ნ. მაროზა დაგვიტოვა უკვდავი "ზრომები: სომხურის, ქანურის, ძველი ქართულის ძირითადი ტაბულები, ძველი ქართულის გრამატიკები ორ დიდ გამოცემად რუსულ-ფრანგულ ენებზე; აფხაზურის, სევანურის და ჩრდილოეთ-კავკასიის სხვა ენების შესახებ, რომელთაგანაც, გამოცემულებს გარდა, გამოუცემელიც აუარებელი მასალა დარჩა მთელ რიგ ჩრდილო და სამხრულ-კავკასიური ენების შესახებ.

აკადემიკოსი ნიკო მაროზი იყო როგორც, უპირველეს ყოვლისა, გენიალური ლინგვისტი, ისე ფილოლოგი. გარდა სპეციალური გამოკვლევებისა, მან გამოსცა უამრავი ლიტერატურული ტექსტი, მაღალ მეცნიერულ აპარატში გატარებული; ასევე იგი იყო ნივთიერი კულტურის უდიდესი ისტორიკოსი (არქეოლოგი), საერთოდ ისტორიკოსი, უეჭველად დიდი ფილოსოფოსი, პირველყოფილი საზოგადოების ლიტერატურათ-მცოდნე ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ფსიქოლოგი, პედაგოგი, დიპლომატი, მუსიკოსი, ლიტერატორი და დიდი პოეტი, როგორც ახლა მას ხაზს უსვამდა აკადემიკოსი ორლოვი. ყველა ამასთან ერთად იგი იყო იშვიათი ორგანიზატორი და უმრავლესობისათვის ძლიერ საყვარელი ადამიანი.

მართლაც, ვის შეუძლია უარყოს, რომ ნ. მაროზი იყო დიდი შემომქმედი, ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის მცოდნე, მოსიყვარულე, უდიდესი მხატვრული გემოვნებით აღჭურვილი, მწერალი და პოეტი? მართო იმაზე კი არაა საქმე, რომ მას ლექსებიც დაუწერია (ერთი დაბეჭდილიცაა). აბა აიღეთ მისი მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, ქანებში, პირინეთის გურიიდან, ლინგვისტური მოგზაურობის შესახებ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე და სხვა "ზრომები, რა მხატვრულ სახეებში და მოხდენილ ფორმებში გადმოგვეცემს აზრს; როგორ მხატვრულ სიტყვებს ურჩევდა ძველი სომხურის, ქართულის და მრავალი სხვა ენის გამოცემული ტექსტების თარგმანებს.

ნ. მაროზს საერთოდ ახასიათებდა მოსწრებელი სიტყვა-პასუხი; იგი იშვიათი მზიარული თანამოსაუბრე იყო და ეს ჩანს მთელს მის ნაწერებში.

მას არ დასცალდა თავისი მეცნიერული სისტემის უფრო მეტად დაზუსტება; არ მიეცა საშუალება გადმოეშალა მთელი თავისი დაგროვილი

კოდნა, გამოცდილება და თავისი უკავდავი შემოქმედება კიდევ უფრო გაეზარდა.

### ქარქინული

დიდი და განუზომელი იყო ნ. შარაძის აღფრთოვანება ქარქინული აღმოჩენისა და დაკვირვების მიკვლევის დროს. ცდილობდა, სადმე საჩქაროდ მოეხსენებია კრებისათვის, ან ზშირად მაშინვე ტელეფონითაც კი გაუზიარებდა ვისმეს. მისი ლექციები, ერთი და იგივე კურსიც კი ერთსა და იმავე უნივერსიტეტში ერთი და იგივე არ იყო. უცვლელად ძველ ლექციას არასდროს არ იმეორებდა. მუდამ უმატებდა და უმატებდა ფაქტებს, აღამაზებდა აზრებს, ყველგან ახალი ცნობებით დატვირთული წარმოდგებოდა. ამის გამო მის ლექციებზე სტუდენტებს შორის ისხდნენ მისი ყოფილი სტუდენტები, ახლა აკადემიკოსები, პროფესორები, ასპირანტები და სხვები.

ნ. შარაძის მოძღვრების მთავარი ძალა იმაშია, რომ იგი სხვას უკვლევს გზას. სხვას შეუძლია მასზე ახალი ააშენოს. მას ახარებდა სხვისი პატარა აღმოჩენაც კი და ვინც რაიმე ახალ დაკვირვებას მოახსენებდა, აღფრთოვანებით უსმენდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა და გამზედაობას პმატებდა.

დღეს მიედევართ წინ მისი გზით და ეხედავთ, რომ არა თუ ერთი უნდა ყოფილიყო მეგრულ-ქართულ-ჭანურ-სვანური ენები, ან დიალექტები ყოფილიყო და ერთი და იმავე ენის, რასაც ლალადებს და იცავს ერთი ჩამოაჩენილი ჯგუფი, არამედ ირკვევა, რომ თვით ჭანურ-ლაზური არ იყო ერთი და იგივე. ეს ორი სახელი არ არის ერთი ეთნიური ტომის აღმნიშვნელი, არამედ ორი სხვადასხვაია. მათ სხვადასხვაობას ისტორიულად ამოწმებს პროკოპი კესარიელის ცნობები. ჭანები მიუვალ მთებში, არმენიელების საზღვრებზე ცხოვრობენ, ლაზები კი შავი ზღვის პირადო, — ამბობს ის.

დღეს, რა თქმა უნდა, ლაზები და ჭანები ერთი და იგივეა, მაგრამ 1500 წლის წინათ და უფრო ადრე სხვადასხვა ყოფილან; რომ მათი ენებიც სხვადასხვა უნდა ყოფილიყო, იქიდან ჩანს, რომ ახლანდელი ჭანურ-ლაზურის აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს ფუძის გახშიერებაში ი, დასავლურში მისი შესატყვისის შ-ს მაგიერ (მაგ., აღმოსავლ. ნისა — რძალი, დასავ. ნუსა, აღმ. ჰკიდი (ასევე მეგრული), დასავ. ჰკული — შჰალი, და ასე შემდეგ რამდენიც ვინდათ როგორც სახელებში, ისე ზმნებში). ეს გარემოება ამაგრებს ნ. შარაძის დებულებას, რომ ჭანები უფრო ახლოს არიან ენაში სვანებთან, ვიდრე მათი მეზობელი მეგრელები. ეს სამოქმედო სქემა იძლევა სურათს, რომ ახლანდელი ჭანურის ორ შტოდან პირველი — ლაზური უფრო ახლოს იდგა მეგრულთან, მეორე — ჭანური — სვანურთან, და ლაზებისა და ჭანების გაერთიანებით ახლანდელი ლაზური მეგრულთან დარჩა ახლოს; ხოლო მასში ჭანურმა ფენამ სვანურთან ახლო კავშირი კიდევ შემოინახა. ეს სქემატიურად ასეთ სახეს იღებს,

რომ გახშიერების, ე. ი. სხვადასხვა სოციალურ ფენათა მიხედვით, ქართული ერთია და უმთავრესად ახასიათებს მას — ა; ჭვერქულუ — მეს შესატყვის ოს-ს წარმოგვიდგენს, ლაზური მის აღეკვავტ აშახს; (აშაჟაჟ ო" უ) და სვანური მ-ს. აი, ახლა ამ მ-ს უახლოესი ხმოვანი ი ახასიათებდა, როგორც ჩანს, ქანურს; გახმოვანების მიხედვით ელებულობთ: ქარ. ა, მეგრ. ო; ლაზ. — უ; ყველა ეს გადაწევით სვან. მ და ქან. ი.

იმ ნაწილში კი, სადაც ყველა მოწინააღმდეგე თავს ესხმოდა ნ. მარსს, იმ ელემენტების შეშვეობით, რომელიც სამკვლევრო ძლიერი საშუალებაა, ვხედავთ, რომ არა მარტო ქართ. ღორი-ა დაკავშირებული ღმერთთან, ქან. ღორმოთ-თან, სვან. ღერბეთა-სთან და მეგ. ღორონღ-თან შით, რომ ღორი საკულტო ცხოველი, ტოტემი იყო, რის გამოც მთელ რიგ ხალხებში ტაბუა დადებული მასზე და მის ხორცს არ ჭამენ, არამედ უფრო ნათლად ჩანს ისიც, რომ ქართული სიტყვა კაცი ღმერთის სახელის — ღორის ნაირსახეობაა. ეს იმ დროიდან, როცა ადამიანი თავს ღმერთის შვილად თვლიდა. აქედან, ერთის მხრივ, კულტობრივის ხაზით გვაქვს ქან. ღორმოთ-თან, სვან. ღერბეთა-სთან და მეგ. ღორონღ-თან შით, რომ დაკავშირებული გ-ში; მეორეს მხრივ — სოციალურად ქან., მეგრული კოჩი (ქანურში აღნიშნული არის გოჩიც — კაცის, კოჩის მნიშვნელობით) აქედან — გოჭი და კოჩი, ბ და ბ-ს, შ და ჩ-ს მონაცვლეობით, რაც სრულიად ნორმალური მოვლენაა, ერთი და იმავე წარმოშობის სახელებია, და მართალი იყო ნ. მარსი, როცა გოჭ-ს, შ და ო-ს მონაცვლეობით გოთ-ებს, გუთ-ებს უკავშირებდა.

ნ. მარსი ასეთ შემთხვევაში სათქმელს არ მოიშლიდა. ვისმეს ახირებული აზრების შიშით და აქ მეც ჩემსას ვამბობ. იგი იყო პირში მთქმელი ადამიანი, უყვარდა სათქმელის პირდაპირ თქმა, იყო მეცნიერებასა და ცხოვრებაში რევოლუციონერი.

სპეციალობით სიბრძნის მეტყველი, ამეტყველებდა უენო ჭეებს, ალაპარაკებდა უძველეს ნაშთებს და სულს უდგამდა უზარმაზარ ქვის ვეშაპებს.

ნ. მარსი არ იყო ამოწურული მეცნიერი; მას აუარებელი ახალი იდეები მიჰყვება მიწაში, და როცა სიცოცხლეში ეტყოდენ, ძველი გამოუცემელი შრომები გამოეცე, ახალი მერმედ სწერეო, ვერ ითმენდა, ყვიროდა — ახლების დაწერას ვერ ვასწრებო. მომაკვდავი ეხვეწებოდა ექიმებს: „Мне некогда умереть; дайте мне оформить хоть одну работу“.

ნ. მარსი პირველად გენიალური ინდოევროპეისტი იყო, რაიც მალე უარყო და შეიქმნა მარქსისტული ლინგვისტიკის გენიალურ საფუძველმდებლად. როგორც მარქსი უშუალოდ მივიდა თავისი მოძღვრების შექმნამდე, ისე ნიკო მარსი უშუალოდ მოვიდა მარქსიზმთან და შეამჩნია ეს მხოლოდ მაშინ, როცა მათი გზები გადაეჭლო ერთმანეთს. როგორც ლენინი ამბობს, მარქსიზმის განვითარების თანამიმდევრობითობა მოწი-

ნააღმდეგეებმაც ვერ უარყვესო, ისე ნ. მარჩის მოძღვრება თანამედვე-  
რობით განვითარებულია და დარჩება თანამედვერობითი შესწავლის  
საგნად.

ნ. მარჩმა დასტოვა უშველებელი კულტურული მემკვიდრეობა, რომ-  
ლის დაძლევა თაობები მოუწდება.

მეცნიერებისათვის ასეთი გიგანტის დაკარგვა აუზღავი დანაკლისია.  
ერთი ვინმე ვერ შესცვლის მას. მხოლოდ კოლექტივი თუ შესძლებს მისი  
საქმის გაგრძელებას, — კოლექტივი, რომელსაც იგი მუდამ მოუწოდებდა  
ბრძოლებისაგენ, გზას უჩვენებდა საქმეებისაგენ.

ნიკო, როგორც თვითონაც ამბობს, არ იყო მარტო კაბინეტის მუ-  
შაკი. მუდამ მოგზაურობდა; გზებში ფეხით მავალი, ცხენით, ავტოთი,  
მატარებლით თუ გემით, ყველგან დაკვირვებას აწარმოებდა, მუდამ წიგ-  
ნებს ატარებდა თან და წუთის დაკარგვაც კი ვერ წარმოედგინა. მეცნიე-  
რება მარტო მისი სპეციალობა კი არა, მთელი მისი არსება იყო; მით  
არსებობდა და სულდგმულობდა, მუდამ შრომობდა და გადაიწვა შეუ-  
ჩერებელ შრომაში.

საბჭოთა მეცნიერების მოწინავე მებრძოლ ავანგარდს გამოაკლდა  
რევოლუციონური ეპოქის ერთ-ერთი დიდი ენტუზიასტი, უდიდესი მე-  
ცნიერული ერუდიციის, უდიდესი ცოდნის ადამიანი.





ქართული  
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ვ. ვ. კუბიშვილის ხსოვნას . . . . .	33-5
რევოლუციური სიფხიზლისათვის . . . . .	7

## მხატვრული ლიტერატურა

სიმონ ჩიქოვანი — შემოდგომის დილა კახეთში . . . . .	11
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება . . . . .	13
ს. კლდიაშვილი — ხალდე . . . . .	34
გ. კაჭახიძე — განახლებული ქვეყნის ბინადარი . . . . .	44
ბ. ჩხეიძე — „ალაჰის ფეშქაში“ . . . . .	46
იონა ვაკელი — კოლხეთი . . . . .	73
მ. გვასალია — აბრაგი . . . . .	74
ომარ ხაიამ — რუბაიები . . . . .	80
ა. ბაკუნც — ალპიური ია . . . . .	89

## სალიტერატურო არქივი

✓ ი. გრიშაშვილი — აკაკის „ეპრონტოვის“ გამო . . . . .	99
✓ აკაკი — ეპრონტოვი . . . . .	102

## წარსულიდან

✓ დ. მესხი — მოგონებანი . . . . .	140
-----------------------------------	-----

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

✓ ა. ჭეიშვილი — „ბათა ქექია“ . . . . .	158
✓ ი. მეგრელიძე — აკადემიკოსი ნიკო მარტი . . . . .	173

